



მეგობარი

N44 (490) 29/X-4/XI 1 ლარი

„დავან მართველი მყავს და ცოლიც“



სერგეი ზემზანი
მესკლუზიური ინტერვიუ



ახდენილი
ოცნება

„კადრები უიუკლები
ვიწვდებით, მაგრამ“...

ეჭვიანობს
თუ არა
გოგონას ცოლი



დავით
ბურდული:

„არ მიწვდის, რა,
ასეთი სუპერმოდელი!“



მრავალშვილიანი მამა და
ნიკო ღორთქიფანიძის
გვარის გამგრძელბედი



მუსინაში
მოხდარი
სისტიანი
მკვლავობის
დაგებაი 52

სიკვდილისთვის გამოგასვლელი ადამიანები და ბრძოლები მშვენიერი

ISSN 1987 - 5029



9 771987 502009

„კვირის პალიტრის“ კოლექცია

„დიდი მხატვრები“

ბობენი

შეიქმნა

„კვირის პალიტრასთან“ ერთად!

ნიგნების სერია
რჩეულ ფერმწერებზე -
მეღვრები და ისტორიები

2-დან — 8 ნოუბრადე

მხოლოდ „კვირის პალიტრის“ მკითხველისთვის! სპეციალური ფასი - 15 ლარი!




არ გამოგრჩეთ! ყოველთვე თქვენ ბიბლიოთეკას ერთი ტომი შემატება!

კოლექციის პირველი ნომერი — „პან პოპი“ შეიქმნა შვიდნოთ ნომის პალატოპო!




„კვირის პალიტრის“ ხელმოწერითაა საყურადღებო! მონაწილე: შებენის მსურველები დაუკავშირდით ელვაგ-ს ტელ: 38-26-73; 38-26-74. კურიერი სერიის ყოველ ტომს ადგილზე მოგართმევთ



პენსილვანიის უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი სტუდენტი

ქეთოსა და მისი მეგობრების თხოვნით, ბილ კლინტონს საქსოფონზე საინტერესო კომპოზიცია შეუსრულებია. ბატონ კლინტონს არც ქალბატონი კონდოლიზა რაისი ჩამორჩენია და ბრამსის ნაწარმოებით გაუნებიერებია ახალგაზრდები...

6



„პური მუპურამ უნდა გამოაცხოს“

„ქართული ენა და ლიტერატურა არ მიყვარდა. ალბათ გახსოვთ ჩემი სკანდალური განცხადებები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ახლა იმ განცხადებების მრცხვენია კიდევ: ვინ ვარ მე, რომ ილია ჭავჭავაძე აუგად მოვიხსენიო?!“

19



ცხოვრება

მღვდლების ცხოვრება



რამდენიმე დღის შემდეგ შევეტყვე, რომ ახალდაქორწინებულები არც ერთ ოჯახს არ მიუღია, სხვაგან უქირავებით ბინა და ორივე მათგანი სამსახურს ეძებს, რომ ახალშექმნილი ოჯახი როგორმე შეინახონ. ჩემი ნათესავი ამ ამბავს რომ მიყვებოდა, სხვა მდგმურების ამბებითაც დავინტერესდი.

33



- **მინიატიურები** 5
„თავში ქვამე...“
- **ჭრელი მსოფლიო** 6
- **ინფორმაცია** 7
- **ფაქტი და კომენტარი** 8
- **ერთი მიწის შვილები** 9
ქართველი კლასიკოსების სიტყვისა და რუსეთის იმპერიის მაღლი
- **კარიერა** 14
პენსილვანიის უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი სტუდენტი
- **ღაიჯუსტი** 14
- **კრიმიწალი** 16
მუხიანში მომხდარი სისხლიანი მკვლელობის დეტალები
- **მოგზაური** 19
- **ეკრანს მიღმა** 21
გოგინა და მისი ახალი ამბულით გახარებული „პრინცესები“
- **უსიქოპოტრები** 23
„პური მეპურემ უნდა გამოაცხოს“
- **გადასალაზ მოუღანო** 24
...ფილმში ქართველ გმირებს რუსი კასკადორები ეხმარებიან
- **პარსკვლავები** 27
- **ოჯახი** 28
„გვარმა კი არ უნდა ატაროს კაცი, არამედ კაცმა უნდა ატაროს გვარი“
- **ღანაკლისი** 31
სეველიანი „კინო“ კალატოზიშვილის „სცენარით“
- **თქვეთვის, კალბაგონაო!** 33
როცა დედაშვილობაში ეგოიზმი სჭარბობს

მეზღვნილები




„ჩემმა ახლობელმა გოგომ ზამთრის ქარ-ყინვაში „ბალი“ ბარათი გადაფხიკა ქუჩაში, მაგრამ სანამ თანხას შეიყვანდა, ძლიერმა ქარმა გაყინული ხელიდან ბარათი ნაჰგლიჯა. უცნობმა ბიჭმა დაიჭირა და მიუტანა. გამოელაპარაკენ

ერთმანეთს, ბიჭმა ნომერიც დასტყუა და ერთი წლის შემდეგ ცოლ-ქმარიც გახდნენ, შემთხვევითი ნაცნობები. ნუ, გამართლებაც ესაა. გადაფხიკა „ბალი“ და „მოიგო“ ქმარი“.

85

■ სიჭაყსია	35
ღირსების საკითხი, შერცხვენილი მამაკაცი და მივა თუ არა საქმე სასამართლომდე?	
■ თემა	37
მდგმურების ცხოვრება და დიასახლისების ჩივილი	
■ კონსულტაცია	39
■ ნამდვილი ამაზი	42
■ თაომა	43
ახალგაზრდა ველომრბოლელი და ტრავმატოლოგი	
■ ასპარეზი	44
■ ტაქარი	46
II მსოფლიო საეკლესიო კრება	
■ საკითხავი ქალაქისათვის	48
■ ეს სამყაროა	50
■ ავტო	52
■ ჯანმრთელობა	53
■ ანტიდეპრესანტი	54
■ მოწოდება	57
■ შთაშობა	60
„გმირი“ გურული ბოლშევიკები	
■ ემიგრანტი	63
შოკოლადით მოპოვებული პოპულარობა	
■ თინეიჯერული პონგები	64
■ წვთი პოეზია	67
■ გულანდელი დღეური	68
მე — ფსიქოლოგი (გაგრძელება)	
■ დოკუმენტური პროზა	70
შეხვედრები სტალინთან (გაგრძელება)	
■ ქართული დეზაქტივი	72
გოჩა მანველიძე. ძმები (გაგრძელება)	
■ მიწიროვანი	76
■ რომანი	78
სვეტა კვარაცხელია. აკრძალული ოცნებები (გაგრძელება)	
■ გზავნილები	85
■ ყველა ერთისათვის	90
■ მოგილი-ზაშია	92
■ პრუდიტი	100
„სამარცხვინო ლაქა“ თინა ხიდაშელის ბიოგრაფიიდან	
■ გასართობი	102
■ ასტროლოგია	104
■ სკანოვრდი	105
■ საფირმო კოსმოვრდი	106

სამყარო




ქაღლის სოკოსი ჭაბისგან „გასუქებული“ ფეხურთელი

„ერთი კვირის შემდეგ იქ ზაირის ნაკრების ფეხურთელები ჩამოვიდნენ. როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, — რას შეჭამო? ვუპასუხე: ეს კერძი მომწონს-მეთქი. გაკვირვებული სახით შემომხედეს: შენ რა, სულელი ხარ? ეს ხომ ქაღლის სოკოციაო!“

43

ადამიანი



შოკოლადით მოპოვებული პოპულარობა

ალბათ ბევრს უნახავს ტელეეკრანებზე უგემრიელესი შოკოლადის — „კორონას“ სარეკლამო რგოლები... ვერაფერს წარმოიდგენდა, თუ ერთ-ერთ მათგანში მოცეკვავე ახალგაზრდა მამაკაცი, დღეისათვის საზოგადოებისთვის, მეგობრების და ნაცნობებისთვის ჯოჯოხეთის სტრუსის სახელით ცნობილი, სინამდვილეში, ქართველი გიორგი მალალაშვილია.

57

ბიბლუსი




შესვედრები სტალინთან

ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში განხორციელებული ყველა ეს ქმედება არა მარტო ინგლისის დასუსტებას ისახავდა მიზნად, არამედ შიტლერის მთავარი ჩანაფიქრის — საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადების შესანიღბავადაც სორციელდებოდა.

67

ბაიბ-აუბი



„სამარცხვინო ლაქა“ თინა ხიდაშელის ბიოგრაფიიდან

„ზაფხულობით დასასვენებლად სოფელში დავდიოდი, სადაც პატარა ბიბლიოთეკა იყო. ვინაიდან ბიბლიოთეკარი არ ჰყავდათ, ამ შენობაში სარკმლიდან ვძვრებოდი, სასურველ წიგნებს ვარჩევდი, სახლში მომქონდა და ნაკითხვის შემდეგ, ისევ უკან ვაბრუნებდი. მერე ის ბიბლიოთეკა დაინვა, მე კი ვინანე, — ნეტავ, ის წიგნები უკან არ დამებრუნებინა-მეთქი“.

97

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“ გამომდის კვირაში ერთხელ, სუთსაბათოვლით გაზაფხუთ „კვირის პალიტრის“ დამატება

ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.

მთავარი რედაქტორი: **ზურაბ აბაშიძე**
 მთ. რედაქტორის მოადგილეები: **ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია**
 პასუხისმგებელი რედაქტორი: **მარი ჯაფარიძე**
 მენეჯერი: **მათე კბილაძე**

დიზაინი: ნანა გიგოლაშვილი
 კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ლიპარტიანი, რეზო თხილიძე

მისამართი: თბილისი, იოსებძის ქ. #49
 ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com
 რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„თავში ქვამე...“



შესავლის ნაცვლად

საქართველოს ისტორიის დაწყებამდე ანუ „ვარდების რევოლუციამდე“ დიდი ხნით ადრე, ბევრი წლის წინ, ჩემს ბავშვობაში, „ბნელი რომ იყო ხალხი, მაშინ“, დედაჩემმა ბალტიისპირეთში წამიყვანა 2 კვირით — ნორმალური ქვეყნებისა და ხალხის სანახავად... ბევრი „სხვანაირი“ რამ ვნახე: ურუსულწარწერო მაღაზიები, მრიცხველ-ჩართული ტაქსები, პოლიციელებისნაირი მილიციელები, „პეპსი-კოლა“ და საღებავი რეზინი მაღაზიებში და არა ლოტკინზე — „ციგნებთან“...

პატარა ვიყავი და საქართველოსგან ამ „პოლიტიკურ“ განსხვავებებზე მეტად, ერთი უცნაური ადგილი ჩამებეჭდა გონებაში — არ მახსოვს, ლიტვაში თუ ლატვიაში, პატარა ქალაქში იყო „ემბავების მუზეუმი“. 100 წლის წინ (ახლა უკვე 130 წლის წინ) ერთ იქაურ ახირებულ ექიმს დაუწყია ემბავისგამოსახულებიანი ყოველგვარი ნივთის შეგროვება — ბოთლის გასახსნელი და ბლოკოტი დაწყებული, ქალითა და სავარძლებით დამთავრებული. ერთობ მდიდარი და საინტერესო კოლექცია, იმ ექიმის გარდაცვალების შემდეგ, მის ბინაში გახსნილი მუზეუმის ექსპოზიციად იქცა და კიდევაც შეივსო. ყველაზე მეტად ერთი ნივთი დამამახსოვრდა: საათი, რომლის უკანა კედლიდანაც, ყოველი საათის შესრულებისას, გუგულის ნაცვლად, პატარა ემბავუნა გამოხტებოდა და სასაცილოდ ჭყლოპინითა და სასაცილო ფეხებით ცეკვავდა... ჩემი „პროვოკაციის“ მცირე ფორმატის გამო, ამ უმნიშვნელო ასოციაციაზე ამდენი ადგილის დახარჯვა იქნებ ვინმემ (ან თვით რედაქტორმაც) „ხალტურად“ ან „მფლანგველობად“ მიიჩნიოს, მაგრამ რა ვქნა — როდესაც ამ ბოლო დროს, კვლავ „გამოაქტიურებულ“ ერთ-ერთ „თავისუფლებისინსტიტუტელ“ „მანდილოსანს“ ვუყურებ, იმ ექსპონატის გარდა, აღარაფერი მახსენდება (ამ შედარებისთვის ჩვილს თუ დააპირებს, ჯერ ის ნივთი ნახოს)...



რაც შეეხება პირველი არხის (თუ რაც ჰქვია), უარს ამ საკითხზე სასაუბროდ საპატრიარქოსთვის პირდაპირი ეთერის მიცემაზე, ეს „საპროვოკატორო“ და საღადო თემად არ მიმჩნია და ვისაც ეგების, ჯობს, დროზე მოვიდეს აზრზე.

ჰოო... ახლა ცოტა სამეზობლოშიც გადავიხედოთ: „გვერდითა“ მეზობლებმა კომუნისტების დროს „აღმასკომში“ საქმე რომ ჩაანყო და ჩვენი „კუთხის ოთახი“ მიიტაცა, იმ „ოთახში“ ხანძარი გაჩნდა; არც თვითონ ჩააქრო და არც ჩვენ მიგვიშვა ჩასაქრობად — ხვდებით ალბათ, საინგილოში არსებული, ერთადერთი ქართული კულტურის ცენტრის დაწვზე მოგახსენებთ! ჩვენი ხელისუფლების რეაქციაც „ადეკვატური“ იყო: „სასწრაფოდ“ ჩაატარეს პარლამენტის კომიტეტის სხდომა, ოღონდ ჟურნალისტები არ დაასწრეს და არავინ იცის, რა თქვეს; გადაწყვიტეს კომისიის შექმნა, ოღონდ ჯერ არ შეუქმნიათ და კახში ჩასვლა და იმის გარკვევა — დაწვეს თუ დაინვა, — ოღონდ იქ აზერბაიჯანელები არ შეუშვებენ! ერთადერთი, რაც არ მოხდა — აზერბაიჯანის საელჩოსთვის არ მიუშინათავთ, უხერხულიაო... სამაგიეროდ, კვირა არ გავა, რომ საქართველოს „აზერბაიჯანულ“ სოფელში მეჩეთი არ გაიხსნას და ხელისუფალთაგან ვინმემ ლენტი არ გაჭრას.

„ქვევითა“ მეზობლებში ამ კვირაში უფრო სახალისო ამბები მოხდა (თუმცა, „ოთახებზე“ პრეტენზია მათგან უფრო ხშირია):

იქაც „დაინვინენ“, ოღონდ გადატანითი მნიშვნელობით: აღარ მეგონა, ენდი გარსიას ხსენება დღესაც თუ მომიწევდა, მაგრამ ერთ რუსულენოვან სომხურ საიტზე ისეთი ინფორმაცია იყო განთავსებული, როგორ არ ვახსენო?! რაო და, ქართველებმა ენდი გარსიას „ორეული“ ჩამოიყვანეს და თავის ხალხს თვალში ნაცარს აყრიანო!!! აი, ყოველთვის გულწრფელად ვამბობდი, რომ მაგ ხალხის ფანტაზიას საზღვარი არა აქვს! როგორც „დიდი სომეხი პოეტი“, ნიკოლოზ ბარათაშვილი ამბობს: „შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი!“ „ზატო“, თვითონ ჩამოიყვანეს „ჩელენტანო“! თანაც — „ერევნობაზე“! რა გაბადრული უყურებდა პრეზიდენტი

— სერჟ სარქსიანი და რა ენერგიულად „აპლოდისმენტირებდა“ მისი თანამეცხედრე! სეროჟ, თუ გინდა, „გაგტიყდეს“, მაგრამ რა ვქნა, ადრეც გითხარი და გაგიმეორებ: მაგარი გოიმი ხარ! ნუ, ახლა... ჩვენი უფროსი... მაგრამ შენ მაინც ნამეტანი ხარ...

ყველაზე მაგარი ის იყო, როცა „დაინვინენ“, თავიდან იხტიბარს რომ არ იტყდნენ: „ის“ კი არა, ეგ ვინმე ნიკ ჩელენტანოა, რომელსაც „იმის“ სიმღერების შესრულების ლიცენზია(?) აქვსო!!! ბოლოს, მოსკოველი სომეხი აღმოჩნდა...

„ერევნობაზე“ გამახსენდა: გასულ უქმეებზე „თბილისობა“ იყო (ცხადია, „ერევნობა“ უფრო ადრე ტარდება, ოღონდ „თბილისობა“ 30-ედ რომ იყო და „ერევნობა“ — 29-ედ, ამაზე „სომხური ისტორიოგრაფია დუმს“); ველ კილმერი ჩამოვიდა (ისევე „იმ“ საქმეზე, რაზეც ენდი გარსია) და განაცხადა, — მსოფლიო მომივილა და ასეთი სურნელი არც ერთ ქალაქში არ მიგრძნიაო! მაგას ჰგონია, ყოველდღე შვიდლარიან მწვადებს „გურტყამთ“ ქუჩაში...

P.S. ძველი თბილისური დიალოგი:
 — სეროჟ!
 — ჰა...
 — „თავში“ ქვა!
 ამ ტიპს „გაუტყდა“ და ცოტა ხნის შემდეგ დაუძახა:
 — რაზმიკ!
 — ჰამე...
 — „თავში“ ქვამე! ვაა, კიდე მე?!
 P.P.S.
 — ბაბო-ჯან, წამო, ქუვეითში წაგიყვანო...
 ეს, ისე... აბსტრაქციისთვის...

პრომოკატორი



პალესტინელების სიურპრიზი მსოფლიოს



იორდანის დასავლეთ სანაპიროს ქალაქ ხევრონში მცხოვრებმა პალესტინელებმა მსოფლიოში ყველაზე დიდი კაბა შეკერეს. სხვადასხვა ფორმის ნაქარგით გაწყობილი სამოსის სიგრძე 326, ხოლო სიგანე 181 მეტრია. კაბა 150-მა ოსტატმა, ერთ დღეში შეკერა. პალესტინელების აქციის მიზანი — გინესის რეკორდების წიგნში მოხვედრა და ადგილობრივი ოსტატების საქმიანობის მიმართ ყურადღების მიპყრობა გახლდათ.

ამერიკელმა მოსამართლეებმა ოპერის სცენაზე გადაინაცვლეს

აშშ-ის უზენაესი სასამართლოს ორი მოსამართლე ვაშინგტონის ნაციონალური ოპერის სცენაზე, რიჰარდ შტრაუსის დადგმაში („არიადნა ნაქსოსზე“) მონაწილეობდა. მართალია, მოსამართლეებს — რუთ ბეიდერ გინსბერგსა და ანტონინ სკალიას პრემიერაზე არ უმღერიათ, მაგრამ დანარჩენ მონაწილეებთან ერთად, 90 წუთის განმავლობაში სცენაზე იდგნენ. თეატრის ადმინისტრაციის განცხადებით, გინსბერგი და სკალია ოპერის მოყვარულები არიან და სხვა სპექტაკლებშიც არაერთხელ მონაწილეობდნენ.



ადამიანის გული — ენერჯის ბენეფიკორის ნაცვლად

15 წლის ინდოელმა სკოლის მოსწავლემ — საროჟინი მახაიანმა მეცნიერებს ენერჯის გენერატორის ნაცვლად ადამიანის გულისცემის გამოყენება შესთავაზა. მისი თქმით, „გულის დამტენის“ მოქმედების პრინციპი მარტივია — ადამიანის ხელზე სპეციალურ სამაჯურს დაამაგრებენ, რომელიც პულსს დაიჭერს და კინეტიკურ ენერჯიას ელექტრონულ იმპულსებად გარდაქმნის, ისინი კი, თავის მხრივ, მობილური ტელეფონის ელემენტს დამუხტავენ. ახალგაზრდა გამომგონებელს სტენფორდის უნივერსიტეტის მეცნიერებმა თანამშრომლობა უკვე შესთავაზეს. როგორც ამბობენ, ამგვარი სისტემით გამოიშუშებული ენერჯია ერთი სატელეფონო ზარის განსახორციელებლად საკმარისია.

მონა ლიზას ღიმილის საიდუმლო ამოხსნილია

მეცნიერებმა ჯოკონდას გასხივოსნებული სახის გამომეტყველების ერთ წამში სერიოზული შეცვლის საიდუმლო ამოხსნეს. კერძოდ, ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ჯოკონდას ღიმილის შესახებ ჩვენი თვალი ჩვენსავე ტვინს ურთიერთგამომრიცხავ სიგნალებს უგზავნის. „თვალის ბადურას სხვადასხვა მონაკვეთი ტვინს სხვადასხვა კატეგორიის სიგნალს გადასცემს. ეს არხები ვიზუალური ველის ზომის, სიცხადის, სიმკვეთრისა და განლაგების შესახებ არსებული მონაცემების კოდირებას ახდენს. ზოგჯერ, ერთი არხი მეორეზე იმარჯვებს და თქვენც, ღიმილს ხედავთ, ზოგჯერ იმარჯვებს მეორე და თქვენც, ღიმილს ვეღარ ხედავთ“, — ამტკიცებს ესპანეთის ქალაქ ალიკანტეს ნევროლოგიის ინსტიტუტის ნეირობიოლოგი, ლუის მარტინეზ ოტერო. მოხალისეთა ჯგუფის დახმარებით, მეცნიერებმა ისიც დაადგინეს, რომ დამკვირვებლის აღქმა გამოსახულების ზომის, მანძილის, განათებისა და სხვა ფაქტორების მიხედვით იცვლება.

მარტინეზ ოტეროს არც იმაში ეპარება ეჭვი, რომ ლეონარდო და ვინჩიმი რიგითი დამთვალეებლების ტვინებში გამიზნულად შეიტანა დაბნეულობა. „ის ხომ თავის შენიშვნებში წერდა: სახის გამომეტყველების დინამიკის აღბეჭდვას იმიტომ ვცდილობდი, რომ ამას ქუჩაში ვხედავდიო“... — დასძენს მეცნიერი.

ჩინეთი პენტაგონზე თავდასხმისთვის ემზადება(!)

ამერიკის სამხედრო-სამრეწველო კომპანია „ნორთროპ გრუპენ“-ის ანალიტიკოსები ირწმუნებიან, რომ ჩინეთის ხელისუფლება ჯაშუშური კომპიუტერული ქსელების შექმნაზე მუშაობს და აშშ-თან კიბერომისთვის ემზადება. მათ უკვე გამოაქვეყნეს ანგარიში, რომელშიც ამერიკის რამდენიმე სახელმწიფო კომპანიაზე განხორციელებული კიბერთავდასხმების გამოძიების შედეგებია მოცემული. ამერიკელი ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა საკუთარ ძალთა კონცენტრირებას კიბერჯაშუშობაზე ახდენს, ჰაკერთა მომავალი სამიზნე კი პენტაგონის ქსელები და მონაცემთა ბაზებია. მათივე აზრით, აღნიშნულ მონაცემებს, რომელთა მოპოვებაც ჩინელ ჰაკერებს მხოლოდ ხელისუფლების დაკვეთით შეუძლიათ, გამოიყენებენ როგორც მშვიდობიან პერიოდში, ასევე აშშ-თან საომარი კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში.





ქვეყანა

სოცნი გამსახურდია დანაშაულს არ აღიარებს

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ვაჟი ცოტნე გამსახურდია დანაშაულს არ აღიარებს. ამის შესახებ ადვოკატმა, ქეთი ბექაურმა განაცხადა, რომელიც გამსახურდიას დროებითი მოთავსების №2 იზოლატორში შეხვდა. ბექაური აღნიშნავს, რომ გამსახურდიას გადმოცემით, გუშინ საღამოს, როდესაც „კოლხურ კოშკში“ ბრუნდებოდა, უკნიდან უცნობმა პირმა მკვრივი, ბლაგვი საგანი ჩაარტყა, რის შემდეგაც გონება დაკარგა. „გონდაკარგული გამსახურდია რესპუბლიკურ საავადმყოფოში მიიყვანეს, დახმარება აღმოუჩინეს და თავზე 3 ნაკერი დაადეს“, — განაცხადა ბექაურმა და აღნიშნა, რომ დავით ბაჯელიძე, რომლის დაჭრაშიც ბრალს სდებენ, ცოტნე გამსახურდიას მეზობელი და მეგობარია. გამსახურდია მათ შორის ინციდენტს, დაჭრისა და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების ფაქტს უარყოფს.



ბაჯელიძეს კი იმ ღამესვე, რესპუბლიკურ საავადმყოფოში სასწრაფო ოპერაცია ჩატარდა. მას ცეცხლნასროლი ჭრილობა მუცლის ღრუში აქვს მიყენებული. გარკვეული დროით საავადმყოფოში მიიყვანეს ცოტნე გამსახურდია, რომელსაც მცირე დაზიანებები აღენიშნებოდა. მის სანახავად საავადმყოფოში დედა — მანანა არჩვაძე გამსახურდია მივიდა.

როგორც ცნობილია, ცოტნე გამსახურდია აქამდე, არასაპატიმრო სასჯელი ჰქონდა შეფარდებული: იგი სისხლის სამართლის კოდექსის 315-ე მუხლით, სახელმწიფო ხელისუფლების დამხობის მიზნით შეთქმულებაშია ბრალდებული. საქმე ეხება ოპოზიციის მიერ 2007 წლის 7 ნოემბერს გამართული აქციების დროს გავრცელებულ ვიდეოჩანაწერებს, რომლებშიც ცოტნე გამსახურდიასა და რუსეთის მოქალაქეებს შორის თითქოსდა საეჭვო კავშირია ასახული.

ზუბინავ ზუზინსკი აღუფრთხვლია

ევროპის უსაფრთხოების საკითხებში ამერიკელმა ექსპერტმა, ზუბინავ ზუზინსკიმ ვაშინგტონის საგარეო ურთიერთობათა საბჭოში გამოსვლისას, 2008 წლის აგვისტოს ომსა და 1968 წელს ჩეხოსლოვაკიაში საბჭოთა კავშირის შეჭრას შორის პირდაპირი პარალელი გაავლო. მისი თქმით, ევროპამ ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაარქვას და რუსეთის მიმართ მკაცრი პოზიცია დაიკავოს. „როდესაც საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტი ღია სამხედრო დაპირისპირებაში გადაიზარდა, რუსული ტანკები თბილისიდან 30 კილომეტრის დაშორებით დადგნენ. ადვილი შესაძლებელი იყო, ხელისუფლება დამხობილიყო და ქვეყანაც დანგრეულიყო ანუ მომხდარიყო ის, რაც ჩეხოსლოვაკიაში 1968 წელს მოხდა.“

საქართველოს წინააღმდეგობა რომ გაეგრძელებინა, საერთაშორისო საზოგადოებას შეიძლება, ნატოზე გავლენა მოეხდინა და აღიანს რუსეთისთვის კოლექტიური პასუხიც კი გაეცა. დღეს კი სიტუაცია კვლავ დაძაბულია. რუსეთი მეზობელ რესპუბლიკებზე ზეწოლას განაგრძობს. არსებობს საშიშროება, რომ აგრესია უკრაინის წინააღმდეგაც განახორციელოს. მოსკოვი ზეწოლას ახდენს ესტონეთზეც, რომელიც ნატოს წევრი ქვეყანაა. რას ვაკეთებთ ამ დროს ჩვენ?.. რუსეთთან ურთიერთობის გაუმჯობესებასა და თანამშრომლობაზე ვფიქრობთ. წესით, ევროპამ უფრო ღიად და თამამად უნდა დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია“, — განაცხადა ზუზინსკიმ.

სანაპრა კახი კულტურის ერთადერთი ქართული ცენტრი უთნითა

ისტორიული პერეთის მკვიდრი მოსახლეობა აღმშობლებს გამოხატავს იმის გამო, რომ კახში ქართული კულტურის ერთადერთი ცენტრი გადაწვეს. დილის 4 საათზე საეჭვოდ გაჩენილ ხანძარს ვერაფერი მოუხერხეს და ცენტრის მნიშვნელოვანი ნაწილი განადგურდა. ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მაგრამ მომხდარი ქართველ მოსახლეობაში დიდ ეჭვს იწვევს. ეჭვები იმანაც გააძლიერა, რომ კახის აზერბაიჯანული ადმინისტრაცია კულტურის ცენტრის აღდგენასა და ქართველებისთვის მის დაბრუნებას აღარ აპირებს: უკვე გადაწყვეტილია, რომ იქ სხვა დანიშნულების ახალი ნაგებობა აშენდება. ადგილობრივ ქართველებს მის სანაცვლოდ, მიტოვებულ, ძველი კლუბის შენობას სთავაზობენ. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ხანძრის გაჩენიდან მოკლე ხანში, ადგილზე კახის პოლიციის უფროსის მოადგილე მივიდა და იმ ქართველთაგან აბრის ჩამოსხნა მოინდომა, რომელზეც ენერა, რომ იქ ქართული კულტურის ცენტრი ფუნქციონირებდა. კახის კულტურის ცენტრი 2001 წლის მაისში საქართველოსა და აზერბაიჯანის კულტურის მინისტრებმა დააფუძნეს. საზეიმო გახსნისას ითქვა, რომ ამ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებიდან ყოველთვის ქართული ჰანგების ხმა უნდა ისმოდეს... ინგილო ქართველებს იმედი აქვთ, რომ საქართველოს ხელისუფლება მაინც მიაქცევს ყურადღებას და მალე, კონსტიტუციით გარანტირებული ისეთივე კულტურულ-საგანმანათლებლო უფლებებით სარგებლობის შესაძლებლობა მიეცემათ, როგორც ჩვენში მცხოვრებ ეთნიკურ აზერბაიჯანელებს აქვთ.

რუსეთის პრეზიდენტი კვლავ მოწოდების სიმაღლეა...

პრეზიდენტმა დმიტრი მედვედევმა რუსეთის მიერ ოკუპირებულ საქართველოს რეგიონებში ელჩები დანიშნა. აფხაზეთში რუსეთის ფედერაციის ელჩის მისიის შესრულება სემიონ გრიგორიევის დაეკისრა, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთში — ელბრუს კარგიევის. „მინდა, წარმომიდგინოთ თქვენი წინადადებები — თუ როგორ აპირებთ მუშაობის წარმართვას. მინდა აღვნიშნო, რომ თქვენ საკმაოდ მძიმე დროს იწყებთ ამ მოვალეობების შესრულებას: ეს ახალგაზრდა ქვეყნებია, სადაც ძალიან ბევრი რამაა გასაკეთებელი“, — განაცხადა მედვედევმა კრემლში, ე.წ. ელჩებთან შეხვედრისას.

კონსტანტინე ბამსახურდიას პარლამენტში სხვაობის შეკვეთიანა?..

პარტია „თავისუფლების“ ლიდერის, კონსტანტინე ბამსახურდიას გადაწყვეტილებამ ქართველ პოლიტიკოსებს შორის არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ოპოზიციონერი ლიდერების ნაწილმა მისი ქმედება ღალატად შეაფასა; მავანთა აზრით, საპარლამენტო უმრავლესობამ საკანონმდებლო ორგანოში გამსახურდია, პირველი პრეზიდენტის გარდაცვალების მიზეზების დამდგენი საგამოძიებო კომისიის შექმნით შეიტყუა. გავრცელებული ინფორმაციით, ოპოზიციის კიდევ 2 ლიდერი ფიქრობს, გაჰყვეს თუ არა „თავისუფლების“ ლიდერის გზას. როგორც ჯონდი ბალათურიამ „საიდუმლოდ გაამხილა“, ესენი არიან — გუბაზ სანიკიძე და კობა დავითაშვილი.

პარლამენტში გუბაზ სანიკიძის შესაძლო დაბრუნება „ეროვნული ფორუმის“ პრესცენტრმა არ დაადასტურა და ბალათურიას მიერ გავრცელებულ „საიდუმლო ინფორმაციას“ „დიდი ტყუილი“ უწოდა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით კომენტარი კობა დავითაშვილმაც გააკეთა. მან ბალათურიას „ინტრიგანი“ უწოდა და განაცხადა, რომ ერთადერთი ოპოზიციონერი, ვისი მოქრთამვაც ხელისუფლებამ შეძლო, ეს კონსტანტინე ბამსახურდიაა...

რუბრიკა მოამზადა
ხათუნა ბახტურიკი

პასპორტი თუ რუსული იმპერიალიზმი?..

„ბოლო დროს პანკისში ვაჰაბიტური დაჯგუფების გააქტიურება შეინიშნება“, — ამბობს ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში, ირაკლი სესიაშვილი. მისი აზრით, ხეობაში ადგილობრივი ხელისუფლება სიტუაციას ველარ მართავს და მოსახლეობაზე ვაჰაბიტურ დაჯგუფებებს უფრო მეტი გავლენა აქვთ. ჩეჩნეთის წარმომადგენელი საქართველოში, სიზრი ალდამოვი სესიაშვილის განცხადებას გაუგებარს უწოდებს და ამბობს: „პანკისის ხეობაში კრიმინალები არ არიან. ხეობის სოფლებში ჩვეულებრივი ხალხი ცხოვრობს. ლტოლვილთა რიცხვიც მკვეთრად შემცირდა. ამ დროისთვის ხეობაში დაძაბული ვითარება არ არის, თუმცა გაუგებარი განცხადებები, რომლებიც კეთდება, მდგომარეობას ართულებს. არ არის გამოორცხული, რუსეთმა ეს ინფორმაცია სათავისოდ გამოიყენოს. მას გეგმაში აქვს, პასპორტების გაცემა დაიწყოს და მერე, რუსეთის მოქალაქეთა დაცვის მიზეზით, პანკისის ხეობაში გარკვეული არეულობა წამოიწყოს“. შეგახსენებთ: რუსეთის უშიშროების ფედერალურმა სამსახურმა საქართველოს სპეცსამსახურები „ალ-ქაიდას“ ემისრებთან კავშირსა და ჩეჩნეთსა და დაღესტანში იარაღის გადატანაში დაადანაშაულა. რა ხდება რეალურად პანკისში და ვის ინტერესებში შედის რეგიონში სიტუაციის დაძაბვა, — ამ საკითხებზე ირაკლი სესიაშვილს ვესაუბრეთ.

ხათუნა ბახტურიკი

— ბატონო ირაკლი, სიზრი ალდამოვი ვაჰაბიტური დაჯგუფების პანკისში არსებობას გამოორცხავს. თქვენ რის საფუძველზე ავრცელებთ ამ ინფორმაციას?

— ყველა ვაჰაბიტი, ტერორისტი კი არ არის. ვაჰაბიზმი რელიგიური მიმართულებაა. ამ რელიგიის წარმომადგენლები თბილისშიც ცხოვრობენ.

— მაშინ, საფრთხეს რაში ხედავთ?

— საფრთხე ის გახლავთ, რომ პანკისის ხეობაში ვაჰაბიტები საკუთარ ბიზნესს ავითარებენ და ადგილობრივ ხელისუფლებასა და მოსახლეობაზე გარკვეული გავლენა აქვთ. ეს ბერკეტები და პრივილეგიები პანკისის ხეობაში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის შეიძლება, მიმზიდველი აღმოჩნდეს: შესაძლებელია, ისინი ამ ორგანიზაციაში გაწევრიდნენ და შემდგომ, სხვა ქმედებებში აღმოჩნდნენ ჩაბმულნი. ამიტომაც საჭიროა, ახლაც ყურად ვიღოთ, რადგან არავინ იცის, მერე როგორ განვითარდება ამ დაჯგუფების საქმიანობა. ზოგადად, ხეობაში გარკვეული რაოდენობის იარაღიც არსებობს, მაგრამ რამდენად ორგანიზებული და მასობრივი ხასიათი აქვს, ეს გასარკვევია.

— ხომ არ ფიქრობთ, რომ თქვენს განცხადებას რუსეთი სათავესოდ გამოიყენებს?

— საინტერესოა, ამას როგორ მოახერხებს?

— როგორც ალდამოვი ამბობს, რუსეთი იქ უკვე გეგმავს რუსული პასპორტების დარიგებას და შემდეგ, თავისი მოქალაქეების დაცვის საბაბით, ხეობაში სამხედრო ტექნიკის შეყვანას.

— არა მგონია, რომ ვინმე პანკისში რუსული პასპორტების დარიგება დაიწყოს, იმიტომ, რომ ეს საქართველოს მიერ კონტროლირებადი ტერიტორიაა.

— ახალგორც საქართველოს ტერიტორია იყო, როდესაც იქ რუსული პასპორტების დარიგება დაიწყო...

— კი, მაგრამ პანკისში ქართული სასაზღვრო პუნქტი დგას. რუსული სამხედრო ტექნიკა იქ ვერ შევა.

— ხელს რა შეუშლის?.. მით უმეტეს, ახლა, როდესაც მოსკოვმა ახალი სამხედრო დოქტრინა შეიმუშავა და უცხო ქვეყნებში სამხედრო ოპერაციების განხორციელების უფლება მისცა საკუთარ თავს?

— რუსეთის ახალი სამხედრო დოქტრინა საერთაშორისო ნორმებს ეწინააღმდეგება და არა მგონია, მისი ამოქმედება შეძლოს.

— ჩვენ ხომ ვიცით, რომ რუსეთს საერთაშორისო ნორმები არაერთხელ აქვს უგულვებელყოფილი!

— დიას, რუსეთისთვის უცხო არ არის, სხვადასხვა საბაბით, მეზობელი ქვეყნის





ტერიტორიაზე შეჭრა და შემდეგ საკუთარი, აგრესიული პოლიტიკის გამართლება, მაგრამ ამჯერად რეალობა სხვაგვარია...

— რას გულისხმობთ?

— მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობები დამთბარია და ახლა კრემლს ამერიკის გაღიზიანება არ სჭირდება.

— მაშინ რას უნდა ნიშნავდეს რუსეთის უშიშროების სამსახურის უფროსის, ალექსანდრ ბორტნიკოვის განცხადება იმის თაობაზე, რომ საქართველოს სპეცსამსახურები „ალქაიდას“ ემისრებს ჩეჩნეთსა და დაღესტანში იარაღის გადატანაში ეხმარებიან და რუსეთი მათ წინააღმდეგ პრევენციულ ზომებს მიიღებს?

— ვფიქრობ, რუსეთი ამ ყველაფერს საინფორმაციო ომისთვის იყენებს. მოსკოვი მუდმივად ცდილობს, საერთაშორისო საზოგადოების წინაშე საქართველოს რეპუტაციის შელახვას.

— ეი. ფიქრობთ, რომ მისი მხრიდან საფრთხე აღარ გვემუქრება?

— ჩემი აზრით, ამ ეტაპზე რუსეთის მხრიდან არანაირი საფრთხე არ გვემუქრება. ჩვენ ახლა იმისთვის უფრო უნდა მოვუზადოთ, რომ გაზაფხულზე, როდესაც ჩრდილოეთ კავკასიაში ბოევიკები ისევ გააქტიურდებიან, მათ პანკისის ხეობაში მყოფ ვაჭაბიტებთან დაკავშირების საშუალება არ მივცეთ.

— ჩვენი ხელისუფლება ვაჭაბიტებს რატომ უნდა დაუპირისპირდეს ან რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ხელი რატომ უნდა შეუშალოს?

— იმიტომ, რომ მსოფლიოს თვალში, საერთაშორისო ნორმების დამრღვევად არ წარმოიჭნედით. გარდა ამისა, თუ ჩვენი მტერი ანუ რუსეთი ცუდად იქნება, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ჩვენ კარგად ვიქნებით. იმის გამო, რომ მოსკოვმა აფხაზეთისა და ცხინვალის დამოუკიდებლობა აღიარა, საქართველომ დაღესტანი და ჩეჩნეთი არ უნდა აღიაროს.

— მაგრამ ჩეჩნეთსა და დაღესტანს გაცილებით მეტი ლეგიტიმური უფლება აქვთ, იყვნენ დამოუკიდებელი, ვიდრე აფხაზეთსა და ცხინვალს.

— ნამდვილად ასეა, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს, საერთაშორისო ნორმების საწინააღმდეგოდ ვიმოქმედოთ. საერთაშორისო სამართლის მიხედვით კი ჩეჩნეთიც და დაღესტანიც დღეს რუსეთის ფედერაციის შემადგენელი ნაწილია.

— როგორ ფიქრობთ — საქართველოს ხელისუფლებამ პანკისში კონკრეტულად, რა ღონისძიებები უნდა გაატაროს?

— ახლა ერთადერთი გამოსავალი — პანკისში საერთაშორისო მონიტორინგის განხორციელებაა. ამით ჩვენ ორ კურდღელს დავიჭერთ: ვაჭაბიტურ დაჯგუფებასაც შევაზიწროებთ და რუსეთსაც არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობა დაარწმუნოს — თითქოს საქართველოში ტერორისტების ბანაკები არსებობს.

ქართველი კლასიკოსების სიზუსტისა და რუსეთის იმპერიის მაღალი ანუ

„იცით, რატომ იყო დავით აღმაშენებელი ძლიერი ქვეყნის ძლიერი მეფე?.. იმიტომ, რომ ქართველთა, აფხაზთა, რანთა, კახთა და სხვა ხალხების მეფედ იწოდებოდა. მას ყველას გაქართველება და აფხაზი ერის თვითმყოფადობის დაკარგვა კი არ უცდია, არამედ პირიქით, პატივს სცემდა ამ ხალხების კულტურასა და ტრადიციებს... ამიტომაც იყო იგი გონიერი პოლიტიკოსი და ძლიერი მხედართმთავარი. საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებას ჩვენთან ურთიერთობის მოგვარების მიცირე შანსი ჰქონდა, მაგრამ ვერ გამოიყენა. ასე რომ, სასაცილოა, როცა მიხეილ სააკაშვილი თავს დავით აღმაშენებელს ადარებს... ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ სიტყვების ავტორი — სეპარატისტთა ერთ-ერთი ლიდერია.“



აბაიის „გამზორდალის“ ხითხვისას სერგეი შამბას თვალზე ცრემლი მოადგა

ლალი პაპასპირი

აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა მინისტრი დღეს ჩვენი რესპონდენტია. სერგეი შამბას პიროვნებით განსაკუთრებით, მას შემდეგ დავინტერესდები, რაც შევიტყვე, რომ იგი ქართველი კლასიკოსების აქტიური მკითხველია.

თავიდან შევთანხმდით, რომ ჩვენი ინტერვიუ აპოლიტიკური იქნებოდა, მაგრამ პოლიტიკას მაინც ვერ ავუარეთ გვერდი...

სერგეი შამბა ქართულ ენაზე კითხულობს ჩვენს კლასიკოსებს: ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს, გიორგი ლეონიძეს, ნოდარ დუმბაძეს... „ვეფხ-

ახალი პრესა ყველა სოფელს!

ყურადღება!

თუ საქართველოს რაიმეღაცე რეკონსტრუქციის ან სოფელში გაქვთ საგაბრუნო იბაქეტი (მარკეტ ან სხვა) და გაქვთ სურვილი, შეუპოვოთ თქვენს იბაქეტს ყურნალ-გამბეობების სარეაბილიტაციო სტენდი, დაგვიკავშირდით: 832 377-533; 858 110-068; 893 600-315.

მიაწვრთნეთ თქვენს იბაქეტს თქვენი ვინაობა და საკონტაქტო გეგმეფონია.

8306 ანთროპოლოგიური მუზეუმი
 240000
 8306000000
 8306000000
 8306000000

„ქვეყანა“

საინფორმაციო



ისტყაოსანი“ მისი სამაგიდო წიგნი. მაგრამ განსაკუთრებით, კონსტანტინე გამსახურდიასა და მიხეილ ჯავახიშვილის შემოქმედება უყვარს. შამბას დედაც ქართველი ჰყავს და მუუღლუც, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, მის პოლიტიკურ ორიენტაციაზე არ აისახება.

ქართული ენა ჯერ კიდევ ბავშვობაში ისწავლა, მაშინ, როცა მშობლებთან ერთად, გუდაუთაში ცხოვრობდა. შემდეგ, სოხუმის მეათე საშუალო სკოლაში შეიყვანეს. 1969 წელს თბილისის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში, ისტორიის ფაკულტეტზე ჩააბარა. მისი თქმით, საბჭოთა საქართველოში ეთნოკონფლიქტი ერთი შეხედვით, არც კი შეიძინოდა, თუმცა იყო... ქართულ გარემოცვაში გატარებულ წლებს ხშირად იგონებს, ხან კარგად, ხან —

(და არა მარტო მათ) აფხაზეთის წარსულზე ვუკითხავდი ლექციებს და იმ უფლებებს ვაცნობდი, რომლებიც მათ საკუთარ სამშობლოში უნდა ჰქონოდათ. ამ ახალგაზრდებთან არაღვგაღული შეხვედრებიც მქონდა. მაშინ, როცა ჩვენი გეგმები აქტიურ ფაზაში უნდა შესულიყო, სავალდებულო სამხედრო სამსახურში გამიწვიეს. ერთი წელი ყაზახეთში, ქალაქ ჩიმენტში ვიმსახურე, იქიდან დაბრუნების შემდეგ კი აფხაზეთი ენის ინსტიტუტში, ლიტერატურისა და ისტორიის ლექტორად დავიწყე მუშაობა. ქართველ კოლეგებთან და მეგობრებთან ურთიერთობას ამ წლებშიც აქტიურად ვაგრძელებდი. ერთად დავდიოდით არქეოლოგიურ გათხრებზე. 80-იან წლებში საბჭოთა სისტემა ჯერ კიდევ ძლიერი იყო, მაგრამ

და გამსახურდიას ამბიციების შეჯახებამ გამოიწვია. ამიტომაც მიმაჩნია, რომ ეს წლები ქართველებსა და აფხაზებს შორის ურთიერთობის ისტორიაში ყველაზე დიდი შავი ლაქაა...

— რამ განაპირობა ქართველი კლასიკოსებისადმი თქვენი სიყვარული?

— მე ქართველი კლასიკოსების აქტიური მკითხველი ვარ. მაქვს რუსულენოვანი გამოცემებიც, მაგრამ მირჩევნია, ორიგინალში წავიკითხო. საქმე ის არის, რომ ქართველი საზოგადოება (პოლიტიკურ საზოგადოებას ვგულისხმობ) ისტორიასა და ლიტერატურას ერთმანეთს ვერ უკავშირებს... მაშინ, როცა აფხაზეთი ცეცხლში იყო გახვეული, უამრავმა აფხაზმა ქართული ბიბლიოთეკა გაანადგურა. ასეთ მიდგომას დაბალ საზოგადოებრივ კულტურას მივანერ, რადგან ჩემთვის ილია, ვაჟა, შოთა და გალაკტიონი არიან კლასიკოსები, რომლებიც არა მარტო ქართველებს, არამედ მთელ კაცობრიობას ეუფლებიან... ამას წინათ მოსკოვში წვეულებაზე ვიყავი, სადაც ჩემი ქართველი მეგობრებიც მოვიდნენ (მათ შორის, სტუდენტობის დროინდელი მეგობრები). ერთ-ერთ მათგანს ვთხოვე, აკაკის „გამზრდელიდან“ ნაწყვეტი ნამიკითხემითი... პატარა ვიყავი, როცა ეს პოემა წავიკითხე და ვიტყვი; ვერც ახლა ვრჩები ამ ნაწარმოების მიმართ გულგრილი. გენიალურია! თუ ვინმე ამას პოლიტიკურ შეცდომად ჩამითვლის, მისი ნებაა. ყველანაირ აზრს აქვს არსებობის უფლება, მაგრამ მე დადებით თვისებად მიმაჩნია.

— ახლახან ცხინვალის ბიბლიოთეკაში ქართული ლიტერატურა განადგურეს და ეს ქედება არც ერთ ადგილობრივ საზოგადო მოღვაწესა თუ პოლიტიკოსს არ გაუკრიტიკებია. რას იტყვით ამაზე?

— გითხარით, რომ მწერლობისა და კულტურის მტრობა ჩემთვის მიუღებელია...

— პოლიტიკის გარდა, რითი ხართ გატაცებული?

— ჩემი ცხოვრება ისტორიასა და არქეოლოგიას მიეძღვენი. ჩემს ხალხს ისეთი დოკუმენტური მასალა დაუტოვე, საბჭოთა სისტემა რომ არ დაშლილიყო, დღის სინათლეს ვერასდროს იხილავდა... ახალგაზრდობაში, თბილისში ცხოვრების წლებში, აღმოსავლური ორთაბრძოლი ვიყავი გატაცებული. ჩემი ქართველი მწვრთნელი, რომელიც ამაჟამად გარდაცვლილია, მუუზნებოდა, რომ კარგი მონაცემები მქონდა, მაგრამ სპორტს რატომღაც არ გაყვევი.

— რას გვეტყვით თქვენ ოჯახზე? როგორც ვიცო, ქართველი მეუღლე



ჩემს წიგნებში ასახული ფაქტები პირდაპირ ამსხვრევს მითს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ამდენი წელია, ქადაგებენ

ცუდად. მისი თქმით, ის, რომ აფხაზ ახალგაზრდებს ქართულ სასწავლებლებში საკუთარი ქვეყნის გამრუდებულ და ზღაპრად ქცეულ ისტორიას ასწავლიდნენ, საბჭოთა რეჟიმის დანაშაული იყო. ის, რაც მაშინდელ სახელმძღვანელოებში აფხაზეთზე იწერებოდა, ხალხში შემონახული და ჩვენს თაობამდე მოღწეული ისტორიული სიმართლისგან სრულიად განსხვავდებოდა...

სარგავი შამბა:

— ვცდილობდი, სიმართლე მეპოვა, მაგრამ მაშინდელ საბჭოთა წიგნებში ეს შეუძლებელი იყო... თბილისში ბევრი, ახალგაზრდობის დროინდელი მეგობარი მყავდა, ზოგი რუსეთში ცხოვრობს, ზოგი — საქართველოში... მათთან ურთიერთობას დღემდე ვაგრძელებ, მაგრამ გართულებული პოლიტიკური ვითარების გამო, მათ გვარებს არ დავასახელებ, რადგან შესაძლოა, პრობლემები ორივე მხარეს შეგვექმნას... აფხაზეთში 1975 წელს დავბრუნდი და საქალაქო საზოგადოება „ცოდნის“ სოხუმის ორგანიზაციის ორგანიზატორად დავიწყე მუშაობა, სადაც ახალგაზრდებს

დი. დოკუმენტურ წყაროებზე დაყრდნობით გამოცემული რამდენიმე წიგნი მაქვს დანერილი. ძირითადად, შუა საუკუნეების აფხაზეთის თემაზე ვმუშაობდი. ჩემს წიგნებში ასახული ფაქტები პირდაპირ ამსხვრევს მითს, რომელსაც ქართველი ისტორიკოსები ამდენი წელია, ქადაგებენ — ქართველებისა და აფხაზების ძმური ცხოვრების შესახებ. ამ ორ ხალხს შორის მუდმივი დაპირისპირება იყო, უბრალოდ, ზოგჯერ ჭკვიანი მეფეები და მთავრები ცდილობდნენ, ეს დაპირისპირება როგორმე არ გამსწავებულყო. ხან ერთი მხარე თმობდა, ხან — მეორე, ამიტომაც, ქართულ-აფხაზეთი საზღვარი „მოძრაობდა“: ხან რუხის ციხესთან იყო, ხან — კელასურთან, ხან კი — ქუთაისთან... XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან ომის დამთავრებამდე პერიოდს არ შევხები. ჩემი ქართველი კოლეგები მომხდარში რუსეთს იმიტომ ადანაშაულებენ, რომ სიმართლეზე თვალს ხუჭავენ: რუსეთს ჩვენ მივმართეთ დახმარებისთვის და მან არ გაგვანბილა. ომი კი ორი ქართველი მმართველის — შევარდნაძისა



გვაფთვ, შვილებმა თუ იციან ქართული?

— სხვათა შორის, დედაც ქართველი მყავს... რაც შეეხება მეუღლეს, მის შესახებ ხშირად მეკითხებიან და ასე ვპასუხობ: რახან ქართველი ცოლი მყავს, ალბათ ასე იყო საჭირო, რადგან ამქვეყნად შემთხვევით არაფერი ხდება-მეთქი... შვილებს ქართული ესმით, მაგრამ ვერ ლაპარაკობენ. ჩემი მეუღლე, მარინა სოხუმელი ქართველია (ქართველი და არა მგერელი). მისი ნათესავები ომის დროს რუსეთში წავიდნენ საცხოვრებლად და სოხუმში მათი კუთვნილი მალაზია ჩემს მეუღლეს გადაუფორმეს. ახლა მარინა მალაზია „ელექტრონული სამყაროს“ დირექტორია. ჩემი ვაჟიც ბიზნესის სფეროში საქმიანობს, სასოფლო-სამეურნეო მალაზია „კავკასის“ მეპატრონეა და ამავდროულად, გულრიფშის რაიონულ ადმინისტრაციაში მუშაობს. ქალიშვილი იმ სკოლაში სწავლობს, სადაც მთელი ბავშვობა გავატარე...

— თქვენზე ხშირად ამბობენ, რომ დამოუკიდებელი პოლიტიკოსი ხართ და საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში, საკმაოდ ბევრი მხარდამჭერი გეყოლებათ...

— შესაძლოა, ვნახოთ. ჯერჯერობით არ ვაპირებ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას. მიმაჩნია, რომ ამ ეტაპზე დიპლომატიურ სფეროში ბევრი რამ მაქვს გასაკეთებელი, განსაკუთრებით — დასავლეთის მიმართულებით. წარსულმა დაგვანახვა, რომ მხოლოდ რუსეთთან კეთილმეზობლური ურთიერთობა საკმარისი არ არის... აფხაზეთს საერთაშორისო ორგანიზაციები ქართულ-აფხაზური ომით იცნობენ და ცენტრალური ევროპის ქვეყნები ისეთი თვალით გვიყურებენ, როგორც ჩეჩნებს, ავღანელებს ან ქურთებს. როცა ფრანგს მის ენაზე დავლაპარაკებოვარ, ის გაოცებისგან სახტად დარჩენილა: ფრანგული საიდან იცითო?!. იგივე რეაქცია ჰქონია ინგლისელს ან ამერიკელს, როცა ინგლისურად გავსაუბრებოვარ. ერთხელ ბრიუსელში ჩვენი დიპლომატიური სამსახურის წარმომადგენელს პირდაპირ ჰკითხეს, თქვენს ქვეყანაში მაცივარი თუ გამოიყენებო?!. არადა, აფხაზებს ევროპელი ხალხების განვითარების ისტორიაში საკმაოდ დიდი წვლილი აქვთ შეტანილი, მაგრამ ამის გასაგებად დაუმახინჯებელი და ობიექტური ისტორიის წაკითხვა საჭირო, რომელიც ყველასთვის ხელმისაწვდომი არ იყო... ახლობლები მეუბნებიან, რომ სუფთა კავკასიური ხასიათი მაქვს, ქართული „ელემენტებით“ — იმპულსური და ფიცხი ვარ, რაც დიპლომატიას არ უყვარს; შეცდომებსაც ვუმ-

ვებ, მაგრამ საბედნიეროდ, საბედისწერო შეცდომა არ დამიშვია.

— ოფიციალურ საუბრებში ხშირად აცხადებთ, რომ რუსეთი აფხაზეთის საშინაო პოლიტიკურ საკითხებში არ ერევა, თუმცა სინამდვილეში ასე არ ხდება და ეს ყველაზე კარგად თქვენ იცით. ჩვეულებრივი ადამიანებისგან ხშირად მომისმენია, რომ აფხაზი ერის გაქრობის საფრთხეც კი რეალურია...

— ეს ის კითხვაა, რომელიც აფხაზებში გალიზიანებას იწვევს. დიას, დღევანდელი აფხაზეთი რუსული ინვესტიციებით საზრდოობს და ცოცხლობს; მაგრამ რუსები ჩვენგან ენისა და ტრადიციების დავინყებებს არ ითხოვენ, როგორც ამას თავის დროზე ქართული მხარე აკეთებდა. აფხაზები ტრადიციის მოყვარული არიან და ხელისუფლების ნებისმიერ ანტიეროვნულ ქმედებას წინ აღუდგება. გასაგებია, რომ ეჭვს იწვევს რუსული სამხედრო ნაწილების რაოდენობის გაზრდა, მაგრამ ქართველებთან ომმა აფხაზებს თვითგადარჩენის ინსტიქტი გაუორმაგა და გადაჭრით შემიძლია ვთქვა, რომ რუსებთან ჩვენი ასიმილაცია არ მოხდება. არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ რუსეთი დაინტერესებულია ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობით, იგი დიდ სარგებელს იღებს ზღვისპირა აფხაზეთიდან და ამიტომაც გვეხმარება; ჩვენ კი ამ ქვეყანასთან სხვადასხვა პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ასპექტში ვთანამშრომლობთ, მაგრამ — იმ დოზით, რომელიც ჩვენთვისაც მისაღებია. ამას წინათ მოვისმინე ერთი ქართველი ექსპერტის განცხადება: მათი გადარჩენისთვის ჩვენ უნდა ვიზრუნოთ, რადგან ამას კანონმდებლობა გვაავალდებულებსო. ამ ექსპერტს ერთი კითხვა მინდა დავუსვა: როცა ცხინვალზე განხორციელებული შეტევისას საქართველოს ხელისუფლებამ შეიარაღებული ძალების სრული შემადგენლობა გამოიყენა, მაშინ არ ფიქრობდა ამ ვადებულუბაზე, თუ ოსების მიმართ სხვა კანონმდებლობა აქვს შემუშავებული?.. ჩვენ თანახმა ვართ, რომ აფხაზეთის



დიას, დღევანდელი აფხაზეთი რუსული ინვესტიციებით საზრდოობს...

ტერიტორია რუსეთის სამხედრო ბაზებს დავუთმოთ, მაგრამ აქვე იმასაც გულახდილად გეტყვით, რომ ამას დიდი სიამოვნებით როდი ვაკეთებ; უბრალოდ, აფხაზეთი პატარა ქვეყანაა, რომელიც არასტაბილურ საქართველოს ესაზღვრება და ამ შემთხვევაში, ჩვენი უსაფრთხოების გარანტი მხოლოდ რუსეთია. ჩვენს ისტორიაში მრავლადაა პატარა აფხაზეთზე თავდასხმის მაგალითი; სიმშვიდე მხოლოდ მაშინ იყო, როცა აფხაზეთი რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შედიოდა, რადგან იმპერია — ეს არის სტაბილურობის გარანტი...

პირველად საქართველოში!

საინფორმაციო სააგენტოს მობილური ვერსია!

mobil.ipn.ge
wap.ipn.ge

სიახლე!!!
ნახეთ „ინტერპრესნიუსი“ უკვე თქვენს მობილურშიც

IPN

ინტერპრესნიუსი

„ინტერპრესნიუსი“ გთავაზობთ WAP სერვისს. ამერიკის ინფორმაციის ძალზე შეფასებული ტელეფონის საშუალებითაც სურვილით სარგებლობისთვის საჭიროა. მობილური ინტერნეტის გაქტიურება. ამასთვის დაუკავშირდით თქვენს მობილურ ოპერატორს. გაქტიურების შემდეგ ავიღეთ მასპირტი mobil.ipn.ge ან wap.ipn.ge და ვაყვანიოთ საინფორმაციო სააგენტო IPN-ის ახალ ამბებს. IPN-ის მობილურ ვერსიაზე შესვლისას იხილავთ ზუთ ყველაზე ცხელ „აიუსს“, შემდეგ კი ინფორმაციის მოძებნა კატეგორიების მიხედვით არის შესაძლებელი.



პენსილვანიის უნივერსიტეტის ერთადერთი ქართველი სტუდენტი, როგორც თხოვნითაც ბილ კლინტონსა და სემსონს საქოფონზე დაუკრა

პენსილვანიის უნივერსიტეტის პირველ ქართველ სტუდენტს — ქეთევან აბუთიძეს მსოფლიოში ცნობილ არაერთ ადამიანთან შეხვედრა უნდეს. ქეთოსა და მისი მეგობრების თხოვნით, ბილ კლინტონს საქოფონზე საინტერესო კომპოზიცია შეუსრულებია. ბატონ კლინტონს არც ქალბატონი კონდოლიზა რაისი ჩამორჩენია და ბრამსის ნაწარმოებით გაუნებებია ახალგაზრდები...



ითო ყოვლანაყოფილი

ქეთო აბუთიძეს მიაჩნია, რომ ნებისმიერ ადამიანზე გავლენა უნდა მოახდინო — გონებრივი სიძლიერითაც და გარეგნობითაც. შესაბამისად, სწავლა-განათლებას ბევრ დროს უთმობს, დაკავებულია სპორტით და ისევე, როგორც ყველა ქალს, მასაც უყვარს შოპინგი. თუმცა თანატოლი გოგონებისგან განსხვავებით, ცოტა არ იყოს, მკაცრად იმოსება — ის ხომ მომავალი დიპლომატია!

ქეთევან აბუთიძე:

— ექიმების ოჯახში გავიზარდე. მხოლოდ მამა იურისტი, რომელიც ამჟამად ამერიკაში ცხოვრობს. ისიც, სხვებივით იმედოვნებდა, რომ ექიმის პროფესიას ავირჩევდი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებამდე 1 წლით ადრე გადავწყვიტე, რომ საერთაშორისო სამართალი შემესწავლა.

— ასეთი გადაწყვეტილება რატომ მიიღე?

— ჩვენი თაობის წარმომადგენლები საკმაოდ რთულ პერიოდში გავიზარდეთ. მართალია, ასაკით პატარები ვიყავით, მა-

გრამ სამოქალაქო ომის მომსწრე ვართ... ეს ყველაფერი ბავშვის გონებაში ილექება და გარკვეული ასაკის მიღწევისას, მოვლენების ანალიზი ხდება, რაც ბუნებრივია, პიროვნების ჩამოყალიბებაზე მოქმედებს. სწორედ ამიტომ, ექიმის რთულ, მაგრამ მანც „მშვიდ“ პროფესიას უფრო ამბიციური — დიპლომატია ვარჩიე. დიპლომატია ერთ-ერთია იმ ორი პროფესიიდან, რომელსაც პენსილვანიის უნივერსიტეტში ვუფლები. მეორე კურსიდან ამერიკაში გავემგზავრე. პარალელურად, საქართველოშიც ჩამოვდიოდი და გამოცდებს ვაბარებდი.

— ანუ ორი პროფესია გაქვს...

— არა, სამი: პენსილვანიის უნივერსიტეტში ფრანგული ენის ფაკულტეტზეც ვსწავლობ, რადგან როგორც თანამედროვე მსოფლიოში ამბობენ, ფრანგული — დიპლომატიის ენაა. გარდა ამისა, რუსულ, ინგლისურ, იტალიურ და, რა თქმა უნდა, მშობლიურ — ქართულ ენას ვფლობ. იტალიური მხოლოდ საკუთარი სიამოვნებისა და ინტერესის გამო შევისწავლე. იტალიასა და საფრანგეთს ხშირად ვსტუმრობ. საერთოდ, სამსახურებრივი მიზნით, ხშირად ვმოგზაურობ. ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში ვარ ნამყოფი. განსაკუთრებულად, პირველი — ჩეხეთში, პრალაში მოგზაურობა მასხენდება, რომელმაც ქართველი ემიგრანტის ცხოვრება მტკივნეულად აღმაქმევინა: ჩეხეთის ოპერის სახელმწიფო თეატრში ბილეთების გამყიდველმა მთელი კვირის სპექტაკლების განრიგი გამაცნო. ნახევარი საათის განმავლობაში, 3 ენაზე ვისაუბრეთ. შემთხვევით, ტელეფონზე დედაჩემმა დამირეკა და ქართულად ვუპასუხე. მას სოვს ცრემლი ბილეთების გამყიდველის თვალზე და შეკითხვა: შენც ქართველი ხარო?.. ყველა ადამიანი, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს, აღნიშნავს, რომ უპირველეს ყოვლისა, საკუთარი ქვეყნის განვი-

თარებაზე უნდა ვიზრუნოთ. ამიტომ, ვიდრე საერთაშორისო პოლიტიკაზე ვიფიქრებთ, ჯერ ჩვენი მოსახლეობისთვის უნდა შევქმნათ პირობები, რომ სამშობლო იძულებით არ დატოვოს.

— წელს სამსახურებრივი მიზნით მოგზაურობა ახსენე. სწავლის პარალელურად, მუშაობ?

— რა თქმა უნდა. ეს უნივერსიტეტში სწავლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სწავლის პერიოდში გვევალება, რომ წელიწადში ორჯერ პრაქტიკული გამოცდილება მივიღოთ. მაგალითად, წელს მაისის დასაწყისიდან ევროგაერთიანების 12 სახელმწიფოს ვენეცი, სადაც ყოფილ და ამჟამინდელ მინისტრებთან ვიმუშავე, რომლებმაც ევროგაერთიანების მოწყობის თეორიული საფუძვლები გაგვაცნეს. ვთანამშრომლობდით პარლამენტებთან, დიპლომატიურ კორპუსებთან და არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მაგრამ პირველი დიდი გამოცდილება პენსილვანიის შტატის სენატორთან — ენტონი ჰარდი უილიამსთან მუშაობისას მივიღე: 2005 წელს აშშ-ში, ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში სასწავლებლად გავემგზავრე. სკოლის დამთავრების შემდეგ, ჩვენი ოჯახის ახლობელმა იურისტმა მაცნობა ინტერნატული კონკურსის შესახებ, რომელსაც პენსილვანიის შტატის სენატორი აცხადებდა. ამერიკის მასშტაბით, კონკურსში 1500-მდე სტუდენტი მონაწილეობდა. გასაუბრების ხანგრძლივობა 15 წუთით იყო განსაზღვრული, ჩემს შემთხვევაში კი 45 წუთამდე გაიზარდა. აკადემიური მისწრაფებების გარდა, საუბრის



ჯერჯერობით მთლიანად პროფესიული განათლების მიღებაზე ვარ ორიენტირებული



თემა ეხებოდა: ჩემი, როგორც მომავალი დიპლომატისა და პოლიტიკოსის ამბიციებს, დამოკიდებულებას ქართველი ხალხისა და ამერიკული კულტურის მიმართ, ჰარვარდის საზაფხულო სკოლაში მიღებულ გამოცდილებას, ამერიკაში ადაპტაციის პერიოდს... კონკურსში, ერთ-ერთ ამერიკულ სტუდენტთან ერთად, მეც გავიმარჯვე. სენატორთან მუშაობა ლამის 24-საათიან გრაფიკს მოიცავდა — საარჩევნო კამპანიაში ვმონაწილეობდი: სხვა სენატორებსაც ვხვდებოდი, ვსწრებოდი თსსებს, ვმონაწილეობდი ქარიშხალ „კატრინას“ მიერ დაზარალებულ ნიუ-ორლეანის აღმშენებლობაში... ძალიან დატვირთული დღეები გვექონდა, მაგრამ შედეგით კმაყოფილი ვარ, რადგან ჰარდი დღემდე სენატორია (ილიმება). ის დამიხრდა, რომ ჩემთვის პროფესიული რჩევების მოცემას არასოდეს დაიშურებდა და ეს ასეცაა: მან ყოველთვის იცის ჩემს აკადემიურ თუ სოციალურ ცხოვრებაში გადადგმული ყოველი ნაბიჯის შესახებ.

— ქეთო, ამჟამად იმ უნივერსიტეტში სწავლობ, სადაც განათლება არაერთმა პრეზიდენტმა მიიღო...

— თუ არ ვცდები, პენსილვანიის უნივერსიტეტი ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციის 9 და კონსტიტუციის 12 ხელმოწერის — „დამფუძნებელი მამის“ სახელი უკავშირდება. იქ სწავლობდნენ პრეზიდენტები, სახელმწიფო მდივნები და სხვა პოლიტიკური ფიგურები, ასევე — მეცნიერები... ვიდრე რთული მისაღები გამოცდები ჩავაბარე, 6-თვიანი მოსამზადებელი პერიოდი გავიარე. უამრავი მრჩეველი და მეგობარიც შევიძინე.

— გარდა იმისა, რომ პენსილვანიის უნივერსიტეტში მისაღები გამოცდების ჩაბარება რთულია, ალბათ, იქ სწავლა ძვირი სიამოვნებაცაა, არა?

— რა თქმა უნდა, მაგრამ ჩემს სწავლა-განათლებას უნივერსიტეტი აფინანსებს. ვალდებული ვარ, ჩემი აკადემიური რეიტინგი — მაღალი ნიშნები შევინარჩუნო. თუ რეიტინგი დაეცა, დაფინანსება არ შეწყდება, მაგრამ შეიზღუდება.

— ალბათ, მთლიანად სწავლა-განათლების მიღებაზე ხარ ორიენტირებული. გასართობად თუ იცლი?

— დაახლოებით, 10 საათის განმავ-

ლობაში (ლექციების შემდეგ) ბიბლიოთეკაში მუშაობა გვინევს. დღე-ღამეში ჩვენი ძილის ხანგრძლივობა 4-5 საათს არ აღემატება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მინც გვაქვს დრო, რომ გავერთოთ: ვწვივით თეატრს, შეკრებებს მოდის სამყაროში... სოციალური თავმჯერებები სხვა პროფესიის მქონე უამრავ ცნობილ ადამიანთან შეხვედრის საშუალებას გვაძლევს. მაგალითად, ზაფხულის ბოლოს, ენ. ბაკალავრიატის ცერემონიაზე ცნობილი მომღერალი — ქეინი ვესტი და მისი მეგობრები გესტუმრობენ ხოლმე. წლის განმავლობაში გვაქვს 1 კვირა, როცა შეიძლება ითქვას, რომ ჰოლოვუდი ჩვენს უნივერსიტეტში ინაცვლებს. წელს მერილ სტრიპი გვეწვია. მას პირადად შევხვდი. ძალიან საინტერესო ადამიანია. ამერიკული და ფრანგული კინოს შესახებ საკმაოდ „ღრმა“ ლექცია წავგიკითხა. ჩემთვის და ჩემი მეგობრებისთვის ძალიან საინტერესო იყო ამბები, რომლებიც ფრანგულ და ამერიკულ მოდას შორის ქიშპობას ეხებოდა...

— რადგან მოდას შევხვით, გკითხავ: გასაგებია, რომ მომავალი დიპლომატი ხარ, მაგრამ ახალგაზრდა გოგონასთვის, ცოტა არ იყოს, ჩაცმის მკაცრი სტილი ხომ არ ჩამოგიყალიბდა?

— ალბათ ასეა, რადგან ჩემი ყოველდღიური ცხოვრება ხშირად ითვალისწინებს 2 ან 3 საქმიან შეხვედრას. ამიტომ ხშირად მივმართავ საქმიან გარდერობს და არა — ყოველდღიურს. „სოციალურ“ გარდერობს მხოლოდ მეგობრების წრეში ვიყენებ ანუ დაახლოებით — კვირაში ორჯერ, სოციალურ თავყრილობაზე. დიპლომატი ისე უნდა იმოსებოდეს, რომ ნებისმიერ ადამიანზე მოახდინოს გავლენა არა მხოლოდ გონებრივი სიძლიერით, არამედ — სილამაზით, მანერებით... ეს უმნიშვნელოვანესია!

— ქეთო, პირადი ცხოვრებისთვის თუ გრჩება დრო?

— ოჯახის წევრები ხშირად მახსენებენ, რომ დედაჩემს ჩემს ასაკში შვილი უკვე ჰყავდა (იციან). ოჯახს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ, მაგრამ ჯერჯერობით მთლიანად პროფესიული განათლების მიღებაზე ვარ ორიენტირებული.

— ...მაგრამ დარწმუნებული ვარ, ბევრი თავყვანისმცემელი გყავს, არა?

— (ილიმება) მათი ყველაზე დიდი რაოდენობა აშშ-შია, რადგან წლის განმავლობაში, ყველაზე მეტ დროს სწორედ ამერიკაში ვატარებ. უნივერსიტეტში ჩაბარების პირველ წელს, სწორედ იმ საერთო საცხოვრებელში ვცხოვრობდი, სადაც ამერიკის ექვს პრეზიდენტს უცხოვრია. შეიძლება ითქვას, რომ ესაა ისტორიული სასახლე, რომელსაც გრანდიოზული შიდა ეზო აქვს. ერთხელ, როცა ეზოში მეგობრებთან ერთად ვმეცადინეობდით, ცაზე თვითმფრინავი შევნიშნე, რომელსაც წარწერიანი ლენტის ჰქონდა გამობმული — ერთ-ერთი თავყვანისმცემელი სადილზე მუშაობდა. ის ადამიანი ოფიციალურ ვითარებაში გავიცანი. მასთან სადილობაზე უარი რამდენჯერმე ვთქვი, რადგან ვიცოდი, რომ ეს არ იქნებოდა პროფესიული მოტივით გამართული სადილი. ამიტომ, მან მიპატიჟების ორიგინალურ მეთოდს მიმართა (იციან)... გარდა ამისა, კვირის მანძილზე არაერთ თაიგულს მიძღვნიან ხოლმე. ყველაზე დიდი სიამოვნება — მექსიკური სიმბრეროებით ნამღერმა სერენადამ მომანიჭა. ეს ყველაფერი ფილმიდან გადმოტანილ ეპიზოდს ჰგავდა!

— სერენადამ სიამოვნება რომ მოგანიჭა, გასაგებია; გული თუ მოგიღბო?

— მიმანია, რომ ყველა ქართველი თავის ქვეყანას უნდა დაუბრუნდეს და ქართული, ტრადიციული ოჯახი შექმნას.

— ქეთო, გული ხომ არ გწყდება, იმდენი თავისუფალი დრო რომ არ გაქვს, რამდენიც შენი თანატოლების უმრავლესობას? ამის გამო, სინანულის გრძნობა არასოდეს გაგჩენია?

— დედაჩემი ხშირად აღნიშნავს, რომ მე ბავშვობა „წამართვეს“: 5 წლის ასაკში უკვე 3 ენას ვსწავლობდი, აქტიურად ვცეკვავდი, ვმღეროდი (სხვათა შორის, პროფესიონალურად ვმღერი — უნივერსიტეტის აკაპელის წევრი გახლავართ) ჩემი ბავშვობა სცენას უკავშირდება, რამაც ადრეულ ასაკში, ფართო აუდიენციასთან ურთიერთობის გამოცდილება და სითამაშე შემიძინა. ეს ჩემი მომავალი პროფესიისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. იშვიათად მახსენდება თანატოლებთან თამაშის დღეები. დღესაც ხშირად მიჩნდება სინანულის გრძნობა, როცა მეგობრები სადმე მუშაობდნენ, მე კი ვალდებული ვარ, ის დრო ბიბლიოთეკაში ან საქმიან შეხვედრაზე გავატარო. მიმანია, რომ ყოველდღე გარკვეულ მიზანს უნდა ემსახურო და თუკი მიზანს მიაღწევ, ე.ი. არც ერთი დღე უქმად არ დაგიკარგავს!

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— ორწლიან-ნახევარში სასწავლო კურსს მოვრჩები. გადამწყვეტილია, რომ ვიქნები ჩინეთის დიპლომატიური დელეგაციის წევრი. ასევე, 6 თვის მანძილზე სორბონის უნივერსიტეტში ვისწავლი, პარიზში. დანარჩენს კი მომავალი გვიჩვენებს.



პენსილვანიის უნივერსიტეტში, მეგობრებთან ერთად



ბერლუსკონისა და პუტინს „დემოკრატიზაცია“ ოცნება პართიანებით

იტალიის პრემიერის მოსკოვში ბოლო ვიზიტს იტალიელი პოლიტიკოსების მხრიდან კრიტიკის ნამდ-

ში გამართული თავაშვებული წვეულებებისა და ესკორტ-გერლების ამბავი გახმაურდა, რუსული „კომსომოლსკაია პრავდა“ გამოცემათა მცირერიცხოვანი ჯგუფიდან ერთ-ერთი აღმოჩნდა, ვინც იტალიის პრემიერი დაიცვა. „რა მოხდა?.. განა იმით, რომ ბერლუსკონი ბოლომდე ხარჯავს თავის ტესტოსტერონს, ვინმეს რაიმე აკლდება?! — წერდა გაზეთი. — ასეთი პრემიერ-მინისტრით სხვები მხოლოდ იამაყებდნენ: კაცი უკვე 72 წლისაა და ნახეთ, რა შესანიშნავ ფორმაში იმყოფება!.. ის მუდამ მშვენიერი ქალებითაა გარემოცული, რომლებიც არა მარტო მარტო სილამაზით ბრწყინავენ, არამედ კარიერასაც იკეთებენ“.



ვილი ქარცეცხლი მოჰყვა. გაზსადენები, ბიზნესი, სამარკო ღვინოები და სანდომიანი საუბრები პუტინთან, ტბისპირა აგარაკზე... ბერლუსკონის აზრით, ამ ყველაფრის შესახებ იტალიელებმა საერთოდ, არაფერი უნდა იცოდნენ და ამიტომაც, რუსეთში მისმა საიდუმლო სამდღიანმა ვიზიტმაც ზედმეტი კითხვების დასმის მოყვარული ჟურნალისტების გარეშე ჩაიარა. იტალიის სენატის თავმჯდომარის მოადგილის, ლუიჯი ზანდას აზრით: „ნებისმიერ სხვა დემოკრატიულ ქვეყანაში მსგავსი მოვლენა სახელმწიფო მოღვაწის პოლიტიკური დასასრულის მომასწავებელი იქნებოდა“. ამ ვიზიტის საიდუმლო დეტალების შესახებ განსაკუთრებით აქტიურად მას შემდეგ ალაპარაკდნენ, რაც ცნობილი გახდა, რომ ბერლუსკონი უცხოურ (კერძოდ — რუსულ) სპეცსამსახურებში მის შესახებ არსებული მასალებით დაინტერესდა... მეგობარ პუტინთან კიდევ ერთი შეხვედრის აკვიატებულმა სურვილმა ბერლუსკონის, ახლო აღმოსავლეთის ერთ-ერთ გამოკვეთილ ლიდერთან — იორდანის მეფე აბდალასთან შეხვედრაზე უარის თქმაც აიძულა. ამან კი პრეზიდენტისა და ქვეყნის საგარეო უწყებების სერიოზული აღშფოთება გამოიწვია.

„აქ, რუსეთში თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში“, — განაცხადა ბერლუსკონიმ წლეულს მაისში, მოსკოვში ყოფნისას. თავის მხრივ, პუტინიც ყოველთვის ასევე კომფორტულად გრძნობდა თავს ბერლუსკონისთან სტუმრობისას... ხოლო როცა ბერლუსკონის ჩერტოხას ვილა-

ბიც არა მარტო მარტო სილამაზით ბრწყინავენ, არამედ კარიერასაც იკეთებენ“.

იტალიის პრემიერისა და ვლადიმირ პუტინის გულითად ურთიერთობაში ეჭვი არავის შეაქვს. თუმცა ეს არც მხოლოდ ერთმანეთის გულში ჩაკვრის დიპლომატიას, არც მოსაუბრის გაოცების ორივესთვის ესოდენ ჩვეული სურვილი და არც ასევე ორივეს გამაერთიანებელი, ენერგეტიკასთან დაკავშირებული მასშტაბური გეგმები. ამ ორ ლიდერს მსგავსი მისწრაფებებიც ახასიათებს. ხოლო როცა საქმე ძალაუფლებას ეხება, ორივე შემთხვევაში წინა პლანზე — პირადი და სახელმწიფოებრივი პრობლემების აღრევა, პოპულიზმი და პიროვნების კულტი გამოდის.

ბერლუსკონისა და პუტინს დემოკრატიის საკმაოდ შეზღუდული აღქმა, მისი „დემოკრატიზაცია“ გადაქცევის სურვილი აერთიანებთ. ბერლუსკონი თავს „პუტინის ადვოკატს“ უწოდებს, პუტინი კი ბერლუსკონის „იდეალურ შუამავლად“ მოიხსენიებს. და ორივესთვის, მიუღებელი თუ არა, გამაღიზიანებელი მაინცაა ხელისუფლების ალტერნატიული ინსტიტუტები და აგრეთვე, მასმედიის აბუზარი წარმომადგენლები.

ბერლუსკონის სულ უფრო ითრევს აღმოსავლეთი — ძველიცა და თანამედროვეც, ახლოცა და შორეულიც. იტალიელი პრემიერი უკვე სულთან, აზიელი დესპოტი და პოსტკომუნისტური ლიდერის ტყუპისცალიცაა და ამიტომაც, მომავალში მისგან სრულიად მოულოდნელი ნაბიჯებიც კია მოსალოდნელი.

La Repubblica

ინტარნეტი 2500-ზე მეტი ცნობილი „სიპვლიდისჯილია“

Facebook უარს ამბობს იმ ფორუმების დახურვაზე, სადაც ცნობილი ადამიანების მოკვლისკენ მოწოდებები ჩნდება. უფრო მეტიც: ჯგუფთან — „მოკვლათ ბერლუსკონი“ — დაკავშირებით, გაზეთ „რეპუბლიკას“ ამერიკულმა საიტმა ისიც კი უპასუხა, რომ პრემიერს არავითარი სერიოზული საფრთხე არ ემუქრება, ამიტომაც, ფორუმი არ დაიხურებაო. არადა, Facebook-ზე უკვე ისეთი ფორუმების პოვნაც შეიძლება, სადაც გამოგონილი თუ რეალური პიროვნებების მკვლელობაზე სრულიად დაუფარავად მსჯელობენ. სოციალურ ქსელში სიტყვის — „მოკვლათ“ მიხედვით უბრალო ძიებაც კი უკვე 2500-მდე დამოწმებას იძლევა... თანამედროვე ენების ინსტიტუტის მილანის ერთ-ერთი ხელმძღვანელის, ალბერტო აბრუცეზეს აზრით, „ინტერნეტში, ისევე, როგორც ხალხმრავალ შეკრებებსა თუ ქუჩის მანიფესტაციებზე, ყოველთვის მოიძებნებიან ჯგუფები ანდა ცალკეული ინდივიდები, რომლებსაც ესოდენ უპასუხისმგებლო ფრაზების წამოთქმა შეუძლიათ. მაგრამ ერთია სიტყვები და მეორე — საქმის ორგანიზება“.

Facebook კრიტიკის ქარცეცხლში პირველად როდი ხვდება. წლის დასაწყისში ქსელში გამოვლინდა ჯგუფი, რომელიც მაფიასა და ციხეში მოხვედრილ მის ხელმძღვანელებს — ტოტო რიინუსა და ბერნარდ პროვენცანოს განადიდებდა. იტალიური სპეცსამსახურები პირველ რიგში, იმან შეაშფოთა — ეს ფორუმები მაფიამ საკუთარი ბრძანებების გადასაცემად არ გამოიყენოსო. Facebook-ის ადმინისტრაციამ მაშინ ამ მაფიოზური ფორუმის დახურვაზე უარი განაცხადა. ამასთანავე, ერთი თვის წინ რამდენიმე საათში დახურა გვერდი, რომელიც ერაყსა და ავღანეთში მყოფი იტალიელი ჯარისკაცების დახოცვისკენ მოუწოდებდა. შემდეგ მსგავსი ბედი ეწია იმ საიტსაც, რომელზეც ამერიკის პრეზიდენტ ბარაკ ობამას მკვლელობის მიზანშეწონილობის შესახებ მსჯელობდნენ... Facebook-ის ადმინისტრაციის განცხადებით, ის მხოლოდ აშკარა ძალადობისკენ მოწოდების შემცველ გვერდებს ხურავს. მსგავსი ახსნა-განმარტებები, პირველ რიგში, იმის გამოხატვლია, თუ რაოდენ ძნელია ინტერნეტის მსხვილი ქსელებისთვის, სიტყვის თავისუფლებისა და კანონის დარღვევის ზღვარზე ბალანსირება...

La Repubblica



რიო-დე-ჟანეირო ძალადობამ მოიცილა

2016 წლის ზაფხულის ოლიმპიადის მასპინძელი ქვეყნის, ბრაზილიის უდიდეს ქალაქ რიო-დე-ჟანეიროს ძალადობის ძლიერმა ტალღამ გადაუარა. მომავალი ოლიმპიადისთვის უცხოელი ინვესტორების ძებნაში გართულ ბრაზილიელ პოლიტიკოსებს ადგილობრივმა ნარკომოვაჭრებმა ზედ „ცხვირწინ“, „მარაკანას“ სტადიონთან პოლიციის ვერტმფრენი ჩამოუგდეს. არადა, ჯერ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი, შემდეგ კი თვით ოლიმპიადაც სწორედ ამ სტადიონზე უნდა გაიმართოს.

ნარკოდანაშაულები მრავალი წელია, რიო-დე-ჟანეიროს აქილევსის ქუსლად იქცა. მაგრამ ასევე მრავალი წელია, ადგილობრივი პოლიცია ამ დანაშაულების მთავარ ბუდეში — ჯებირებით ლამის მთელი დანარჩენი სამყაროსგან გამოყოფილ, ქალაქის ლატაკთა რაიონებში — ფაველებში ცხვირსაც კი აღარ ყოფს. ამ გარემოებამ ნარკომოვაჭრებს საბოლოოდ გაუხსნა ხელ-ფეხი და ნამდვილი ციხესიმაგრეების შექმნის საშუალებაც კი მისცა. პოლიციის ვერტმფრენისთვის ცეცხლის გახსნით კი მათ უკვე იმის დემონსტრირება მოახდინეს, რომ ფაველებში იარაღიც უპრობლემოდ ხვდება.

წლეულს ხელისუფლება ნარკო-

მოვაჭრეებისა და მათ მიერ დათესილი ძალადობის ალაგმვას შეუდგა. სწორედ ამ მიზნით დაიწყო ადგილობრივებისგან, ძალადობასთან მებრძოლი რაზმების ჩამოყალიბებაც. მაგრამ ჯერჯერობით ხელისუფლების ეს ექსპერიმენტი მხოლოდ ხუთიოდე ფაველს თუ შეეხო. არადა, ასეთ ჯურღმულებში რიოს ექვსმილიონიანი მოსახლეობის თითქმის მესამედი ცხოვრობს.

პოლიციის მონაცემებით, ძალადობის ბოლო აფეთქება იმით დაიწყო, რომ ციხეში მყოფმა ერთ-ერთმა ნარკომოვაჭრემ თავის ხელქვეითებს კონკურენტის ტერიტორიაზე შეჭრა უბრძანა. სწორედ ამას მოჰყვა პოლიციასა და რამდენიმე ფაველის ნარკობარონებს შორის შეტაკებაც. ამის შედეგად, 26 ადამიანი, მათ შორის — ჩამოგდებული ვერტმფრენის ბორტზე მყოფი 3 პოლიციელი და 3 შემთხვევითი გამვლელიც დაიღუბა. ბრაზილიის პრეზიდენტმა, ლულა და სილვამ მკვლევლობების რაოდენობის მიხედვით მსოფლიოში ერთ-ერთ

პირველ ადგილზე მყოფ რიო-დე-ჟანეიროში წესრიგის დასამყარებლად, ფედერალური ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფის პირობა დადო. ექსპერტთა ნაწილი რიოს მოქალაქეთა ძალებით ფაველების დაცვის ექსპერიმენტს მხარს უჭერს, სხვების აზრით კი ამ წამოწყებას მხოლოდ მაშინ მოჰყვება რეალური შედეგი, თუ პარალელურად, ახალი საცხოვრებელი კორპუსების



მშენებლობა და გზების გაყვანაც დაიწყება. ამ იდეის მომხრეები დარწმუნებული არიან, რომ ახალი გზები პოლიციელებს ფაველებში მანქანებით იოლად შესვლის საშუალებას მისცემს, ოლიმპიადისთვის სპეციალური მომზადება კი უფრო ეფექტიანად მუშაობაში დაეხმარება.

The New York Times

მატა ჰარის სახელის უკვდავსაყოფად...

1917 წლის თებერვალში, ფრანგი მოსამართლე, პოლიციელთა თანხლებით, ელისეს მინდვრებზე მდებარე, მდიდრული სასტუმროს — „ელიზე პალასის“ 113-ე ნიმერში შეიჭრა. ამბობენ, რომ ნომრის ბინადარი, ლამაზი ქალი მათ შიშველი გამოეგება და გერმანული ჩაფხუტიდან, შოკოლადის ნატეხების ჩამორიგებას მოჰყვა... 10 თვის შემდეგ, მატა ჰარის სასცენო ფსევდონიმით ცნობილი 41 წლის ავანტიურისტი, მოცეკვავე და კურტიზანი — მარგარეტ ჰერტირუდა ცელემაკლეოდი, როგორც გერმანელი ჯაშუში, პარიზის მახლობლად, ვენსენში დახვრიტეს. იმ დღიდან 3 წლის შემდეგ, გაკოტრებული სასტუმრო „ელიზე პალასი“ ფრანგული ბანკის საკუთრებად იქცა და ერთი ბანკიდან მეორის ხელში მანამ გადადიოდა, სანამ 8 წლის წინ იქ HSBC-ს შტაბბინა არ განთავსდა. სასტუმროს ძველი ინტერიერის



დიდი ნაწილი, კანდელაბრებიანი მოოქრული რესტორნის ჩათვლით, ხელუხლებლადაა შენარჩუნებული. ასევე დღემდე არსებობს ის 2 ოთახიც, რომელშიც 1917 წელს 113-ე ნომერი იყო განთავსებული... „ელიზე პალასი“, რომელშიც 90 წლის მანძილზე ბანკი იყო განთავსე-

ბული, ახლა შესაძლოა, კვლავ სასტუმროდ იქცეს. ამბობენ, რომ პარიზის ღირსშესანიშნაობების ყიდვის დიდ მოყვარულს, კატარის ამირას ამ შენობაში 400 მილიონი ევროს გადახდა აქვს გადაწყვეტილი, ხოლო HSBC, რომელიც უფრო თანამედროვე შენობაში გადასვლას გეგმავს, ამ წინადადებას სერიოზულად განიხილავს. ასე რომ, უახლოესი 5 წლის განმავლობაში, „ელიზე პალასი“ შეიძლება, კვლავ აღორძინდეს და 200-ნომრიან ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ იქცეს. რალა თქმა უნდა, ამ შენობას დამატებით ხიბლსა და კომერციულ მიმზიდველობას, ყველა დროის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საბედისწერო ქალის სახელთან კავშირი სძენს. HSBC-ს თანამშრომელთა თქმით, მავანთ ძველი სასტუმროს დერეფნებში მატა ჰარის მოხეტიალე აჩრდილიც კი უნახავთ...

The Independent



ბირთვული ნარჩენები: ბომბი თუ ფაზი საფრთხე?

საფრანგეთის ტელეარტე-ს მიერ ნაჩვენებ დოკუმენტურ ფილმ-გამოძიებას — „ნარჩენები: ბირთვული კომპლექსი“ — საკმაოდ დიდი ხმაური მოჰყვა; საზოგადოებაშიც აშკარა შიში დაწერდა. როგორც ფილმიდან ირკვევა, ფრანგული ენერგეტიკული კომპანია რუსეთში ასობით ტონა მალალი რადიაციის ბირთვულ ნარჩენებს გზავნის, რომელიც საბოლოოდ, ციმბირში ნაგავსაყრელზე, ღია ცისქვეშ ხვდება. ეკოლოგიის დარგში საფრანგეთის სახელმწიფო მდივანმა შანტალ ჟუანომ შექმნილი სიტუაციის საფუძვლიანი გამოძიება მოითხოვა და ამით EDF-ის კეთილსამედობაც სერიოზულ ეჭვქვეშ დააყენა.

ფილმი შეგვახსენებს, რომ EDF-ს გადამუშავებული ურანის შემდგომი გადამდრებისა და ქიმიური ტრანსფორმაციისთვის საჭირო ტექნოლოგიები არ გააჩნია. ამიტომაც ასეთი ურანი რუსეთში იგზავნება, საიდანაც, გამდიდრების შემდეგ, ისევ EDF-ს უნდა დაუბრუნდეს. მაგრამ ფილმის ავტორების, ჟურნალისტების — ლორა ნაულისა და ერიკა გერეს მტკიცებით, „ნივთიერების 90% რუსეთშივე რჩება და მის საკუთრებაშიც გადადის. არადა, კომპანია ირწმუნება, რომ სათბობის 80%-ს ხელმეორედ იყენებს“. ერთი შეხედვით, კომპანია რუსეთში ბირთვული ნარჩენების ექსპორტირებას არ ახორციელებს, რადგან ეს ნარჩენები გადამუშავებას ექვემდებარება. მაგრამ ციმბირში ჩატანილი ბირთვული ნარჩენების დიდი ნაწილი იქვე სრულიად ხელუხლებლად რჩება.

ციმბირელებს ფრანგი ჟურნალისტების ფილმი არ უნახავთ. ერთ-ერთმა ეკოლოგმა კი ისინი იმით დაამშვიდა, რომ: „ბირთვული ნარჩენები საფრთხეს კი წარმოადგენს, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მათ თვითმფრინავი დაეჯახება“... ამრიგად, კომპანია მხოლოდ ხელახლა გადამუშავებული სათბობის იმპორტს ეწევა, რუსეთის საკუთრებაში გადასული გადამუშავებული ურანის ბედი კი საერთოდ, არ ანალვლებს... სპეციალისტთა მტკიცებით, რადიოაქტიური სანვავის ზოგიერთი ელემენტი აქტიურობას ასეულათასობით წლის განმავლობაშიც კი ინარჩუნებს. და რადგან ასეა, მაშინ ალბათ, ისიც საინტერესო უნდა იყოს — ემასსოვრება კი ვინმეს 3 ათასი წლის შემდეგ, თუ კონკრეტულად სად იყო განლაგებული დღევანდელი ბირთვული ნაგავსაყრელები?..

France Soir

რუბრიკა მოამზადა რუსულან ლეპანძიამ

მუხიანში მომხდარი სისხლიანი მკვლელობის დაბრუნება

დაზარალებულის ექსკლუზიური ბანმარტება

თბილისის საქალაქო სასამართლო (მოსამართლე — ნინო სანდოძე) მუხიანში მომხდარი შემზარავი მკვლელობის საქმეს იხილავს. შეგახსენებთ: 11 აპრილს, საღამოს 6 საათზე მუხიანში, XXI კორპუსის წინ საშინელი ტრაგედია დატრიალდა. ბოროტმოქმედმა ეზოში მყოფი ახალგაზრდები, რომლებიც დომინოს თამაშობდნენ, ჩაცხრილა და მიიმალა. რამდენიმე გასროლას განწირული ყვირილი მოჰყვა — ერთ-ერთი ახალგაზრდა შევლას ითხოვდა. ქუჩაში გამოსულ მოქალაქეებს მინაზე დაყრილი 3 ბიჭი დახვდა. ტყვია სამივეს თავში ჰქონდა მოხვედრილი. 20 წლის სერგი მელქაძე ადგილზევე გარდაიცვალა, მისი მეგობრები, ძმები — ლევან (19 წლის) და თემურ (17 წლის) გახელაძეები კი უმძიმესი დაზარალებულებით საავადმყოფოში გადაიყვანეს. ოპერაციისას ლევანი გარდაიცვალა, ხოლო მისი ძმა დიდხანს ებრძოდა სიკვდილს და უფლის წყალობით, გადარჩა კიდევ, თუმცა თემურის ჯანმრთელობის მდგომარეობა დღესაც მძიმეა.

თბა სურსილავა

ბოროტმოქმედმა ახალგაზრდები სასიკვდილოდ რომ გაიმეტა, ამას მიყენებული დაზიანებებიც ადასტურებდა. დამნაშავეს ქმედებამ ყველა გააკვირვა. კერძოდ, მან ფაქტის თვითმხილველი, მოწმე გიორგი აფხაზავა, რომელიც მეგობრებთან ერთად თამაშობდა, სასიკვდილოდ არ განირა და უთხრა: ნუ გარბინარ, შენ არაფერს გერჩიო...

მაღე ქვემიტანილის ვინაობა დადგინდა — იგი 19 წლის დედისერთა, გოჩა გელიაშვილია, რომელმაც მკვლელობები მასზე რეგისტრირებული „მაკაროვის“ პისტოლეტით ჩაიდინა. ისიც ცნობილია, რომ დანაშაულის ჩადენამდე დედას უთხრა, საცხოვრებლად სვავან გადავივარო. მას შემდეგ, რაც თანატოლები დახოცა, ტაქსი გააჩერა, სახლში მივიდა, წინასწარ ჩალაგებული ჩანთა აიღო და იმავე ღამით, მატარებლით ბათუმში ჩავიდა. დილით, ვიდრე სარფის საზღვარზე გადავიდოდა, იარაღი ტყეში, მინაში ჩამარხა და თურქეთში გადავიდა. 17 აპრილს გელიაშვილი სარფის საბაჟოზე დაბრუნდა და პოლიციას ჩაჰპარდა. მან ჩადენილი დანაშაული აღიარა და განაცხადა, რომ თანატოლები შურისძიების მოტივით ჩაცხრილა. დაბრუნებამდე დედასთან და ახლობლებთან „სკაიპით“ ისაუბრა. იმ საუბრიდან გაირკვა, რომ დამნაშავე მარტო მოქმედებდა.

„ჰო, სულ მარტო ვიყავი და არც არავინ იცოდა, არავინ გარიონ მაგ საქმეში. ჩემს თავთან ვარ მართალი, მთავარი ეგაა. პოლიციას ურჩევნია, იმათი პიროვნებები გაითვალისწინონ და ლოგიკურად მივლენ იქამდე, რატომ დაუხოცე და მერე მინიმუმი მომცენ, რასაც ვიმსახურებ. მაგათ ძმაცაცებს, მიკის და გურამის ბოდიში, სულ მანინტერესებდა მაგათთან ერთად რატომ იდგნენ... ყვე-

ლაფერი ამოქექონ ჩემზე და იმაზე. იარაღი თან არ მიქვს, პოლიციას უთხარიო, არ ისროლონ... იარაღს არ გამოვიყენებ, ყანალობებს და ეგეთ უაზრობებს არ ჩავიდენ. უეჭველი ჩავებრდები, ცოტა დრო მინდა, არ ვარ საქართველოში. კაროჩე, ცოტა ხანში გავალ გზაზე და წამოვალ სარფში, არ მიქვს იარაღი... არ გეგონოთ გატყუებთ, მოვალ უეჭველი. ვსიო, მოვდივარ“, — „სკაიპით“ წერდა (სტილი დაცულია) იგი. პირველად ის კონტაქტზე 14 აპრილს გამოვიდა. მიმონერას პოლიციაც ადევნებდა თვალს და თურმე, ძებნილს ოჯახის სახელით, წერილებსაც სწერდა.

გოჩა გელიაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 109-ე მუხლის მესამე ნაწილით, 19-109-ე მუხლის მეორე ნაწილით და 236-ე მუხლის მეორე ნაწილით აღიძრა. როგორც საბრალდებო დასკვნაშია აღნიშნული, ბრალდებულსა და დაზარალებულს კონფლიქტური ურთიერთობა ჰქონდათ. მათ შორის უთანხმოება დაახლოებით 2 წლის წინ წარმოიშვა, როდესაც ძმებმა გახელაძეებმა და მელქაძემ მას მობილური ტელეფონი წაართვეს, რის გამოც, შურისძიების მოტივით, გელიაშვილმა მათი მკვლელობა განიზარა. თებერვალში, მალაზიაში „მაკაროვის“ პისტოლეტი იყიდა, თავის სახელზე დაარეგისტრირა და ამ იარაღით მუხიანში მივიდა. იცოდა, ბიჭები სადაც იკრიბებოდნენ, მიუახლოვდა მოთამაშეებს და ყოველგვარი ლაპარაკის გარეშე, იარაღიდან პირველად სერგი მელქაძეს — კეფაში, შემდეგ კი დამინებებით ძმებ გახელაძეებს, თავში ესროლა. მათთან მყოფი გიორგი აფხაზავა პირველივე გასროლის შემდეგ გაიქცა და გაიგონა მისი მისამართით ნათქვამი სიტყვები, — შენ არ მოგკლავო!

პოლიციას ჩაჰპარდა თუ არა, ბრალდებულმა მათ მკვლელობის იარაღი —



გოჩა გელიაშვილი

იქვე ეგდნენ. მითხრეს, თემური საავადმყოფოში წაიყვანესო. დღემდე მათი ვერც ერთი ძმაკაცი ვერ ხსნის, რატომ მოხდა ეს მკვლელობა... მობილურის წარმომავლის ფაქტი 8 წლის წინ გავიგე და როგორც ვიცი, ის დაუბრუნეს... თემური მარტო მარჯვენა ხელს ამოძრავებს. იმ დღეს საერთოდ ვერ იხსენებს. ექიმები ვარაუდობენ, რალაც პერიოდის შემდეგ შეძლებს იმ დღის აღდგენას. ვერაფერი მიხსნის, შვილი რატომ მომიკლეს და რა დაუშავეს მკვლელს ჩემმა შვილებმა“ (სტილი დაცულია).

სასამართლოზე დაკითხულმა მონაწილემ ვერ დაასახელეს მკვლელობის მოტივი. დაიკითხა განსასჯელის მამიდაშვილი, რომელმაც მომხდარის შესახებ გოჩას დედისგან შეიტყო: „...მკვლელობის მიზეზი ზოგადად, გოჩამ „სკაიში“ გვითხრა. თქვა, — დღე და ღამე არ მეყოფა, მიზეზები რომ ჩამოვთვალოო. როგორც ვიცი, უხეშად ელაპარაკებოდნენ, თუმცა მანამდე ამის შესახებ გოჩას არაფერი უთქვამს. 9 აპრილს ის ჩვენთან მოვიდა, ძალიან აღელვებული იყო და თქვა, რომ დედასთან იკამათა“ (სტილი დაცულია).

როგორც ირკვევა, გელიაშვილს მძიმე ბავშვობა ჰქონდა. მისი მშობლები ოფიციალურად, 17 წლის წინ დაშორდნენ ერთმანეთს, მაგრამ მაინც, ერთ ჭერქვეშ აგრძელებდნენ ცხოვრებას და მათ შორის კონფლიქტი ხშირად ხდებოდა. დედა, მანამდე ვინ იყო, ცოლი იყო თანამშრომელია. მამა, გოჩა გელიაშვილიც ყოფილი ძალოვანია, ამჟამად კი პატიმრობაში იმყოფება ძარცვისა და პოლიციისთვის წინააღმდეგობის განხორციელების ბრალდებით. შვილის დაკავების პირველსავე დღეებში დედა ამბობდა, რომ გოჩას მშვიდი ბავშვობა არ ჰქონია და სტრესულ სიტუაციაში გაიზარდა. სასამართლო პროცესზე რამდენიმე მონაწილე გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ის გულჩათხრობილი ბავშვი იყო. გელიაშვილს იარაღი რომ ჰქონდა, დედამ და მისმა მეგობრებმაც იცოდნენ.

სასამართლოზე განსასჯელის დედამ, **მანა ფაშინია** განაცხადა (სტილი დაცულია):

„გოჩა კონფლიქტური არ იყო. მისი ცხოვრებიდან სულ ორი ფაქტი მახსენდება, როცა ნაჩხუბარი მოვიდა. ერთხელ ბავშვობაში და მეორედ — 2-3 წლის წინ, მეტი არა. მისგან არ მსმენია, რომ ამ ბიჭებთან კონფლიქტი ჰქონდა. არ მიყვებოდა ამის შესახებ, დისტანციური ურთიერთობა მქონდა. მამაშვილს შორის ცუდი ურთიერთობა იყო. მამის არაკომპეტენტურ აზრს არ ითვალისწინებდა. იარაღი რომ შეიძინა, ეს 13 თებერვალს გავიგე,

„მაკაროვი“ გადასცა, რომელიც სარფის საზღვარზე, მინაში ჰქონდა ჩაფლული.

მუხიანელები ალბათ, დიდხანს ვერ დაივიწყებენ იმ საშინელ სურათს, რაც წამებში დატრიალდა. შეძრწუნებული მოქალაქეები დახოცილებს დადებითად ახსიათებენ და მომხდარს ახსნას ვერ უძებნიან. ამ ფაქტის ირგვლივ უამრავი მითქმა-მოთქმა იყო და იმედია, სიმართლე სასამართლოზე გაირკვევა. დღეს, როგორც დაზარალებულებს, ისე თავად ბრალდებულის ადვოკატსაც ნაკლებად სჯერა იმ მოტივის, რომელიც საბრალდებო დასკვნაშია აღწერილი — თითქოს მკვლელობა 2 წლის წინ მომხდარი ფაქტის გამო მოხდა.

თუმცა, დაზარალებულების ახლობლები იმასაც ირწმუნებიან, რომ ეს ფაქტი 8 წლის წინ მოხდა. საინტერესოა, რატომ გაახსენდა გელიაშვილს ამდენი ხნის შემდეგ ძველი წყნა და რატომ აიღო ხელში იარაღი? თანაც, როგორც სასამართლოზე გაირკვა, ის ტელეფონი მას უკან დაუბრუნეს.

სასამართლო პროცესზე მონაწილეთა დაკითხვა მალე დასრულდება და ბრალდებული გელიაშვილი დაიკითხება. მან სასამართლოს უნდა აუხსნას, თუ რატომ დახოცა თანატოლები.

როგორც გელიაშვილის ადვოკატი, ვლადიმერ ტაბალუა ირწმუნება, მანაც არ იცის, რას იტყვის განსასჯელი სასამართლოზე.

სასამართლო პროცესზე უკვე დაიკითხა დაზარალებული თამაზ გახელაძე, რომელსაც ერთი შვილი მოუკლეს, მეორე კი დღემდე ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული.

თამაზ გახელაძე:

„თემური სოფელში იყო და იმ დღეს ჩამოვიდა. შეშას ვჭრიდი. სერგი და თემური მეხმარებოდნენ, იქვე იყო ლევანიც. 5 საათი იქნებოდა, რომ მოვრჩით და ბიჭები უბანში გავიდნენ, დომინოს სათამაშოდ. ლევანი სახლში შემოვიდა, საჭმელი შეჭამა, მერე ისიც გავიდა... მალე მომესმა ქალების კივილი და ქუჩაში გავიდი. იქ რომ მივედი, ვნახე, სერგი და ლევანი

როცა მალაზიიდან იარაღით დაბრუნდა. მამამისის მანქანა გაყვიდეთ და იარაღი იმ ფულით იყიდა, სახლში ინახავდა... იმ დღეს მითხრა, სახლიდან მივიდვიარ და ჩანთა ჩამოლაგეო... ვივარაუდე, ბინას ქირაობდა, მეგობართან ერთად. სად მიდიოდა, არ უთქვამს... დარეკა, ორ წუთში მოვიდა და ჩანთა ჩაფულაგე. არ გვი-საუბრია. მერე ტელეფონი გათიშა და ვეღარ დავუკავშირდი; მის მეგობარ დათო გორგოძეს ვკითხე, სად იყო, მაგრამ არაფერი იცოდა. 13 აპრილს კი უკვე პოლიცია მოვიდა და მათ მითხრეს, რომ ჩემი შვილი მუხიანში მომხდარ მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი... ვფიქრობ, მისი ქცევა რალაცის შეჩერება იყო, მაგრამ რისი, არ ვიცი...“

როცა დედა შვილის აღზრდაზე საუბრობდა, გოჩამ რეპლიკა ესროლა და დააფიქსირა, რომ მის აზრს არ ეთანხმებოდა, მაგრამ არაფერი დაუკონკრეტებია. იმედია, ყველაფერზე თავის ჩვენებაში ისაუბრებს.

სასამართლომ ფაქტის თვითმხილველი **გიორგი აფხაზავაც** დაჰკითხა (სტილი დაცულია):

„განსასჯელს ვიცნობ. თემურ გახელაძესთან ვმეგობრობ და გარდაცვლილებთანაც ვმეგობრობდი. იმ დღეს ლევანს შევხვდი, მალაზიაში მზესუმზირა ვიყიდე. მითხრა, სახლში მივალ და ჩემებს დავე-ნახებუიო. სახლში შევიდა, მე სერგის და-ვურეკე და ვკითხე, — სად ხარ-მეთქი? მითხრა: კორპუსის წინ ვართო. თემურს და სერგის იქ შევხვდი, სკვერში იყვნენ. ამასობაში ლევანიც მოვიდა და ოთხივე „ბესედაში“ დავჯექით, „ჯოკერის“ სათამაშოდ. კარტს იქ ვინახავდით, მაგრამ ვერ ვნახეთ და ამიტომ, დომინოს თამაში დავიწყეთ. სერგი ჩემ გვერდით, თუთის ხესთან იჯდა, მის წინ ლევანი დაჯდა, თემური კი — ჩემ პირდაპირ. მე ჩაკუშული ვიყავი, სხვები — ისხდნენ. ალბათ, 15 წუთი ვითამაშეთ. შუა თამაშისას გასროლის ხმა გავიგონე და ფეხზე წამოვდექი... სერგის ზურგიდან ესროლეს. რომ შევხედე, უკვე გაშვებული იყო. წამებში



ლევანი

ამას მეორე გასროლა მოჰყვა და დავინახე, როგორ წამოიფრიადა სისხლი ლევანს. წამოვხტი და გავიქეცი. იარაღიანი ხელი დავინახე. კორპუსისკენ მივბრუნდი და მან მომაძახა, — შენ არაფერ შუაში ხარ, არ გესვრიო. ამ დროს დავინახე მისი სახე. მისალმებით ვიცნობდი, უბნიდან — გოჩა იყო. რომ შემოვტრიალდი, დავინახე, აჩქარებული ნაბიჯით როგორ წავიდა. მარტო იყო. ტელევიზიით გავიგე მისი გვარი. სერგის იცნობდა თუ არა გოჩა, არ ვიცი, მაგრამ ვიცი, რომ ლევანს ესალმებოდა. ბიჭებს მასთან კონფლიქტის შესახებ არასდროს არაფერი უთქვამთ... ვყვიროდი, — მიშველეთ-მეთქი და ხალხიც მოგროვდა. ლევანი მაგიდაზე ეგდო, სერგი ხეზე იყო მიყუდებული, თემური კი უკან გახლდათ გადავარდნილი. სერგის არ მივაკარებოვარ. მივხვდი, ცოცხალი აღარ იყო. ლევანთან მივედი, ის მძიმედ იყო. თემური პირს ამოძრავებდა და თვალებს ახამხამებდა. საავადმყოფოში წავიყვანეთ... მეგობრებმა დღესაც არ ვიცი, რატომ მოკლეს ბიჭები...”

პროცესზე გელიაშვილის ორი მეგობარი დაიკითხა. მათგან ერთმა, **დათო პორგოძე** თქვა, რომ განსასჯელს მოკლულებთან უთანხმოება ჰქონდა (სტილი დაცულია):

„განსასჯელის ძმავეც ვარ. გოჩა მათ მხოლოდ მისალმებით იცნობდა. კონფლიქტი ტელეფონის გამო, 3 წლის წინ მოხდა. როგორც ვიცი, დაუბრუნეს. ამას გარდა, უთანხმოება მაღაზიაში გაგზავნის გამო ჰქონდათ, რადგან ის არ ემორჩილებოდა. უნდოდათ, დაებრძოებინათ. გრძელ თმას ატარებდა და ამიტომ, ვარცხნილობაზეც დასცინოდნენ... მკვლელობის წინააღმდეგ გოჩა კარგ ხასიათზე იყო, არაფერი უთქვამს. არც ის, რომ სახლიდან წასვლას აპირებდა... ჩვენთან არასდროს უხსენებია, ძველი წყენა გულში თუ ჰქონდა ჩადებული. როცა წამოვიზარდეთ, მერე უთანხმოება არ ჰქონია.“



თემური

ჩვენთვის ეს ფაქტი დაუჯერებელი იყო...“
გელიაშვილის კიდევ ერთი მეგობარი, ბექა გრიგალაშვილი სერგი მეღვინის კლასელი აღმოჩნდა. მან თქვა: არაფერი ვიცოდი კონფლიქტზე, ეს რომ მცოდნოდა, მათ აუცილებლად შევარიგებდი, რადგან იმ ბიჭებსაც ვიცნობდიო.

მოკლული მეღვინის ოჯახი დამნაშავეს უმკაცრესად დასჯას მოითხოვს. სერგი დედამ ოხლად გაზარდა და მას მზრუნველობას არ აკლებდა. ახალგაზრდა ბიჭს ტრადიციის მეორე დღეს ცოლი უნდა შეერო. შევიღმკვდარ დედას ჯანმრთელობა შეერყა. დაზარალებულად მისი ქალიშვილი, სალომე მეღვინე ცნეს. არც მას აქვს მთავარ კითხვაზე პასუხი, თუ რატომ მოუკლეს ძმა.

განსასჯელმა უნდა დაასახელოს რეალური მოტივი, თუ რამ მიიყვანა ამ მძიმე დანაშაულამდე. მისი ადვოკატიც არ მალავს, რომ ამ არგუმენტების გარეშე გელიაშვილის დაცვა მასაც გაუჭირდება. ამასთანავე, ის ბრალდებულის ფსიქიკურ მდგომარეობას ეჭვქვეშ აყენებს და ექსპერტიზას მოითხოვს, მაგრამ სასამართლომ მისი ეს მოთხოვნა არ დააკმაყოფილა. ადვოკატმა შესაძლოა, განსასჯელის დაკითხვისას სხდომის დახურვა მოითხოვოს.

ვლადიმერ ტაბაღუა, ადვოკატი:

„გელიაშვილი ამბობს, რომ ისინი ტელეფონის გამო არ მოუკლავს, მაგრამ რატომ მოკლა, ჩემთვისაც არ გაუხსნია. თქვა, რომ ამას საჯაროდ იტყვის... მისი დაკითხვა უნდა დაიხუროს და ამ მოთხოვნით სასამართლოს მივმართე, რადგან გელიაშვილის დედას სახლში მუქარის წერილი უკვე დახვდა. „შენს ნაბიჯვარ მკვლელს გადაეცი, სასამართლოზე ხმა არ ამოიღო ბიჭებზე და ვაფშე, თორემ მკვლელს როგორ უნდა, ჩვენ დაგანახებთ. გარეთ ბევრი ხალხი დავრჩით, ზედმეტს ნუ იქეჩებთ!“ გამოვითხოვე პოლიციიდან ინფორმაცია, ხომ არ იყვნენ ისინი რაიმე კანონდარღვევაში შემჩნეული. ვფიქრობ, ეს მუქარა ამის გამოა. გაირკვა, რომ ორი მათგანი იყო შემჩნეული და ამ მასალებს წარვადგენ სასამართლოზე“.

მუქარის წერილი ნაბეჭდია და ალბათ, ძნელი დასადგენი იქნება, თუ ვინაა მისი ავტორი, მაგრამ ამ ფაქტის შესახებ ადვოკატმა ძალოვნებს უკვე აცნობა. გახელაძეები კი მიიჩნევენ, რომ ეს წერილი თავად განსასჯელის მხარის დაწერილია.

დაზარალებული გახელაძეების ინტერესს ადვოკატი თეიმურაზ ბენიძე იცავს. იგი არ ეთანხმება განსასჯელის ადვოკატს და მიიჩნევს, რომ გელიაშვილის ფსიქიკური მდგომარეობა ეჭვს არ იწვევს, რადგან ის ადეკვატურად იქცევა. **თეიმურაზ ბანიძე** იმასაც აღნიშნავს, რომ ამ ეტაპზე დაზარალებულის დაკითხვა შეუძლებელია:

„თემურ გახელაძე არასრულწლოვანია, ჯერ ისევე მძიმეა მისი მდგომარეობა. ექიმები თვლიან, რომ არ უნდა მოხდეს რაიმე ფაქტის გახსენება, ეს

კიდევ უფრო დაამძიმებს მის მდგომარეობას. შესაძლოა, ვერ დაიკითხოს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მისი ინტერესები დაუცველი დარჩება. იმის მიუხედავად, რომ განსასჯელი სრულად აღიარებს დანაშაულს, მოტივი გაურკვეველია. იქნებ გამოჰყვეთ, რამ მიიყვანა ამ დონემდე და ამხელა ბოლბა რა ჰქონდა, რომ თამამის დროს ბიჭები ასე სადისტურად ჩახოცა?“

გადაწყვეტილი, დაზარალებული თემურ გახელაძე მოგვენახულებინა და შინ ვწვნიეთ. ის სამწუხაროდ, ინვალიდის ეტლში დაგვხვდა. მართალია, სასამართლოზე მისი დაკითხვა ვერ მოხერხდება, მაგრამ ჩვენ მასთან გასაუბრება მაინც შევძელით.

თემურ ბახელაძე:

— მკვლელთან არანაირი ურთიერთობა არ გქვონია. 3 წელია, ის არც მინახავს. ლევანიც მარტო მისალმებით იცნობდა. მათ შორის რაიმე კონფლიქტი რომ ყოფილიყო, მეცოდინებოდა. მისთვის ტელეფონის წართმევის ფაქტი მწლის წინ მოხდა, მაგრამ ის იქვე დაუბრუნეს. მაშინ 9 წლის ვიყავი და ბიჭებთან ერთად არ ვყოფილვარ. სერგის ცოლი უნდა შეერთო და სოფლიდან ამიტომაც ჩამოვედი. თავად სერგიც რუსთავიდან ჩამოვიდა, იქ მუშაობდა. ტყუილია, თითქოს, მას მაღაზიაში გზავნიდნენ. მაღაზიის წინ ვიდექით და ვინმეს გაგზავნა რაში დაგვჭირდებოდა? თანაც, თუ სადმე იყო წასასვლელი, მე მივდიოდი, რადგან ყველაზე პატარა გახლდით. ისიც მოგონილია, თითქოს გრძელი თმის გამო დასცინოდნენ. გრძელ თმას თავადაც ვატარებდი, შეყვარებულის თხოვნით კი კიკინასაც ვიკეთებდი და სხვისთვის რატომ ან როგორ უნდა დამეცინა? ჩემთვის არავის დაუცინია გრძელი თმის გამო და არც ჩემი ძმა დასცინებდა ვინმეს... არ ვიცი, მან ეს რატომ გააკეთა. დომინოს ვთამაშობდით და მერე რა მოხდა, არაფერი მახსოვს.

თემურს ორი ოპერაცია ჩაუტარდა და საავადმყოფოში თითქმის ორი თვე გაატარა. ის ნათხოვარ ინვალიდის ეტლში ზის. ახლა ოჯახს მატერიალურად ძალიან გაუჭირდა, რადგან მის მკურნალობაში 50 ათას ლარზე მეტი უკვე დაიხარჯა, თემურს კი კიდევ დიდხანს დასჭირდება მკურნალობა. ოჯახი უფლისა და ქველმოქმედი ადამიანების იმედადაა დარჩენილი.

თემურ ბახელაძის დედა:

— იმედი მაქვს, რომ უფალი არ გამწინრავს. სულ ვაკონტროლებდი ჩემს შვილებს და ისინი ჩემ თვალწინ ტრიალებდნენ. მტერი არასდროს ჰყოლიათ. არ მაინტერესებს, რამდენ წელს მიუსჯიან ბოროტმოქმედს, ის უფალს ვერსად გაექცევა. უმონწილოდ დახოცა ბავშვები... თემურს პირველი ტყვია ფეხში მოხვდა, მერე მაგიდაზე ავიდა და იქიდან საკონტროლო ტყვია კიდევ ესროლა. ახლა თემური პირველი ჯგუფის ინვალიდია.

P.S. ვნახოთ, რას იტყვის განსასჯელი და რამდენად დამაჯერებელი იქნება მისი ჩვენება.



სასნა

24 მანეთად ნაყიდი ზილეთები, შეურყვანელი დასავლეთი და კონტრასტი დასავლეთსა და საქართველოს შორის

ალბათ იშვიათია ადამიანი, რომელსაც მოგზაურობა არ იზიდავს; ქართველი როკერი — ლადო ბურდული კი მიიჩნევს, რომ მოგზაურობას თავისი განსაზღვრული ასაკი აქვს... რომლის გადაბიჯების შემდეგ, ადამიანი წყნარ და მდორე ცხოვრებას უბრუნდება. ამჯერად უცხო ქვეყნის შთაბეჭდილებებსა და მოგზაურობაზე ლადო ბურდულს ვესაუბრეთ — როგორ მოგზაურობდა საბჭოთა დროს და როგორია მისი საოცნებო საქართველო, ამას ინტერვიუდან შეიტყობთ.

ელენე ბასილიძე

— მოგზაურობა მიყვარდა... ვფიქრობ, რომ მოგზაურობას თავისი ასაკი აქვს; 16-17 წლიდან სხვადასხვა ქვეყანაში დავდიოდი, სულ ვმოგზაურობდი და უამრავი რამ მაქვს ნანახი. მერე კი უკვე ასაკი რომ მომემატა, საქართველოში ჩემს მიყვავი ხელი.

რა გჭირდებოდა მოგზაურობისთვის?

— მაშინ, როცა კონსერვატორიაში ვსწავლობდი, კომუნისტების დრო იყო, სტიპენდია 50 მანეთი მქონდა და სტუდენტულით თვითმფრინავის ორმხრივი ბილეთის აღება 24 მანეთი მიჯდება. თუ რაიმე კარგი კონცერტი ან „ტუსოვკა“ იგეგმებოდა, მეგობრები მოსკოვიდან მირეკავდნენ და მეორე დღეს უკვე მათთან ვიყავი ხოლმე (ისეც ხდებოდა, შუალაშით რომ დამირეკავდნენ, დილით უკვე მოსკოვში ვიყავი). ალბათ ბევრი



დამეთანხმება, რომ ძალიან ადვილი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირის ნებისმიერ ქვეყანაში გადაფრენა, მაგრამ საზღვარგარეთ წასვლა საშინელება გახლდათ, თვითმფრინავები მხოლოდ მოსკოვიდან დაფრინავდნენ. ათასი ნებართვა, ვიზა და „კაგებე“ უნდა გადაგეღებოდა, რომ სასურველ ქვეყანამდე ჩაგეღწია. თან მაშინ უცხო ქვეყნის საელჩოები მხოლოდ მოსკოვში იყო და გასამგზავრებლად ბევრი წვალეა გჭირდებოდა. სამაგიეროდ, იმ ქვეყნებში, რომლებიც საბჭოთა სივრცეში შედიოდა, „ავტოსტოპებითაც“ კი მიმოგზაურია. ჩემი ცხოვრება მე მებარა, თავს საკუთარი თავის ბატონ-პატრონად მივიჩნევდი და კარგადაც ვერთობოდი. მარ-

თალია, ახლა ყველა გზა გახსნილია, მაგრამ ამას წინათ, ახალგაზრდების საუბარს მოვკარი ყური, ერთი მეორეს ეკითხებოდა: შავი ზღვა როგორია?! რა თქმა უნდა, იმას არასოდეს ვიტყვი, საბჭოთა რეჟიმი სჯობდამეთქი, მაგრამ ყველაფერი იაფი იყო და 200-300 მანეთად ისე მაგრად „იგულავებდი“, რომ დღეს მსგავსი დროს ტარებისთვის 2.000 დოლარი არ გეყოფა... ისე, მაშინ ჩემნაირები ცოტანი იყვნენ, რომლებსაც საბჭოთა წყობილების მიმართ პროტესტის გრძობა უჩნდებოდათ, თუმცა ყველანი ერთმანეთს ვიცნობდით... ხალხი თითქოს 2 ბანაკად იყო გაყოფილი — ჩვენ და ისინი, რომელნიც კომუნისტებზე ლოცულობდნენ... მიუხედავად იმისა, რომ მათ გაცილებით მეტი ფული ჰქონდათ და გაცილებით მაგრად შეეძლოთ დასვენება, ვიდრე ჩვენ, ამას ვერასოდეს ახერხებდნენ ჩვენზე უკეთესად! მაშინ რომ დროს ვატარებდით, „პატრიოტთა ბანაკებში“ გატარებულ დღეებს ნამდვილად სჯობდა...

— დაახლოებით რამდენი ქვეყანა გინახათ?

— თუ ყოფილ საბჭოთა კავშირში შემავალ თითქმის ყველა ქვეყანას არ ჩავთვლით, რამდენჯერმე ვარ ნამყოფი — გერმანიაში, პოლანდიაში და საფრანგეთში. პირველად გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში 1976 წელს მოვხვდი; მაშინ გერმანია ორ ნაწილად იყო გაყოფილი... იმ პერიოდში მიხვდი, რამხელა ბედნიერებაა ისეთ დალაგებულ ქვეყანაში ცხოვრება, სადაც ერთმანეთს არ ატყუებენ და ტყუილი კანონით ისჯება! ყველა ბედნიერი და გადიმბულია... გერმანიაში პატარა პანსიონატში ვცხოვრობდი... სწორედ იმ პანსიონატმა



მოცა შესაძლებლობა, გამეცნობიერებინა, თუ რა იყო კარგი და ცუდი, ვისი უნდა დამეჯერებინა და ვისი წინააღმდეგი ვყოფილიყავი... პირველი შოკი მაშინ მივიღე, ავტობუსში რომ ჩავჯექი და დაბალ ხმაზე მუსიკა მოვისმინე! ის სულ არ ჰგავდა ჩვენსას — პატარა ფანჯრები რომ ჰქონდა, გარეთ არაფერი ჩანდა და შიგ ვირთხებივით ვიყავით გამომწყვდეულები; ამ ყველაფრის შემდეგ გერმანული კომფორტი, ნამდვილ სამოთხედ მომეჩვენა (იციინის).

რომელია თქვენთვის დაუცნობარი ქვეყანა?

— ...გერმანია! ძალიან მიყვარს და თავად გერმანულ ხალხსაც დიდ პატივს ვცემ...



გერმანულ ხალხსაც დიდ პატივს ვცემ...

მიუხედავად იმისა, რომ ცივ ხალხად მიიჩნევა?

— თუ დაგინახეს, რომ „მაიუნნი“ ხარ, მაღაზიიდან აღარ იცი, რა მოიპარო, მაშინ ცივები იქნებიან, აბა, რა?! ასე რომ, გერმანია ის ქვეყანაა, სადაც თავს კომფორტულად ვგრძნობ.

რომელია ქვეყანა თუა ისეთი, რომელსაც ვერაფრით შეეგუეთ?

— ასეთი შეგრძნება ამსტერდამში ყოფნისას გამიჩნდა. ჩასვლისთანავე შევნიშნე, რომ ის, რაც საქართველოში გარყვნილებად მიიჩნეოდა და კანონით ისჯებოდა, იქ იმის რეკლამა კეთდებოდა! საოცარი თავისუფლება რომ დავინახე, კანალამ გადავირიე (იციინის). მახსოვს ასევე ნამდვილი ბერლინი, სანამ საბჭოთა კავშირიდან ჩვენების კრიმინალური დაჯგუფებები ჩავიდოდნენ და ბავშვების მოტაცება, მანქანებით ვაჭრობა და ათასგვარი სისაძაგლე დაიწყებოდა... მოკლედ, კარგი დასავლეთი მახსოვს, ასე ვთქვათ, შეურყენელი (იციინის)

ლადო, უცხო ქვეყნის სამზარეულოს ადვილად ეგუები?

— იცი, რა? არ მაქვს სამზარეულოსადმი დიდი გართულება; ჭამას დიდ ყურედლებას არ ვაქცევ, რადგანაც გამორჩეული გურმანი არ ვარ; იოლად ვიკვებები. ამ ბოლო დროს, პარიზში ყოფნის მერე უფრო დავიწყე საკვების გარჩევა. იქ ისეთი უგემური კერძები იყო, რომ განსხვავება აშკარა იყო ჩვენსა და მათ სამზარეულოს შორის. მიყვარს იაფად და ხარისხიანად ჭამა, „ფასთ ფუდების“ კლინტი ვარ. აი, სასმელებს რაც შეეხება, ლუდის „პრომოუტორი“ ვარჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა საქართველოში ლუდის სმა „გრეხად“ მიიჩნეოდა და ამ სასმელით მხოლოდ ცუდი ხალხის სადღეგრძელოს ამბობდნენ. პირველად, როცა გერმანიაში ლუდი გავისინჯე, მაშინ მიხვდი, თუ როგორ გვატყუებდნენ, რომ მათ ლუდსა და ჩვენს „რალაც სასმელსაც“ ლუდი ერქვა (ილიმება)... 1992 წელს პირველად „ბორდოს“ ღვინო რომ დავლიე, მიხვდი, ქარხნული წესით ჩამოსხმულ ღვინოს თურმე გემო ჰქონია, მაშინ საქართველოში კარგი ღვინო მხოლოდ ოჯახში მზადდებოდა...

ლი გურმანი არ ვარ; იოლად ვიკვებები. ამ ბოლო დროს, პარიზში ყოფნის მერე უფრო დავიწყე საკვების გარჩევა. იქ ისეთი უგემური კერძები იყო, რომ განსხვავება აშკარა იყო ჩვენსა და მათ სამზარეულოს შორის. მიყვარს იაფად და ხარისხიანად ჭამა, „ფასთ ფუდების“ კლინტი ვარ. აი, სასმელებს რაც შეეხება, ლუდის „პრომოუტორი“ ვარჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა საქართველოში ლუდის სმა „გრეხად“ მიიჩნეოდა და ამ სასმელით მხოლოდ ცუდი ხალხის სადღეგრძელოს ამბობდნენ. პირველად, როცა გერმანიაში ლუდი გავისინჯე, მაშინ მიხვდი, თუ როგორ გვატყუებდნენ, რომ მათ ლუდსა და ჩვენს „რალაც სასმელსაც“ ლუდი ერქვა (ილიმება)... 1992 წელს პირველად „ბორდოს“ ღვინო რომ დავლიე, მიხვდი, ქარხნული წესით ჩამოსხმულ ღვინოს თურმე გემო ჰქონია, მაშინ საქართველოში კარგი ღვინო მხოლოდ ოჯახში მზადდებოდა...

— როდესაც რამდენიმე წლის შემდეგ კვლავ სტუმრობ იმავე ქვეყანას, თუ დაჰკვირვებინარ, რამდენად იცვლება მათი ცხოვრება?

— პატარ-პატარა ცვლილებები ყოველთვის შესამჩნევია, მაგრამ საზღვარგარეთ ახლა ქალაქებს ჩვენსავით არ ალამაზებენ... მათი იერი უკვე ჩამოყალიბებულია და იშვიათად ცვლიან რაიმეს...

როდესაც მოგზაურობიდან მშობლიურ ქვეყანას უბრუნდები, რა გრძნობა გეუფლება?

— ყველა ნორმალური ადამიანისთვის, რომელსაც საკუთარი ქვეყანა უყვარს, სამშობლოში დაბრუნება, რა თქმა უნდა, დიდი სიხარულია... რამდენიმე დღის წინ პარიზსა და ნანტში ვიყავი მიწვეული. ფესტივალი იყო — „თბილისი ანდერგრაუნდი 80-იანები“ და მეგობარმა მთხოვა, 30 წელია, თბილისიდან „დიმპიტაური“ ჩამოდის და იქნებ თქვენც ჩამოხვიდეთ და რაიმე ახალი გვაჩვენოთ.

შთაბეჭდილებებით სავსე დაბრუნდებოდი...

— კი, მართლა არაჩვეულებრივი დრო გავატარეთ, სასწაული იყო, მაგრამ რატომღაც იქაურობას სულ საქართველოს ვადარებდი... თბილისზე ათჯერ დიდ ქალაქში მანქანები სიგნალს არ აძლევდნენ, უწვრილეს ქუჩებში ჩუმად და წყნარად დადიოდნენ, უღიმოდნენ და გზას უთმობდნენ ერთმანეთს... უცერად ჩვენი ქვეყანა გამახსენდა, „პიპინი“, დედის გინება, ფანჯრიდან წელამდე ამომხტარი მყვირალა მძლოლები და გული დამწყდა... ფრანგები ამბობდნენ, კრიზისის გამო ხალხი ცოტა გაღიზიანებული და დაძაბულია... მათ თუ გაღიზიანებული ჰქვიათ, ჩვენ ყველა „ასათიანის“ პაციენტები ვყოფილვართ (ილიმება)! ჩავატარეთ კონ-



მათ თუ გაღიზიანებულები ჰქვიათ, ჩვენ ყველა „ასათიანის“ პაციენტები ვყოფილვართ

ცერტები და უკან დაბრუნებისას გულწრფელად გეტყვი, რალაც-რალაცებმა სასონარკვეთილებში ჩამაგდო... პარიზიდან მოვეფრინავდი. უზარმაზარი აეროპორტი და თვითმფრინავები საოცარი განრიგით დაფრინავს. ჩვენთან ისე ალბათ ავტობუსებიც არ დადიან. ამ მხრივ საქმე საოცრად მონესრიგებულია... თვითმფრინავი რომ აფრინდა, ილუმიანტორიდან, 5-10 წუთის განმავლობაში, სიამოვნებით ვათვალიერე პარიზი: მოვლილი ბუნება, ლამაზ-ლამაზი სახლის სახურავები... საქართველოს რომ მოვუახლოვდი, ტელევიზორში ავლანეთს რომ აჩვენებენ — დაბობილსა და მიწასთან გასწორებულს, აქაურობა დაახლოებით იმას ჰგავდა. ყველაფერი უფერული... დღისით ჩამოვეფრინდი და დავერწინას, პირველი, რაც დავინახე, აეროპორტის მახლობლად ძროხები და ცხვრები ბალახობდნენ... დანგრეულ შენობებთან ნაგავი ეყარა, სადაც ძაღლები იქექებოდნენ... არ მინდა, რა, ასეთი საქართველო!.. მინდა, რომ ის სუფთა იყოს როგორც გარეგნულად, ასევე — სულიერად...

ოცნების ახდენას გისურვებ!

— გაიხარე, დიდი მადლობა!



არ მინდა, რა, ასეთი საქართველო!..



გოგიჩა და მისი ახალი ამბავით გახარებული „პრინსესები“

„იმედის“ არხზე, ცოტა ხნის წინ, ორი ლამაზი გოგონას მონაწილეობით გადაღებული „პრომო“ გამოჩნდა. იმის გამო, რომ ვიდეორგოლში ეს ორი გოგონა საძინებელსა და სააბაზანოშია გადაღებული, ამ გადაცემით უამრავი ადამიანი დაინტერესდა. ისიც კი თქვეს, დილის გადაცემას გოგონები სააბაზანოდან დაინწყებენო... რასაკვირველია, ეს უბრალო ჭორია. მომღერალი ქრისტიანე იმედაძე და „მის საქართველო 2009“-ის მონაწილე — ნუკი კოშკელიშვილი გადაცემას „იმედის“ სტუდიიდან გიორგი გოგიჩაიშვილთან ერთად წაიყვანენ. ინტერვიუს ჩასაწერად მათ სამსახურში ვეწვით.



ნათია ჭიჭიკა

— საიდან გაჩნდა იდეა, რომ „იმედის“ დილის გადაცემის წამყვანებად სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანები მოეწვიეთ? **გოგიჩა:**

— ცოტა „გავიზარდე“ და ამიტომაც აღარ ვარ საბავშვო გადაცემაში, თუმცა ისევ იქ დაბრუნება მინდა, ოღონდ ამ გადაცემის პარალელურად. აქ კი ინგა დადიანის მეშვეობით მოვხვდი. ინგა დილის გადაცემის პროდიუსერია. სწორედ მან მომმართა ამ წინადადებით. მეც დავთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ „რუსთავი 2“-ის მხრიდანაც მქონდა გარკვეული შემოთავაზება. ვარჩიე, ჩემი კარიერა „იმედში“ გამეგრძელებინა, რადგან აბსოლუტურად ყველა სახის გადაცემის წამყვანი ვყოფილვარ, მაგრამ დილის პროექტში მონაწილეობა აქამდე არ მიმიღია. მოკლედ, ინგას წყალობით, დღეს სამსახური მაქვს. მერე ეს ჩემი პრინციპებიც მოიყვანეს...

ქრისტიანე

— ნამდვილად არ ვიცი, აქ როგორ მოვხვდი. „იმედში“ აბსოლუტურად სხვა საქმეზე ვიყავი მოსული და შემთხვევით ამ გადაცემაში აღმოჩენიდი... ძალიან მიხარია, რადგან რაც ჟურნალისტიკის ფაკულტეტი დავამთავრე, მას შემდეგ ამ პროფესიით არ მიმუშავია. არადა, მაინტერესებდა... სიმართლე რომ ვთქვა, კორესპონდენტობა

არ მინდოდა, რადგან არ მომწონს; გადაცემის წამყვანობაზე კი ნამდვილად ვოცნებობდი, მაგრამ ამას ხმამაღლა არ ვამბობდი.

რატომ?

— საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების მეშინოდა და ვერ ვბედავდი, ვინმესთვის ამ წინადადებით მიმემართა. ახლა კი აბსოლუტურად მოულოდნელად მოვხვდი დილის გადაცემაში. ამ შემოთავაზებაზე უარს ნამდვილად ვერ ვიტყვოდი.

ნუკი:

— რაც შემეხება მე, პირველად „იმედის“ ტელევიზიაში, „მის საქართველოს“ „პრომოს“ ჩაწერაზე მოვედი. ჩემი ტექსტი რომ ჩაწერე, რეჟისორმა მთხოვა, თუ შეგიძლია, თქვი: „ახლა დილის რვის ნახევარია. გარეთ წვიმს, მაგრამ მე შემოვიტან ხალისს თქვენს ცხოვრებაში“. მეც ვთქვი ეს წინადადება და ნამოვედი. ზუსტად ერთ კვირაში კი დამირეკეს, მომიწვიეს, გოგიჩასთან ერთად „პილოტი“ ჩაწერეს და დილის გადაცემის წამყვანადაც დამამტკიცეს.

— რა პროფესიის ხარ? **ჟურნალისტიკის სფეროში რაიმე სახის გამოცდილება თუ გაქვს?**

— პროფესიით დიპლომატი ვარ. ამერიკული ჰუმანიტარული უნივერსიტეტის მესამე კურსზე ვსწავლობ.

ჟურნალისტიკაში კი არანაირი გამოცდილება არა მაქვს. სიმართლე რომ ვთქვა, ამაზე ყოველთვის ვოცნებობდი. ხომ იცით, ჩემი ასაკის ადამიანებს ყველაფერი გვინტერესებს და გვინდა, საკუთარი თავი ბევრ სფეროში გამოვცადოთ. მგონია, რომ გადაცემის წამყვანობაზე ბევრი ოცნებობს. მე ეს შანსი მომეცა და ვნახოთ. იმედი მაქვს, ამას კარგად გამოვიყენებ...

— როგორც გაგიგე, „მის საქართველოს“ კონკურსის სუთულში ვერ გახვდები...

— მართალი ხარ, სუთულში არ გავსულვარ, მაგრამ გავხდი — „მის ტელეგენურობა“ და „მის ინტელექტი“.

გოგიჩა:

— და მიიღე სამსახური „იმედში“. ესეც ხომ „მის საქართველოს“ წყალობით მოხდა! მგონია, რომ გადასარევი ჯილდოები შეგხვდა.

— ნუკი, როგორ ფიქრობ, ჟურნალისტიკობას თავს კარგად გაართმევ? **მგონი, არც ისე ადვილია, პირდაპირი ეთერის საშუალებით მთელ საქართველოს ელპარაკო...**

— მაქსიმალურად ვეცდები, დილის გადაცემის ხელმძღვანელობის იმედი გავამართლო. ამაში აქ არსებული დადებითი მუხტიც დამეხმარება. ყველა კარგად შემხვდა და ყველა მესმარება. ამიტომ მგონია, რომ ჟურნალისტიკობას შევძლებ.

— დილის ეთერს სამივე ერთდროულად ნაუძღვებით?

გოგიჩა:

— არა. ერთი კვირა ნუკი იმუშავებს, მეორე კვირას — ქრისტიანე შემომიერთდება. მე კი სულ ვმუშაობ.

ქრისტიანე:

— გოგიჩა შეუცვლელია!..

— გოგონებო, გოგიჩა გამოცდილი ტელეწამყვანია. გესმარებათ? **რჩევებს გაძლევთ?**

— გოგიჩა ყოველთვის ყველაფრით კმაყოფილია და შენიშვნებს არ გვაძლევს. ეს კი იმის ბრალია, რომ ძალიან კეთილი ადამიანია.

ნუკი:

— ამდენი წელი ბავშვებთან თუ იმუშავებ, შენც კეთილი იქნები.

ქრისტიანე:

— იმ ბავშვებთან ხანდახან, გოგიჩასთან ერთად, მეც დავდიოდი, მა-



გრამ წამყვანის გამოცდილება ვერ მივიღე. ისე კი კეთილი მეც ვარ. რაც შეეხება ჩემს წამყვანობას, მგონია, რომ ეს მეც კარგად გამომივა, რადგან ვილატ-ვილატებს გამოსდით. როგორც ვიცი, უნიჭო არ ვარ... პირდაპირ ეთერში მუშაობის პრაქტიკა არა მაქვს, მაგრამ ამ სპეციალობას ხომ დავეუფლე. ამიტომ ყველანაირად შევეცდები, რომ დილის გადაცემას ღირსეულად წავუძღვე.

— ქრისტინე, ინტერვიუს დანწყობამდე ერთ-ერთი სტატიის სათაურის გამო, ჟურნალისტებზე ბრაზობდი. ეს პირველი შემთხვევა არ არის, ყოველთვის რაღაც სკანდალში ეხვევი. როგორ ფიქრობ, რისი ბრალია?

— ჟურნალისტი ბოროტი არ უნდა იყოს და ცუდად არ უნდა დაასათაუროს სტატია. მესმის, ამას ჟურნალის კარგად გაყიდვის მიზნით აკეთებს, მაგრამ უნდა გაითვალისწინოს, რომ ამით მე მიქმნის პრობლემას ოჯახში, ქმართან. ისე, მართალი ხარ, ყოველთვის ვხვდები სკანდალში, მაგრამ — რატომ, ვერაფრით ვხვდები... ჯერ ვერ დავადგინე.

— ახლა ხმაური თქვენი გადაცემის „პრომო“ გამოიწვია, რომელშიც, ფაქტობრივად, შიშვლები ჩნდებიან კადრებში. ამ „პრომოს“ როცა იღებდით, მაშინ არ ფიქრობდით იმაზე, რომ ხალხი „კუდებს“ გამოაბამდა?

— ძალიან მომწონს ეს „პრომო“ და მიმაჩნია, რომ იმ კადრებში ძალიან ლამაზად გამოვიყურებ.

ნუჰი:

— მეც ასე ვფიქრობ. ეს „პრომო“ ძალზე ლამაზია.

— გოგინა, ჟურნალისტი მუუღლე — ნათია ბანძელაძე როგორ შეხვდა დილის გადაცემაში შენს მიწვევას? „რუსთავი 2“-ის შემოთავაზებაზე იმიტომ ხომ არ თქვი უარო, რომ ნათია იქ მუშაობს?

— ერთ-ერთი მიზეზი ესეც იყო. ცოლ-ქმრის ერთად მუშაობა, არ არის მაინცდამაინც კარგი. მან ჩემი დღის განრიგი ზეპირად არ უნდა იცოდეს. იქნებ მინდა, რომ გავიდე და მეგობარი ვნახო. განა ეს ნათიასთვის პრობლემა იქნება, მაგრამ ცოლ-ქმარმა ერთმანეთზე ბევრი რომ იცის, ურთიერთობა უკვე ინტერესს კარგავს. 12 წელია, მე და ნათია ერთად ვცხოვრობთ და ჩვენთვის ყოველი დღე აღმოჩენაა. მინდა, მომავალშიც ასე გაგრძელდეს. ნათიას ძალიან გაუხარდა, მუშაობა „იმედის დილაში“ რომ დაიწყე.

— პროფესიულ რჩევებს სწორად გაძლევს?

— რა თქმა უნდა. საერთოდ, ისეთი ოჯახი გვაქვს, რომ ერთმანეთს ყოველთვის ვაძლევთ გარკვეულ რჩევებს. ჩვენი შვილების თაობა ყველაფერს სხვაგვარად აღიქვამს. ამიტომ მათი რჩევებიც ძალიან გვანტერესებს. ეს ჩვენთვის ჩვეულებრივი მოვლენაა. ოჯახის წევრების რჩევებს აუცილებლად ვითვალისწინებ.

— ნათია ხომ არ ეჭვიანობს, ეთერში ორ ლამაზ გოგონასთან ერთად რომ ჩნდები?

— არა, რას ამბობ?! ორივე ჩემი შვილის ტოლია. მათ, როგორც ჩემს შვილებს, ისე ვუყურებ. რა არის საეჭვიანო?

— გოგონებო, თქვენი ოჯახები როგორ შეხვდნენ თქვენს ახალ საქმიანობას?

ნუჰი:

— გასულ ზაფხულს, მამაჩემი მეუბნებოდა, — სექტემბრიდან აუცილებლად უნდა დანიწყო მუშაობაო. თუმცა მას მიაჩნდა, რომ აუცილებლად საკონსულტო უნდა მემუშავა. სხვა რამის გაგონებაც კი არ სურდა. როცა „იმედის დილის“ წამყვანობა შემომთავაზეს, ჩემდა გასაკვირად, ძალიან გაუხარდა. ვგრძნობ, რომ ჩემით ამაყობს კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ჩვენი გადაცემის „პრომო“ ცუდად აღიქვა, მამას ამასთან დაკავშირებით, პრობლემა არ ჰქონია.

ქრისტინე:

— ჩემი ოჯახის წევრებსაც გაუხარდათ ჩემი „იმედში“ მუშაობის დანწყება. სულ მეუბნებოდნენ, იქნებ რაღაც სერიოზული გააკეთო ცხოვრებაშიო.



მათ, როგორც ჩემს შვილებს, ისე ვუყურებ

ისინი ჩემს მუსიკალურ კარიერას ყოველთვის არასერიოზულად აღიქვამდნენ და მათთან სულ პრობლემა მქონდა ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიებისა და სათაურების გამო. მიაჩნდათ, რომ ჟურნალისტიკა უფრო სერიოზული საქმე იყო, ვიდრე — რესპონდენტობა. ერთადერთი ოჯახის წევრი, ვისაც ჩემი სამსახურის დანწყება არ უხარია, ჩემი შვილია, რადგან არ ესიამოვნება, დილით რომ გაიღვიძებს და გვერდით არ დავხვდები. მაგრამ არა უშავს, ტელევიზორს რომ ჩაუერთავენ, თან მიყურებს და თან ისაუბრებს.

— იქნებ თქვენი გადაცემის კულტურებშიც ჩაგვახედოთ. ტექსტს ალბათ გინერვს. ექსპრიმტად ამბობთ რაიმეს თუ მხოლოდ სცენარის მიხედვით საუბრობთ?

ნუჰი:

— ჩვენი გადაცემა ძალზე ბუნებრივია და სწორედ ამიტომ განსხვავდება სხვა გადაცემებისგან. ჩვენ გვაქვს გადაცემის „ჩონჩხი“, დანარჩენი კი ჩვენზე დამოკიდებული. დიალოგს აბსოლუტურად ჩვენი წარვმართავთ.

გოგინა:

— ისეთი ატმოსფეროა, თითქოს ოჯახში ხარ და ოჯახის წევრებთან საუბრობ. ტექსტს წინასწარ არ ვიზუთხავთ.

ქრისტინე:

— უკვე ბევრი ვიცი, ვინც ჩვენს გადაცემას სიამოვნებით უყურებს. მართალია, მყავს მეგობრები, რომლებიც ზუსტად ვიცი, რომ პირდაპირ ეთერში ვერასოდეს მიხილავენ, რადგან შუადღეს იღვიძებენ, მაგრამ იმედი მაქვს, მაინც ბევრი მაყურებელი გვეყოლება.

— გოგინა, როგორც თქვი, საბავშვო გადაცემაში დაბრუნებაზე ისეც ფიქრობ...

— მინდა, რომ რაღაც საბავშვო გადაცემა გავაკეთო, რადგან ჩვენს სატელევიზიო სფეროში ბავშვებს ძალზე ცოტა დრო ეთმობა. რაღაც განსხვავებული უნდა მოვიფიქრო.

ნუჰი:

— გოგინა, მოვიფიქრე: შენს გადაცემაში, სტუდიაში მოვლენ ბავშვები, დახატავენ რომელიმე მულტიფილმის პერსონაჟს. მათ შორის საუკეთესოს შეარჩევ და იმ ნახატს მულტიფილმის გმირად გამოიყენებ. ასე გადაიღებ მრავალსერიიან ნამუშევარს და გადაცემაც საკმაოდ რეიტინგული გამოვა.

გოგინა:

— გადასარევი იდეაა. მერე მე რას მეუბნები, შენ გააკეთე ეს გადაცემა. ყოჩაღ!

ნუჰი:

— ტყუილად კი არ გავხდი „მის ინტელექტი“!..



„პური მავრამ უნდა გამოასხოს“

რისი რსხვენია შალვა რამიშვილს

დღეს მოუცლელია, ინტერვიუსთვის საჭირო დროს წინასწარ კითხულობს. დრო ციხეში საკმარისად ჰქონდა იმისთვის, რომ ეფიქრა მომავალ ცხოვრებაზე, თავის გაკეთებულ განცხადებებზე, რომლისაც ახლა რცხვენია კიდევ, და ოჯახზე, რომელმაც, როგორც თავად ამბობს, დიდი გამოცდა გაიარა და წარმატებით ჩააბარა.

შალვა რამიშვილის, როგორც ცინიკოსის იმიჯი ნელ-ნელა იმსწრევა. აღარც ამპარტავნობა იგრძნობა მის ხასიათში. ციხეში ძალიან შემცვალაო, — ამბობს. ვნახოთ, რამდენად შეიცვალა ცნობილი ტელენამყვანი.

ნიწო მკაღღიშვილი

— შალვა, თუ გაქქს ისეთი თვისება, რომელიც ბავშვობიდან შემოგრჩა?

— კი. მოუსვენრობა (მართლაც, ინტერვიუს მსვლელობისას მუდმივად წრიალებდა ადგილზე. — ავტ.)

— კოდექ?

— საწინააღმდეგო სქესისადმი ინტერესი და თავგადასავლების სიყვარული...

— შეგიძლია, ამ შროვ თავი ტომ სოიერს შეადარო?

— არა. ბავშვობაში დედა მკაცრად მზრდიდა და მუდმივად ცდილობდა, მოვეთოკე... გულახდილად გეტყვი, მთელი ბავშვობა გაუდუმებული „ბრძოლა“ მქონდა დედასთან. უწდოდა, რომ ხუთოსანი ვყოფილიყავი, კლასში ყველაზე კარგად მესწავლა, ეზოში ნაკლები დრო გამეტარებინა... მე კი რალაცებში ვწინააღმდეგებოდი. თუმცა ბევრს ვკითხულობდი და ეს გარკვეულწილად, ჩვენს ურთიერთობას არეგულირებდა.

— მაშინ, რატომ გეწიუებოდა დედა?

— იმიტომ, რომ მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობდი და არა — სასკოლო სახელმძღვანელოებს...

— როგორ ერთობოდი?

— კინოში სიარული მიყვარდა.

— სკოლაში როგორ სწავლობდი?

— ჩემი მასწავლებლები ამბობენ, რომ ძალიან კარგი და ნიჭიერი მოსწავლე ვიყავი.

— რომელ კლასშიდე?

— ბოლომდე...

— თუ იწო ისეთი საგანი, რომელიც არ გიყვარდა?

— კი, როგორ არა, ქართული ენა და ლიტერატურა არ მიყვარდა. ალბათ გახსოვთ ჩემი სკანდალური განცხადებები ილია ჭავჭავაძის შესახებ. ახლა იმ განცხადებების მრცხვენია კიდევ: ვინ ვარ მე, რომ ილია ჭავჭავაძე აუგად მოვიხსენიო?! მაგრამ მაშინ რალაც ეპატაჟური იყო ჩემში, მინდოდა, ქართულ რეალობას გაექცეოდი... 15



წლის ასაკიდან სურვილი გამიჩნდა, ყველაფერს ქართულს დავპირისპირებოდი. არ მომწონდა ქართული რეალობა და ვერ ვაცნობიერებდი, რომ ჩვენს ხელთ არის ამ რეალობის რეცვლის შესაძლებლობა. მე კი მეგონა, რომ ქვეყანა არ ვარგოდა, ხალხი და ლიტერატურა. ალბათ თვითონ ვიყავი შუემდგარი ადამიანი და საკუთარ „კომპლექსებს“ სხვას ვაბრალებდი.

— ამას არასრულფასოვნების კომპლექსი ჰქვია...

— ჰო, ეს მჭირდა ალბათ. „კუმირებს“ ვებრძოდი. ამ ბრძოლაში ძალიან ღრმად შევჭოპე და სწორედ ამის გამო იყო, ილია ჭავჭავაძისა და ზოგადად ყველაფერი ქართულის მიმართ გამოხატული ჩემი აგრესია. მათ შორის — ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართაც...

— რას იტყვი ქართულ ტრადიციებზე?

— ერი არ შეიძლება, იყოს ცუდი ან — კარგი. ერი ერია და ყველა ის ტრადიცია, რაც აქვს ამა თუ იმ ერს, ავკარგიანობის თვალსაზრისით რთულად შესაფასებელია.

— მათ შორის „ქალწულობის ინსტიტუტი“?

— „ქალწულობის ინსტიტუტი“ სოციალური ფონიდან გამომდინარე, მალე აღარ იქნება ჩვენში. თუ რიტმი აჩ-

ქარდა, თუ XXI საუკუნეში ახალგაზრდები იმდენ ფულს იშოვიან, რომ დამოუკიდებლად ცხოვრებას შეძლებენ, ურთიერთობის ფართო წრე ექნებათ, ოჯახს მოსწყდებიან, ეს ამ ტრადიციაზე დიდ გავლენას მოახდენს. ტრადიცია ხომ სოციუმზეა მიბმული?..

— საწინააღმდეგო სქესის მიმართ ინტერესი მქონდა ბავშვობიდანო, — მითხარო. გახსოვს, ვინ იყო შენი პირველი ინტერესის ობიექტი?

— სკოლაში მიყვარდა ალბათ ვილაც, მაგრამ არ მახსოვს... იქნებ ბევრიც იყო ერთდროულად. არც ეგ მახსოვს...

— კლასელი გყვარებია?

— როგორ გეკადრება! ჩვენს დროს კლასელს ვერ შეიყვარებდი, ვერც მეზობელს...

— ერთი შენი სასიყვარულო თავგადასავალი გაიხსენე, რა!

— ნუ ჩამაცვიდები, არ მახსოვს...

— მეუღლე, როდის გაიცანი?

— 1998 წელს.

— თუა სიყვარულში პირველი რომ გამოგტყდომოდა, მის მიმართ ინტერესი დაგეკარგებოდა?

— არა, რა თქმა უნდა. თუა არის ადამიანი, რომელიც ძალიან მიყვარს, ჩვენმა სიყვარულმა დიდი გამოცდა გაიარა და ყველაფერს გაუძლო... ის ჩემი ცხოვრების ნაწილია, ჩემი მეგობარია, შეყვარებულია და ყველაფერია. ჩვენი შეხვედრა ბედისწერა იყო და რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გამოგტყდებოდა პირველი სიყვარულში?.. თუ გაინტერესებს, გეტყვი, რომ ეს ფუნქცია მე ვიკისრე და სხვათა შორის, დიდი ძალისხმევა დამჭირდა თეას გულის მოსანადირებლად.

— რატომ?

— როგორ გითხრა, თუა ძალიან მომხიბვლელი გოგონა იყო და არის. მისნაირი გოგონების მოხიბვლა იოლი არ არის. თან ამ ცხოვრებაში მაშინ მე საკუთარი ადგილი ვერ კიდევ მოსაძებნი მქონდა.

— არც თავყანისმცემელთა „არმია“ გყავდა გარშემო?

— არა, რა თქმა უნდა, თავყანისმცემელთა „არმია“ არასდროს მყოლია და არც მეყოლია.

— რატომ?

— ჩემნაირ მამაკაცებს არ ჰყავთ ბევრი თავყანისმცემელი...

— თავად როგორ ხარ?

— ოდნავ ცინიკური, შემტყვი, ზედმეტი სენტიმენტალიზმის წინააღმდეგი.

— არარომანტიკულიც?



რუსულ-ქართული ომის ამსახველ ფილმში ქართველ გმირებს რუსი კასკადორები ეხმარებიან

— შეიძლება, ასეც ითქვას და წარ-
მოუდგენელია, ასეთი ადამიანი ბევრ გოგ-
ონას უყვარდეს.

— მეუღლისთვის სიურპრიზი თუ
გაგიკეთებია?

— სწორად არა, მაგრამ გამიკეთებია...

— ყვაფილები მიგირთმევია
ცოლისთვის?

— კი, მაგრამ დამეთანხმე, რომ ეგ
სიურპრიზი არ არის.

— თუ დილით, მინდვრის
ყვაფილების სურნელი გაგაღვი-
ძებს, მაშინ არის?

— კი, მაგრამ ასეთი სიგიჟეებიც არ
ჩამიდენია...

— მეუღლის მობილურ ტელე-
ფონში სასიყვარულო „ესემესები“
რომ აღმოაჩინო...

— (მანყვეტიანებს. — ავტ.) არა,
როგორ უნდა აღმოვჩინო?!

— დაფუშვათ...

— ვერ დაფუშვებ, ამისთვის უნდა
ჩავიხედო მის ტელეფონში. ეს გამორ-
იცხულია. როგორც კი ჩემი ცოლის
ტელეფონის შემონებებს დავინყებ, ჩვენი
ოჯახური ურთიერთობაც დამთავრდება.
თუ ეჭვიანობის განცდა გაგიჩნდა, მაშ-
ინვე უნდა დამთავრო ურთიერთობა...

— შენ ეს განცდა არ გაგჩენია?

— არა, როგორ გეკადრება?!

— არც თეაა ეჭვიანი?

— არა.

— ზარმაცი თუ ხარ?

— არა. სიზარმაცის გამო საქმე
არასდროს გადამიდგია.

— როდის ტირი?

— არასდროს მიტირია!

— ძალიან მიმე დღებშიც?

— ემოციას სხვანაირად გამოვხატავ,
გაბრაზებით, შეიძლება, ისტერიკაც დამე-
მართოს და ნივთებიც დავამტვრიო, მა-
გრამ ცრემლებს არ ჩამოვყრი.

— როცა შინ მშვიერი ბრუნ-
დები და კერძი არ გხვდება
მომზადებული, ამაზე შეიძლება,
ისტერკა დაგემართოს?

— არავითარ შემთხვევაში. ციხემ
ძალიან შემცვალა, პრეტენზიული აღარ
ვარ. ნებისმიერ საკვებს მივიღებ. ყვე-
ლა შემთხვევაში, იმაზე უკეთესი იქნე-
ბა, ვიდრე იქ (ციხეს გულისხმობს. —
ავტ.) ვჭამდი.

— თავად თუ მოგიზადებია
კერძი?

— არა. „პური მეპურემ უნდა გამო-
აცხოს“. პურს შევჭამ, წყალს დავაყ-
ოლებ (ასე ხშირად დავნაყრებულვარ)
და სადილს ვერ გავაკეთებ.

— მშობელთა კრებაზე იგებ,
რომ შენმა შვილმა ნინო ბურ-
ჯანაძის კარიკატურა დახატა და
საკლასო ოთახის კარზე გააკრა.
რას ეტყვი შვილს?

— თუ კარგად დახატა, შევაქებ; თუ
არა და, უნიჭო ნახატია-მეთქი, — ვეტყვი.



რუსულ-ქართული ომის შესახებ პოლიგუდის რეჟისორი — რენი
პარლინი საქართველოში გრანდიოზულ, მსხვილბიუჯეტო ფილმს რომ
იღებს, ეს ყველამ კარგად ვიცით. ისიც ცნობილია, რომ ფილმში,
რომელსაც პირობითად, „ჯორჯია“ ჰქვია, საქართველოს პრეზიდენტს
— მიხეილ სააკაშვილს პოლიგუდის ვარსკვლავი ენდი გარსია განა-
სახიერებს. ებზოდები მისი მონაწილეობით უკვე გადაღებულია და
გარსიამაც ჩვენი ქვეყანა უკვე დატოვა. ხოლო ამ კვირას ჩვენთან
კიდევ ერთი ამერიკელი კინოვარსკვლავი — ველ კილმერი ჩამოვიდა.
ის ფილმში უცხოელი ჟურნალისტის როლს შეასრულებს...

ხათუნა ბახტურიძე ელენე ხირსელი

როგორც ცნობილია, მასობრივ სცენებ-
ში მონაწილეობა ნებისმიერ მსურველს
შეეძლო. პირველი გადაღებები, რომ-
ლებშიც ქართველები მონაწილეობდნენ,
ჯერ ნალკაში, შემდგომ გორში მიმდინარე-
ობდა. სწორედ იქ დავითანხმეთ ინტერ-
ვიუზე კობროდიუსერი (თანაპროდიუსერ-
ი) ზიორგი რამიშვილი.

— როგორ გაჩნდა ასეთი
მასშტაბური პროექტის გადაღების იდეა?

— ეს იდეა რეჟისორ დავით იმედაშ-
ვილის სტუდიაში დაიბადა. მის განხორ-



გიორგი
რამიშვილი

ციელებაში პაპუნა დავითაია დაგვეხმა-
რა. დაწვრთვით პროექტი და კინოცენტრს
წარუვადგინეთ, მერე ამერიკაში წავე-
იღეთ. დიდი მხარდაჭერა გვექონდა,
როგორც ჩვენი სახელმწიფოს მხრიდან,
ასევე ამერიკელი პარტნიორებისგან.

— ფილმი ვინ დააფინანსა?

— ფილმის ბიუჯეტი 30-40 მილ-
იონი ლარი იქნება. სახელმწიფომ დიდი
ხარჯი გასწია. ფილმში გამოყენებუ-
ლია ჯარი, პოლიცია, სხვა სახელმ-
წიფო სტრუქტურები. დამფინანსებელია
აგრეთვე, პოლიგუდის ერთ-ერთ სტუ-
დია. რაც შეეხება სპონსორებს, მათ
ჯერჯერობით ვერ დავასახელებ. მოვა
დრო და ყველაფერი გაირკვევა... ფაქ-
ტია ისიც, რომ მთავარ როლებს პო-
ლიგუდელი მსახიობები ასრულებენ.

— ფილმზე მუშაობა როდის
სრულდება?

— გადაღება 5 ოქტომბერს ნალკაში
დაიწყო. გადავიღეთ მასობრივი სცენები
— საომარი მოქმედებები. ძალიან საინ-
ტერესო და მდიდარი მასალა შევაგროვეთ
ფილმის „ტრეილერისთვის“ (ერთნუთიანი
რეკლამა). ნალკაში გადაღება რთული
აღმოჩნდა, ასევე ცხოვრებაც. თუმცა,
რთული პირობების მიუხედავად, საკ-
მაოდ ნაყოფიერად ვიმუშავეთ. ყველა



კმაყოფილია — რეჟისორი, პროდიუსერი, მსახიობებიც. ერთი კვირა გორში ვიმუშავეთ, მერე — ვაზინასა და თბილისში. სურათზე მუშაობა ნოემბრის ბოლოს დასრულდება.

— რას გვეტყვი ფილმის შინაარსზე?

— ეს არის მხატვრული ფილმი, რომელიც რეალურ ისტორიულ ფაქტებსა და მოვლენებს ეფუძნება. სურათი მოგვითხრობს ამერიკელ ურნალისტზე, რომელიც ერასმი სამსახურის დროს ქართველმა კაპიტანმა — რეზო ავალიანმა სიკვდილს გადაარჩინა. ამის შემდეგ ისინი დაამეგობრდებიან. მერე ურნალისტი მეგობართან საქართველოში ჩამოდის და მოულოდნელად ომის ქარცეცხლში ხვდება. ის აქ ერთ-ერთი სიუჟეტის მომზადების დროს, გოგონას — ოსურ-ქართული ოჯახის შვილს გაიცნობს. ფილმში, ცხინვლიდან ამ გოგონას ოჯახის გამოყვანის პროცესია ასახული... ისე, სცენარი გადალების დროს, გზადაგზა ვითარდება და ჯერჯერობით არც არის ბოლომდე ჩამოყალიბებული.

— შემოქმედებით ჯგუფზე კიდევ რას გვეტყვი?

— ფილმს წარმოშობით ფინელი, ცნობილი პოლიფუნქციონერი რეჟისორი რენი ჰარლინი იღებს. მას ჩვენი მსახიობები იცნობს ფილმებიდან: „კერკეტი კაკალი 2“, „მცოცავი“, „12 რაუნდი“ და სხვა; დამდგმელი ოპერატორია ასევე ცნობილი კინოხელოვანი — ფრანკვესკო ვარესე, რომელსაც ომის შესახებ საკმაოდ ბევრი ფილმი აქვს გადაღებული; „ცხელ წერტილებში“ მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს და გადაღებების დროს არაერთხელ ჩაუგდია საფრთხეში სიცოცხლე. პროექტზე პოლიფუნქციონერი ერთ-ერთი ძლიერი პროდიუსერი — პატრიკ ფლანინგენი მუშაობს. თუ მის ვინაობას ინტერნეტში მოიძიებთ, ფილმების მიხედვით მიხედვით, ვინ არის ეს ადამიანი. ჩვენი მხრიდან პროდიუსერები არიან — პაპუნა დავითაია და დავით იმედაშვილი. მე კოპროდიუსერი, ასე ვთქვათ, აღმასრულებელი პროდიუსერი გახლავართ.

— ფილმის მესვეურნი მასში მონაწილე ქართველ მსახიობებზე ნაკლებად ლაპარაკობენ...

— ფილმი ძირითადად, ამერიკელ და ევროპელ მსახიობებზეა გათვლილი, ამ-

იტომაც მთავარ როლებზე მსოფლიოში ცნობილი მსახიობები შეირჩა... რაც შეეხება ჩვენს მსახიობებს, — მონაწილეობენ: მიშა გომიაშვილი, გიორგი ყიფშიძე და ბევრი სხვა.

— პოლიფუნქციონერი კინემატოგრაფისტები როგორ აფასებენ ქართველ მსახიობების თამაშს?

— სრული პასუხისმგებლობით ვიტყვი, რომ ჩვენები პროფესიონალიზმით არაფრით ჩამოუვარდებიან ამერიკელებს. რეჟისორს ვკითხე და მიხარა: ქართველები საკმაოდ მაღალკვალიფიციური მსახიობები არიან, ემოციის გამოხატვა კარგად გამოსდით, მაღალ დონეზე ფლობენ „თვალეზებით მეტყველების ხელოვნებას“... უნდა აღვნიშნო ამერიკელთა პროფესიონალიზმი, რომელიც მუშაობის ტემპით გამოიხატება. დღეში ძალიან ბევრი სიუჟეტის გადაღება გვინევს, რაც ევროპელი და ქართველი კინომწარ-

უკაჩებისა“ და კასკადორების ჯგუფი მოვიწვიეთ. ესენი პროფესიონალები არიან, ამ საქმეში ბადალი არ ჰყავთ. ბევრ ცნობილ ფილმში მიუღიათ მონაწილეობა, მათ შორის — „ჯეიმს ბონდშიც“.

„ენდი გარსია ისეთი თვისებები გამოავლინა, რომ ყველანი გაცუებული დავრჩით“, — ერთხმად ამბობენ მსახიობები — თემურ კილაძე და გივი სხარულიძე, რომლებიც ფილმში — „ჯორჯია“ უკრაინისა და ლიტვის პრეზიდენტების როლებს ასრულებენ...

— ენდი გარსია თქვენზე რა შთაბეჭდილება მოახდინა?

გივი სხარულიძე, ლიტვის პრეზიდენტის როლის შემსრულებელი:

— ენდი გარსია დიდი ადამიანია. ალბათ იცით, როგორია ფილმის ის ეპიზოდი, რომელშიც მე ვთამაშობ — გარსია-საკამვილი სცენაზე გამოდის და



მოებლებსთვის უჩვეულოა. ქართველებს სწორედ მათი ტემპისთვის ფეხის აწყობა ცოტა გვიჭირს, ძალიან სწრაფად მუშაობენ... ამ მცირე ხანში საკმაოდ დიდი გამოცდილება შევიძინეთ, მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ.

— მასობრივ სცენებში მონაწილეობა ადგილობრივ მოსახლეობას უწყება.

— ამის ბევრი მსურველია, ვერც კი ავუდივართ... მუშაობა არ უჭირთ, დავალებებს კარგად ასრულებენ, ყველაფერს სიამოვნებით აკეთებენ. ხანდახან ხდება, რომ გადალების დროს „ვილაც კამერაში იყურება“, „დასახიჩრებული“ ადამიანი ილიმება, ასეთი რამ გამოცდილ ადამიანებსაც მოსდით... განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ტყვიებისა და ბომბების ქვეშ მოყოლილ ადამიანებს სწორედ ისინი ასახიერებენ (გორის მოსახლეობა), ვინც საკუთარ თავზე გამოცადა ეს ყველაფერი.

— როგორც ვიცი, რუსეთიდანაც გყავთ მონაწილე მსახიობები.

— ჩვენი ფილმი ძალზე მდიდარი იქნება სპეცეფექტებით. რუსეთიდან „ტრი-

ხალხს სიტყვით მიმართავს; ჩვენ — „ევროპელი პრეზიდენტები“ კი მას გვერდით ვუდგავართ და მისდამი მხარდაჭერას ასე გამოვხატავთ... პრეზიდენტების როლების შემსრულებლები ძალზე დაძაბულები იყვნენ. მათგან განსხვავებით, მე სრულიად თავისუფლად ვიდექი, რადგანაც საკუთარი პროფესიონალიზმის იმედი მაქვს. რომელ ვასკვლავსაც გნებავთ, იმას დაუდგები გვერდით. გარსია მინვდა, რომ ჩემი კოლეგები შებოჭილები იყვნენ, ყველას სათითაოდ ჩამოუარა და გაამხნევა. „ჰაუ არ იუ, მაი ფემას ფრენდ?“ — ჰკითხა ენ. ლატვიის პრეზიდენტს. მერე ჩემთან მოვიდა — „ჰაუ არ იუ, მაი დია, ფემას ფრენდ?“ გარდა იმისა, რომ გარსია კარგი ადამიანია, სუპერპროფესიონალიცაა. სააკაშვილს მხოლოდ გარეგნობით კი არ დაემსგავსა, ეცადა, მისი შინაგანი სამყაროც გაეთავისებინა და გარდაქმნილიყო.

— საკუთარი როლით თუ სარტ კმაყოფილი?

— რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ. ძალიან გამიხარდა, როდესაც ფილმში ლიტვის პრეზიდენტის როლი შემომთავაზ-



ამ კვირას ჩვენთან კიდევ ერთი ამერიკელი კინორეჟისორი — ველ კილბერი ჩამოვიდა



ეს. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემს ნიჭს აფასებენ, — აბა, ლამაზი თვალების გამო არავინ დამიძახებდა!

— **თქვენი გმირის შესახებ რაიმე თუ იცით?**

— ერთი რამ ნამდვილად ვიცი — ქართულ საქმეს კაცურად დაუჭირა მხარი. ის ჩაგრული ერის გვერდში მდგომი პრეზიდენტია.

— **თქვენი თამაშით რეჟისორი რენი ჰარლინი რამდენად კმაყოფილი დარჩა?**

— სიტუაციიდან გამომდინარე, ამ ეპიზოდში იმაზე მეტის გაცეობა, რაც გავაკეთეთ, ზედმეტი იქნებოდა. ერთმა ჩემმა მეგობარმა, რომელიც მთავრობის წევრია, გვთხოვა — ერთი დუბლი უფრო ემოციურად გვეთამაშა. ასეც მოვიქეცი.



გადაღებები გორში

სულ 6 დუბლი გადავიღეთ. რამე რომ შეგვეშლოდა, აუცილებლად გეტყოდნენ. რეჟისორს წინ 4 მონიტორი ედგა და ყველაფერს აკონტროლებდა. სხვათა შორის, მისმა ასისტენტმა ძალიან შეგვაქო...

— **გული არ დაგწყდათ, მთავარი როლები მხოლოდ უცხოელ მსახიობებს რომ მისცეს?**

— უნდა აღვნიშნო, რომ ჰოლივუდის ვარსკვლავებს არც ჩვენ ჩამოუფარდებოდა, მაგრამ ეგ არის — მათსავით პოპულარულები არა ვართ, ამერიკელი და ევროპელი მსახიობები კი კინოში მსახიობის გამო მიდის. იქ მსახიობის პიარისთვის მილიონები ისარჯება. „ჯორჯიას“ აფიშაზე გარსიას ნაცვლად, ჩემი, რამაზ ჩხიკვაძის ან ოთარ მელვიანეთუხუცესის გვარი რომ ეწეროს, მერნშუნეთ, ფილმით ბევრი არავინ დაინტერესდება.

— **როგორ გგონიათ — „ჯორჯია“ ქართველი ხალხის იმედს გაამართლებს?**

— ნამდვილად გაამართლებს. ფილმი, როგორც ძვირიც უნდა დაჯდეს, არ უნდა ვინუნუნოთ, იმიტომ, რომ ის საქართველოს გამარჯვებას მოუტანს.

— **რას გულისხმობთ — ამ ფილმმა გამარჯვება როგორ უნდა მოგვიტანოს?**

— ჩვენ დღეს იმის საშუალება არ გვაქვს, რომ უზარმაზარი რუსეთის იმპერიას ტანკებით, თვითმფრინავებითა და ავტომატებით მოვერიოთ. ამიტომ ჩვენ-

მა პრეზიდენტმა, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, აგრესორი რუსების წინააღმდეგ საინფორმაციო ომი წამოიწყო და მოიგო კიდევც. ეს ფილმი ამ გამარჯვების „ბოლო აკორდი“ იქნება.

— **მართლა ფიქრობთ, რომ სააკაშვილმა საინფორმაციო ომი მოიგო?**

— რა თქმა უნდა, მოიგო — რუსეთის აგრესიული სახე დაანახვა მსოფლიოს. ახლა მთელი ამერიკა და ევროპა ჩვენ გვერდით დგას...

მარჯანიშვილის თეატრის მსახიობი თემურ კილაძე უკრაინის პრეზიდენტს — ვიქტორ იუშჩენკოს ასახიერებს.

თქვენი პილაჟი:

— ვერც კი მოვასწარი იმ პრივილეგიების გამოყენება, რომლითაც პრეზიდენტები სარგებლობენ: სულ რაღაც 3 თუ 4 საათით „მერგო“ ეს საპატიო პოსტი. ერთადერთი, რაც ძალიან მომეწონა, ის იყო, რომ თანამდებობის პირები მონივნებით გვეპყრობოდნენ.

— **რეალური თანამდებობის პირები? —** დაიხ.

— **მათი მონივნება რაში გამოიხატებოდა?**

— სცენაზე რომ გამოვდიოდით, გვერდზე იწეოდნენ და თავს დაბლა ხრიდნენ...

— **ის მცირე დრო, რაც როლის გასათავისებლად გქონდათ მოცემული, თუ გეყოფო?**

— კი, გვეყო. ბევრი არც არაფერი გაგივეყვებოდა — ვიდრე მშვიდად, შიგადაშიგ ტაშს ვუკრავდით ან ხელებს მალა ვწევდით — სულ ეს იყო... 6 დუბლი გადავიღეს; ენახოთ, რა გამოვა...

— **თქვენი გმირის პოლიტიკური მოღვაწეობით ან პირადი ცხოვრებით თუ დაინტერესდით?**

— არა, რა საჭირო იყო! გმირის ხასიათი ხომ არ მქონდა გასასხენელი! ზოგიერთმა (პრეზიდენტის როლების შემსრულებლებმა) კი გაათენა ღამე კომპიუტერთან, მაგრამ მგონი, ეს საჭირო არ იყო.

— **მანც ვინ გაათენა ღამე კომპიუტერთან?**

— არ ღირს ამის თქმა... გივი სხიარულიძემ, რომელიც ლიტვის პრეზიდენტს თამაშობდა, ისიც კი მითხრა — მოდი, ჩვენც გავაკეთოთ რამე, ემოციები გამოვხატოთ, სხვა თუ არაფერი, ერთმანეთს მანც გადავუღაპარაკოთო. გივი პროფესიონალი მსახიობი არ არის, ის კარგი მოცეკვავეა. მონვეულ პრეზიდენტებს, რომლებიც საქართველოში სააკაშვილის მხარდასაჭერად იყვნენ ჩამოსული, ზედმეტი ემოციების გამოხატვა ნამდვილად არ შეეფერებოდათ. რომ აღარ მომეშვა, ესლა ვუთხარი — ლიტვის პრეზიდენტს იუშჩენკო არ ელაპარაკება და თავი დამანებე-მეთქი, — მაგრამ ბოლოს ერთი დუბლი მანც ისე გადავიღეთ, როგორც მას სურდა...

— **ესე იგი, მსახიობებს იმ-**

პროფიზიციის საშუალებაც გქონდათ?

— კი, შეგვეძლო, რაღაცები გავეკეთებინა. 6 დუბლი იმიტომაც გადაიღეს — მერე რომელიც მოეწონებოდა, იმას დატოვებენ. სხვათა შორის, მუშაობის დასრულების შემდეგ, გივი ჩემთან მოვიდა და მითხრა: კაცო, ეს თანამდებობის პირები ჩვენს საქმეში ზედმეტად რატომ ერევიანო? თურმე ერთ-ერთ პარლამენტარს უთქვამს, ზედმეტ ემოციებს ნუ გამოხატავო...

— **ბატონმა გივიმ კი გვითხრა, რომ მას მეგობარმა პარლამენტარმა უფრო მეტი ემოციურობისკენ მოუწოდებდა.**

— მართლა?.. ვერაფერს გეტყვით, მე ნამდვილად ასე მითხრა.

— **ე.ი. მითითებებს პარლამენტარებიც გაძლევდნენ?**

— არა, უბრალოდ, რჩევა მოგცეს.

— **მუშაობის შემდეგ, ენდი გარსიასთან გასაუბრების საშუალება თუ მოგეცათ?**

— სამწუხაროდ, არა. დრო არ ჰქონდა, თორემ დარწმუნებული ვარ, ჩვენთან ერთად, გულიანად მოილხენდა. უშუალოდ და უბრალოდ ადამიანი, ვარსკვლავური სენი არ სჭირს. ყველა ქვეყნის „პრეზიდენტს“ სათითაოდ მოგვესალმა, თანაც ყველას ჩვენ-ჩვენი გმირის სახელით მოგვმართა... პაუზის დროს მესიჯს ვწერდი; ვილაყამ მხრებზე ხელი მომიტათუნა. რომელიღაც ქართველი მსახიობი მეგონა და ცოტა არ იყოს, დაუდევრად მივმართე: მაცალე, რა, მესიჯს ვწერ-მეთქი! რომ მივბრუნდი, სახტად დავრჩი, — ენდი გარსია მილიმოდა.

— **მის მიერ ნათამაშები „საკაშვილი“ როგორ მოგეწონათ?**

— ძალიან. პროფესიონალია, მაყურებელი უცებ „აიყვანა“, ემოციით მეც „დამტენა“... მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მსახიობია, საქმეს ზურგედ არ მიუდგა, კულისებში გამუდმებით მუშაობდა... სხვათა შორის, თავიდან რომ თქვეს, ენდი გარსია ჩამოდისო, გულში გავიფიქრე — ჩამოდის, თორემ დიდი ვინმეც ეგ არის! ნეტავ, რომელი ქართველი მსახიობია მაგაზე ნაკლები?! ვითომ, რამაზი, ბერიკა, მელვიანეთუხუცესი სააკაშვილს მაგაზე ნაკლებად ითამაშებდნენ-მეთქი?! როდესაც გარსია გავიცანი და მერე საქმისადმი მისი დამოკიდებულების მომსწრე გავხდი, ჩემი ნაფიქრალის გამო შემრცხვა...

— **რამდენად ეთანხმებით გაფრცელებულ მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ფილმს სააკაშვილის შელახული იმიჯის გამოსასწორებლად იღებენ?**

— ვერაფერს გეტყვით, ეს ფილმის დასრულების შემდეგ გამოჩნდება. ერთი რამ ცხადია — სურათი აგვისტოს ომის მოვლენებზე მოგვითხრობს და არა — სააკაშვილზე, ის მთავარი გმირიც კი არ არის...



ჯონი დეპი შიშობს, რომ მისი შვილები მსახიობობას მოისურვებენ

როგორც ცნობილია, ჰოლივუდის ვარსკვლავი ჯონი დეპი და ვანესა პარადი 10 წლის ლილი-როუზსა და 7 წლის ჯეკს ზრდიან. ბავშვების ინტერესი მამის საქმიანობის მიმართ, ძალზე დიდია. ამიტომ ჯონი დეპს ყველაფერზე მეტად იმის ეშინია, რომ შესაძლოა, მისი შვილები მამის კვალს გაჰყვებიან და მსახიობობა მოისურვონ!

„შვილებს ჩემს კოსტიუმებს ვაჩვენებ ხოლმე და ეს მათ ძალიან მოსწონთ. ბავშვებს ჩემი სამუშაო ჩვეულებრივ ამბად მიაჩნიათ, მაგრამ დიდი იმედი მაქვს, რომ ისინი მსახიობობას არ მოისურვებენ. უნდა ვაღიარო, ყველაფერზე მეტად ამის მეშინია!“ — ამბობს მსახიობი, რომელსაც ოჯახი ამქვეყნად ყველაფერს ურჩევს. მისთვის ოჯახური კეთილდღეობა ნებისმიერ კინოჯილდოზე მეტად ფასობს.



მამაკაცურად გადაცმული მერაია ჭერი

რეპერ ნიკ კენონის 40 წლის მეუღლეს — მერაია ჭერის ქმრის სამოსის გადაცმა და ხალხის გასულელება ძალზე ჰყვარებია.

„გადაცმული სიარული ძალიან მიყვარს და მსახლისებს. მსიამოვნებს, როდესაც საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ისე ვიქცევი, როგორც მანამდე არასდროს მოვქცეულვარ. ზოგჯერ ლამაზობით ქუჩაში ნიკის ტანსაცმლით გავდივარ“... „პრობლემა ისაა, რომ როდესაც მას ცნობენ, ჩემს ვინაობასაც ადვილად ხვდებიან“, — ამბობს მომღერალი.



მადონას

ფეხსაცმელი...

ამერიკელმა მომღერალმა მადონამ მისი ყველაზე საყვარელი ფეხსაცმელი აუქციონზე გასაყიდად გაიტანა, რათა შემოსული თანხა ქველმოქმედებას მოახმაროს. პოპის დეოლფალი ამ ფულს ბოშა ბავშვების განათლების პროგრამის მხარდასაჭერად გამოიყენებს.

მადონა აღმოსავლეთ ევროპაში ბოშების დისკრიმინაციის ფაქტზე მსოფლიო საზოგადოების ყურადღებას ამახვილებს. აგვისტოში, მსოფლიო ტურნეს Sticky & Sweet ფარგლებში ბუქარესტში გამართულ კონცერტზე ვარსკვლავმა განაცხადა, რომ ბოშათა დისკრიმინაციას ბოლო უნდა მოეღოს! მაგრამ როგორც ჩანს, კონცერტზე მისულ მის თაყვანისმცემელთა გულელებში მადონას გამონათქვამმა გამოძახილი ვერ პოვა, რადგან ამ გამოსვლას მსმენელი სტვენითა და უკმაყოფილო შეძახილებით შეხვდა.



პერის ჰილტონის ახალმა გატაცებამ აქტივისტთა აღშფოთება გამოიწვია

მაღალი საზოგადოების წარმომადგენელმა პერის ჰილტონმა განაცხადა, რომ იგი გოჭის შეძენას აპირებს და ღორების მომშენებელ სელექციონერს უკვე სათანადო შეკვეთაც მისცა. „პერისს ძალზე აღელვებს ის ამბავი, რომ მალე ახალი „აღსაზრდელი“ ეყოლება, რადგან იგი ცხოველების დიდად მოყვარულია“, — ამბობს მისი წარმომადგენელი.



სასტუმროების ქსელის მემკვიდრის გადანყვებილებამ ორგანიზაცია PETA-ს აქტივისტთა აღშფოთება გამოიწვია. ცხოველთა დამცველთა აზრით, პერის ჰილტონი ცხოველებისადმი მოპყრობის ძალზე ცუდ მაგალითს იძლევა.

ჟურნალ Playboy-ს ახალი გმირები

ამერიკელთა ყველაზე საყვარელი მულტიპლიკაციური ოჯახის ლურჯთმიანი მატრიარქი მარჯ სიმპსონი ჟურნალ Playboy-ს ნომბრის ნომრის ყდას დაამშვენებს. ამის შესახებ ცნობა თავად ჟურნალმა გაავრცელა. ფოტოსურათზე მარჯი სიმპსონი სხეულს Playboy-ს ბაჭყას ფორმის სკამის უკან მალავს. მამაკაცთათვის განკუთვნილი პოპულარული ჟურნალის არსებობის მანძილზე პირველად ხდება, რომ ჟურნალის ყდაზე მულტფილმის პერსონაჟის ფოტოსურათი იბეჭდება! ამრიგად, მარჯი სიმპსონი ისეთ სექსიმბოლოებს უთანაბრდება, როგორებიც არიან მერილინ მონრო და სინდი კროუფორდი... ჟურნალმა ეს გადაწყვეტილება ეკრანებზე სერიალის გამოსვლის 20 წლისთავის აღსანიშნავად მიიღო. Playboy-ს ნომბრის ნომერში „სიმპსონებისადმი“ მიძღვნილი სტატია და ფოტოსურათები დაიბეჭდება, ამერიკის საფოსტო სამსახურმა კი უკვე გამოუშვა ამ ღირშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი საფოსტო მარკები, რომლებზეც მარჯი, ბარტი, ლიზა, მეგი და მულტფილმის სხვა პერსონაჟები არიან გამოსახულნი.





„გვარმა კი არ უნდა ატაროს კაცი, არამედ კაცმა უნდა ატაროს გვარი!“

ვინ აბრძლებს საქართველოს პარლამენტში ნიკო ლორთქიფანიძის გვარს

მათ ერთმანეთი მეგობრის დაბადების დღეზე გაიცნეს და მოეწონათ. გოგო მაშინ 17 წლის იყო, ბიჭი — 19-ის. სალამოს, როცა ბიჭი გოგონას შინ აცილებდა, უთხრა: გული მიგრძნობს, ჩემი ცოლი გახდებო. მისი წინაგრძნობა 3 თვეში ახდა. შეყვარებულები თუშეთში გაიპარნენ...

თამუნა კვინიკაძე

ის ბიჭი ახლა პარლამენტის წევრი — დიმიტრი ლორთქიფანიძეა, მისი რჩეული კი — ხათუნა კვეკელია გახლავთ. ისინი სამშობლოს 7 შვილს უზრდებიან! უფროსი — ნიკოლოზი 19 წლის არის, მას მოსდევნენ: ლაშა, თათია, ელენე, გიორგი, მარიამი და 3 წლის ლუკა... როცა ბატონ დიმიტრის ტელეფონით დაუკავშირდი და ვთხოვე, საკუთარი ოჯახი ჩვენი მკითხველისთვის გაეცნო, მიპასუხა: უარს როგორ გეტყვი, თან, ნუხელ შვილიშვილიც შეგვეძინაო...

ლორთქიფანიძეების დიდ ოჯახს მეორე დღესვე შინ ვენვიე. ბინაში შესვლისთანავე კედელზე ნიკო ლორთქიფანიძის ფოტო შევნიშნე. ჩემთვის (ალბათ ბევრი თქვენგანისთვისაც) უცნობი იყო, რომ პარლამენტარი დიმიტრი ლორთქიფანიძე ბუმბერაზი მწერლის შვილიშვილი ყოფილა. თუმცა საუბარი ბატონი დიმიტრისა და მისი მეუღლის ურთიერთობის თემით დავიწყეთ.

ლიმიტრი:

— ყველაფერს შეიძლებაოდა, უბრალოდ ჩაველო, რომ არა ერთი გარემოება. ხათუნა ჩემი დეიდაშვილის — გიორგის აბრამიძის კლასელი აღმოჩნდა. გიორგის ვუთხარი, რომ ხათუნა ძალიან მომეწონა. ამის შემდეგ საქმეში აქტიურად ჩაება ლილი დეიდა (გიორგის დედა). მან ხათუნა ძალიან მიქო... ჩვენც შეხვედრას თანდათან მოვუშინრეთ, ერთმანეთს დაუახლოვდით... შემდეგ ხათუნა ჩემს მშობლებსაც გააცანა.

— ხათუნა, დიტომ რით მოგსობლათ?

— დიტო ღირსეული ბიჭი იყო, ყველასგან გამორჩეული და განსხვავებული. ქალის პატივისცემა იცოდა; მასში ეს თვისება ძალიან მომწონდა. მას ჩემთან ურთიერთობისას არაფერი შეშლია, მის გვერდით თავს



ბედნიერად ვგრძნობდი. ახლაც ასეა. **ლიმიტრი:**

— მიუხედავად იმისა, რომ დაქორწინებას ტრადიციების დაცვით ვაპირებდით, ბოლოს მაინც არაორდინარული გადაწყვეტილება მივიღეთ. დედა თუში მყავს; თუშეთში სოფელი გვაქვს — ბიჭურთა, რომელიც დაღესტანს ესაზღვრება და მე და ხათუნა მთათუშეთში გავიპარეთ.

— ეს გადაწყვეტილება რატომ მიიღეთ?

— დღევანდელი გადმოსახედიდან მიმაჩნია, რომ ტუტუცური ნაბიჯი იყო...

— მაგრამ ალბათ რომანტიკული...

— ძალიან... იქ ულამაზესი ბუნებაა, თეთრი და შავი ალაზნის ხეობები. სიბი ქვით ნაგებ ბანიან სახლში ვცხოვრობდით, რომელიც არჩვების ტყავებით იყო განწყობილი. ოთახში ნიკოლოზის დროინდელი რკინის სანოლის გარდა არაფერი იდგა... მეზობლის ბავშვი შემოგვირბენდა ხოლმე — ხათუნა ძალო, დიტო ძია, ადექით, კარტოფილი შეინვაო, — გვეტყოდა და გაიქცეოდა. თავისთან გვეპატიუებოდა.

— ხათუნა, მშობლები არ გაგობრაზდნენ?

— მამა ალბათ გრძნობდა, რომ ამ ნაბიჯს გადავდგამდი, სულ მეუბნებოდა, — არ გაიპაროო... მთა-

თუშეთში 10 დღე დავრჩით (10 აგვისტოს წავედით და 21-ში დავბრუნდით). დიტო ჩემმა მშობლებმა საკუთარი შვილივით შეიყვარეს.

ლიმიტრი:

— ხათუნას მამა განრისხებული ყოფილა. ჩვენს მოსაძებნად წამოსულა. ახმეტაში კი უთქვამთ, — იქ ამ მანქანით ვერ ახვალ, — და უკან გაბრუნებულა.

— ბოლოს როგორ შეგხვდათ?

— გაბრაზების მიუხედავად, მაინც თბილად შეგხვდა. ცოტა ნასვამი იყო, მთხოვა, რომ თავისთან გავყოლოდი, — ჩემი ახლობლები და მეზობლები უნდა გაგაცნო. ერთმანეთს ადვილად გავუგეთ. ჩვენი გაპარვის შესახებ დედაჩემმა ყველაფერი იცოდა; სანამ თუშეთიდან დავბრუნდებოდით, მან ცალკე ერთოთახიანი ბინა მოგვიწყო... ხათუნა არაჩვეულებრივი დიასახლისი აღმოჩნდა. მის მიერ მომზადებული პირველი კერძიც კი მასხოვს. ეს იყო „ტაბაკა არაჟინით“. უნდა ვალიარო, რომ დედაჩემისგან კულინარიული „შედეგებით“ განებივრებული არ ვიყავი. ხათუნამ კი ეს დანაკლისი მთლიანად შემეცო.

საბუხა:

— ძალიან რომანტიკული შეყვარებულები ვიყავით. ერთმანეთს წერილებს დაქორწინების შემდეგაც ვწერდით. მე ვსწავლობდი (პროფესი-



ით პედიატრი ვარ), დიტოც სტუდენტი იყო. პირველი შვილი რომ შეგვეძინა, ბავშვის დამტოვებელი არავინ გვყავდა. დილით რომელიც უფრო ადრე გაიღვიძებდა, ინსტიტუტში ის მიდიოდა: ნიკა ხან მე შემომრჩებოდა ხელში, ხან — დიტოს... აი, ეს კი ჩვენი ქორწინების ფოტოებია. მიქაელ ტვერელის სახელობის ტაძარში დავინერეთ ჯვარი.

დიმიტრი:

— ჩვენს დაოჯახებას გარკვეულწილად, 1989 წლის 9 აპრილმაც შეუწყო ხელი. მე და ჩემი მეგობრები ვფიქრობდით, რომ ჩვენი ღირსეული ცხოვრებით, სამშობლოსადმი უანგარო მსახურებით, სამაგიერო გადაგვეხადა იმ რეჟიმისთვის, რომელმაც რუსთაველზე 9 აპრილს სისხლიანი დილა გაგვითენა. 5 საუკეთესო მეგობარი 2 წლის მანძილზე დაოჯახდით. ახლა 3 შვილზე ნაკლები არც ერთის ოჯახში არ იზრდება.

— თქვენ კი 7 შვილის მამა ხართ.

— თავად დედისერთა ვარ, ხათუნას ერთი ძმა ჰყავდა და ისიც ნაადრევად გარდაეცვალა. ამ გარემოებებმა ჩვენს მრავალშვილიანობას ძალიან შეუწყო ხელი. მასსოვს, ბავშვობაში უდემამიშვილობას როგორ განვიცდიდი. ყოველ შაბათ-კვირას დედაჩემის ძმას ჩვენთან თავისი შვილები მოჰყავდა; და-ძმებივით ვიყავით, მაგრამ როდესაც ისინი მიდიოდნენ, ძალიან ვწერვიულობდი, მინდოდა, სულ ჩემთან ყოფილიყვნენ.

— დედისერთობის გამო მშობლებს თუ საყვედურობდით?

— „ქვეცნობიერად“ ვსაყვედურობდი. მაღლობა ღმერთს, რომ ჩემი შვილები ამ მხრივ „მდიდრები“ არიან! თუმცა მათ არც ბიძა ჰყავთ, არც მამიდა და არც დეიდა... სამაგ-

იეროდ, მათ შვილებს დეიდებიც ეყოლებიან, ბიძებიც და მამიდებიც. მთავარია, ერთმანეთს გამოადგნენ, ღირსეული დედმამიშვილობა შეძლონ, მე და ხათუნას კი ღირსეული შვილობა გაგვინიონ. 7 შვილის აღზრდა უდიდესი პასუხისმგებლობაა, თვით მრავალშვილიანობა კი — ღვთის წყალობა. უფალი შვილთან ერთად, იმის შესაძლებლობასაც გაძლევს, რომ ის გაზარდო. მთავარია, ამ პასუხისმგებლობის ასაღებად მზად იყო.

— თქვენი უფროსი ვაჟი — ნიკა 1 წლის წინ დაოჯახდა, უკვე შვილიშვილიც გყავთ — პატარა დიმიტრი ლორთქიფანიძე.

საბუხა:

— ნიკა სტუდენტიცა, აგრარულ უნივერსიტეტში სწავლობს. გვინდოდა, რომ ჯერ დაემთავრებინა და ოჯახის შექმნაზე შემდეგ ეფიქრა, მაგრამ სიყვარულმა თავისი გაიტანა. ჩვენი რძალიც — ნათია აზმაიფარაშვილი (18 წლის) სტუდენტიცა. თავი ისე შეგვყავარა, რომ ისიც ჩვენი ერთ-ერთი შვილი გვგონია. ნიკას საკუთარი პასუხისმგებლობა გაცნობიერებული აქვს. მინდა, რომ ბედნიერები იყვნენ და ერთმანეთი ბოლომდე ასე უყვარდეთ.

— თქვენთან ცხოვრობენ?

— დიას.

— ასეთი დიდი ოჯახის დიასახლისობა არ გიჭირთ?

— არა, მიჩვეული ვარ. ჩემი და დიტოს დედები გვეხმარებიან. უფროსი შვილებიც მხარში გვიდგანან.

— სათუნა, მუულის საქმიანობაზეც მინდა, გკითხოთ: მის პოლიტიკურ საქმიანობას როგორ აფასებთ?

— მიმაჩნია, რომ დიტო სწორ პოზიციაზე დგას. მას შეუძლია, არასწორი ნაბიჯის გამო, ხელისუფლებაც გააკრიტიკოს და — ოპოზიციაც. არ მინდა, რომ მიკერძოებული იყოს.

— რჩევას ხშირად აძლევთ?

— მის პოლიტიკურ საქმიანობაში ნაკლებად ვერევი. ვცდილობ, შინ დაბრუნებული საოჯახო საქმეებით არ დავვალაო. ბავშვებს ვაფრთხილებ, არ იხმაურონ. დაღლილობის მიუხედავად,

ის პატარებს მაინც ეთამაშება. ძალიან თბილი მამაა. შაბათ-კვირას ქალაქგარეთ გასვლასაც ვახერხებთ...

— როგორი მუულებია?

— ცოტა ფიცხი ხასიათი აქვს, მაგრამ ცუდი განწყობილება დიდხანს არ მიჰყვება...

— ბატონო დიმიტრი, თქვენს ოჯახში შემოსვლისთანავე კედელზე ნიკო ლორთქიფანიძის პორტრეტი



რომანტიკული შეყვარებულები ვიყავით

შენიშნე. დღეს შევეტყვე, რომ მწერლის პირდაპირი შთამომავალი ყოფილხართ...

დიმიტრი:

— დიას, ნიკო ლორთქიფანიძის შვილიშვილი ვარ, მაგრამ ამის აფიშირებას ყოველთვის ვერიდები. მისი შვილიშვილობა საქმით უნდა დავამტკიცო. ამ ოჯახში გავიზარდე, ახლაც აქ ვცხოვრობ და ვცდილობ, წინაპრების ბევრი კარგი ტრადიციის გამგრძელებელი ვიყო. ეს უდიდესი პასუხისმგებლობაა და ღმერთმა შემაძლებინოს! ნიკო ლორთქიფანიძე იმ ბუმბერაზ ადამიანთა რიგს მიეკუთვნება, რომლის ღვანლიც დღემდე დაუფასებელია. თბილისში მისი სახელობის ქუჩაც კი არ არსებობს.

— მამა რას გიამბობდათ ბაბუაზე?

— ბაბუას სამთო ფაკულტეტი ავსტრიაში დაუმთავრებია. რაინდული თვისებებით გამოირჩეოდა. მანდილოსნის გამო თურმე ორჯერ გასულა დუელზე. ერთ-ერთის დროს დაჭრილა კიდეც... ბაბუა ერთხანს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გერმანული ენის კათედრის გამგეც ყოფილა. ხასიათით მკაცრი, პრინციპული და მუუვალი პიროვნება იყო. ნაწარმოებების უდიდესი ნაწილი ქუთაისში ცხოვრებისას აქვს დაწერილი. თბილისში ამ სახლში 1926 წელს გადმოვიდა. მანამდე სახლის მფლობელი, ანა რაგავსკაია ყოფილა. როცა მას „განაკუვლაკებდნენ“, ქალაქის ხელმძღვანელო-



ჩვენს ოჯახში დღემდე ინახება გალაკიონ გაბიძის, მიხეილ ჯაფახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის უნიკალური ფოტო, რომელზეც კიდევ ერთი მამაკაცია გამოსახული, მაგრამ მისი ვინაობა სამწუხაროდ, არ ვიცი



ბისტვის უთხოვია: ჩემს სახლში პატივცემული ადამიანები მაინც შეასახლეთო. მისი თხოვნა დააკმაყოფილეს და „მწერალთა სახლს“ მისცეს შესაძლებლობა, ფართობი გაენაწილებინა. ასე დაბინავდნენ აქ: ნიკო ლორთქიფანიძე, ვახტანგ იოსელიანი, სიმონ ქიქოძე, დავით გაჩეჩილაძე, ლეო ქიაჩელი... სახლის გარკვეული ნაწილი ქალბატონ ანასაც დაუტოვეს. დღეს აქ მისი ნათესავები ცხოვრობენ. მთანხმინდაზე ერთ-ერთი გამორჩეუ-

შეყვანილი, ის სახლში უვნებელი დაბრუნდა. მოგვიანებით, მისი ხელმძღვანელობით, წყალტუბოში ულაშაზესი არქიტექტურის მქონე სანატორიუმი — „შახტიორი“ აშენდა, რომელიც დღეს გავრანბეულია... ნიკოს შუათანა შვილი — მერაბ ლორთქიფანიძე ცნობილი ჟურნალისტი გახლდათ. საქართველოს საპატრიარქოს გამოცემებთან — „საღვთისმეტყველო კრებული“ და „ჯვარი ვაზისა“ — თანამშრომლობდა, რაც მაშინ

— ნიკო ლორთქიფანიძის შემოქმედებას მივუბრუნდეთ: როგორ იწერებოდა მისი ნოველები? როგორ იყო წერის დროს — ამის შესახებ მამა რას გიამბობდათ?

— ნიკოს ბევრი ხელნაწერი ახლაც შენახული გვაქვს. მამა ცოტა სიტყვაძუნწი კაცი იყო. ძირითადად, ნათესავების დაპატიმრების ამბებს მიყვებოდა. ხშირად ახსენებდა შინსახკომის ხელმძღვანელს — ქობულავს. მიამბობდა მუსტაფა შელიას, ჭაბუა ამირეჯიბის, ამირან მორჩილაძისა და მათი პატრიოტული დაჯგუფების შესახებ. ჩვენს ოჯახში დღემდე ინახება გალაკტიონ ტაბიძის, მიხეილ ჯავახიშვილისა და ნიკო ლორთქიფანიძის უნიკალური ფოტო, რომელზეც კიდევ ერთი მამაკაცია გამოსახული, მაგრამ მისი ვინაობა სამწუხაროდ, არ ვიცი. ნიკო ლორთქიფანიძის ბევრი ნივთი მუზეუმს გადავეცით, რომელიც გაძარცვეს და დაიკარგა. მწერლის მაგიდა, მისი ხელნაწერები და კიდევ ბევრი სხვა ნივთი ახლაც ჩვენს ოჯახში ინახება. საქალაქის, რომელშიც ხელნაწერებია თავმოყრილი, მამის ხელით ასეთი წარწერა აქვს გაკეთებული: „სახლიდან გატანის და განათხოვრების გარეშე, ყოველგვარი გამოწვევისგან გათავისუფლებული“.



დიმიტრი ლორთქიფანიძე მშობლებთან ერთად

ლი შენობაა, რომელიც ფრანგულ მოდერნისტულ სტილშია ნაშენები. ეს სახლი ანასთვის ბიძას (ვინმე ჯორჯაძეს) სორბონის უნივერსიტეტის წარმატებით დასრულების გამო აუშენებია და უჩუქებია...

— ნიკო ლორთქიფანიძის თბილისური ცხოვრება როგორ წარმოგადგინებ?

— თბილისში გადმოსვლის შემდეგ, ნიკოს ოჯახის ცხოვრება თანდათან გართულდა. დაიწყო რეპრესიები... ოჯახი არაერთი შემზარავი ფაქტის მომსწრე გახდა. ჩვენი სანათესავოდან 1937 წლის რეპრესიებმა ბევრი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა. ამ ოჯახში დააპატიმრეს სამა წულუკიძის შვილი — ირაკლი.

— თავად ნიკო როგორ გადაარჩა?

— შემთხვევით. 30-იან წლებში ავადმყოფობდა, რის გამოც ნაკლებად ერჩოდნენ. ნიკოს უფროსი ვაჟი — ნოდარ ლორთქიფანიძე მსოფლიო ომში იყო განვეული. ერთ დღეს ოჯახში ე.წ. სამკუთხედი წერილი მოვიდა, შემზარავი ამბავი ეწერა — ნოდარი დაღუპულთა სიაში იყო. შვილის ტრაგედიამ ნიკოზე საშინლად იმოქმედა, დარდისა და ნერვიულობისგან სიმსივნე გაუჩნდა, რაც მისი გარდაცვალების მიზეზი გახდა. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნოდარი დაღუპულთა სიაში შეცდომით იყო

გმირობის ტოლფასი იყო. ის არ იყო კომპარტიის წევრი, რის გამოც ცხოვრებაში არაერთი პრობლემა შეჰქმნია. ბოლოს, კომუნისტური რეჟიმისადმი პროტესტის ნიშნად, სახლში ჩაიკეტა, რამდენიმე წლის მანძილზე ქუჩაში არ გასულა. 1991 წელს აღესრულა; უწმინდესმა და უნეტარესმა, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია II-მ აუგო წესი.

— მამათქვენის შესახებ რას გავტყვი?

— მამა — გიორგი ლორთქიფანიძე ექიმი იყო. მეცხრე საავადმყოფოში ექიმთა დახელოვნების კლინიკაში მუშაობდა. წლების მანძილზე ესტონეთში მოღვაწეობდა, შესანიშნავად ფლობდა გერმანულ და ესპანურ ენებს. მასხოვს, ბავშვობაში საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროს, მე და მამა ესტონელ ახალგაზრდებს შეგხვდით. ისინი მშობლიურ ენაზე ერთმანეთს საკუთარ გასაჭირზე ელაპარაკებოდნენ — თურმე თბილისში გაუძარცვავთ და უფულოდ იყვნენ დარჩენილები. მამა მათ გამოელაპარაკა, სახლში წამოიყვანა, ნათესავებთან დაკავშირებაშიც დაეხმარა. შემდეგ ის ახალგაზრდები ჩვენთან ოჯახებით ჩამოვიდნენ, ძალიან დავმეგობრდით... მამა მეორეეკურსელი იყო, როცა მსოფლიო ომში მოხალისედ წავიდა. მისი ფრონტზე წასვლის ერთ-ერთი მიზეზი, ნოდარის მოძებნაც იყო. მათი ამბავი „ჯარისკაცის მამაში“ აღწერილ ამბავს ჰგავს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ ძმას ეძებდა და ვერ იპოვა.

— უცნაურია, საჯაროდ ერთხელაც არ გითქვამთ, რომ ნიკო ლორთქიფანიძის შვილიშვილი ხართ...

— ჩემი მოძღვრის სიტყვებით გიპასუხებთ. მან ერთხელ ასეთი რამ მითხრა: გვარმა კი არ უნდა ატაროს კაცი, არამედ კაცმა უნდა ატაროს გვარიო!..

— სულ ბოლოს, რას ურჩევთ თქვენს შვილებს?

— ისწავლონ, განათლდნენ, რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღონ, რომ ცხოვრებას მომზადებულები შეხვდნენ. ვუსურვებ, რომ წინაპრების ღირსეულ შთამომავლებად ჩამოყალიბდნენ.



ვუსურვებ, რომ წინაპრების ღირსეულ შთამომავლებად ჩამოყალიბდნენ



განგებამ უცნაური ბედი არ-
გუნა კალატოზიშვილების „კინო-
ჯახს“: სამივე თაობის წარმომად-
გენელს მშობლიურ ფესვებს მონ-
ყვტილს მოუწია შემოქმედებითმა
ცხოვრებამ; ორი მათგანი ძალზე
ნადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან...


ზურაბ აბაშიძე

გამოჩენილმა კინორეჟისორმა მიხეილ
კალატოზიშვილმა (კალატოზოვმა) კარი-
ერაც მოსკოვში გაიკეთა და საერთა-
შორისო წარმატებაც არა ქართულ,
არამედ მთელ საბჭოთა კინოხელოვნებას
მოუტანა: მისმა ფილმმა — „მიფრინავენ
წეროები“ — 1957 წელს ფურორი მოახ-
დინა კანის საერთაშორისო კინოფესტი-
ვალზე და „ოქროს პალმის რტოც“ მოუ-
ტანა „მოსფილმს“. მისი შვილი — ჯერ
კინოოპერატორი, შემდგომ — რეჟისორი
გიორგი (ტიტო) კალატოზიშვილი
„ქართულ ფილმშიც“ მოღვაწეობდა, მა-
გრამ მისი სურათების უმეტესობა რუსეთ-
ში შეიქმნა; კინოსტუდია „ლენფილმში“
ილია ავერბახის სურათში — „ხმა“ კი,
როგორც მსახიობი, ისე მოგვევლინა და
რეჟისორის დაუფინანსარი ეკრანული სახ-
ეც შექმნა. ბატონი ტიტო, 55 წლისა, ინ-
ფარქტით გარდაიცვალა... სულ ახლახან
კი, ისევ რუსეთიდან, მისი ვაჟის — 50
წლის მიხეილ კალატოზიშვილის გარ-
დაცვალების ცნობა მოვიდა; ისიც, მამის
დარად, ინფარქტმა იმსხვერპლა.

სამწუხაროდ, ამ ტრაგედიას აქ, მის
სამშობლოში დიდი რეზონანსი არ გამოუ-
წვევია. საოცარი „დამთხვევაა“ — ხელოვ-
ნის დაღუპვისადმი ინდიფერენტულობას
რუსი ჟურნალისტი რუს საზოგადოებასაც
საყვედურობს...

„მოსკოვი მიხეილ კალატოზიშვილს
გამოეთხოვა, — წერს იგი. — ნოვოდევი-
ჩის სასაფლაოზე მიხეილ კალატოზიშვილი
დაკრძალეს. დანარჩენი შეგიძლიათ, აღარც
ნაიკითხოთ: რა არის საინტერესო? კალა-
ტოზიშვილი არც კანონიერი ქურდი ყოფი-
ლა, არც სნაიპერის ტყვიით მოუკლავთ...
მხოლოდ და მხოლოდ რეჟისორი იყო,
შემქმნილი ფილმისა „ველური მინდორი“,
რომელიც შარშან წლის საუკეთესო ფილ-
მად აღიარეს... აი, ორი დღით ადრე კი,
გაცილებით დიდი გაქანებით, ვიჩქესლავ
ივანკოვს, იმავე იაპონიკის სასაფლაოებზე-

სევდიანი „კინო“ კალატოზიშვილის „სცენარით“...



კალატოზიშვილ-
მა სიკვდილის
შემდგომი
აპლოდისმენტე-
ბი დაიმსახურა

წენ. გასაკვირიც კია, რომ მასთან გამოთხ-
ოვების ფონზე, ქართული გვარის მქონე
ვილაც „კინოშიკის“ სიკვდილი საერთოდ,
შეამჩნიეს... ისე კი, დამეთანხმებით —
საუცხოო „რეჟისორული მიგნება“ კია —
ნახვიდე ამ ქვეყნიდან თითქმის იმავე
დროს, როცა საყოველთაოდ ცნობილი
ქურდი კვდება! ჭეშმარიტად — კალა-
ტოზიშვილმა სიკვდილის შემდგომი აპლ-
ოდისმენტები დაიმსახურა — სიცოცხ-
ლესთან გამოთხოვებისას, ყველას ჩვენი
ჩვენი სახე დაგვანახვა: ეს „კინო“ მეტის-
მეტად სევდიანი აღმოჩნდა... აბა, ნახეთ,
რას წერდნენ ჩვენი წამყვანი გაზეთები:

„ასობით მეგობარი და ნაცნობი მოვ-
იდა ვაგანკის სასაფლაოზე, რათა უკა-
ნასკნელი პატივი მიეგო კრიმინალური ავ-
ტორიტეტის — ვიჩქესლავ ივანკოვის, იმავე
იაპონიკისთვის. ტერიტორიას „ომონის“
მებრძოლები იცავენ. მათ, ვინც გან-
სვენებულს პირადად იც-
ნობდა, ყვავილები და
გვირგვინები მოაქვთ...
აფხაზმა მღვდელმა თქვა,
რომ ვიჩქესლავ კირ-
ილოვიჩმა ღირსეულად
განვლო ცხოვრება, მისი
სიკვდილი კი — ახალი
სიცოცხლის დასაწყისია.
მთელი მოსკოვის სასა-
ფლაოებიდან მოყვანილი
მუშები საგანგებოდ
აშზადებდნენ საფლავ ავ-
ტორიტეტისთვის. ბა-

ტონი ივანკოვის გულზე პატარა ხატი
მოუთავსებიათ და ლენტი წარწერით —
„გიყვარდეთ ერთმანეთი“...“

აი, ასეთ მწარე შთაბეჭდილებებს
უზიარებს მკითხველს ჩვენი რუსი კოლე-
გა და შეუძლებელია, ეს სიმწარე არ
გაგიორმაგდეს, რადგან ჩვენ, პრაქტიკუ-
ლად, ვერც კი გაგვიცნობიერებია, რომ
მიხეილ კალატოზიშვილის წასვლით,
ქართულმა კულტურამ დიდი დანაკლისი
განიცადა. ჯერ ერთი, კინოსამყაროში
პირველი ნაბიჯები სამშობლოში გადად-
გა, პირველი სრულმეტრაჟიანი ფილმი
— „რჩეული“ — კინოსტუდია „ქართულ
ფილმში“ გადაიღო, ამ სურათით არაერთ
საერთაშორისო ფესტივალზე ჯილდო
ჩვენს კინემატოგრაფს მოუტანა; მეორე
— რუსეთში სამუშაოდ იმიტომ წავიდა,
რომ აქ საყვარელი საქმის კუთების არანა-
რი საშუალება არ ჰქონდა და ეჭვგარე-
შეა — კინოწარმოების ალორძინები-
სთანავე, დაბრუნდებოდა და დიდ შემო-
ქმედებით სიმაღლეებს დაიპყრობდა —
როგორც შარშან რუსეთში, სადაც წლის
საუკეთესო ფილმად მისი „ველური მინ-
დორი“ დაასახელეს, თუმცა დიდი არჩე-
ვანი ჰქონდათ, რადგან იქ კინო არ მო-
მკვდარა...

მიშას ბევრი სურათი არ გადაუღია.
თითოეული ნაშრომისთვის ხანგრძლივი
დროის მანძილზე, საფუძვლიანად ემზა-
დებოდა. მისი სადებიუტო — მოკლემე-
ტრაჟიანი ფილმი „მექანიკოსი“ 1981 წელს
გამოვიდა. 10 წლის შემდეგ, პროსპერ





მიხეილ კალაგომივილი-უფროსი

მერიმეს მოთხოვნის, „მატეო ფალკონეს“ მიხედვით, საქართველოში გადაიღო სრულმეტრაჟიანი სურათი — „რჩეული“, რომელიც მადრიდის საერთაშორისო ფესტივალის სპეციალური პრიზით აღინიშნა. 2000 წელს, უკვე რუსეთში, „მისტერიები“ გამოვიდა. ბოლო ფილმი კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, „ველური მინდორია“, რომელიც 3 ფესტივალის პრიზებით აღინიშნა და რუსეთში 2008 წლის საუკეთესო ფილმად დაასახელეს.

ამონარიდი გაზეთ „ნოვიე იზვესტიასში“ იანვარში გამოქვეყნებული ინტერვიუდან:

„— მიხეილ, გამოტყდით, რომ თქვენთვის მოულოდნელი იყო აკადემიის — „ოქროს არწივი“ — გადაწყვეტილება, წლის საუკეთესო ფილმად „ველური მინდორის“ აღიარება...“

— არა უბრალოდ მოულოდნელი, არამედ აბსოლუტურად მოულოდნელი. ყველაზე მეტი, რაც ჩემი ვარაუდით, შეიძლება მომხდარიყო, ეს პიოტრ ლუციკისა და ალექსეი სამორიადოვის სცენარის აღნიშვნა იქნებოდა: მე ხომ არც ერთ კინემატოგრაფიულ კლანს არ მივეკუთვნები. თუმცა შესაძლოა, სწორედ ამიტომ მიანიჭეს ეს პრიზი ჩემს სურათს“.

...სტეპის უკიდვანო სივრცეში, სადაც მზეც უხვადაა, თოვლიც, მთებიც და მინდორ-ველიც, წითელჯვრიანი, თეთრი დროშის ქვეშ პატარა მედპუნქტი დაუდგამთ. იქ ახალგაზრდა ექიმი — მიტია, იგივე დმიტრი ვასილიევიჩი მუშაობს. პაციენტები მასთან მთელი ოლქიდან მიჰყავთ: ზოგი ალკოჰოლმა ჩააგდო ცუდ დღეში, ზოგმა ტრავმა მიიღო, ზოგმა მჭავა გადაიხსნა და კლინიკური სიკვდილი დაემართა, ზოგს შემთხვევით, დათვის ნაცვლად, ტყვია მოარტყეს... ექიმი მიტია ყველას მხსნელად ევლინება. ერთ დღეს კი, პატარა გორაკიდან ჩამოდის „ბომჟი“, რომლის სილუეტიც მანამდე, მთელი ფილმის მსვლელობისას, შორიდან „კიაფობდა“. ექიმი ჭრილობას გაუსინჯავს, გადახვევას გაუკეთებს და... „ბომჟი“ მისსავე სკალპელს მუცელში გაუყრის... დმი-

ტრისთან უმაღ ყველა მისი პაციენტი გაჩნდება — ლოთები, ყაჩაღები, მილიციელები... და მთარბენინებენ დაჭრილ ექიმს სარიონო ცენტრისკენ, რადგან იციან — თუ ვერ გადაარჩენენ, მალე თავდაც დაილუპებინან... „კალატოზივილის ფილმს ღია ფინალი აქვს: შესაძლოა, მიუსწრეს და ექიმთან მიიყვანეს, შესაძლოა — გზაში გარდაიცვალა, — წერს რუსი ჟურნალისტი და დასძენს: — როგორც ჩანს, ვერ მიუსწრეს... მისაიღო კალატოზივილი გარდაიცვალა... აღარ გვყავს „ველური მინდორის“ რეჟისორი...“

საოცარია: როცა მიშას ხელში ამ სურათის სცენარი მოხვდა, მისი არც ერთი ავტორი ცოცხალი აღარ იყო: პიოტრ ლუციკმა მხოლოდ ერთი ფილმის გადაღება მოასწრო — ისევე, როგორც, კალატოზივილს, ინფარქტი დაემართა; მაშინ 40-ის იყო. მისი თანაავტორი ალექსეი სამორიადოვი ავტოკატასტროფაში დაიღუპა. ეს წყვილი თავად აპირებდა „ველური მინდორის“ გადაღებას. მათი სიკვდილის შემდეგ, სცენარი საიმედო ხელში აღმოჩნდა: ნაადრევად წასული ორი შემოქმედის საქმე მიშა კალატოზივილმა დაასრულა. დაასრულა, სახელი გაუთქვა და... თავადაც უფროოდ წავიდა...

რამდენიმე თვის წინ, „როსისკაია გაზეტას“ კორესპონდენტმა ინტერვიუ ჩამოართვა და სახელოვან ბაბუაზე ესაუბრა. ჩვენში ბევრმა არც იცის მიხეილ კალატოზივილი-უფროსის დიდი ბიოგრაფიის, მით უმეტეს — იმ ფაქტების შესახებ, რომლებსაც ჟურნალისტთან საუბრისას, მიხეილი-უმცროსი შეეხო. ამიტომ, რამდენიმე ნაწყვეტს მოვიტან:

„ჟურნალისტი:

— მიხეილ კალატოზივილი გამოჩენილი და ამასთანავე, მოკრძალებული ადამიანი იყო, „მზის სინათლეზე“ გამოსვლა არ უყვარდა. მაგრამ თავის ფილმებში, გულის გადაშლა სჩვეოდა — ეს კი მხოლოდ ძალზე ძლიერ პიროვნებებს ძალუძთ. როგორც შემოქმედი, თუ განიცდით ბაბუის ზეგავლენას?

კალატოზივილი:

— მის გავლენას ყველა განიცდიდა: ახლა ვიღებთ ფილმს, რომელშიც 3 რეჟისორი — ანდრეი კონჩალოვსკი, სერგეი სოლოვიოვი და კლოდ ლელუში ამბობენ, რომ ეს პროფესია მაშინ აირჩიეს, როდესაც „მიფრინავენ წეროები“ ნახეს... ამ ცოტა ხნის წინ, პარიზში კლოდ ლელუშს შევხვდი. კალატოზივი მისი ბიოგრაფიისთვის, მთავარი ფიგურაა: თავდაპირველად, კლოდს დოკუმენტალისტობა ჰქონდა განზრახული. სრულიად ახალგაზრდა იყო, როცა მოსკოვში ჩამოვიდა, „მოსფილმზე“ მოხვდა და შემთხვევით, „მიფრინავენ წეროები“ ნახა.

როცა პარიზში დაბრუნდა, კანის ფესტივალის დირექტორს დაურეკა და უთხრა, რომ იხილა ფილმი, რომელიც უქვეყლად უნდა ეჩვენებინათ ამ ფესტივალზე(!). 1957 წელი იდგა, კლოდ ლელუში 20 წლის გახლდათ და მას არავინ იცნობდა. მაგრამ ისეთი ღზნებითა და იმდენად დამარწმუნებლად ღზპარაკობდა, რომ თავისი გაიტანა და ფილმი კანის ფესტივალზე მიიწვიეს“.

მიხეილ კალატოზივილი-უფროსი საფრანგეთში არ წასულა და პრიზი თავად არ მიუღია. მალე მას ინფარქტი დაემართა, რომელიც რამდენჯერმე ჰქონია. საბოლოოდ, მეშვიდე ინფარქტმა მოკლა — 1973 წელს...

მიხეილი-უმცროსი იგონებდა: „— უცხო ადამიანთა მესხიერებაში ის, როგორც გულწათხრობილი ადამიანი, ისე დარჩა. მე კი სულ სხვანაირი მასხოვს — ძალზე რომანტიკული, ალერსიანი, ნაზიცი. და როგორც ყველა რომანტიკული ადამიანი, — ძალზე მარტოსული...“

მიხეილ კალატოზივილმა, მეგობარ კოლეგებთან ერთად, ბაბუის სახელობის ფონდი ჩამოაყალიბა და მის მთავარ მიზნად, არაკომერციული კინოს მხარდაჭერას ასახელებდა. ამ ფონდს უკვე 3 ფილმი ჰქონია გამოშვებული; მუშაობდა ახალ ფილმზეც, რომლის სახელწოდებაც — „ნისლი“; მიხეილ კალატოზოვის ბიოგრაფიული წიგნის გამოცემაც მზადდებოდა. მიხეილ-უმცროსს არ დასცალდა. იმედი, ამ პროექტებს მისი მეგობრები დაასრულებდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა — მსახიობმა იური სტეპანოვმა, მიშასთან გამოთხოვებისას თქვა:

„ბედნიერი ვარ, რომ უბრალო ნაცნობობა კი არ გვაკავშირებდა, არამედ მის გვერდით მიმროშია კიდევ. ძალიან კარგი ნამუშევარი („ველურ მინდორს“ გულისხმობს) გამოგვივიდა; ისეთი, რომელიც სიხარულს განიჭებს. ეს კი ძალზე მნიშვნელოვანია, როგორც შემოქმედებისთვის, ისე ცხოვრებაში... შემოიღია, დაუსრულებლად ვილაპარაკო ამ კაცზე მინდა ვთქვა — როცა მასზე ვფიქრობ, სიხარულს განვიცდი, რადგან ამაოდ არ უცხოვრია... მიშამ „ველური მინდორის“ თაობაზე თქვა: „ვიღებდი ფილმს ბედნიერ ადამიანზე — კაცზე, რომელსაც სიყვარულისა და თანაგრძნობის უნარი აქვს“. ამით გამოიხატება მიშას მთელი ბუნება, არსი. მან სიყვარულის გზა აირჩია და ღირსეულად განვლო იგი...“



მიხეილ კალატოზივილი-უმცროსი პრიზით ხელში



ცხოვრება

როცა დედაზვილობაში ეპოიზში სჭარბობს

სშირად დედა ვერც კი გრძნობს, რომ მისი დამოკიდებულება შვილისადმი ეგოისტურია, არადა ეგოიზმი ხომ სენივითაა — თუ ერთხელ „დაავადდი“, მერე მისგან განკურნება საკმაოდ ძნელია. ამბავი, რომელიც ახლა უნდა მოგიყვებოდეთ, რამდენიმე წლის წინ თბილისში მოხდა... („დედის ეჭვებმა შვილს ცოდვისკენ უბიძგა“, — 2009 წ. 30 მარტი).

მარინა ბაგუნაშვილი

ამბავი პირველი ნაქაზება კინალა ტრაგედიათა დასრულდა

როცა თინა ქმარს გასცილდა მისი ბიჭუნა 4 წლის იყო. ოჯახის დანგრევის მიზეზი ლალატი გახლდათ. თინა ამბობდა: ყველაფერზე შემეძლო თვალი დამეხუჭა, მაგრამ ლალატს ვერ ვაპატიებდით... და იმ დღიდან, ქმარს შვილთან შეხვედრა აუკრძალა. კარგა ხანს ეცადა თენგო, ბავშვის ნახვის უფლება მოეპოვებინა, მაგრამ ყოველი ცდა თინას ისტერიკითა და ბავშვის ტირილით დასრულდა; ამიტომაც ხელი ჩაიქნია კაცმა და რუსეთში გადაიხვეწა.

ჯაბასთვის თინა დედაც იყო და მამაც. ორ ადგილას მუშაობდა, რომ შვილისთვის არაფერი მოეკლო. ბიჭი რომ წამოიზარდა, მის მეგობრებზე ეჭვიანობა დაიწყო, არადა ჯაბა ისეთ ასაკში იყო, ძმაცაცებთან ყოფნა ერჩივნა დედის კალთაზე გამობმას. თინას ნერვები ეშლებოდა, როცა მისი შვილი დედაზე მეტ დროს თანატოლებს უთმობდა, ამის გამო სშირად მოსდიოდათ კამათი.

24 წლის ჯაბამ დედას ფრთხილად შეაპარა, — ჩემი შეყვარებული მინდა გაგაცნო. ფრთხილად იმიტომ, რომ ეშინოდა, თინას ამ საკითხზეც ალიაქოთი არ აუტყუა. ჯაბას შესაფერისი თუ დადიოდა ვინმე ამქვეყნად, ვერ წარმოედგინა დედას, მაგრამ მიხვდა, შვილი მართლა შეყვარებული იყო და თუკი ახლაც შეენიანალმდეგებოდა, ბიჭი ამას

ალარ აპატიებდა. სარძლოს მართლაც თბილად შეხვდა. სოფო უნივერსიტეტში სწავლობდა.

...თინამ შვილს ქორწილი გადაუხადა და რძალს მეორე დღესვე უთხრა: მოგწონვარ თუ არა, იმ აზრს უნდა შეეგუო, რომ ჩემთან ერთად ცხოვრება მოგიწევსო. გოგომ ეს ისედაც იცოდა.

დედამთილი თითქოს ჩასაფრებულ იყო რძლის გაკეთებულს ამონებდა, ყოველ მოქმედებას უთვალთვალებდა. სოფოს კი ჯაბა ამშვიდებდა და რჩევა-დარიგებას არ აკლებდა: არ მიაქციო ყურადღება, ერთადერთი შვილი ვყავარ და ეგოისტურად ვუყვარვარ, ამიტომაც, ზოგჯერ გამაღიზიანებელია მისი ლაპარაკი და ქცევა, თავი დაუქნიე და გაერიდეო. თავად კი არიგებდა ასე, მაგრამ იმას კი ვერ აცნობიერებდა, რომ დედის სიტყვებს თვითონ ჯაბა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. შეიძლება, თავიდან წინააღმდეგობა გაენია მისთვის, მაგრამ მოგვიანებით, როგორც „კოდირებული“ (ან იქნებ, ზომბირებულიც), ნებსით თუ უნებლიეთ, დედის მოთხოვნების შემსრულებელი ხდებოდა...

ერთი წლის შემდეგ სოფოსა და ჯაბას ტყუპი ქალ-

ვაჟი შეეძინათ. მათი ცხოვრება მაინც მშვიდად მიედინებოდა, მაგრამ მალე ქვეყანა აირია, ცხოვრებაც აიწუნა-დაიწუნა. თინა, ბევრის მსგავსად, სამსახურიდან დაითხოვეს, ჯაბასაც სამუშაო ხან ჰქონდა, ხან — არა... გაცილებით ადრე ჯაბას რუსეთში გადახვეწილი მამა შეეხმინა და მათი ურთიერთობაც აღდგა. ახლა კი, როცა მატერი-ალურად გაუჭირდათ, დამალვას აზრი აღარ ჰქონდა და ჯაბა დედას გამოუტყდა: მამასთან მინდა წასვლა, ერთი წლის შემდეგ თუ საქმე ავანყვე, ცოლ-შვილსაც წაიყვანო. გადაირია ქალი. აქამდე არ გვეკითხულობდა და ახლა გაახსენდა გაზრდილი შვილიო!. მაგრამ ჯაბამ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — ხომ ხედავ როგორ გვიჭირს, სხვა გზას ვერ ვხედავ, ამიტომ უნდა წავიდეო...

მაგრამ გავიდა წელი, მეორეც, სოფო და ბავშვები კი ისევ აქ იყვნენ. ჯაბამ მამასთან ერთად საქმე აანყო, თუმცა ოჯახისთვის ცალკე ბინა უნდოდა





დაეხვედრებინა და ამიტომაც ითრევედა ფეხს. თინა კი თავს ველარ იკავებდა, მამასთან შვილის ყოფნა აღიზიანებდა და ნერვებაშლილი რას ლაპარაკობდა, ვერც კი აცნობიერებდა. ხშირად, რძლის გასაგონად ბობოქრობდა: სისხლი მაინც თავისას შვრება — მამამისივით ზედაპირული აღმოჩნდა



ჩემი შვილი, რატომღაც ჰგონია, რომ იქიდან გამოგზავნილი ფული საკმარისია, მომიგდო თავისი ცოლ-შვილი და თვითონ მამასთან დროს ატარებსო!.. ბევრჯერ ნაუყრუა რძალმა, კარგა ხანს უთმინა და როცა იგივე მეასედ თქვა, დედამთილს უთხრა: რადგან ჩვენთან ყოფნა გლლით და დასვენება გინდათ, ჩემს მშობლებთან წავალ, ბავშვებსაც წავიყვან და მანამდე დავრჩები, სანამ ჯაბა თავისთან გვიხმობსო.

ამონარიდი წერილიდან: „თინა რძალს დაეთანხმა, მაგრამ როცა მარტო დარჩა, ეჭვებში უარესად ჩაიძირა. შვილს ტელეფონით შეეხმიანა და არცთუ სასიამოვნო ამბავი გააგებინა: „სოფო სანამ ჩემთან იყო, ყველაფერში ვეხმარებოდი, ყურადღებას არ ვაკლებდი, მაგრამ ეტყობა, ჩემი „ზედამხედველობა“ აღარ უნდოდა და იმიტომ გადაბარგდა მშობლებთან, როცა უნდა, მაშინ ბრუნდება შინ, სად დავის შენი ცოლი, არ ვიციო“.

რა თქმა უნდა, ჯაბას დედის ნათქვამი არ ესიამოვნა და ეჭვის ჭიაც წელ-წელა ღრღნიდა. თუკი აქამდე იმედიანად იყო რუსეთში და ცოლ-შვილის საცხოვრებელ ბინას არემონტებდა (სიურპრიზი უნდოდა დაეხვედრებინა სოფოსთვის), თინას ზარის შემდეგ აწრიალდა; გადანყვიტა, თბილისში ჩამოსულიყო და დედის ნათქვამი გადაემონებინა.

სოფო იმ დღეს მეგობრის დაბადების დღეზე იყო და შინ მართლაც გვიან დაბრუნდა. მოულოდნელად თავს დამდგარ ჯაბას რომ მოჰკრა თვალი, სიხარულიც კი ვერ გამოხატა, გოცნებულ მიჩერდა ქმარს. ეს წუთიერი ემოცია საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ ჯაბას ეჭვები გამტკიცებოდა.

ცივოდა. მიუხედავად იმისა, რომ ცოლიც და შვილებიც უსაზღვროდ ენატრობოდნენ, ცივად დაელაპარაკა, შემდეგ კი ისეთი უმსგავსო კითხვები დაუსვა სოფოს, რომ ქალი შეურაცხყოფილი დარჩა. შელაპარაკება კამათში გადაიზარდა, კამათი — ჩხუბში...

მეზობელი ქალის ნაამბობიდან: „ჯერ ყვირილის ხმა მომესმა, მერე — მსხვრევის; ძალიან შევშინდი, ისიც არ ვიცოდი, ჯაბა თუ იყო. სოფოს მშობლები ბავშვებთან ერთად, რამდენიმე დღით სოფელში იყვნენ წასულები. ხმაური რომ გავიგონე, სოფოს სახლის კარზე ზარი დავრეკე. კარი ღია აღმოჩნდა და შევედი. შიშით კინალამ გამიჩერდა გული — სოფო იატაკზე გასისხლიანებული იგდო. ჯაბას კი დანა ეჭირა ხელში და უაზროდ დასჩერებოდა ცოლს. ჩემმა კვილმა ჯაბა გონს მოიყვანა, გაქცევა არც უცდია, გამოვიძახე „სასწრაფო“, მერე პოლიციაც მოვიდა და ჯაბა წაიყვანეს“.

სოფო მხარსა და ხელში აღმოჩნდა დაჭრილი. შელაპარაკების დროს ეჭვებში ჩაჯარდნილ ჯაბას დანისთვის დაუვლია ხელი და ცოლს მოკვლით დამუქრებია, მერე ორჯერ მოუქნია კიდეც და... ჭრილობა ღრმა არ იყო, მაგრამ სოფო ისე იყო მომხდარით დაზარალებული, ფსიქოთერაპიის ხანგრძლივი კურსი დასჭირდა.

გასაკვირი ის იყო, რომ ამ ინციდენტმა თინა კი არ გააჩუმა, არამედ კიდევ უფრო გააღიზიანა და ხალხში ხმამაღლა ლაპარაკობდა: ჩემს რძალს საყვარელი ჰყავს და იმიტომაც დააჭერინა თავისი ქმარიო.

აზავი მორა მამის ჩარევის შემდეგ...

ჯაბა 2 თვის შემდეგ გათავისუფლდა. იგი კვლავ რუსეთში გაემგზავრა, მაგრამ ვერ მოისვენა. მიხვდა, რომ დედამისი უსამართლოდ სდებდა ბრალს სოფოს. ის, რაც თინამ რძალზე თქვა, სინამდვილეს არ შეესაბამებოდა და ამის შესახებ ერთმა და ორმა კი არა, ძალიან ბევრმა (ახლობელმა თუ ნაცნობმა) უთხრა. ძალიან განიცადა კაცმა თავისი საქციელი და გულწრფელად ნანობდა. მამას ყველაფერი დაწვრილებით უამბო და თენგომაც ურჩია: ნადი და ცოლს ბოდიში მოუხსადე იქნებ გაპატიოს? როგორ შეიძლებოდა, თინას ლაპარაკს აჰყოლოდიო?!

ნატა, სოფოს კარის მეზობელი და მეგობარი:

— სოფოს ბავშვობიდან ვიცნობ, პატარაობიდანვე ერთად ვიზრდებოდით და დღემდე ვმეგობრობთ. ვერ წარმოიდგენთ, რა დღეში ჩავარდა იმ კონფლიქტის შემდეგ. მეუბნებოდა: — შვილები მეცოდება, თორემ თავს მოვიკლავდი, ეს რა დღეში ჩამაგდო ჯაბამო! ძალიან შეურაცხყოფილი გრძნობდა თავს, ქმარმა ისეთი რაღაცები დააბრალა. რაც შეეხება თინას, იგი ეგოიზმით შეპყრობილი ქალი იყო (და ასეთადაც დარჩა). თავის დროზე ქმრის ლაღატმა ჭკუიდან გადაიყვანა და მარტო ეგოიზმი არ სჭირდა — გაბოროტებული იყო... მართალია, შვილზე გიყვებოდა და თავს ევლებოდა, მაგრამ როცა ჯაბა და სოფო თბილად დაელაპარაკებოდნენ ერთმანეთს ან ცალკე გააბამდნენ მუსაიფს და სამომავლოდ რამის დაგეგმვას იწყებდნენ, თინა გიყვებოდა. დარწმუნებული ვარ, იმაზეც აეშალა ნერვები, რომ ჯაბა იქ ბინას არემონტებდა ცოლ-შვილისთვის. რა თქმა უნდა, თავისებურად, თინაც ცოდვავა: ქმარმა მიატოვა (უფრო სწორად, თინამ აღარ შეირიგა, თორემ თენგოს არ უნდოდა ოჯახიდან წასვლა), შვილი მარტოდმარტომ გაზარდა, ახლა კი ვაჟი, თავისი ცოლ-შვილიანად, საქართველოდან ვინ იცის, რამდენი ხნით მიდიოდა... მაგრამ წუთუთ, თავისი სიმარტოვით ისე უნდა გაბოროტებულიყო, რომ ცუდი მარცვალი ჩაგედო იმ ნიადაგში, საიდანაც თბილი და ლამაზი ოჯახი აღმოცენდა?! ჯაბამ რუსეთში 2 თვე დაჰყო. მერე ვეღარ გაჩერდა და მამასთან ერთად, თბილისში ჩამოვიდა. თენგოსთან ერთად მივიდა სოფოსთან და პატიება სთხოვა... მანამდე სოფო მეუბნებოდა, რომ ჩადენილს ვერ აპატიებდა ჯაბას, მაგრამ კაცი იმდენად შენუხებული და ნირნაზდარი იყო, ზურგი ვეღარ შეაქცია. მართალია სოფო საოცრად გულნატკენი იყო, მაგრამ მას ძალიან უყვარდა ჯაბა. იმის მოლოდინში, რომ ცოლ-შვილის წასაყვანად ჩამოვიდოდა, კალენდარში დღეებს სათითაოდ შლიდა... მადლობა ღმერთს, რომ ეს ამბავი დიდი უბედურებით არ დამთავრდა!.. თენგოს ჩამოსვლამ მოახდინა დიდი ზეგავლენა და სოფოც დათანხმდა რუსეთში წასვლაზე... ახლა უკვე მოოთხე თვეა, რაც იქ არიან და როგორც ვიცი, მათი ურთიერთობა კალაპოტში ჩადგა. თინა კი შვილზეც და რძალზეც ნაწყენია, რადგან მათ ასაკოვანი დედა „მიატოვეს“. არადა, ჯაბა იქიდან დახმარებასაც უგზავნის და ყურადღებასაც არ აკლებს...



ღირსების საკითხი, შერცხვენილი მამაკაცი

და გიჟა თუ არა საქმე სასამართლოდ?

მარი ჯაფარიძე

სატელეფონო რეკლამების გან შეწუხებულმა, წინა კვირას, „სიტუაციაში“ რამდენიმე საინტერესო და მხიარული შემთხვევა გავიხსენე ჩემი და სარეკლამო აგენტების ურთიერთობის „ისტორიიდან“. ვინც წაიკითხა, ალბათ იხალისა კიდევ, ვინც არა — საკუთარ თავს დააბრალოს. თუმცა მაშინ არც მიფიქრია, რომ მომდევნო ნომერშიც კვლავ „ავიღებდი კალამს“ და „დავჯდებოდი წერად“, კვლავ რეკლამებზე მასალის გასაკეთებლად. ერთი სიტყვით, რომ არ დაგაბნოთ, პირდაპირ საქმეზე გადავალ, მაგრამ მინამდევნი პუბლიკაციის — „სატელეფონო რეკლამების ბუმი ანუ ტუუუ... ტუუუ... ტუუუ...“ — ბოლო აბზაცს შემოგთავაზებთ, რომელიც პირდაპირ კავშირშია დღევანდელ თემასთან: „დავასრულე „სიტუაციაზე“ მუშაობა და ახლა წესით, რეზიუმე უნდა გავაკეთო... ვფიქრობ, რა ვთქვა... მაგრამ ამ სარეკლამო „მოძალადეების“ მისამართით მხოლოდ ისეთი სიტყვები მომდის თავში, რომლებიც ცენზურას არ ექვემდებარება... ამიტომ, რეკლამასთან დაკავშირებულ ერთ ნამდვილ ამბავს გავიხსენებ: რამდენიმე წლის წინ, თელავში, 3 თვის განმავლობაში, ავტოავარიების შედეგად, 500 ადამიანზე მეტი დაიღუპა. ქალაქის მუნიციპალიტეტმა სარეკლამო ბილბორდებზე შემდეგი შინაარსის „მესიჯი“ განათავსა: „გამოკვლევების თანახმად, საგზაო საავარიო შემთხვევების უმეტესობა იმ მამაკაცებზე მოდის, რომლებსაც პატარა პენისები აქვთ“. ამბობენ, ამის შემდეგ ავარიების რიცხვი მ-ჯერ შემცირდაო. ჰოდა, რატომ არ გამოვიყენო ეს ხერხი სარეკლამო აგენტების წინააღმდეგ (მით უმეტეს, რომ სულ მამაკაცები რეკავენ) იმისათვის, რომ მათი რიცხვიც შემცირდეს?.. მაშ ასე: „გამოკვლევების თანახმად დადგინდა, რომ სარეკლამო აგენტების უმეტესობას ის მამაკაცები წარმოადგენენ, ვისაც“...

გათენდა ხუთშაბათი — ჟურნალის ახალი ნომრის გამოსვლის დღე... დაძაბული სამუშაო დღეების შემდეგ ეს დღე „გზის“ თანამშრომლებისთვის, ფაქტობრივად, „კვირადღეა“, შედარებით მსუბუქია და თავს უფლებას ვაძლევ, გამოვიძინო, სალონს მივაშურო და პირადი საქმეების მოგვარებას დავუთმო. ჰოდა, წინა ხუთშაბათსაც, დილის 11



საათზე, სწორედ „სილამაზის სალონში“ გახლდით, როდესაც ჩემმა ტელეფონმა დარეკა.
— ალო, მარი ხართ? — მკითხა უცნობმა მამაკაცმა.
— დიას, — ვუპასუხე და ჩემს სტილისტს ვანიშნე, „ფენი“ გამოერთო, რადგან მის ხმაურში მოსაუბრის ხმა ცუდად ისმოდა.
— პრეტენზია მაქვს! — კატეგორიული იყო ჩემი მოსაუბრე.
— რა ხდება, რა პრეტენზია გაქვთ? — გონებაში თვალი გადავავლე ახალი ნომრის მასალებს, რომ მივმხვდარიყავი, რასთან დაკავშირებით შეიძლებოდა, ეს პრეტენზია ყოფილიყო.
— თქვენ გინდათ თქვათ, რომ მე პატარა პენისი მაქვს? — სრულიად სერიოზულად მკითხა ყურმილის მეორე ბოლოში მდგომმა (შესაძლოა,

მჯდომმა ან მწოლიარე) მამაკაცმა.
— საიდან მოიტანეთ? — მართლა არ გამხსენებია ის „რეზიუმე“, რომელიც ზემოთ მოვიყვანე.
— თქვენ წერთ, აგერ, ჟურნალში...
— უკაცრავად, მაგრამ თქვენ ვინ ხართ? — მაინც ვერ მივხვდი.
— მე სარეკლამო აგენტი ვარ!
— ააა, გასაგებია, — გონება გამინათდა, უცებ, — მერე? პენისების რეკლამას აკეთებთ? — უკვე ხუმრობის გუნებაზე დავდექი.
— არა, არა, — ცოტა დაბნეულობა შევნიშნე მოსაუბრის ხმაში, — საქმე ისაა, რომ თქვენს ჟურნალს ბევრი ადამიანი კითხულობს და ჩემმა ნაცნობებმა ეს რომ წაიკითხონ, რას იტყვიან?
— რა უნდა თქვან, ეს ხომ ხუმრობაა? — შარო, საიდან მოდიხარო, ჩემი საქმე ისე იყო, სწორედ.
— ასეთი ხუმრობა არ გამიგონია, გენაცვალე, თქვენ გეხუმრებათ და მე სულაც არ მაქვს საქმე სახუმაროდ და სასაცილოდ, ღირსების საკითხია, შევრცხვი კაცი და ეგაა. თანაც, ეგ ამბავი ტყუილია!
— რას მეუბნებით, მართლა?
— დიას! ჟურნალისტი რომ გგონია თავი და პროფესიონალიზმზე თავს დებ, ჯერ ინფორმაცია უნდა გადაამოწმო და მერე უნდა დანერო.
— იქნებ ისიც მითხრათ, როგორ უნდა გადაამოწმებინა ინფორმაცია?
— გამოკითხვა უნდა ჩატარებინა, დაგერეკა სარეკლამო სააგენტოებში და გეკითხა.
— მაინც, რა უნდა მეკითხა?
— მაგალითად, დარეკავდი, მამაკაცი რომ გიპასუხებდა, ჰკითხავდი — უკაცრავად, თქვენნი პენისის ზომა მაინტერესებს...
— მე მგონი ახლა ზედმეტი მოგდით და იქნებ რედაქციაში მოხვიდეთ, რომ საუბარი იქ გავაგრძელოთ? — ავპილპილდი და ეს ჩემს ტონსაც დაეტყო.
— კიდევ მე მეჩხუბები? რედაქციაში ისე არ მოვალ, — ხელცარიელი...
— შეგიძლიათ, ყვავილები მომიტანოთ ან შოკოლადი, მონანიების ნიშნად.
— მოსანანიებელი შენ გაქვს, მომჭერი თავი ამხელა კაცს... მე ყვავილებსა და „ბანბანერკას“ არ ვგულსხმობდი, ექიმის ცნობას მოგიტანთ და დაგარწმუნებთ, რომ ტყუილხართ.
— გამონაკლისები ყველგანაა, ბატონო და ამიტომ, მხოლოდ თქვენს ცნობას ვერ დავყვარდნობით. აქ მთავარი ისაა, სარეკლამო აგენტებ-



ის ძირითადი შემადგენლობის მდგომარეობა როგორია. ამიტომ, გთავაზობთ, თქვენს კოლეგებს შორის ჯერ გამოკითხვა ჩაატაროთ, შემდეგ ყველამ აიღოთ ექიმის ცნობები და ისე მობრძანდეთ. გპირდებით, რომ თუ ვტყუი, ბოდიშს ჟურნალში მოვიხდით და თქვენთან ინტერვიუსაც ჩავწერ, რომ ქვეყანას აცნობოთ თქვენი აღდგენილი ღირსების შესახებ.

— არ მოიხდით ბოდიშს და საქმე სასამართლომდე მივა! — აღშფოთებულმა მამაკაცმა ყურმილი დაკიდა. აქამდე მეგონა, რომ ეს ადამიანი ხუმრობდა, მაგრამ ბოლო ფრაზამ დამარწმუნა, რომ საქმე „ძალიან სერიოზულადაა“ და თუ მართლა დამტკიცდა, რომ ჩემ მიერ გამოქვეყნებული ინფორმაცია მცდარია და მკითხველი შეცდომაში შევიყვანე, ალბათ მომიწევს სასამართლოს წინაშე წარდგომა...

მანამდე კი, როგორც „მგელი მგლობას არ მოიშლის“, ისე მე არ მოვიშლი რეკლამებზე ლაპარაკს და ამჯერად სატელევიზიო რეკლამებს გადავწვდები.

ყველა წუნუნებს, რომ სატელევიზიო გადაცემებში სარეკლამო ბლოკი ძალიან დიდ ადგილს იკავებს. სპეციალისტებმა ისიც კი დაადგინეს უკვე, რომ თანამედროვე ადამიანი სიცოცხლის 1/5-ს რეკლამის ყურებაში ატარებს.

ხანდახან სარეკლამო რგოლების სცენარისტების შესაძლებლობებს ეჭვის თვალით ვუყურებ და მგონია, რომ მათ იმდენ ხელფასს არ უხდიან, რომ თავი შეიწუხონ და ნორმალური სცენარი დაწერონ. იმაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია, რომ „გარეკლამებულნი“ პროდუქტი ისეთი სულაც არაა, როგორც ამას რეკლამაში გვეუბნებიან.

გადავხედოთ სატელევიზიო რეკლამებს:

ქსოვილიდან ლაქების ამოსაყვანი საშუალების რეკლამის სიუჟეტი სრულიად მარტივია. ბინძურმა დისასხლისმა, თავის ბინძურ შვილებთან ერთად ტანისამოსი და პირსახოცები ისე გააჭუჭყიანა, რომ ლაქები ვერაფრით ამოჰყავს. უეცრად, გამოჩნდება კიდეც ერთი ქალბატონი (მეგობარი, მეზობელი ან დედამთილი) და ლაქების უნიკალურ ამოყვანს შესთავაზებს. ამის შემდეგ ყველა ბედნიერია...

ვცადე, ბატონო... რეკლამაში რომ ვნახე, როგორ აბინძურებდა ახალგაზრდა მამაკაცი მაისურს ჭარხლის წვენი და მერე უთოთიც „გადაუარა“, რომ ეჩვენებინა, ყველაზე რთული ლაქების ამოყვანაც შეიძლებოდა, გამიხარდა... ვიფიქრე,

მეშველა და თმის საღებავით დასვრილ, საყვარელ მაისურს ნაგავში გადაგდებისგან ვიხსნი-მეთქი... ვიყიდე საკმაოდ ძვირად ღირებული ხსნარი და... პირველი, წითელი ლაქას გარშემო მეორე, მოყვითალო ფერის ლაქა გაჩნდა... არადა, ამის შესახებ რეკლამაში არაფერი უთქვამთ და არც ის, თუ რომელი საშუალება ამოიყვანს ორივე ლაქას.

ნოვაციები კბილის ჯაგრისების კონსტრუქციასა და ფუნქციებში უკვე ყველამ გავიზიარეთ. ისინი არა მხოლოდ კბილებს, არამედ — ღრძილებს, ლოყებს, ენასაც კი წმენდენ... და ამ დროს, ჯაგრისები ერთმანეთში საინტერესოდ საუბრობენ. „კბილის ჯაგრისი აღწევს ყველაზე მიუდგომელ ადგილებში!“ საინტერესოა, ვის აქვს კბილები მიუდგომელ ადგილებში?

სარეცხი საშუალების რეკლამების დროს აქტიურად გამოიყენება სტუმრად შემთხვევით მოსული ნათესავი, მეგობარი ქალები, რომლებიც მასპინძელს ასწავლიან, რომელი ფხვნილი ჯობია. საინტერესოა, როდესაც თქვენ სტუმრად მიდიხართ, მთელი ყუთი სარეცხი საშუალება თან მიგაქვთ? სარეცხ ფხვნილთან დაკავშირებით ერთი ამბავი გამახსენდა. ჩემმა მეგობარმა გოგომ დამირეკა, მომიკითხა, ვიჭორავებ და სიტყვას მოაყოლა, სარეცხმა ფხვნილმა ალერგია მომცა, ხელებზე წითელი გამონაყარი მაქვსო. რომელ ფხვნილს ხმარობ მეთქი? დაასახელა და დაამატა — ლიმონით რომაა, იმასო...

— მერე, სანამ რეცხვას დაიწყებ, ლიმონს თუ ჭამ? — ხუმრობა გადავწყვიტე.

— არა, არ ვჭამ, უნდა ვჭამო? — აბა რა, ნახევარი საათით ადრე 1 ლიმონი უნდა შეჭამო და აღარ გექნება ალერგია, — გადავწყვიტე, მესარგებლა იმით, რომ ეკა სვანია და თან ცნობილია, რომ მიაბიტი ადამიანია.

თურმე ამის მერე ეს ჩემი მეგობარი შეჭამს ლიმონს (თან სახეს მანჭავს და იტანჯება მუავე ლიმონის ჭამით) — დარეცხავს სარეცხს... კიდეც და კიდეც... მე ეს ხუმრობა მიმავიწყდა კიდეც, მაგრამ ერთ დღეს გაგულისებულმა დამირეკა და მიკურთხა და მიკურთხა... თურმე, მის მეგობარს ჰქონია ალერგია ფხვნილზე და ეკას დიდი ამბით უსწავლებია, როგორ მოეგვარებინა პრობლემა. ის სიცილით მომკვდარა, ვინ გასწავლაო? მარიმო... მერე, მაგას როგორ დაუჯერე, არ იცი, რა „მაკვარანცხია“, მოუტყუებინარ და ეგააო...

მოკლედ, დავუბრუნდეთ ჩვენს რეკლამას...

„ქალს ერთი უნდა უყვარდეს და არა — მთელი ფარაო“... რა ლამაზად და კარგად მღერიან ეს ველური ტომის წარმომადგენლები... როცა ამ რეკლამას პირველად ვუყურებდი, მეგონა, რომელიმე ვენერიული დაავადების პრევენციული ცენტრის რეკლამა იქნებოდა ან უკიდურეს შემთხვევაში — პრეზერვატივის, მაგრამ მოკოლადის რეკლამა აღმოჩნდა. რა შუაშია რომელიმე აფრიკული ტომი, ქართული სიმღერა და მოკოლადი, მართლა ვერ გავიგე...

როგორ მოგეწონებათ 500%-ით გაზრდილი წამწამები? რეკლამის თანახმად, თუ ამ „ტუშს“ გამოიყენებ, ჩემი 8 მმ-იანი წამწამები მთელი 4 სანტიმეტრი გახდება... ამას „დახამამება“ არ უნდა?

ამას წინათ, ახალთახალი ავტომობილის რეკლამას ვუყურებდი... უგემოვნოდ იყო გაკეთებული. ტექსტი კი ისეთი, ყიდვა რომ გდომოდა, აუცილებლად გადაიფიქრებდი. მე კი უკეთესი იდეა მაქვს და თუ რეკლამის სცენარისტებს მოეწონებათ, არ მენანება, გამოიყენონ: „ლამაზი ცოლი გყავს? სექსუალურად იცვამს? მამაკაცების ყურადღების ცენტრში ექცევა და ეს გალიზიანებს? იყიდე ახალი „პორშე კარერა 4S“ და მამაკაცები შენს ცოლს აღარც კი შეხედავენ!“ აბა, როგორია?!

და საერთოდ, სატელევიზიო რეკლამებთან დაკავშირებით უამრავი პასუხგაუცემელი კითხვა მაქვს. მაგალითად, რატომაა, რომ გაყიდვაში აქამდე არაა „ჩვეულებრივი სარეცხი ფხვნილი“? სარეკლამო რგოლებში ისინი ხომ გვხვდებო?

რატომაა, რომ როდესაც ახალი ტელევიზორის რეკლამას აკეთებენ, გვეუბნებიან, რომ აი, ასეთი საუკეთესო გამოსახულება და ფერები აქვს? ჩვენ ხომ ამ რეკლამას „ძველ“ ტელევიზორში ვუყურებთ და როგორ უნდა დავინახოთ ან ერთი ან მეორე? რატომაა, რომ რეკლამებში ქართულად ლაპარაკობენ, პირს კი „ინგლისურად ადებენ“? რატომ გვაჩვენებენ რეკლამებში ლამაზ სახლებს, მაგრამ მანქანებს და ბედნიერ ადამიანებს? რეალურ ცხოვრებაში ხომ ყველაფერი სხვაგვარადაა?

ვფიქრობ, რეკლამების თემას ამით ამოვწურავ. სამაგიეროდ, ამ კვირაში ალბათ დაპირებულ „ექიმის ცნობებს“ მომიტანე და თუ არ დამაპატიმრეს და არ მიმამბრძანეს იქ, სადაც ჯერ არს და „სადაც ჩემი ადგილია“, მომდევნო ნომერში ერთ კარგ „სიტუაციას“ მაგ თემაზე „გამოვაცხოზო“... ასე რომ... გემშვიდობებით მომავალ „სიტუაციამდე“.

მდგმურების ცხოვრება და დიასახლისების ჩივილი



რამდენიმე დღის წინ ჩემს ნათესავს ვესტუმრე, რომელიც ქალაქის ცენტრში, კერძო ბინაში ცხოვრობს. ოჯახის ძირითადი შემოსავლის წყარო გაქირავებული ოთახებიდან შემოსული თანხაა. ნათესავის ეზოსთან „სასწრაფო“ და საპატრულო მანქანები შევნიშნე და ძალიან შევშინდი, რადგან მამამთილი ჰყავს ავად და ვიფიქრე, რაიმე ხომ არ დაემართა-მეთქი? საბედნიეროდ, შევცდი. თურმე მათი ერთი მდგმური, კახელი გოგონა, მეორეს — იმერელ ბიჭს გაჰყოლია ცოლად. ეზოში კი მათი მშობლები ჩხუბობდნენ. გოგონას დედა ცუდად გამხდარყო და „სასწრაფოც“ მის გამო გამოეძახათ; პოლიცია კი მოჩხუბარი მამების გაშვებებს ცდილობდა...



არ ჰქონდა. ამის გამო შემწოთება რომ გამოეხატე, დამაშვიდა, თბილისში სწორედ იმიტომ ვართ ჩამოსულები, რომ დედა ექიმთან ვატარო და ვუმკურნალოო. ის კაცი დილით მიდიოდა სამსახურში და საღამოს შებინდებულზე ბრუნდებოდა; დედამისს გამზადებულ საჭმელს მაგიდაზე უტოვებდა; მიუხედავად ამისა, გული მაინც არ მითმენდა და ყოველდღე იმ ქალბატონს მოსაკითხად შევაკითხავდი ხოლმე. ერთხელაც რომ შევედი, გარდაცვლილი დამხვდა. კინაღამ გული გამისკდა. შევყარე მთელი უბანი. აღმოჩნდა, რომ არც იმ კაცის სამსახურის მისამართი ვიცოდი და არც — ტელეფონის ნომერი. ვიფიქრე, საღამოს ხომ მაინც დაბრუნდება-მეთქი და მოთმინებით დავი-

ნათია ჟიჟია

რამდენიმე დღის შემდეგ შევიტყვე, რომ ახლადქორწინებულები არც ერთ ოჯახს არ მიუღია, სხვაგან უქირავებით ბინა და ორივე მათგანი სამსახურს ეძებს, რომ ახალშექმნილი ოჯახი როგორმე შეინახონ. ჩემი ნათესავი ამ ამბავს რომ მიყვებოდა, სხვა მდგმურების ამბებითაც დავინტერესდი. ხალისით დამთანხმდა და ყველაფერი მიაშრო. ამას სხვა საინტერესო ცხოვრებისეული შემთხვევებიც შეემატა...

დალი, 46 წლის:
— როცა გავთხოვდი, საცხოვრებლად მუშაობის მშობლებთან, გადმოვედი. კერძო სახლში ვცხოვრობდით და საკმაოდ მოზრდილი ეზოც გვქონდა. მთელი ჩვენი სამეზობლო ოთახებს აქირავებდა და ოჯახს ამით არჩენდა. ჩემს დედამთელ-მამამთილს კი მაღალანაზღაურებადი სამსახური ჰქონდა და მდგმურებზე არც ფიქრობდნენ. ჩემი მუშაობაც მუშაობდა. მთელი დღის განმავლობაში შინ მხოლოდ მე ვიყავი ბავშვებთან ერთად. გადაეწყვიტე, ეზოში რამდენიმე ოთახი მეც ამეშენებინა და გამექირავებინა. ჩემს ქმარს ეს რომ ვუთხარი, უარზე დადგა: რაში გვჭირდება დამატებითი შემოსავალი, ფული თუ გინდა, მე მოგცემო. რასაკვირველია, ამ წამოწყების მიზეზი მატერიალური დაინტერესებაც იყო, — საკუთარი შემოსავალი ვის აწყენს, — თუმცა უფრო, უსაქმურად და მარტო ყოფნა რომ მომეზრდა, მდგმურების მიღებაც ამათომ მსურდა. დედამთელმა მხარი ამიბა და 5 პატარა ოთახი ავაშენეთ. მას შემდეგ 17 წელი გავიდა და მდგმურები ისევ მყავნან. ამასობაში, მამამთილი გარდაეცვალა,

დედამთილი ავად არის, მუშაობა აღარ შეუძლია და სახლში ზის. ჩემი მუშაობა კი ძველ სამსახურში შეამცირეს და ახლა ერთ-ერთ ობიექტზე დარჩა მუშაობს. რომ არა ჩვენი მდგმურები, ალბათ თვიდან თვემდე თავს ვერც გავიტანდით. მართალია, ხანდახან ძალზე რთულია მდგმურების ატანა, მაგრამ ახლა ჭკუა ვისწავლე და თუ დამქირავებულს კარგი თვალთ არ შევხედავ, ბინას არ მივაქირავებ ხოლმე. არც სტუდენტ ბიჭებზე მიყვარს ბინის მიქირავება, რადგან ადრე ორი კასპელი ბიჭი დაბინავდა ჩვენთან, მათთან ბიჭებიც მოდიოდნენ ხოლმე და იყო გაუთავებელი ქვიფები; მერე ნასვამები გარეთ გამოვიდოდნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ და ამის გამო მეზობლები შენიშნას მამლევდნენ. არც ჩვენ გვსამოყვებდა ასეთი ხმაური, რადგან დაძინების საშუალებას არ გვაძლევდნენ. ბიჭებს რამდენჯერმე შენიშვნა მივეცი. ორი დღე ახსოვდათ შენიშვნა, მერე ისევ თავიდან იწყებდნენ. ერთ დღესაც მორიგი ქვიფის შემდეგ ერთმანეთთან ველარ მორიგდნენ, იჩხუბეს და ერთი ბიჭი დაჭრეს კიდევ. ძლივს გავამველეთ. პატრულიც გამოვიძახეთ და „სასწრაფოც“. კიდევ კარგი, ის დაჭრილი ბიჭი გადარჩა. ჩვენი მდგმური კი ციხეში მიაბრძანეს. მას შემდეგ, თუ ბიჭს მშობელი არ ახლავს, ბინას აღარ ვაძლევ. მშობელზე კიდევ ერთი უსიამოვნო შემთხვევა გამახსენდა. ერთმა ახალგაზრდა კაცმა ბინა იქირავა, თან გამაფრთხილა, ოთახში მხოლოდ მე და დედაჩემი ვიცხოვრებთო. სანდომიანი ახალგაზრდა ჩანდა და ბინა მივაქირავე. ორ დღეში ხანში შესულ ქალბატონთან ერთად დაბრუნდა. იმ ქალს ლაპარაკის თავიც კი

წყე ლოდინი, მაგრამ ნურას უკაცრავად. 3 დღე ისე გავიდა, არ გამოჩენილა. ძალიან შევშინდით. მესამე დღეს ვიკადრეთ და პოლიცია გამოვიძახეთ. იმ კაცს ბოლო ორი თვის ქირა ჰქონდა გადასახდელი და ვიფიქრეთ, მკვდარი დედა შეგატოვა და თვითონ, ქირა რომ არ გადაიხადოს, იმიტომ გაიქცა-მეთქი. პოლიციამ გამოგვიცხადა, ცხედარს ვერსად წავიღებთ, აჯობებს, თქვენთან დარჩესო. ამაზე სულ ვადარჩიეთ. ამა-სობაში, ჩვენი მდგმურიც გამოჩნდა. თურმე მისთვის სოფლიდან დაურეკავთ და შეუტყობინებიათ, მამა გყავს ცუდადო; სამსახურიდან პირდაპირ სოფელში წასულა, იმ იმედით, ვინმე მომვლელს ნახავდა და გვიან ღამით ისევ თბილისში დაბრუნდებოდა, მაგრამ მამა მძივე მდგომარეობაში დასვდა და იძულებული გახდა, რაიონის საავადმყოფოში გადაეყვანა, სადაც ოპერაცია გაუკეთეს... სანყალი, ისე შემეცოდა. დედის სიკვდილიც ძალზე განიცადა, თუმცა ამას ელოდა კიდევ, რადგან ის ქალი ჩვენთან პირდაპირ ონკოლოგიურიდან მოუყვანია. ექიმებმა უთხრეს, მაინც ვეღარ გადარჩება და ამის აქ ყოფნას აზრი არ აქვსო, მაგრამ ჩვენ ეს ამბავი არ გავგიხილა — შემეშინდა, ბინას არ მომაქირავებდითო. მოკლედ, იმ კაცმა 2 თვის ქირა გადაგვიხადა და დედის ცხედარიც წაასვენა, მაგრამ დანარჩენი მდგმურებიც უკან მიჰყვინენ. აბა, ჩვენთან ვინდა გაჩერდებოდა? სამი დღის განმავლობაში ცარიელ ოთახში უტხო მიცვალებული ესვენა.. სამიოდე წლის წინ ჩვენთან ერთი ახალგაზრდა კაცი მოვიდა. დაახლოებით, 45 წლის იქნებოდა. საერთოდ, დიასახლისებს ნესად გვაქვს — ყველას ოჯახურ მდგო-



მარეობას გამოვიტოხავთ ხოლმე, რადგან ხომ უნდა ვიცოდეთ, ვის ვუშვებთ სახლში და თან ვისთან ერთად უნდა იცხოვროს. გვითხრა: ქვრივი ვარ, მეუღლე 2 წლის წინ გარდაემეცვალა, ორი ქალიშვილი მყავს და ორივე გავათხოვე; სოფელში თავს ველარ ვირჩენდი და მეგობარმა აქ ჩამომიყვანა, ავტომანქანების სადგომზე ყარაულად დამანყებინა მუშაობაო. ერთი თუ ორი თვის შემდეგ ამ კაცის ოთახიდან საეჭვო ლაპარაკი შემომესმა: „რუსიკო, ვინ არის ჩემი სიცოცხლე?! ვის ვენაცვალე გულში?! ვინ არის ჩემი ერთადერთი და ღამაში არსება?! მოდი, რუსო, გაკოცო...“ და ა.შ. გადავირიე. მაშინვე ვიფიქრე, რომ იმ კაცს მსუბუქი ყოფაქცევის ქალი ჰყავდა მოყვანილი და დღისით-შუხისით, ჩემს სახლში ერთმანეთს ესიყვარულბოდნენ. ძალიან გაგებრავდა, მაგრამ ოთახში შესვლის მომერიდა და ვიფიქრე, იმ ქალბატონს როცა გააცილებს, ეზოში დაეხედები და მაშინ მივეცემ შენიშვნას-მეთქი. იმ საღამოს ოთახიდან არავინ გამოსულა. მეორე დილით კი ჭიშკრის ხმა რომ გავიგონე, მაშინ გავიხედე და დავინახე, ის კაცი სამუშაოზე მარტო მიდიოდა. ვიფიქრე, ჩვენს დამინებას დაელოდა და ის უნამუსო ოთახიდან ღამით გააპარა-მეთქი. მეორე დილით ის კაცი მორიგეობიდან რომ დაბრუნდა, ოთახში შესვლისთანავე, რუსიკოს დაუძახა: მოვედი, ჩემო საყვარელო, ნახე, რა მოგიტანეო!.. ამათ კი ძალიან გამაზლიზიანა. წარმოვიდგინე, რომ ჩვენს დაუკითხავად, ვიღაც ქალი საცხოვრებლად მოიყვანა და ოთახში გამძვინვარებული შევუვარდი. კაცმა გაოცებულმა შემომხედა. ხელისგულზე რაღაც საჭმელი ყარა, თვითონ სკამზე იჯდა, მაგიდაზე კი თუთიყუში წამოსკუბულიყო და მისი ხელიდან საკვებს მიირთმევდა. თურმე „ქალბატონი რუსიკო“ ეს თუთიყუში ყოფილა. რა თქმა უნდა, ჩემი ეჭვების შესახებ იმ კაცს ვუამბე და ერთად ბევრი ვიცინეთ. მას მერე კი მთელი სამეზობლო რუსიკოს მეძახის. ასე მეხუმრებოდა...

ნანა, 53 წლის:

— ეჰ, სწორედ მდგმურებმა დამიღუპეს, შვილო... უკვე წლებია, თავს ოთახების გაქირავებით ვირჩენთ. სულ 4 ოთახი მაქვს. მეუღლე ადრე გარდაემეცვალა და ოჯახის შენახვის მთელი სიმძიმე მე დამანვა ზურგზე. ექიმი ვარ და ნორმალური ხელფასიც მაქვს. ამას მდგმურების ქირაც თუ დაემატება, კარგი შემოსავალი გამოდის. 2 შვილი მყავს — ქალ-ვაჟი. უმამობა არც ერთს უგრძნია. წლებზე ფეხებს ვიდგამდი — თან ვმუშაობდი, თან წვრილ ვაჭრობასაც არ ვერიდებოდი, ოთახებსაც ვაქირავებდი და მათ არაფერი აკლდათ. სტუდენტები რომ იყვნენ, ახალგაზრდა მდგმურებთან ძალიან ახლობლობდნენ და ერთმანეთის გარეშე საჭმელსაც არ ჭამდნენ. რამდენიმე მდგმურმა სწავლა რომ დაამთავრა და თავის კუთხეს დაუბრუნდა, ჩემს შვილებთან კონტაქტი მაინც არ გაუწყვეტია და დღემდე მეგობრობენ. ერთხელაც, ორმა სტუდენტმა გოგონამ ერთ-ერთი ოთახი დაიქირავა. ორივე სამეგრელოდან, წალენჯიხიდან იყო. კლასელები და მეგობრები ყოფილან და

ამიტომ გადაუწყვეტიათ, ერთად ეცხოვრათ. ჩემს გოგონასთან მალევე დამეგობრდნენ. საღამოობით მათ ოთახში ისხდნენ და ხან ყავას სვამდნენ, ხანაც „ჯოკერს“ თამაშობდნენ. მეოთხე მოთამაშე რაკი აკლდათ, ჩემს ვაჟსაც დაუძახეს და მას მერე ჩემი შვილები მათი ოთახიდან მხოლოდ დასაძინებლად თუ გამოდიოდნენ. მოგივანებით შევიტყვე, რომ თურმე ერთ-ერთი მათგანი — მარი ჩემს ვაჟს მოსწონებია. სიმართლე გითხრათ, სულაც არ მინდოდა, მეგრელი რძალი მეოლოდა, თანაც — სოფელი, მაგრამ მე ვინ რას მეკითხებოდა?! მარისა და კახას მეორე მეგრელი გოგონა, ხათუნა უწყობდა ხელს. ცდილობდა, ოთახში მარტო დაეტოვებინა... ყველაფრის ინიციატორიც ის იყო. ხან სად მიდიოდნენ სასეირნოდ და ხან — სად. ერთხელაც, მარის დედა ავად გახდა და გოგონა მთელი კვირა თბილისში არ ჩამოსულა. ჩემი ქალიშვილი ნათესავთან, სოფელში იყო წასული. ჩემი ვაჟი მაინც სულ მდგმურების ოთახში იყო. ხათუნას მარტოს ხომ არ დავტოვებო?! — ამბობდა. სწორედ ეს ერთი კვირა აღმოჩნდა გადამწყვეტი. არ ვიცო, ხათუნამ როგორ მოახერხა, მაგრამ მალე შევიტყვე, რომ ჩემს ვაჟს ცოლი მოუყვანია. რასაკვირველია, ვიფიქრე — კახამ და მარიმ სწავლის დასრულებამდე აღარ მოიცადეს და გაიპარნენ-მეთქი, მაგრამ ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ეზოში ჩოჩქოლი ატყდა... ჩემი ქალიშვილის ყვირილიც შემომესმა; გავვარდი და იქ გულწაფილი მარი შემჩნა ხელში. თურმე მასაც გაუგია კახასა და ხათუნას დაოჯახების ამბავი. გონს მოვიდა თუ არა, მაშინვე დატოვა ჩვენი ბინა და სოფელში გამეზავრა... კახას სიყვარულის ამბავში ისე ვიყავი ჩაბმული, რომ ჩემი ქალიშვილის გრძინებები მხედველობიდან გამორჩა. ერთი კვირაც არ იყო გასული კახას დაოჯახებიდან, რომ ახლა ქალიშვილის გაპარვის ამბავი შევიტყვე. ვიდრე ამას შევიცხადებდი, მდგმურებმა ისიც მომასხენეს, რომ თურმე ჩემი სიძე, ჩვენი კიდევ ერთი მდგმური, ვაჟა ყოფილა. მაშინ კი მართლა გადავირიე. ერთი კვირა ისე ცუდად ვიყავი, ლოგინიდან ვერ ვდგებოდი. ნინოს (ჩემი ქალიშვილი) სახელის ხსენებაც აღარ მსურდა. მთელი თვე არც მინახავს და არც მისი ხმა გამიგონია, მაგრამ კახასგან ვიცოდი, რომ ნინო კახეთის ერთ-ერთ მიყრუებულ სოფელში, ქმრის ოჯახში ცხოვრობდა და თავს ძალიან ცუდად გრძნობდა, რადგან სწავლის მიტოვებაც მოუხდა და სოფელშიც ვეღარ ძლებდა. რაც უნდა იყოს, დედა ვარ და გული მომიღბა. სიძეცა და ქალიშვილიც ჩამოვადრძანე და ჩემს სახლში მოვიყვანე. ეს ამბავი ჩემს მეგრელ რძალს არ მოეწონა და ატყნა ერთი ამბავი... მას შემდეგ თითქმის 11 წელი გავიდა და ერთ დროს თითქოს საუკეთესო მეგობრები, ჩემი ქალიშვილი და რძალი, მთელი ამ ხნის განმავლობაში ერთმანეთს არ ელაპარაკებინა. ვერაფერს იყოფენ და ყოველკვირა ხელჩართული ჩხუბი აქვთ. მათ ქმრებს მოჰპებზრდათ მათი მუდმივი კინკლაობა და კი აღარ აშველებენ — ნივილ-კვილი ატყდება თუ არა, სახლიდან მიდიან... არც რძალში გამიმართლა

და არც სიძეში. 11 წლის მანძილზე ჩემმა სიძემ ვერაფრის გაკეთება ვერ მოახერხა. ვითომ ერთი პერიოდი მუშაობდა, მაგრამ მერე შემცირებაში მოყვა და ახლა მთელი დღე მხართეობზეა წამოწოლილი; საღამოს ქუჩაში გადის და ძმაკაცებთან ერთად, შუალამემდე ქეიფობს. ჩემს შვილს მის მიტოვებაზე სიტყვასაც ვერავინ ეტყვის, მიყვარსო, გაიძახის. რაც შეეხება რძალს, ცდილობს, ყველა თავის ჭკუაზე გვატრიალოს. ისე მომბეზრდა გაუთავებელი ჩხუბი, რომ სულ ვცდილობ, მისი გალიზიანება არ გამოვიწვიო, მაგრამ ჩემი ქალიშვილი არ ეუუება. მდგმურების ხსენება აღარ მინდა, მაგრამ ამდენ ხალხს რჩენა არ უნდა?! ოთახებს ისევ ვაქირავებთ...

ნანა, 69 წლის:

— უკვე წლებია, მე და ჩემი ავადმყოფი მეუღლე ოთახების გაქირავებით ვირჩენთ თავს. კიდევ კარგი, ეს ოთახები მაინც მაქვს, თორემ ჩვენი პენსია რამდენ რამეში გვეყოფოდა?! ერთი ქალიშვილი გყავს და ისიც გერმანიაშია გათხოვილი. მართალია, ხანდახან ფულს ისიც გვიგზავნის, მაგრამ უცხოელების ამბავი ხომ იცი — ჩვენი გერმანელი სიძე ვერაფრით ხვდება, რატომ უნდა შეგვინახოს. ამიტომ ჩემი ქალიშვილი ფულის გამოგზავნას წელიწადში ორჯერ თუ ახერხებს... ძალზე ხშირია მდგმურებს შორის სასიყვარულო ურთიერთობა. ზოგი მათგანი კარგად მთავრდება, ზოგი — ცუდად. შარშან ერთმა კაცმა იქირავა ჩვენთან ბინა. მიიხრა, მარტო ვიცხოვრებ, მხოლოდ ხანდახან მეუღლე მომავითხავს ხოლმეო. ხანდახან კი არა, ის ქალბატონი თითქმის ყოველდღე მოდიოდა, თუმცა ღამით მხოლოდ რამდენჯერმე დარჩა. დაახლოებით 6 თვის შემდეგ ეზოში აურზაური ატყდა. გარეთ რომ გავიხედე, სამინელი სცენის მომსწრე გავხდი: ჩემი მდგმური ვიღაც კაცს მინაზე დაწვინა, თვითონ ზემოდან შემოსჯდომოდა და ახრჩობდა. ჩემმა ქმარმა და სხვა მდგმურებმა ძლივს გააგდებინეს ხელიდან, თორემ ნამდვილად დაახრჩობდა... ვიდრე ჩვენს მდგმურს ვასულიერებდით, ის კაცი მის ცოლს დაეჭვა და ახლა მას დაუწყო ცემა. ვიღაც ღვთისნიერმა პატრული გამოიძახა და ვიდრე „სტუმარს“ ხელბორკილი არ დაადეს, მანამდე არ დამოშინდა. მერე კი გავარკვიეთ, რაც ხდებოდა: თურმე ეს ქალბატონი ჩვენი მდგმურის კი არა, იმ კაცის ცოლი ყოფილა!.. ვერძნობდი, რომ მლაღატობდა, მაგრამ აქამდე ფაქტზე ვერ დავიჭირეო, — გვითხრა იმ კაცმა... ეს ამბავი როგორ დამთავრდა, არ ვიცი, რადგან ის კაცი პოლიციამ წაიყვანა, ჩვენმა მდგმურმა კი იმ საღამოსვე გადავიხანა ფული და წავიდა. კიდევ ერთი ამბავი მოხდა. ერთადგილიანი ოთახი მაქვს, რომელიც სტუდენტმა ბიჭმა იქირავა. მალევე შევიტყვე, რომ იმ ბიჭს შეყვარებული ჰყავდა. მართლაც, ძალიან კარგი წყვილი იყო. ის გოგო, ფაქტობრივად, ჩვენთან ცხოვრობდა. თურმე მშობლებს ატყუებდა, მეგობარ გოგონასთან უნდა დარჩენილიყო, სინამდვილეში კი დღე და ღამე თავის შეყვარებულთან იყო. სულ მიკვირდა, იმ პატარა სანოლზე როგორ ეტყვიან-



უსსო სიყვარული, უიუი და გამოგონილი აჭვი

ამ ბოლო დროს, მკითხველთა წერილებმა იმატა და უკვე იმდენი დაგროვდა, რომ მათ წაკითხვასაც ვეღარ ავუდივარ. თანაც, ბევრი მსაყვედურობს იმის გამო, რომ კითხვებს უპასუხოდ ვტოვებ. დღეს რამდენიმე მათგანს განვიხილავ.

ბრაზი თარხანი

„როგორ მოვიქცე
შეშუქვარ ქმარს?“

„გამარჯობა, გრაფო!

ძალიან გთხოვთ, უპასუხოდ ნუ დამტოვებთ. ძალზე დიდი პრობლემის წინაშე ვდგავარ და იქნებ, გამოსავალი მაპოვნოთ. უკვე 9 წელია, გათხოვილი ვარ და ჩემს ქმარს ოჯახში ჯერ 1 თეთრიც არ შემოუტანია. ფულს ხან ვისგან სესხულობს, ხან — ვისგან. ჩემი მამამთილი სახედრო პირი და ძალზე მკაცრი ადამიანია. ჩემს ქმარს მამამთისის ეშინია და ფულის სათხოვნელად მასთან ვერ მიდის, თანაც, ერთმანეთს ვერ იტანენ. მოცესხენებათ, ოჯახს უამრავი ხარჯი აქვს. უკვე ვალეებში ვიწროვებით. ჩემი მწირი ხელფასით ყველაფერს ვერ ვწვდები. ქმარი სულ მპირდება, რომ აუცილებლად დაინწყებს მუშაობას, მაგრამ ტელევიზორის ყურების, მეგობრებთან დომინოს თამაშის, ლუდის სმისა და ძილის მეტს არაფერს აკეთებს. ხშირად უკანასკნელ „კაპუკებს“ მართმევს, რომ თავისნაირი უქნარა ძმაკაცებთან ერთად არაფი დალიოს; მე კი იმ საღამოს ბავშვებს დასაძინებლად მშობრებს ვაწვინ. თუ უარს ვეტყვი, ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადადის. მისი მეგობრებიც მე მაკითხავენ. უკვე აღარ შემიძლია, მისი უმუშევრობის გამო, ოჯახში სიტუაციაც დაგვიძაბა. როგორც კი ამ თემაზე ლაპარაკს დავიწყებ, სკანდალისტსა და უქნარას მეძახის, უმიზეზოდ ლალატში მდებებს ბრალს და მეუბნება, რომ მისგან წასასვლელად მიზეზს ვეძებ. ვცადე მისთვის სამსახური მეშოვა, მაგრამ უარი განაცხადა, მაგის განწყობილება არ მაქვსო, მიპასუხა. თურმე, დეპრესიაში ვაუბატონი. არადა, ვიცი, დაეზარა. სახლში ხან საპონი არ გვაქვს, ხან — პური, ხანაც — დენი, გადაუხდელობის გამო. მირჩიეთ, როგორ მოვიქცე? იქნებ, გავშორდე? მაშინ ნაკლები ხარჯი მექნება, სიგარეტისა და ლუდის ფულს მაინც დავზოგავ და ამ ფულს შვილებს მოვამარ. პატივისცემით, მანანა.“



— გამარჯობა, მანანა. დაფიქრდი და ჰკითხე საკუთარ თავს: როგორ ხედავ შენს მომავალ ცხოვრებას ქმართან ერთად? იქნებ თუ არა ბენდიერი და ნარმატების მიღწევას თუ შეძლებ? რას მიიღებ იმ მსხვერპლის სამაგიეროდ, რომელსაც მისი გულისთვის იღებ? განა რამდენ ხანს შეძლებ „დიდ ბავშვზე“ ზრუნვას? რა უფრო მეტად გამოინებს, ქმართან გამოჩენა თუ „შექმნილი სიტუაციის“ მსხვერპლის როლი? თუ ამ კითხვებმა არ შეგაშინა და ისეთი გადამწყვეტილების მიღება შეგიძლია, რომელიც შენს ცხოვრებას შეცვლის, მაშინ ჯობს, წარსულს გადახედო და ისე მოიქცე, როგორც ბავშვების მომავლისთვის უკეთესი იქნება. არ გიბიძგებ ოჯახის დანგრევისკენ, მაგრამ ნათქვამია, გაუფიქრებლად გატყევილი სჯობიაო. დანამდვილებით კი ერთი რამ შემიძლია გითხრა: შენი მეუღლე შეილებს ცუდ მაგალითს აძლევს.

„ლალატი ვაპატივი, მბრამ ვერ ვიციწყებ“...

„გამარჯობა, გრაფო. სრულიად შემთხვევით შევიტყვე, რომ ქმარი მლაღატობდა. ამის შესახებ თავად მისმა საყვარელმა მითხრა. საშინელ დღეში ჩავვარდი. წარმოიდგინეთ, სულ რამდენიმე თვის გათხოვილი ვიყავი და უეცრად, 5 თვის ფეხძიმე ვიგებ, რომ ქმარი მლაღატობს. ყურებს არ დავუფერე, როცა იმ გახრწნილმა ქალმა დამირეკა და მითხრა, რომ თურმე ერთმანეთი უყვართ და მე ხელს ვუშლი მათ ბედნიერებას. როდესაც ქმარს ამის შესახებ ვკითხე, იმ კანკას ნათქვამი დადასტურა, მაგრამ აღნიშნა, რომ კი არ უყვარს, უბრალოდ, მასთან დადის და ოჯახის დანგრევას არ აპირებს. შეძრწუნებულმა, შინიდან გავაგდე საცხოვრებლად თავის

მეთქი?... ამის გამო შევწუხდი და იმ გოგონას ვუთხარი: ამ ოთახში სხვა სანოლი აღარ დაეტევა და თუ გინდა, ერთ ლიებს მოგცემთ-მეთქი. იუარა: როგორ გვადრებათ?! ჩვენ ერთად კი არ ვწევართ, მორიგეობით ვიძინებთ ამ სანოლით... კინალამ გავგიჟდი, მაგრამ აღარ ჩავაცივდი, სხვის ლოგინში რა ხდებოდა, რა ჩემი საქმე იყო. ერთი წლის შემდეგ ახალგაზრდა წყვილი გაიპარა. გოგონას მშობლებმა რალაგნიარად დაადგინეს, რომ ის ბიჭი ჩვენთან ცხოვრობდა და გამძვინვარებულები მორიგეობით ვიძინებთ — მაგან შვილი მოგვტაცაო! მე სხვის საქმეში ჩარევის უფლება არ მქონდა და ხმა არ ამოიღია, მაგრამ იქ იმ ბიჭის ძმა იმყოფებოდა და იმან საკადრისი პასუხი გასცა: შვილის ბედი თუ გალელვებად, მთელი წელი სად იყავით, სულ ჩემს ძმასთან რომ ეძინათ?! ამაზე სულ გავგიჟდნენ გოგოს მშობლები. როგორც მერე შევითყვევით, გოგოს ჩაკითხეს და სულ თმის თრევიტ ნამოიყვანეს იქიდან. მერე ექიმთან წაიყვანეს და დაადგინეს, რომ გოგონა ნამდვილად, ქალწული იყო. ე.ი. არ მოუტყუებია და იმ საცოდავებს მთელი წლის მანძილზე მართლა მორიგეობით სძინებიათ. ერთ კვირასი ის გოგონა შეყვარებულს მაინც გაჰყვა ცოლად და ახლა უკვე 2 წლის ბიჭი ჰყავთ. მართალია, ბინა სხვაგან იქირავეს, მაგრამ ჩვენთან სტუმრად ხშირად მოდიან. ძალიან საყვარელი ბავშვი ჰყავთ და ყოველთვის მიხარია მათი სტუმრობა... მდგმურების მიღება მხოლოდ კარგ ამბავს არ უკავშირდება. შარშან ერთი ახალგაზრდა წყვილი მივიღე. რამდენიმე თვის ბავშვი ჰყავდათ. ის გოგონა ახლობლის ნათესავი იყო და მთხოვა, ოთახი იფად მიაქირავეო. გარეგნულად ძალიან კარგი ადამიანების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ. მათ შვილსაც მივქვიე და თუ ცოლ-ქმარი სადმე წასასვლელი იყო, ბავშვსაც კი ვიტოვებდი. ერთი თვე რომ გავიდა, მითხრეს, ახლა ფული არ გვაქვს, რამდენიმე თვის შემდეგ რალაგ შემოსავალს ველოდებით და ბარემ ერთიანად გადაგიხდით, ნაცნობისგან მოვედით და ხომ არ გავგექცევითო. რასაკვირველია, ვენდე და დავთანხმდი. თან, მეც მაძლევდა ხელს, თუ იმ ერთი ოთახის ფულს ერთიანად ავიღებდი. თითქმის მთელი წელი გაჩერდნენ ჩემთან და ყოველი თვის ბოლოს მეუბნებოდნენ, ფულს შემდეგ თვეში გადაგიხდითო. ბოლოს, ძალიან რომ დამჭირდა, ვთხოვე, მეტს ვეღარ დაგაცდით, რამდენიმე დღეში ფული სრულად გადამიხადეთ-მეთქი. — კი, ბატონოო, უპრობლემოდ დამთანხმდნენ. ორი დღის შემდეგ კი აღმოვაჩინე, რომ გაპარულან. თურმე ლამით, როგორც კი მე და ჩემმა ქმარმა დავეძინეთ, ჩემად გამოსულან ოთახიდან, გარეთ მანქანა ელოდათ და წასულან. ჩემს მეზობელს დაუნახავს, მაგრამ აბა, იმან რა იცოდა, რომ იპარებოდნენ?... ასე დავკარგე მთელი წლის ქირა. ის ჩემი ახლობელი ქალბატონი, ვისი ხათრითაც ისინი მივიღე, ავადმყოფი ქალია და არ მინდა, ეს ამბავი ვუთხრა. ვიცი, ძალიან ინერვიულებს. რას ვიზამ, ჩავთვლი, რომ ის ოთახი ვერ გავაქირავე და ეგ იქნება...



მშობლებთან გადავიდა. 2 თვის წინ შვილი შეგვეძინა, რის გამოც ქმარს ლალატი ვაპატიე და შევეუროგდი, მაგრამ ლალატის დაფინანსება არ შეძლო. ლამის გავვიფიქრე, სულ ამაზე ვფიქრობ. იქნებ დამეხმაროთ და მიიჩიოთ, როგორ დავეფინანსო ეს საშინელება?“

— ადამიანების ურთიერთობაში არსებობს ისეთი მომენტები, რომლის დაფინანსებაც შეუძლებელია. უბრალოდ, ისეთი



უნდა მიიღო, როგორც არის და აპატიო. მესმის, რომ როდესაც ერთმანეთს ისეთი მოვლენები ემთხვევა, როგორცაა ორსულობა, მშობიარობა და ქმრის ლალატი, ძალზე ძნელია, ემოციებს გაუმკლავდე და რაღა თქმა უნდა, ეს ფსიქიკისთვის ძლიერი დარტყმაა. ამიტომ, სამწუხაროდ, რეცეპტი, თუ როგორ დაივიწყო ეს საშინელება, არ არსებობს.

„გამოგონილი აქვი“

„გრაფო, ძალზე გამიჭირდება ჩემი პრობლემის მოკლედ გამოცემა. უფრო სწორად, ჩემ მიერ გამოგონილი პრობლემის სწორად განმარტება. ძალიან მჭირდება ფსიქოლოგის კონსულტაცია, მაგრამ ვინაიდან ასეთი მომსახურება ძალზე ძვირია, კერძო ფსიქოლოგთან მისვლას ვერ შევძლებ. ვფიქრობ, თქვენთან ურთიერთობა კარგი საშუალებაა საიმისოდ, რომ სწორი ქმედება მიკარნახოთ. ერთი წელია, შეყვარებული მყავს. ბოლო რამდენიმე თვის განმავლობაში, ჩემი უაზრო ეჭვიანობის გამო სულ ვჩხუბობთ. მას არ ვენდობი და უკვე იმ ზომამდე მივიღე, რომ მდებარეობითი სექსის წარმომადგენლებთან ურთიერთობა საერთოდ აუფერძალე. მისი ოჯახის წევრებზეც კი ეჭვიანობ. მას ვუყვარვარ და ყველაფერზე თანახმაა, მაგრამ თუ რომელიმე ლამაზ გოგონას თვალს გააყოლებს,

მაშინვე ისტერიკა მემართება — ვტირო, ვჩხუბობ და საშინელ სკანდალს ვაწყობ. კიდევ ბევრი ნიუანსი არსებობს, მაგრამ პრობლემის ძირითადი აზრი გადმოგვცით. ცხოვრების ასე გაგრძელება მიჭირს. ძალიან გთხოვთ, ნუ დაიზარებთ და მიკარნახეთ, როგორ გავაგრძელო ცხოვრება?“

— ეჭვიანობა ის სენია, რომელიც ადამიანს შიგნიდან ღრღნის. პრობლემა თავად შენშია. თუ მამაკაცი თანახმაა, რომ შენი გულისთვის სხვა ქალბატონებთან ყოველგვარი ურთიერთობა განწყვიტოს, მას მართლაც ჰყვარებიან. საკუთარი თავი უნდა აიძულო, რომ ეჭვიანობის გრძობა დათრგუნო. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას აუცილებლად დაკარგავ. დაუკვირდი შენს ქმედებას. ნუთუ არასოდეს გატყვევია თვალი სხვა მამაკაცისკენ? ამ დროს ლალატში რომ დაგდონ ბრალი, როგორი რეაქცია გექნება? რა თქმა უნდა, საშინელი, რადგან დარწმუნებული ხარ, რომ ლალატს გულში არ გაივლებ და სხვა მამაკაცს უბრალოდ, ცნობისმოყვარეობის გამო შეხედე — მისმა ჩაცმულობამ, ვარცხნილობამ ან თუნდაც, მობილურმა ტელეფონმა მიიქცია შენი ყურადღება, ამ დროს კი ლალატს გაბრალებენ! გამოდის, საკუთარ თავში დარწმუნებული ხარ, საყვარელი ადამიანის გრძობაში — არა. მაშინ, ასეთ ურთიერთობას აზრი არ აქვს. თუ მამაკაცი ეჭვიანობის საფუძველს არ მოგცემს, შენ კი მასზე ძველებურად იეჭვიანებ, მერწმუნე, სულ მალე შენი ეჭვი საფუძვლიანი გახდება და ის მართლა დაინტერესდება სხვა გოგონებით, რადგან ადრე თუ გვიან, ყველას მოსწყინდება ეჭვიანობის სცენების ყურება და ერთი და იმავე საყვედურის მოსმენა.

ამის სიკვდილით გამოწვეული დანაშაულის ბრძოლა

„გამარჯობა, გრაფო. ის, რაც ახლა ჩემს თავს ხდება, აბსოლუტურად გაცნობიერებული მაქვს და საკუთარი თავის მრცხვენია კიდევ ვერ ვიტან საკუთარ თავს, მაგრამ სხვებისთვის რჩევების მიცემა ხომ გაცილებით იოლია, ვიდრე საკუთარი პრობლემიდან გამოსავლის მოძებნა. მამის სიკვდილში თავს დამნაშავედ ვგრძნობ. ვიცი, რომ მისი გადაარჩენა ღმერთსაც კი არ შეეძლო. ექიმებმაც ხომ სელი ჩაიქნო... მაგრამ გული გახეთქაზე მაქვს... მის სიკვდილში კი არა, თავს დამნაშავედ უფრო იმის გამო ვგრძნობ, თუ როგორ წავიდა ის ამქვეყნიდან. თავის მოკვლა მინდა, როცა მასხენდება, რომ ყოველ წუთს მის გვერდით ვერ ვიყავი და საკუთარ დედას მისი თავი არ წავართვი (მგონია, რომ ამ მდგომარეობამდე სწორედ მან მიიყვანა). ვბრაზობ დედაზე, ძმაზე... იქნებ იმიტომ, რომ ჩემი დანაშაულის მათზე გადაბრალებას ვცდილობ? მამის წმინდა სსოფნის გამო არ

მინდა მოგიყვეთ, როგორი ურთიერთობა მქონდა ჩემს ოჯახთან. უბრალოდ, მინდა, წყენისა და სიძულვილისგან გავთავისუფლდე, რადგან ამჟამად დედას ყოველდღე ვხვდები (შექმნილი სიტუაციის გამო მასთან ვცხოვრობ). მხოლოდ ღმერთმა იცის, როგორ მიმიძიმა. ვგრძნობ, რომ უარესობისკენ ვიცვლები, რადგან სიძულვილი მშვიდად ცხოვრების საშუალებას არ მძლევს. ყოველდღე ჰიროზას ვაძლევ საკუთარ თავს, რომ დედის დანახვაზე სიძულვილი დაემალო და თვალები დაეხარო, მაგრამ ის ამის საშუალებას არ მძლევს. თითქოს ჩემს გამძლეობას ცდის. ვმშობ, რომ ასე დიდხანს ვერ გავძლებ; სკანდალი კი არ მსურს, რადგან შინაგანად ვგრძნობ, რომ ის ცუდი ადამიანი არ არის და რაც უნდა იყოს, მაინც დედაჩემია. მიშველეთ! ცხოვრების გაგრძელების ძალა არ შემწვეს! მამასთან მინდა! თავს მოვიკლავდი, შვილი რომ არ მყავდეს... პატივისცემით, ელზა“.

— გამარჯობა, ელზა. მესმის შენი და მოზიარე ვარ მწუხარების. ძნელია, ახლებელი ადამიანის დაკარგვის შემდეგ ცხოვრება ჩვეული რიტმით განაგრძო, თანაც იმ გრძობებით, რომლებსაც შენი ახლობლების მიმართ განიცდი. წყენისა და სიძულვილის მდგომარეობა მზარდია, თქვენში მუდმივად ძალას იკრებს და მისგან თავის დაღწევა ძნელია. მინდა გირჩიო, რომ დედას დაელაპარაკო. მასთან გულახდილი საუბარი აუცილებელია. მიეცი მას საშუალება, თავი იმართლოს. თუმცა, შესაძლოა, გაირკვეს, რომ თავის გასამართლებელი არც არაფერი აქვს. ამიტომ, ნუ ებრძვი საკუთარ თავს. დარწმუნებული ვარ, დედა ხვდება შენს სიძულვილს და ამით ძალზე სტკენ გულს. რაც შეეხება მამას, თავად ამბობ, რომ მას ღმერთიც ვერ გადაარჩენდა. სავარაუდოა, რომ უკურნებელი სენით იყო დაავადებული და მის სიკვდილში დამნაშავე არავინაა. კიდევ ერთი რჩევა: უმჯობესი იქნება, თუ შენი და დედაშენის საუბარი მამის საფლავთან შედგება. ამ გზით მეტ გულახდილობას მიაღწევ. წარმატებებს გისურვებ. სურვილის შემთხვევაში, შედეგი შემატყობინე.

„უპასუხო სიყვარულის შედეგად ბაჩინილი შიში“

„შესაძლოა, ჩემი პრობლემა ბანალურად მოგეჩვენოთ და მსგავსი ამბები სწორად მოგისმენიათ კიდევ, მაგრამ ძალიან გთხოვთ, უპასუხოდ ნუ დამტოვებთ. 21 წლის ვარ. 3 წლის წინ, ინტერნეტით გოგონა გავიცანი. რამდენიმე თვის შემდეგ ერთმანეთს შევხვდით და მის მიმართ გრძობა გამიჩნდა. ასე არასდროს არავინ მყვარებია (მოუხედავად ჩემი ასაკისა, რამდენიმე შეყვარებული მყავდა). ინტერნეტით



გაცნობილი გოგონას სიმპათიის მოპოვებას მთელი წელი ვცდილობდი, მაგრამ ვერაფერს მივაღწიე. ბოლოს და ბოლოს, ყველაფერი ყელში ამომივიდა და მასთან ურთიერთობა შევწყვიტე. თუმცა, ამ ურთიერთობამ ძალზე დიდი იარაღი მიტოვა. 3-4 თვის შემდეგ, როგორც იქნა, ყველაფერი „გადავხარშე“ და ნორმალურ ცხოვრებას დავეუბრუნდი. ახლა კი ერთი პრობლემის წინაშე ვდგავარ: საპირისპირო სქესთან ურთიერთობის, შეცდომის დაშვებისა და ნაბიჯის გადადგმის მეშინია. პირველი აზრი, რაც გოგონას მონონების შემდეგ თავში მომდის: „იქნებ, ისევ ისე მეტკინოს გული?“ ამის შემდეგ, ნებისმიერი მათგანისგან თავს შორს ვიჭერ. ასეთი საქციელი ჩემთვის დამახასიათებელი არ გახლავთ და თავს უხერხულად, შებოჭილად და დაკომპლექსებულად ვგრძნობ. რა არის ეს? კომპლექსი? გთხოვთ, მიპასუხეთ. წინასწარ მადლობას გიხდით. პატივისცემით, ალექო“.

— ალექო, როგორც ჩანს, ინტერნეტში გაცნობილ გოგონასთან ურთიერთობამ დიდი ტრავმა მოგაყენა და როგორც ამბობენ — „ცხელი რძით შეშინებული, დოს უბერავდაო“, სწორედ ასე დაგემართა. მძაფრი განცდების შემდეგ, ხშირია მსგავსი რეაქცია. ამიტომ, კითხვაზე — „ეს რა არის?“ შეიძლება გიპასუხო, რომ ეს არის შენი ფსიქიკის დამცველი რეაქცია. პოსტტრავმული პერიოდი სხვადასხვა ადამიანში სხვადასხვაგვარად მიმდინარეობს და 6 თვიდან

წელიწად-ნახევრამდე გრძელდება. თუ ის უფრო დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში, უფრო სერიოზულ პრობლემასთან გვაქვს საქმე. საესტეტიკო შესაძლებელია, რომ ერთ მშვენიერ დღეს ისეთ გოგონას შეხვდე, რომელიც ამ განცდებს დაგაიწყებს, მაგრამ სად არის გარანტია, რომ ამ გოგონას ხელს მანამდე არ ჰკრავ? შენი მდგომარეობა არც ისე საშიში და უიმედოა. ამიტომ, ჩემი რჩევა იქნება, საპირისპირო სქესის წარმომადგენელს შენთან დაახლოების საშუალება მისცე. გაიღიმე, მასაც გაუღიმე და ყველაფერი ძალიან კარგად იქნება. აბა, წარმატებები...

„სამშობიაროში მიტოვებული შვილის ამაპი“

„20 წლის ვარ. ქმარს მაშინ გავეშორდი, როცა 3 თვის ფეხმძიმე ვიყავი. ახლობლები მირჩევდნენ, ბავშვი მომეცილებინა, მაგრამ ქვა ავაგდე და თავი შევუშვირე. მართალია, ძალიან ვინერვიულე, მაგრამ ყველაფერი გადავიტანე. გოგონა შემეძინა, ბავშვი ავადმყოფი დაიბადა — არ აქვს ყურის ნუჟარები, ერთი თირკმელი, სახის ნერვი და აქვს გულის მანკი. შოკში ჩავვარდი. ძალზე მძიმე მშობიარობა მექონდა და იმ დღეს ფეხზე ვერ ავდექი. ამიტომ, ბავშვი არ მინახავს. მეორე დღეს ჩემთან მოვიდა იურისტი და მასთან საუბრის შემდეგ, ბავშვზე უარი ვთქვი. შვილი მხოლოდ დაბადებისას ვნახე. მაშინ დედობრივი ინსტინქტის გაღვიძება ვერ ვიგრძენი, ახლა კი სულ ვტირი და ვფიქრობ,

რომ არასწორად მოვიქციე. მისი ბედი მალეღებებს. ღამ-ღამობით ჩვილები მესიზმრება. ძალიან ცუდად ვარ, მირჩიეთ რამე. ელენე“.

— ელენე, ქმართან გამორებისა და ავადმყოფი გოგონას დაბადების შემდეგ — შოკი საესტეტიკო ბუნებრივი რეაქციაა და ისიც ბუნებრივია, რომ შვილზე უარის თქმის სურვილი გაგიჩნდა. მაგრამ როგორი მიმეც უნდა იყოს, მოგიწევს შეეგუო იმ ფაქტს, რომ ეს უკვე მოხდა! ავადმყოფ ბავშვზე ზრუნვა უამრავ ენერჯიას, თანხას, ვაჟაკობასა და ძლიერ ნებისყოფას მოითხოვს. უნდა იცოდე, რომ არც ბავშვის დატოვების და არც მისი წამოყვანის გადანაცვტილება იოლი მისაღები არაა. ასეთ სიტუაციაში იოლი გამოსავალი არ არსებობს! ამიტომ, მისი ძებნა უშედეგო იქნება. შენ მიიღე ბავშვის დატოვების გადანაცვტილება, მაგრამ მასზე ფიქრი განაპებს. ეს დანაშაულის გრძნობაა? არა, ის უნდა მიიღო, როგორც შენ მიერ მიღებული გადაწყვეტილების თანმდევი მოვლენა, თუ ეს გადანაცვტილება საბოლოოა. თუ ფიქრობ, რომ შენი გადანაცვტილება „მომნიშვნეული“ არ იყო და შენს შიგნით არსებული მეორე აზრი გენინააღმდეგება, მიეცი საკუთარ თავს დრო, რომ ყველაფერში კარგად გაერკვე. რისი მიღება გასურდა, როდესაც ამ გადანაცვტილებას იღებდი? იყო თუ არა ეს ერთადერთი გამოსავალი? ჰკითხე საკუთარ თავს და გადანაცვტილება კიდევ ერთხელ აწონ-დაწონე. ვფიქრობ, ამის შემდეგ გულზე მოგეშვება და თუ იმასაც გაითვალისწინებ, რომ შესაძლოა, შენი ავადმყოფი გოგონასთვის სწორედ ასე სჯობდა, მაშინ შევებით ამოისუნთქავ. ■

ბიბლუსი **ცნობილი ადამიანები სტუმრად**

Books

„ბიბლუსი“

ყოველ შაბათს 15-დან 17 სთ-მდე (რუსთაველის 40/1)

მწიგნობრები.
 ჰოლოციდოლოგები.
 მეცნიერები.
 სპორტსმენები.
 მსახიობები
 და სხვები...

31 ოქტომბერს ნიგნაზის შარჩავაში *მანა ჯახუა* დაგხმარებათ და უაასუხავს თქვენს შაკითხვას.






ინგა ჯაყელი

ნამდვილი ომი...

თქვენ გგონიათ, კაცისთვის ყველაზე მძიმე ბრძოლა ის ომია, მომხდურ მტერს რომ უნდა გაუმართო — თუნდაც ისეთს, რუსებმა რომ დაგვმართეს გასული წლის ზაფხულში და ცხვირებით გვახნევიანეს მინა?! როგორ გეკადრებათ!

ჰკითხეთ გივის და ის გეტყვით, რომელმა ომმა გატეხა წელში და გამოაცხადებინა კაპიტულაცია...

ჰო, აღარ იბრძვის, არც ხმას იღებს და არც აპროტესტებს, რაც უნდა დამართონ ცოლმა, ცოლისდებმა და რა თქმა უნდა, სიდედრმა...

ყველაფერს კი ის ემატება, რომ დედაც არ ინდობს და ის სხვებზე მეტად უშრობს სისხლს:

— დედა და ბნედა შენნაირ შვილს, შე უჯიშო, სამარცხვინო... ცოლიც არ უნდა გიბედავდეს ამდენს, თორემ სიდედრის და მით უმეტეს, ცოლისდების სიტყვაზე რა სიკვდილი გაყენებს თითის წვერებზე?! რა გაჭამეს

მის ნაცვლად საკურობები, ინჟინრის დიპლომს ვინ აღირსებდა... ის წუნკალი ქალი რომ არ მოგეთრია სახლში, სხვა საშველი არ იყო ხომ ქვეყანაზე?!.

გივიმ კი იცის, სამსახური და ფული რომ ჰქონოდა, ქეთინო მასზე ოცნებასაც ვერ გაბედავდა, მაგრამ მის გარდა, არავინ ჩააგდო კაცად ჯიბეგაფხევილი და სანამდე ევლო უცოლოს?!

35 წლის იყო, 32 წლის ქეთინო რომ გააბედნიერა, თანაც ყოველგვარი ირონიის გარეშე — რადგან 150 სმ სიმაღლის, კარგად ჩასუქებული გოგო ვერც კი იოცნებებდა, თუ უბნის საუკეთესო ბიჭი, სკოლაში მზეჭაბუკს რომ ეძახდნენ უიმედოდ შეყვარებული გოგოები, მისკენ გახედვას იკადრებდა...

უფროსმა დებმა იმარჯვეს და არ

იმედზე ნუ ხარ! მაგრამ... მაინც ითხოვა ქეთინო: ქორწილშივე დასცხეს ერთმანეთს დედამისმა და სიდედრმა:

— რას ეღირსეთ უჯიშო ნამჩვენაძეები, რა ბიჭი ჩაიგდეთ ხელში! — ვითომ იხუმრა დედამ.

— უჯიშობა და უნიფხვობა კონტრიძეებში იკითხე! — არ დაუთმო სიდედრმა და გივის რომ არ ემარჯვა, ღერა-ღერა დააპუტავდნენ ერთმანეთს თმას.

სიდედრს ცოლისდები ნამოეშველენ და ლამის ქორწილშივე დააშორეს ახალშეუღლებულები ერთმანეთს...

კიდევ კარგი, ქეთინოს ცალკე ჰქონდა ბინა — არც გივის უწევდა სიდედრთან ცხოვრება და არც ქეთინოს — დედათილთან, მაგრამ სტუმრობას რომ ინდომებდნენ, რომლისთვის ეკადრებინა: დღეს არ მოხვიდე მეორეს ველოდებო?!.

ჰოდა, შეხვდებოდნენ და ორ წუთში ინვედნენ ერთმანეთზე:

— ჭლექით მოკვდებოდით და შიმშილით, ჩემს გოგოებს რომ არ ეშველათ შენი დაფსებული ოჯახისთვის! — ჩხაოდა სიდედრი.

— თვალხატულა შვილიშვილებს რომ იხუტებ გულში, ხო გიხარია, შენს მახინჯ გოგოებს რომ არ დაემსგავსნენ! — არ რჩებოდა ვალში დედა.

ყველაზე მეტი კი შუაში ჩამდგარ გივის ხვდებოდა — ფიზიკურადაც და სიტყვირითაც:

— ქალაჩუნა... მონა... მასხარა...

...მოკლედ, ისე მოსძულდა თავი, რუსებმა რომ შემოგვიტყვეს გასული წლის აგვისტოში, აისხა იარაღი და პირველი გავარდა იერიშზე, ვერ აკავებდნენ თურმე: გამიშვიო, ვაჟკაცად მაინც მოვკვდებიო! — მაგრამ გადაარჩა. ვერც ტანკისტებმა დააკლეს რაემ და ვერც ავიატორებმა... ეგ კი არა, ყველაზე ცხარე შეტევის დროსაც კი ვერ შეატყვეს შიში. პირიქით, სულ იმას გაიძახოდა თურმე: ნამდვილი ბრძოლა როდის იწყებაო?!

მედლიც მისცეს მამაცობისთვის, რომელსაც ცოცხალი თავით არ იკეთებს, — ჩემი სიმამაცე ზღაპარია, როცა ქალების ალყაში ვექცევით!.. ნამდვილ ომზე რომ ეკითხებიან, ხელს იჩენეს მხოლოდ პასუხად: ის ომი რა სახსენებელია იმ ომთან, ოჯახში რომ მაქვსო?!

ისე, ბევრ კაცს ესმის მისი, სხვათა შორის...




ასეთი, რა ჯადო გაგიკეთეს? სახლში რაღა უშვებ ამის შემდეგ იმ კუდიანებს და ვამპირებს?!

— ჩემი ცოლისდები რომ არა, შიმშილით გაგვქვრებოდა სული, არ ითვლი რამდენი წლის წინ გამომაგდეს ქარხნიდან და დამაფხრინეს თავზე ინჟინრის დიპლომი?! — ამაოდ ცდილობს დედის დამშვიდებას გივი. ქალი კიდევ მეტად გიჟდება:

— რატო თავი არ გაგიხეთქეს და ცოცხლად არ დაგმარხეს... შენი კურსელი არაა მიშა, კვაჭის რომ ეძახის ყველა და მესამედ შეძვრა პარლამენტში?! არადა, შენ რომ არ გეხაზა

დატოვეს გულნატკენი ნაბოლარა დაიკო — გადადეს მისთვის თავები, ნავიდნენ უცხოეთში მოსამსახურებდად და თავიანთ ოჯახებში რომ ას ევროს აგზავნიდნენ, დას ორ და სამ იმდენს ურიცხავდნენ. გააბზრიალეს სახლ-კარი და გატყდა გივი — მეტი რა გზა ჰქონდა?! სახლიდან გასატანი და გასაყიდი არაფერი დარჩათ მას და დედამისს — ერთმანეთის ჭამას თუ დაინყებდნენ და ასეც იყო: დედა ცოფიანი ძალღივიტ ჰპუნდა და ანამებდა. არც ქეთინოს ცოლად შერთვას ანებებდა:

— კაცი თუ ხარ, შენი ფული იშოვე და შენი საქმე აანყვე, ქალის



საბეჭადო

ახალგაზრდა ველომრბოლელი და ტრანსპორტი

„მეზობარ სპორტსმენებს თაბაშირისა და ოპარასიის გარეშე ვიპურნალოვ“...

სუთი წელია, რაც 19 წლის დათუნა ასკურავა ველოსპორტითაა დაკავებული. დღესდღეობით, ქართველ ველომრბოლელებს შორის ყველაზე პერსპექტიულია: სხვადასხვა შეჯიბრებაზე მიღწეული წარმატების გარდა, დათუნამ საქართველოს რეკორდი (ოთარ მჭედლიშვილის მიერ დამყარებული) მოხსნა და ველოსიპედით 1 კილომეტრი 1,05 წუთში დაფარა. სპორტსმენობის გარდა, ახალგაზრდა ველომრბოლელი ექიმის, კერძოდ — ტრანსპორტოლოგის პროფესიასაც ეუფლება, ტრანსპორტის მიწების შემთხვევაში, შეუძლია, საკუთარ თავსაც აღმოუჩინოს დახმარება და მეგობარ სპორტსმენებსაც.

ახლახან დათუნა ასკურავამ ბარსელონაში გახლდათ და უფროსი ასაკის კონკურენტებს შორის, მე-10 ადგილის დაკავება მოახერხა:



ეთო ყორღანაშვილი

— ბარსელონაში ევროპის თასის ფინალური გათამაშება ჩატარდა. ძალა შეჯიბრების 2 სახეობაში — სპრინტსა და კილომეტრში მოვსინჯე. წინათ სპრინტის შესარჩევ შეჯიბრებაზე 24 კაცი გადიოდა, წელს კი ეს რაოდენობა 16-მდე შემცირდა. სამწუხაროდ, ბედმა არ გამიღიმა და მე-17 ადგილზე გავდი. სამაგიეროდ, სახეობაში

— კილომეტრი მე-10 ადგილი დავიკავე. როგორც ჩემი მწვრთნელი — როდიკო მენიშვილი მეუბნება, ეს ცუდი შედეგი არ ყოფილა, რადგან 2 წლის წინ მე-13 ადგილზე ვიყავი, მერე — მე-12-ზე. იმედია, მომავალში უკეთესი შედეგი მექნება.

— შენი მონინალმდეგეები რა ასაკისანი იყვნენ?

— ბარსელონაში უმაღლესი კლასის შეჯიბრება ჩატარდა. წინააღმდეგობას ე.წ. „ელიტა“ მინევედა ანუ გათამაშებაში 13 წლის ზემოთ, სხვადასხვა ასაკის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. თუ არ ვცდები, ყველაზე უფროსი მათ შორის, 40 წლის გახლდათ.

— ამ შეჯიბრებაზე როგორ მოხვდი?

— მსოფლიო რეიტინგში 30-ე ადგილზე (სულ 150 ადგილია) ვარ. როცა შეჯიბრებაზე გადისარ, თუ კარგ შედეგს უჩვენებ, გარკვეული რაოდენობის ქულებს იღებ და ასე ხვდები მსოფლიო რეიტინგში. ამის მიხედვით, ჩემპიონატზე მინევეას გიგზავნიან. საკუთარ თავს შეხედავ — თუკი ფორმაში ხარ,

გაემგზავრები. მიწვევაში ასაკი არ იყო მითითებული და მოულოდნელად, ჩემზე უფროს მონაწილეთა შორის აღმოვჩნდი.

— ფორმაში ყოფნისთვის ყოველდღე ვარჯიშობ?

— კი. იმასაც გააჩნია, თუ რისთვის ვეზადებ: თუკი შეჯიბრება არაა დაგეგმილი, მაშინ „პროსტა“, „გვატაობ“ — თავს ძალიან არ ვიტვირთავ.

— როცა სეროიზულად ეზადებ, რა დატვირთვით ვარჯიშობ?

— დღეში ორჯერ: დილით გზატკეცილზე მივდივარ, სალამოს ველოტრეკზე ვვარჯიშობ. ზოგჯერ ველოსიპედით გორში ჩავდივარ და მერე უკან ვბრუნდები.

— სპორტული ინვენტარით ვინ გამარაგებს?

— სხვათა შორის, ველოსპორტი საკმაოდ „ძვირია“. კულტურისა და სპორტის დეპარტამენტი გვეხმარება, როგორც შეუძლია... ჩემი ველოსიპედი 3 წლის წინ შევიძინე — ზაბუამ კიევის საავიაციო ქარხანაში შეუკვეთა. ცოტა არ იყოს, სპორტული ინვენტარი მომიძველდა და ალბათ, ახალს შევიძენ.



ბაბუაჩი — ბიჭიკო ასკურავაც ველოსიპედისტი იყო



ძაღლის სორსის ჭამისგან „ბასუჩაული“ ფახურთელი



„სობა ფული გჰქონდა და მებოგოულად ჰმხოვრობდით...“

საქართველოს ფახურთელთა ეროვნული ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი — ზაზა ზანაშიძე, რომელმაც კარიერა ნაადრევად დაასრულა, ამჟამად მოსკოვში ცხოვრობს და „ლოკომოტივის“ ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში მწვრთნელად მუშაობს. თავის დროზე, რუსეთის „ლოკომოტივისა“ და ქართველი ფორვარდის ცალ-ცალკე ხსენება წარმოუდგენელი იყო, ვინაიდან ჯანაშია მოსკოველ „რკინიგზელთა“ უბრალო ლიდერად მიიჩნეოდა. სწორედ კარგი თამაშის გამო, „ლოკომოტივის“ მთავარი მწვრთნელი, იური სოლომინ მას მოედნის გარეთ უდისციპლინობას აპატიებდა და თუ ქართველს რაიმე არ ანუხებდა, ძირითად შემადგენლობაში ყოველთვის ათამაშებდა. ცოტა ხნის წინ ჯანაშიამ „ლოკომოტივისა“ და რუსეთის ნაკრების ვეტერან ფახურთელთა შორის გამართულ შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 2 გოლიც გაიტანა.

— ველოსპორტით შენი ოჯახის წევრები თუ არიან დაკავებულები?

— ბაბუაჩემმა — ბიჭიკო ასკურავამ, ყოფილმა ველოსიპედისტმა და სახალხო მკურნალმა — სამკურნალო აკადემია ისრაელში დაამთავრა. მოტეხილობას თაბაშირისა და ოპერაციის გარეშე მკურნალობს. ვაპირებ, ბაბუას საქმე განვაგრძო: ტრავმატოლოგის პროფესიას ვეუფლები — უკვე მე-3 კურსის სტუდენტი ვარ.

— ორი საქმის ერთმანეთთან შეთავსება არ გიჭირს?

— არა, რადგან ლექციები და ვარჯიში სხვადასხვა დროს მაქვს. ვარჯიშის შემდეგ, საღამოს ვმეცადინებ ხოლმე.

— მედიცინაში თუ გაქვს მიღწევები?

— კი, ბაბუას ვენმარები ხოლმე, ველოსიპედისტებსაც ვმკურნალობ: მაგალითად, მასში ჩემი მწვრთნელი მოტოციკლით დაიმტვრა და ვუმკურნალეთ. გერმანიაში, საერთაშორისო ფესტივალზე წასვლას ვგეგმავდით, მაგრამ მწვრთნელის აბაზემა ხელი შეგვიშალა.

— ველოსპორტში ტრავმა ხშირია?

— კი, საკმაოდ სახიფათო სპორტია — ბევრჯერ დავვარდნილვარ. ერთხელ ხელიც მოვიტყე: გზატკეცილზე ვვარჯიშობდი, მოულოდნელად მანქანა გაჩერდა; ვიფიქრე, — გვერდიდან შემოვუვლი-მეთქი, — მაგრამ მძღოლმა კარი გააღო და კარს შევასკედი (იციანის). მიღებულმა ტრავმამ ვარჯიშში ხელი შემიშალა. შეჯიბრებაზე მოტეხილი ხელით გავედი და მე-11 ადგილი დავიკავე.

— შენი ყველაზე დიდი წარმატება ველოსპორტში რომელია?

— წელს სანქტ-პეტერბურგში საერთაშორისო ჩემპიონატი ჩატარდა და სახეობაში — კილომეტრი — ბრინჯაოს მედალი ავიღე.

— დათუნა, ველომრბოლელებს კვების განსაკუთრებული რაციონი თუ გაქვთ?

— არა, მთავარია, ალკოჰოლი არ მივიღოთ. ასევე აუცილებელია მასაჟები და ვიტამინები. ოლიმპიურ კომიტეტში დაგვიბარეს და საჭირო ვიტამინებს იქ მოგვცემენ, სამედიცინო შემონმებასაც საკუთარი ხარჯებით გვიტარებენ. ოლიმპიური ნაკრების წევრი ვარ და სტიპენდიასაც (250 ლარს) ვიღებ.

— უახლოეს მომავალში, ქართველები რომელ შეჯიბრებაზე უნდა გვასახელო?

— თითქმის ყოველთვე საზღვარგარეთ ვარ (იციანის). 26-ში მანჩესტერში მივემგზავრები — მსოფლიო თასის გათამაშების 1-ელი ეტაპი ტარდება და ამისთვის ვმზადდები.

— წარმატებას გისურვებ!

— დიდი მადლობა!

— ფახურთელის კარიერის დასრულების შემდეგ თქვენი ცხოვრება როგორ აენყო?

— იცით, ყველაზე კარგი რა არის? მართალია, რუსეთში ვცხოვრობ, მაგრამ მაინც, ქართველად ვრჩები. აქ ყველა მცნობს. მაგალითად, როდესაც რესტორანში შევდივარ, ყოველთვის ყურადღების ცენტრში ვექცევი, ქუჩაში ხალხი თვალს მაყოლებს...

— დღესდღეობით, რას საქმიანობთ?

— „ლოკომოტივ-პეროვოში“ ბავშვების მწვრთნელი ვიყავი. ამჟამად არ ვმუშაობ — ოჯახში მცირე პრობლემები შემექმნა და ამიტომ. მწვრთნელის პროფესიას მალე კვლავ დავუბრუნდები.

— საფეხბურთო სკოლაში მუშაობა თქვენთვის შემოსავლის ერთადერთი წყაროა?

— დიახ, სხვაგან არსად ვმუშაობ.

— მერე, ხელფასი გყოფნით?

— კარგ ადამიანს მცირე ხელფასიც ეყოფა. მოგეხსენებათ, ქართველებს ერთმანეთის მხარში ამოდგომა გვახასიათებს, მე კი ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ჯერჯერობით, სერიოზული მატერიალური პრობლემა არ შემქმნია და იმედი მაქვს, არც მომავალში შემექმნება.

— ერთხელ დმიტრი ლოსკოვმა აღნიშნა, რომ მოსკოვში ახალჩასულმა, „შჩელკოვოს“ გზატკეცილის ძებნისას, მოსკოვის წრიულ გზატკეცილს ორჯერ შემოუარეთ და მხოლოდ მესამე წრეზე მყოფმა დაუწყეთ საგზაო ნიშნებს ყურება...

— მე „შჩელკოვოზე“ ვცხოვრობდი და „ბაკოვისკენ“ მიმავალი ერთადერთი გზა ვიცოდი — ქალაქის ცენ-



ტრის გავლით. იმ დღეს ვარჯიში გვიან დასრულდა. რუსეთის პრეზიდენტი მგონი, აეროპორტში მიემგზავრებოდა და ამიტომაც, ქალაქის ცენტრი გადაკეტილი იყო. ჰოდა, მომინა სხვა გზით წასვლამ. მივდივარ, მივდივარ, მაგრამ ადგილამდე ვერ მივაღწიე. გზატკეცილს 2 წრე რომ დავარტყი, მხოლოდ მერე გადავწყვიტე, საგზაო ნიშნებისთვის შემხეხედა. საბოლოოდ, გზა გავიკვლიე, მაგრამ ჯამში 200 კილომეტრზე მეტი გავიარე.

— **თავის დროზე, საქართველოს ფეხბურთელთა ეროვნულ ნაკრებს ბოსკამპი წვრთნიდა, რომელსაც თქვენ აფერისტი უწოდებთ. ჰოლანდიელი სპეციალისტი რატომ არ მოგწონდათ?**

— ისე გვავარჯიშებდა, თითქოს ბავშვთა საფეხბურთო სკოლაში ვიყავით. თან, ვარჯიშის დროს ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. არადა, როგორ შეიძლება, არ დაელაპარაკო თანაგუნდელს, რომელიც ერთი წელია, არ გინახავს?! ავდექი და ვუთხარი: „კარგად იყავით, ნაკრებში აღარ გამოიძახსოთ“. მოგვიანებით, გაზეუბსა და ყურნალებში წერდნენ, — ჯანაშიას ნაკრებში თამაში არ სურსო, მე კი ჯიუტად ვიმეორებდი: ნაკრებში მამინ დავბრუნდები, როდესაც ბოსკამპი წავა-მეთქი. მართლაც, ნახევარი წლის შემდეგ ის გააგდეს.

— **„ლოკომოტივიდან“ წასვლის შემდეგ, კარიერის გაგრძელების შანსი სამხრეთ კორეაში გქონდათ. იქ სინჯებზე ყოფნისას, ძაღლის ხორციც კი გასინჯეთ.**

— სამხრეთ კორეაში 2 კვირის განმავლობაში ვიყავი. ერთი კვირა 5-ვარსკვლავიან სასტუმროში ვცხოვრობდი და როდესაც კერძი ვუკვებდი, არ ვკითხულობდი, რისი ხორცისგან იყო დამზადებული. ერთი კვირის შემდეგ იქ ზაირის ნაკრების ფეხბურთელები ჩამოვიდნენ. როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა მკითხა, — რას შეჭამო? ვუპასუხე: ეს კერძი მომწონს-მეთქი. გაკვირვებული სახით შემომხედეს: შენ რა, სულელი ხარ? ეს ხომ ძაღლის ხორციაო! წუთიც არ გასულა, რომ ტემპერატურამ 40 გრადუსამდე ამიწია. სასწრაფოდ, ექიმი გამოიძახეს. მასთან ერთად ჩემი ნაცნობი რუსი ფეხბურთელიც მოვიდა, რომელიც იმ პერიოდში სამხრეთ კორეაში თამაშობდა. ორივე იდგა და იცინოდა. „რა გაცინებს? ვკვდები!“ — ვთქვი შემოფოთებულმა. „არა უშავს, ყველა ასე ამბობს, მაგრამ მერნმუნე, ხვალ ყველაფერი კარგად იქნება, მოედანზე გახვალ და ივარჯიშებ“, — მითხრა ნაცნობმა. მართლაც, მეორე დილას მშვენიერ ფორმაში ვიყავი.

— **თქვენ ზედმეტი წონის პრობლემა მუდამ გქონდათ...**

— საგანგაშო არაფერი ყოფილა. იცით, ავტონისპექტორებს ჩემთვის ხშირად უთქვამთ: „შენ ჯანაშია არა ხარ. ის უფრო ჯანაშია და სქელია“. არ მიჯერებდნენ, რადგან „შორტებში“ უფრო სქელი ვჩანდი, ვიდრე ჩვეულებრივ ტანსაცმელში... როდესაც 3-4 კილოგრამს მოვიმატებდი, სიომინი მეჩხუბებოდა ხოლმე, მაგრამ ამის გამო არ მსჯიდა.

— **„ლოკომოტივი“ 7 წლის წინ დატოვეთ. ამჟამად, გუნდის თამაშს თუ ადევნებთ თვალს?**

— „ლოკომოტივის“ არც ერთ საშინაო შეხვედრას არ ვაძღვნი და სიმართლე გითხრათ, გახარებული ვარ იმის გამო, რომ გუნდში დაბრუნდა ადამიანი, რომელიც ყველას ძალიან გვიყვარს და პატივს ვცემთ. როდესაც იური სიომინი სამუშაოდ კიევში წავიდა, „ლოკომოტივთან“ დაახლოებული ხალხის ნახევარი კიევის „დინამოს“ გულშემატკივარი გახდა... თავის დროზე, როდესაც „ლოკომოტივი“ ჩავირიცხე, ძალიან პატარა ვიყავი და სიომინი ბევრ რამეში მეხმარებოდა.

— **მაგალითად, რაში გეხმარებოდათ?**

— რჩევებსაც მაძლევდა, მატერიალურადაც მეხმარებოდა. ყოველთვის გვეუბნებოდა: „ჩვენ ერთი ოჯახი ვართ. თუ რაიმე პრობლემა გაქვთ, არსად წასვლა არაა საჭირო, ჩემთან მოდი. მე და ფილატოვი ყველაფრის მოგვარებაში დაგეხმარებით“. ასე რომ, ხან მას მივმართავდი დახმარებისთვის, ხანაც — გუნდის კაპიტან ჩუგაინოვს. ახლა ასეთი რაღაცეები არ ხდება. მამინ ფეხბურთელებს ცოტა ფული გვეკონდა და მეგობრულად ვცხოვრობდით, ახლა კი ბევრი ფული აქვთ და ყველა თავისთვის, სადღაც გააბის.

— **იური სიომინთან ერთად „ლოკომოტივს“ მალხაზ ასათიანიც დაუბრუნდა.**

— როდესაც ასათიანი „ლოკომოტივში“ ჩაირიცხა, მეც გუნდში ვიყავი. მალხაზი დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობდა. ერთხელ ის ჩემთან მოვიდა და მკითხა: „საერთოდ, გამთამაშებელი ვარ, მაგრამ სიომინი დაცვაში მაყენებს. როგორ ფიქრობ, მას არ ვჭირდები?“ ვუპასუხე: ეტყობა, შენში მცველი დანიხა. ივარჯიშე და ყველაფერი ნორმალურად იქნება-მეთქი. მართლაც, ამ ამბიდან ერთ თვეში ასათიანი უკვე ძირითად შემადგენლობაში, ცენტრალურ მცველად თამაშობდა. მოგვიანებით, ის რუსეთის ჩემპიონატის

საუკეთესო მცველი გახდა, რაც ნამდვილად მიღწევაა.

— **თქვენ 1976 წელს ხართ დაბადებული და ცხადია, ფეხბურთის თამაში ასაკის გამო არ შეგინწყვეტიათ...**

— საერთოდ, თავდამსხმელები კარიერას გაცილებით ადრე ასრულებენ, ვიდრე სხვა ფეხბურთელები, რადგან მათ ფეხებში ძლიერად ურტყამენ. მე ტრავმა მივიღე და თან, ქრონიკულად მანუხებდა კოჭიც. ამიტომაც შევწყვიტე ფეხბურთის თამაში. სხვათა შორის, თავდამსხმელები სხვებზე მეტ ხელფასს იმიტომ იღებენ, რომ კარიერას ადრე ასრულებენ.

— **საყოველთაოდ ცნობილი სალტო ბოლოს როდის შეასრულეთ?**

— 2 წლის წინ, როდესაც ფეხბურთს მეგობრებთან ერთად ვთამაშობდი. სალტოს მამინ ვაკეთებ, როდესაც ამის სურვილი მიჩნდება. ყველა გაკვირვებულია, — შენი წონის პატრონი ასეთ ილეთს როგორ აკეთებო? წონა არაფერ შუაშია, მთავარი ცოდნაა. სალტოს გაკეთება ბავშვობაში ვისწავლე და დღემდე გამომდის. წელს ჩემი შვილი სკოლაში შევიდა.



სალტოს გაკეთებას მასაც ვასწავლი და სხვათა შორის, გამოსდის კიდეც. ის „ლოკომოტივს“ გულშემატკივრობს და ამ გუნდის ფორმაც აქვს. ბუნებრივია, ფეხბურთელობა სურს. ჩემი თამაშების ვიდეოჩანაწერებს ხშირად უყურებს და „მაკრატელას“ დარტყმას სწავლობს.



იმპერატორი, რომელმაც წარმართული რელიგიის გასოცხლება სცადა და II მსოფლიო საეკლესიო კრება

კონსტანტინე დიდის გარდაცვალების შემდეგ, ძალაუფლება მისმა ვაჟმა, კონსტანტინე ჩაიგდო ხელში. ამ პერიოდში არიოზელები გაძლიერდნენ და ცხადია, მათ ქრისტიანთა დევნაც დაიწყეს. ქრისტიანებს კიდევ უფრო ავიწროებდნენ იმპერატორ იულიანე განდგომილის დროს, რომელმაც წარმართული რელიგიის გაცოცხლება სცადა და საკუთარი მიზნის მისაღწევად არაფერს თავილობდა.

შორენა მერაპილაძე

არქიმანდრიტი მასპარი (აბუსაძე):
— კონსტანტინე დიდმა იმპერიის სხვადასხვა ნაწილი ანდერძით 3 შვილს დაუტოვა, მაგრამ ისე მოხდა, რომ მთელი ძალაუფლება კონსტანტინეს ერთ-ერთ ძეს — კონსტანტინეს დარჩა, რომლის დროსაც კვლავ გაძლიერდნენ არიოზელები. როგორც ეკლესიის ისტორიკოსები წერენ, იმპერატორი კონსტანტინე გონება ადვილად მიმდრეკი იყო და ამიტომაც, იოლად მოექცა არიოზელთა ხლართებში. მის პერიოდში არიოზელებმა უდიდესი დევნა მოაწყვეს.

კონსტანტინის შემდეგ, იმპერატორის ტახტზე კონსტანტინე დიდის უახლოესი ნათესავი, იულიანე განდგომილი ავიდა. მას სასტიკად სძულდა ქრისტიანები და ჩაიგდო თუ არა იმპერიის ტახტი ხელში, თავი ღმერთების თაყვანისმცემლად გამოაცხადა. იულიანემ განკარგულება გასცა, ყველა ქალაქში გაესხნათ საკერპოები, დანგრეული წარმართული ტაძრები კი ქრისტიანების ხარჯზე აღედგინათ. მან ბრძოლა წამოიწყო სპარსელების წინააღმდეგაც. როგორც ჩანს, იმპერატორს მსოფლიო იმპერიის შექმნა სურდა, რომლის იდეოლოგიაც წარმართული რელიგია იქნებოდა. ერთ-ერთი ხერხი, რომლითაც იულიანემ წარმართული რელიგიის გაცოცხლება სცადა, ქრისტიანული ეკლესიის მსგავსად, იმპერიის ოლქებად დაყოფა იყო, რომლებიც უმაღლეს ქურუმებს დაემორჩილებოდნენ. ცნობილია იულიანეს მიერ გალატიის უმაღლესი ქურუმის, არსაკიოსისადმი მიწერილი წერილი, სადაც იმპერატორი ქრისტიანული რელიგიის წარმატების განამპირობებელი მიზეზების ახსნას ცდილობს: „რატომ არ ვფიქრობთ, რამ შეუწყო ხელი უსჯულოთა რწმენის წარმატებას? უცხოთა მიმართ განუული ქველმოქმედება, საფლავებზე ზრუნვა და

ცხოვრების თვალთმაქცური სინმინდე — ყველა ეს სათნოება ჩვენც განსაკუთრებული ყურადღებით უნდა აღვასრულოთ, მაგრამ მხოლოდ შენ კი არ უნდა იყო ასეთი, არამედ გალატიის ყველა ქურუმი... ყურადღება მიაქციე, რომ ქურუმებმა თეატრებსა და სამიკიტნოებში არ იარონ, მონაწილეობა არ მიიღონ მდაბალსა და სამარცხვინო საქმეებში“, — წერს იგი და უმაღლეს ქურუმს ავალებს, გალატიაში გაგზავნილი ღვინისა და მარცვლეულის მესხეთედი ღარიბებს, ქურუმთა მსახურებს და უცხოელებს დაურიგოს. ფაქტია, იულიანემ იცოდა, რომ ქრისტიანობის წარმატების მიზეზი ქრისტიანული სარწმუნოების ზნეობრივი სინმინდე იყო და წარმართ ქურუმებს ამიტომაც დაავალა ზნეობის დაცვა. ცნობილია, რომ თავად იმპერატორი პირად ცხოვრებაში თავშეკავებულობას იჩენდა, არ მისდევდა დროს ტარებას, ძილითაც მხოლოდ რამდენიმე საათს იძინებდა და ბევრს მუშაობდა. ამ გზით ცდილობდა, უზენაესი ქურუმის ნოდება მხოლოდ ფორმალურად კი არ ეტარებინა, არამედ საქმით ყოფილიყო ქურუმთა წინამძღოლი და ამ გზით იმპერიის არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ, არამედ რელიგიურ ცხოვრებასაც ჩასდგომოდა სათავეში.

წარმართი იმპერატორი ყველანაირად ცდილობდა ქრისტიანთა შეურაცხყოფას. დიდი მარხვის დანყების წინ მან ბრძანება გასცა, კერპებისთვის შეწირული მსხვერპლის სისხლი დედაქალაქის სავაჭრო ადგილებში არსებული ყველა სახის სურსათ-სანოვანისათვის ეპკურებინათ, რადგან იცოდა, რომ დიდმარხვის პირველ კვირეულს ქრისტიანები განსაკუთრებით მკაცრად ინახავდნენ. იმპერატორის ბრძანების თანახმად, ქალაქისათვის მთელი კვირის მანძილზე



თეოდორე გირონი

უნდა შეებლალა სანოვანე. ქრისტიანები, უფლის ნებით, წმინდა თეოდორე ტირონმა იხსნა. წმინდა მონაქვით კონსტანტინოპოლის მთავარეპისკოპოსს, ევდოქსის გამოეცხადა და მას იულიანეს ბრძანების შესახებ აუწყა. წმინდანის თქმით, ქრისტიანებს მთელი კვირის განმავლობაში, კოლიო უნდა ეხმიათ. მთავარეპისკოპოსმა არ იცოდა, რა იყო კოლიო და გოცებული შეჰყურებდა წმინდანს. თეოდორემ აუხსნა, რომ კოლიო არის თაფლთან ერთად მოხარული ხორბალი... დიდმარხვის შვიდეულის შაბათს ქრისტიანებმა წმინდა თეოდორეს ხსენება იდღესასწაულეს და მის პატივსაცემად კოლიო აკურთხეს. სწორედ აქედან დაედო სათავე დიდი მარხვის პირველ შაბათს ეკლესიაში კოლიოს კურთხევას და ამ დღეს იხსენიება წმინდა თეოდორე ტირონიც. იულიანემ წარმართების სიყვარულის მოპოვებაც ვერ შეძლო, რადგან ქრისტიანთა მიბაძვით გასართობები და სანახაობები აკრძალა. წარმართების მისი რელიგიური გულმოდგინებაც აღიზიანებდათ — იმპერატორი იმგვარ ბნელ ადათებშიც მონაწილეობდა, რომელთა რწმენა უკვე კერპთაყვანისმცემლებსაც დაკარგული ჰქონდათ. ისინი მოურიდებლად დასცინოდნენ იმპერატორს ცრუმორწმუნეო-



ბის, უხეშობისა და გარეგნობის გამოც კი, რადგან ქრისტიანთა მიზაძვიტ ცდილობდა, დაუდევარი ჩაცმულობით სიმდიდრისა და ფუფუნების სიძულვილი დაემტკიცებინა. იულიანეს მეფობა ორ წელზე მეტხანს გაგრძელდა და ამ ხნის განმავლობაში, წარმართობის აღსადგენად, ყველა ხერხს მიმართა, მაგრამ — ამაოდ. იმპერატორი სპარსეთის წინააღმდეგ ბრძოლისას სასიკვდილოდ დაიჭრა; „შენ გაიმარჯვე, გალილეელო!“ — ეს იყო იმპერატორის უკანასკნელი სიტყვები. იულიანეს შემდეგ ქრისტიანობამ ნელ-ნელა აღიდგინა მინიერი პატივი და უმაღლეს ემელონებში დაიმკვიდრა, მაგრამ შემდგომ საუკუნეებშიც იყვნენ ისეთი იმპერატორები, რომლებიც სხვადასხვა მწვალებლობის მიმდევრები ხდებოდნენ და ეკლესიის დევნას აწყობდნენ.

— **381 წელს მოწვეული იქნა II მსოფლიო საეკლესიო კრება. რა იყო კრების მოწვევის უმთავრესი მიზეზი? ვიცით, რომ „მრწამსმა“ სწორედ მეორე მსოფლიო საეკლესიო კრებაზე მიიღო საბოლოო, ჩამოყალიბებული სახე...**

— ამ პერიოდში წარმოიშვა კიდევ ერთი მწვალებლური სწავლება მარკელიონისა, რომელიც უარყოფდა სულიწმიდის ღვთაებრიობას. მარკელიონი აღიარებდა, რომ ძე ღვთისა არ იყო ქმნილება, მაგრამ მისი სწავლება-მოდღერებით სულიწმიდა იყო ქმნილება. სწორედ მარკელიონის მწვალებლური სწავლება დაგმო და უარყო მსოფლიო საეკლესიო კრებამ, რომელიც მოწვეულ იქნა კონსტანტინოპოლში, 381 წლის მაისს იმპერატორ თეოდოსის ბრძანებით. კრებას ესწრებოდა 150 ეპისკოპოსი.

მსოფლიო საეკლესიო კრებაზე საბოლოო, ჩამოყალიბებული სახე მიიღო „მრწამსმა“. მართალია, ამით სარწმუნოების სიმბოლოს არსი და დოგმატი არ შეცვლილა, მაგრამ „მრწამსი“, იმ სიტყვებით, რა სიტყვებითაც დღეს არსებობს, სწორედ ამ კრებაზე მიიღეს. მთავარი ძე ღვთისას მამასთან ერთარსობის ხაზგასმა, დაფიქსირება იყო. ნახევრად არიანელები ამბობდნენ, რომ სარწმუნოების სიმბოლოს მეორე მუხლში, სადაც ძე ღვთისას შესახებ წერია „ერთარსი მამისა“, უნდა ყოფილიყო სიტყვა „მსგავსია მამისა“ — ეს მათთვის მისაღები იყო, რადგან ისინი აღიარებდნენ, რომ ქრისტე არის ღმერთი, მაგრამ არ აღიარებდნენ, რომ ძეც ისეთივე სრუ-

ლყოფილი ღმერთია, როგორც მამა, მაგრამ წმინდა კრებამ ეს არ მიიღო და სიტყვა „მსგავსის“ ადგილზე ჩასვეს სიტყვა — „ერთარსი“, რაც სრულყოფილად წარმოაჩენს მართლმადიდებლურ სწავლებას და დოგმატს, რომ ძე ღვთისა არსობრივად ისეთივეა, როგორც მამა. მამისგან მხოლოდ ჰიპოსტასური თვისებებით განსხვავდება: მამის ჰიპოსტასური, პიროვნული თვისება არის უშუბელობა, ძის — შობილობა, ძე მარადიულად იშვების მამისაგან და სულიწმიდა მარადიულად, დაუსრულებლად გამოვალს მამისაგან. კრებამ ასევე, „მრწამსის“ მუხლებში დაამატა ზოგიერთი გამოთქმა: მოძღვრება სულიწმიდაზე: „და სულიწმიდა უფალი და ცხოველყოფელი“; ეკლესიის ერთობაზე: „ერთი წმინდა კათოლიკე“; ნათლობის საიდუმლოებაზე: „ვაღიარებ ერთსა ნათლისღებასა“ და მკვდრეთით აღდგომაზე: „მოველი აღდგომასა...“ კრებამ შეიმუშავა და დაამტკიცა 7 კანონი.

ვიცით, რომ სულ 7 მსოფლიო საეკლესიო კრება იქნა მოწვეული. ერთი — მეშვიდე კრება იყო ხატმებრძოლების წინააღმდეგ, დანარჩენი ექვსი კი შეიძლება, პირველ და მეორე სამ-სამ კრებად დავეყოთ: პირველი სამი მსოფლიო საეკლესიო კრება მოიწვიეს იმ მწვალებლობების წინააღმდეგ, რომლებიც იესო ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას ან არ აღიარებდნენ, ან აკნინებდნენ, ან მამის თანასწორად არ რაცხავდნენ; მეორე სამი კრება მოიწვიეს იმ მწვალებლობების წინააღმდეგ, რომლებიც იესო ქრისტეს ადამიანურ ბუნებას არ აღიარებდნენ, აკნინებდნენ რაღაც სახით

ანუ დაცხრა და დაიგმო რა პირველი მწვალებლური სწავლებები, რომლებიც ქრისტეს ღვთაებრივ ბუნებას უარყოფდნენ, მაცხოვრის ადამიანური ბუნების უარყოფაზე გადავიდნენ. იყვნენ ისეთი პიროვნებებიც, რომლებმაც მონანილეობა მიიღეს იმ მწვალებლობების დამსობაში, რომლებიც მაცხოვრის ღვთაებრივ ბუნებას არ აღიარებდნენ, მაგრამ შემდეგ მონანილეობდნენ იმ მწვალებლობების ჩამოყალიბებაში, რომლებიც იესო ქრისტეს ადამიანურ ბუნებას აკნინებდნენ ანუ — ერთი დოგმატის დარღვევიდან, მეორე დოგმატის დარღვევაზე გადავიდნენ, რაც იმ დროს ხდება, როდესაც ადამიანები საღვთო დოგმატებს ზედაპირულად უღვებოან და არა — სიყვარულით; როცა სურთ, ყველაფერი მინიერად, ადამიანური გონებით გადაწყვიტონ.

— **საერთოდ, რა მნიშვნელობა ჰქონდა საეკლესიო კრებების მოწვეობას?**

— თითოეული ადამიანი არის ცოდვილი და შეიძლება, ნებისმიერი ჩვენგანი შეცდეს, მაგრამ მართლმადიდებლური კრება არასოდეს შეცდება. როგორც მართლმადიდებელი ეკლესიაა უცდომელი, ასევე უცდომელია მართლმადიდებელი კრება. მსოფლიო საეკლესიო კრებები ფორმულირებას უკეთებდა საეკლესიო სწავლებებს და დოგმატებს, რათა ესა თუ ის საეკლესიო სწავლება ყოფილიყო ისე ლაკონიურად და კონკრეტულად ჩამოყალიბებული, რომ მისი შეცვლა არავის შესძლებოდა, მასში ვერანაირი აზრი ვერ შერეულიყო. მსოფლიო საეკლესიო კრებებზე ჩამოყალიბდა ფორმულები საეკლესიო დოგმატებისა, თორემ დოგმატები თავისთავად არსებობდა ბუნებაში — ე.ი. კრებამ კი არ დაადგინა, რომ ქრისტე ორბუნებოვანია, არამედ იესო ქრისტე თავად არის ორბუნებოვანი — ღვთაებრივი და ადამიანური, მაგრამ კრებამ ამ სწავლების, დოგმატის ფორმულა შექმნა, რათა მასში რაიმე სხვა სწავლება არ შერეულიყო და ცდომილების სახით არ ჩამოყალიბებულიყო.

მსოფლიო საეკლესიო კრებებზე განიხილებოდა და წყდებოდა საეკლესიო ცხოვრების მონყობის საკითხებიც. მაგალითად: როგორ უნდა აღესრულებინათ ესა თუ ის წესი, სხვადასხვა ცოდვაზე რა ეპიტიმები უნდა შესრულებულიყო და ა.შ., რაც ნაკლებმნიშვნელოვანი, პრაქტიკული მნიშვნელობის საკითხები გახლდათ.



კონსტანტინე დიდი და ელენე დედოფალი



და კვლავ ყველაფერი რიგშია...

გრძნობები დაქორნიების შემდეგ არ ცივდება, უბრალოდ, ტემპერატურა ნორმალური ხდება. იყავი რეალისტი და საყვარელი მეუღლისგან ნუ მოითხოვ, რომ იგი მუდამ ანთებული იყოს დაუოკებელი ემოციებით, თორემ... გადაინვება. თუმცა, იოლი როდია, მისგან უყურადღებობას, გულგრილობას გრძნობდე და თავი ისე დაიჭირო, თითქოს არაფერი ხდება. ზოგჯერ, მისმა ინდიფერენტულობამ და შენმა სურვილმა — ძველებურად ერთადერთი და განუყოფელი იყო შენი რჩეულისთვის, შეიძლება ლალატიც კი გაფიქრებინოს. არ გირჩევ, ლალატი შევბას ვერ მოგიტანს — პირიქით, უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდები და შესაძლებელია, ეს ნაბიჯი მთელი ცხოვრების მანძილზე სანანებელი გაგიხდეს.



ეცადე, მოიფიქრო უფრო დახვეწილი და მოქმედი მექანიზმი, რათა იგი ძილურანიდან გამოიყვანო. გამოიყენე ეჭვის ჯანსაღი ფორმა — აიძულე ქმარი, იეჭვიანოს უსაფუძვლოდ — ანუ „ულალატი“ მას ისე, რომ... არ უღალატო.

• მას დიდი ხანია, არ უჩუქებია შენთვის „მილიონი ალისფერი ვარდი“, მაგრამ პრაქტიკული საოჯახო ნივთების შექენა არ ავინყდება... შენთან საუბრისას ძალზე „იღლება“ და ხშირად გინევს მისი ზურგის ცქერა. „ნუთუ აღარ ვუყვარვარ? უფრო, ალბათ შემეჩვია, ე.ი. დროს, შევაფუცხუნო“, — ფიქრობ შენ.

• ის ვერ გხედავს, უფრო სწორად, ვერ გამჩნევს. შენ მისთვის უკვე — არა საჩუქარი, არამედ ყოველდღიური ცხოვრების დეტალი ხარ. ის დამოუკიდებლად ვერ პოულობს ოთახის ჩუსტებს, მაგრამ ჩუსტების მოსაძებნად, შენი პოვნა არ უჭირს... მაშ, ასე: შეცვალე დღის განრიგი! ხშირად ისეირნე, ესტუმრე მეგობრებს, ნათესავებს, შეეყოფიდი სამსახურში ან ადრე წამოდი, ოღონდ არა — საოჯახო საქმეების მოსაგვარებლად: შეიარე სალონში, მაღაზიებში, ჩაენერე სპორტულ სექციაში, იარე საცურაო აუზზე... როცა გკითხავს, — „სად იყავი აქამდე?“ — სიმართლე

უთხარი, ოღონდ ისე, რომ შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ატყუებ. ე.ი. მოიქეცი ისე, რომ ქმარმა „ყურები ცქვიტოს“ და ყურადღება გააორმაგოს.

• ის შენ არ გისმენს, როცა რაიმეს მოყოლას ცდილობ და მომაბეზრებლად ანკაუნებს კომპიუტერის კლავიატურას... არ გისვამს შეკითხვებს და არ სურს საინტერესო დეტალების გაცნობა. იმოქმედე ანალოგიურად. ნუ დაურეკავ სამსახურში. არ დაინტერესდე, რომელ საათზე მოვა შინ. თუკი ათასში ერთხელ, ლაპარაკის საღერლელი აეშლება და მეგობრებისგან მოსმენილი უკბილო ანეკდოტების მოყოლას დაიწყებს, გაანყვეტინე მოკლე, თანაც არაადეკვატური ფრაზებით. მაგალითად: „ნეტავ, რა მოხდა წინა სერიაში?!“ — და საერთოდ, თავი დაბნეულად მოაჩვენე. შაქრის მაგივრად, ყვავში შემთხვევით მარილი ჩაუყარე და მერე მოუბოდიშე. შემდეგ სახე აარიდე და ლილინი წამოინყე. ძალზეც ნუ გადაამ-

ლაშებ. ამ თამაშის საბოლოო მიზანი ისაა, რომ მას ეჭვი შეეზაროს შენს ჩვეულ ხელგარჯილობაში. შეწყვიტე მასთან ყოველდღიური პატაკების ჩაბარება ბავშვების ყოფაქცევაზე, ბაზრის ფასებზე, ვინაიდან ეს იმას მიანიშნებს, რომ კვლავ ყველაფერი რიგშია. დარწმუნებული იყავი, ასეთი ცვლილების შემდეგ, იგი შესამჩნევად გალიზიანდება და შესაძლოა, საგონებელშიც კი ჩავარდეს.

• ის მოსაწყენად დუმს შენთან. სამაგიეროდ, სხვაგან კომპანიის სული და გულია. იმოქმედე იმავე მეთოდით: იკისკისე, იხუმრე — მის მეგობრებთან, მშობლებთან, ნათესავებთან სტუმრად ყოფნის დროს თუ დაქალებთან ტელეფონით საუბრისას. მასთან განმარტოებელი კი საეჭვოდ დადუმდი. მამაკაცისთვის ეს სერიოზული გამოცდაა — „სხვებთან თუ ასე მხიარულობს, ჩემთან რა ენა უვარდება? იქნებ, ისინი უფრო საინტერესოდ ეჩვენებიან, ვიდრე მე?“ — ეს კითხვები მას უსათუოდ ააფორიაქებს.

• შენს მცდელობას, საყვარელი მეუღლე გამოაფხიზლო, აუცილებლად სჭირდება „ვიზუალური შეტევის“ გამოყენება. სამსახურში წასვლისას ჩაიცვი უფრო გამომწვევად, ვიდრე უწინ. ახლომდებარე მაღაზიაში გასვლის დროსაც არ დაივიწყო მაკიაჟი. მამაკაცები, როგორც წესი, ვერ ამჩნევენ ცოლების ჩაცმულობის დეტალებს, მაგრამ მათი საერთო აზრი მხედველობით ფოკუსირდება. შეგიძლია, ექსტრაავანტურული თეთრეულიც შეიძინო. მას აზრადაც არ მოუვა, თუ ეს ყველაფერი მისთვის კეთდება და თავისთავად გაუჩნდება კითხვა — „ვისთვის იპრანჭება ასე, ამდენი ხნის თანაცხოვრების შემდეგ?“

შედეგი

როგორ არის საქმე? უკვე გხვდება სამსახურიდან გამოსულს, როგორც უწინ? გეპატიუება თეატრსა და რესტორანში? განაახლა სპორტული დატვირთვები? პირის ყოველდღიურად პარსვა და ფორმაში ყოფნა მოუნდა? ძალიან კარგი, ე.ი. შენმა ტაქტიკამ შედეგი გამოიღო. ახლა უკვე საკმარისია. შეიბრალებ იგი!



რამდენიმე მიზეზი, რის გამოც მამაკაცები ტოვებენ ქალებს

● თუკი ძალთან ურთიერთობა უნდა იქნას გახდა

მამაკაცი იდეალურს თუ არა, ისეთ ქალს მაინც ეძებს, ვისთან კონტაქტიც საინტერესო იქნება — საუბრისას თუ ფიზიკური სიახლოვისას. მართალია, ზედმეტად ჭკვიან ქალთან ურთიერთობა მას აფრთხობს — ანუ არასრულფასოვნების კომპლექსს უჩენს, მაგრამ არც მხოლოდ სერიოზულობისა და იაფფასიანი რომანების მოყვარული ქალი იზიდავს.

დასკვნა: თავი ისეთად მოაჩვენეთ, როგორც მას სურს, იყოთ.

● როცა ადგილი აქვს ხასიათის შეუთავსებლობას

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მაგრამ წყვილი რატომღაც წვრილმანებზე კამათობს, ვერ პოულობს კომპრომისებს, არანაირ დათმობაზე არ მიდის. ასეთ შემთხვევაში, ერთი გამოსავალი დაგრჩებათ — დაშორება.

დასკვნა: მამაკაცი ბუნებით ლიდერია, ამიტომაც სურს, რომ უმეტესწილად მას დაუთმოთ.

● თუკი ძალი თავშეუკავებელია

არც ერთ მამაკაცს არა აქვს სურვილი, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში წითლდებოდეს თავისი პარტი-



ნიორის დაუფიქრებელი საქციელის გამო.

დასკვნა: ისწავლეთ საკუთარი თავის კონტროლი.

● როცა ძალს საიჭვო წარსული აქვს

გაითვალისწინეთ, რომ პარტნიორების ხშირად ცვლას კარგი არაფერი მოაქვს. ნებისმიერ მამაკაცს აქვს სურვილი, იყოს ქალის ცხოვრებაში პირველი. ყოველ შემთხვევაში, 51-ე ადგილზე ყოფნა ნამდვილად არ მოხიბლავს!

დასკვნა: იფიქრეთ მომავალზე იმ წუთიდანვე, როგორც კი თქვენს ცხოვრებაში პირველი მამაკაცი გამოჩნდება და ნუ დაივიწყებთ, რომ ახალგაზრდობა მარადიული არ არის!

● როცა ძალი მამაკაცში მხოლოდ ფსიქოლოგიური სიძლიერის

ბუნებრივია, მას უნდა მოუყვებოდეთ თქვენს პრობლემებზე, საზრუნავზე, გაუზიაროთ თქვენი მოსაზრებები, მაგრამ გადაჭარბებული არაფერი ვარგა. ნუნუნით თავს თუ მოაბეზრებთ, მალე თქვენზე მეტად გაღიზიანებული და პრობლემებით დაუნძღვრული პარტნიორი შეგჩვენებთ ხელს.

დასკვნა: ნუ დაივიწყებთ, რომ ამისთვის დაქალები არსებობენ!

● როცა ძალი თავს ალბრუვის

თუკი ის სიმპათიური ქალბატონი — რომელმაც დანახვისთანავე ასე მოგხიბლა, მოუვლელ, თმაგანწილ, ფორმადაკარგულ დედაკაცად გადაიქცევა, ცხადია, მამაკაცი მისგან გაქცევას შეეცდება.

დასკვნა: არასოდეს მოადუნოთ ყურადღება საკუთარი გარეგნობის მიმართ, პირიქით — დღითი დღე უკეთესობისკენ უნდა ისწრაფოდეთ!

● როცა ძალს მხოლოდ მამაკაცის ჯიბე აინტერესებს

მართალია, მამაკაცს სიამოვნებს ქალზე ზრუნვა, მაგრამ სამაგიეროსაც ითხოვს. და ეს სამაგიერო — სიყვარულია.

დასკვნა: თუ გსურთ, რომ მისგან საჩუქრები კვლავინდებურად მიიღოთ, დაანახვეთ, რომ ძველებურად გიყვართ.

● როცა ძალი ქორწინებას ჩქარობს

აცალეთ მამაკაცს, ჩამოყალიბდეს და თავად გამოთქვას მოსაზრება, თუ როგორი ურთიერთობა სურს თქვენთან. ნუ გაუსწრებთ მოვლენებს, ამით მხოლოდ დააფრთხობთ მას.

● თუკი მამაკაცმა ძალის დაღატაკის შესახებ შეიტყო

მამაკაცს შეუძლია გაპატიოთ თითქმის ყველაფერი, გარდა დაღატაკისა. თუ ეს მოხდა, ის აუცილებლად წავა თქვენი ცხოვრებიდან.

დასკვნა: უმჯობესია, მანამ დაშორდეთ მას, ვიდრე სხვასთან გააბამდეთ ურთიერთობას. ამგვარად მოსალოდნელ სკანდალსაც აცილებთ თავიდან.

● როცა ძალს ვეფხე შეშინებული აქვს, ვიდრე მამაკაცს

თუკი, ნებისთინ თუ უნებლიეთ, ამას გამუდმებით აყვებდით, ის დაკომპლექსდება და სავარაუდოა, თქვენგან წასვლის სურვილიც გაუჩნდეს.

დასკვნა: თუ თქვენ მასზე უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახური გაქვთ, ნურასოდეს გაუსვამთ ხაზს ამ გარემოებას; პირიქით — მის მიმართ იყავით თბილი, უშუალო, ლოიალური... ურთიერთობაში მთავარი ხომ ფინანსური მხარე არ არის.

გუფთა ბოსტნეულით

მასალად საჭიროა:

- 500 გ კომბოსტო;
- 1 თავი ხახვი;
- 400 გ კარტოფილი;
- 500 გ ჭარხალი;
- 1 ლ ხორცის ბულიონი;
- მარილი, პილპილი გემოვნებით;
- 300 გ ხორცის ფარში;
- 3-4 ს/კ დაფქული ორცხობილა;
- 1 ცალი კვერცხი;
- 1 შეკვრა ოხრახუში
- 1-2 ცალი დაფნის ფოთოლი;
- 150 გ არაჟანი;
- 1 ს/კ ლიმონის წვენი.

მომზადების წესი:

დაჭერით კომბოსტო და ხახვი წვრილად, კარტოფილი და ჭარხალი კი — კუბურებად.

ბოსტნეული ჩაანყვებთ ბულიონში, დაუმატეთ მარილი, პილპილი, დაფნის ფოთოლი და ხარშეთ 45 წთ.

ფარშს შეურიეთ კვერცხი და დაფქული ორცხობილა. დაუმატეთ მარილი, პილპილი, მოამრგვალეთ პატარა ბურთულებად და ხარშვის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ჩაუშვით ბულიონში.

არაჟანში შეურიეთ ლიმონის წვენი და კერძს მოასხით. გაალამაზეთ ოხრახუშის ფოთლებით.





წმინდა ფრანცის ასიზიელი

დაახლოებით 750 წელია, ზოგიერთ ქრისტიანს სხეულზე სტიგმატები უჩნდება (სტიგმატი ბერძნულად „იარას“, „ჩხვლეტას“ ნიშნავს). ზოგს ხელისგულებზე ესახება სისხლიანი იარა, ზოგს — ტერფებზე (იესო ხომ ჯვარზე ხელებითა და ფეხებით იყო მიღურსმული); სტიგმატების ზოგიერთ მატარებელს შუბლიდან სისხლი სდის (ეკლიანი გვირგვინის კვალი), ზოგს სისხლიანი კვანი ზურგზე ამჩნევია (მათრახების შედეგი).

პირველი სტიგმატი წმინდა ფრანცის ასიზიელს, 1224 წელს გამოეცხა. ლეგენდის თანახმად, ერთ-ერთ რელიგიურ დღესასწაულზე, მას ანგელოზმა ხელები და ფეხები სხივებით დაუსერა. სხვათა შორის, არსებობს მოსაზრება, რომ სისხლიანი იარაგები ადამიანებს უფრო ადრეულ წლებშიც ესახებოდათ.

სპეციალისტების კვლევით, 800 წლის მანძილზე სტიგმატების 406

სხეულზე თავისთავად გაჩენილი იარაგი


შემთხვევაა დაფიქსირებული. ამათგან 68% კათოლიკეა, დანარჩენი კი სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენელი გახლავთ.

მილიონობით ადამიანს მიაჩნია, რომ სტიგმატები ღვთის საჩუქარია. კათოლიკური რელიგია წმინდანად მიიჩნევს მამა პიოს, რომელსაც სტიგმატები ჰქონდა გამოსახული, ხალხი კი ღვთის რჩეულს უწოდებდა, რადგან მას ადამიანების განკურნება შეეძლო და როგორც ამბობენ, დედამიწის ერთი წერტილიდან მეორეში წამიერად გადაადგილდებოდა.

ოფიციალური ვატიკანი სტიგმატების გამოსახვის ფაქტს ძალზე ფრთხილად ეკიდება. ვატიკანის მიერ დანიშნული მღვდლები და ექიმები ხანგრძლივად იკვლევენ ადამიანებს, რომლებსაც სტიგმატები ესახებათ და ძალიან იშვიათად თუ აღიარებენ, რომ ისინი სასწაულებრივადაა გაჩენილი, დანარჩენ შემთხვევაში, სტიგმატები ხელოვნურადაა გამოსახული — ზოგიერთი ადამიანი, ყურადღების მიპყრობის მიზნით ან ფსიქიკური აშლილობის დროს, სხეულზე სტიგმატებს თავადვე ისახავს. ყალბი იარაგების გარდა, არსებობს ბუნებრივად გაჩენილი სტიგმატები, რომლებიც მკურნალობის შემდეგ კვლავ ჩნდება. მაგალითად, ექიმი მარკო მარნელი დიდხანს მკურნალობდა და აკვირდებოდა სტიგმატების მატარებელ ლოზიანოს. განკურნების შემდეგ ქალი

ტრანსში ვარდებოდა, ელანდებოდა ჯვარი და კრილოსანი; გონზე მოსვლისთანავე იარაგი უჩნდებოდა. ამერიკელი ეტელ ჩაპმენიც საავადმყოფოში მკურნალობდა ბუნებრივად გაჩენილ იარაგს. უგონოდ მყოფ ქალს საკუთარი ჯვარზე გაკვრა ელანდებოდა, რის შემდეგაც, სტიგმატები კვლავაც ესახებოდა.

სტიგმატების გამოსახვა ბოლომდე შესწავლილი არაა და მისი წარმოშობის შესახებ რაიმე კონკრეტულის თქმა შეუძლებელია.



კათოლიკური რელიგია წმინდანად მიიჩნევს მამა პიოს

ზვიგენი დედამიწის ყველა ოკეანეში, ზღვაში, ზოგიერთ მდინარესა და ტბაშიც კი ბინადრობს. მკვლევრების აზრით, ზვიგენი 400 მლნ წლის წინ გაჩნდა. 368 სახეობიდან (აქედან, ყველაზე საშიში თეთრი ზვიგენია), სიგრძით ყველაზე პატარა 18 სმ-მდე იზრდება, ყველაზე გრძელი — 15 მეტრამდე. კბილების რაოდენობით ზვიგენი რეკორდსმენია — სულ 3000 კბილი აქვს, რომელიც 5 რიგადაა ჩანკიკნიკებული. თუ მსხვერპლის გაგლეჯისას რომელიმე კბილი დაუზიანდა, მის ადგილას ახალი ამოსდის. ის ერთ ჯერზე 12-მდე უკვე ჩამოყალიბებულ ნაშიერს შობს.

გიგანტურ თევზს ადამიანზე 10000-ჯერ უკეთესი ყნოსვა აქვს. მას შეუძლია, სისხლის ერთი წვეთი ათეულჯობით კილომეტრიდან შეიგრძნოს. ერთხელ ასეთი ექსპერიმენტიც ჩაატარეს: საშუალო ზომის აუზში 92 ტონა მარილი ჩაყარეს და ერთი წვეთი სისხლი დაამატეს.

„რეკორდსმენი“ ზვიგენი

ზვიგენმა მაშინვე იგრძნო ამინომჟავა (სისხლის ძირითადი ინგრედიენტი) და აუზისკენ გაცურა. ასევე კარგად აქვს განვითარებული სმენაც (ყურები თავში აქვს განლაგებული). მკვლევრები ვარაუდობენ, რომ ზვიგენს ადამიანი სელაპში ეშლება და მას ამიტომაც ესხმის თავს.

ამ გიგანტური თევზის მიმართ ინტერესი იმდენად დიდია, რომ 1975

წელს სტივენ სპილბერგმა ტრილერი — „ყბები“ გადაიღო (პიტერ ბენჩლის ამავე სახელწოდების ნაწარმოების მიხედვით). ფილმმა სამი „ოსკარი“ მოიპოვა.

ხშირად ზვიგენი თავადვე ხდება ადამიანის მსხვერპლი. მისი კანისგან აქსესუარებს ქმნიან, რბილობისგან — ძალღების საჭმელს, ხოლო ხრტილისა და ღვიძლისგან ნაოჭების საწინააღმდეგო კრემს ამზადებენ.

თუ ექსტრემის მოყვარული არ ხართ, ნუ გაცურავთ იქ, სადაც ზვიგენი ბინადრობს. თუ თქვენ მახლობლად გიგანტურ თევზს შენიშნავთ, ეცადეთ, ნაკლები იმოძრაოთ და მისი ყურადღება არ მიიქცით. დაელოდეთ, როგორც კი სხვა საგანზე გადაიტანს ყურადღებას, მაშინვე ნაპირისკენ გაცურეთ.





მუმიის ამოხსნელი საიდუმლო



ქალაქ ურუმის (სინციანის დედაქალაქი, ჩინეთის ავტონომიური რაიონი) მუზეუმში იმ ადამიანების რამდენიმე კარგად შემონახული მუმიანი ხეობა, რომლებიც ჩვ.წ.ალ-მდე მესამე ათასწლეულში ცხოვრობდნენ. ჩინური მუმიები არ ჰგავს ეგვიპტურს. აქ გარდაცვლილების სხეული და ტანსაცმელი მარილმა შეინახა, რომელიც ტაკლა-მაკანის უდაბნოში მოიპოვება. ბრიტანელი მკვლევარი,

ელისაბედ ბარბერი ერთ-ერთ მუმიას (იგი უდაბნო ტაკლა-მაკანის აღმოსავლეთით, მდინარე ჩერჩენის სამარხებში აღმოაჩინეს) შემდეგნაირად აღწერს: „მუზეუმის დამთვალიერებლები ჩურჩულით საუბრობენ, რადგან ჰგონიათ, რომ მუმიას სძინავს. მამაკაცი დაახლოებით, 50 წლისაა. თავი და მუხლები ისე აქვს აწეული, თითქოს, ჰამაკში წევს. ნაბლისფერი თმა ორ ნაწილად ეშვება (ძველად ჩინელები სამ ნაწილად ატარებდნენ), მხრებამდე. მას მატყლის ხალათი და ჭრელი წინდები აცვია“.

იმავე სამარხში ქალი და ჩვილიც ესვენა. ქალი სიმაღლით 191 სმ იყო. მასაც ორი ნაწილი ჰქონდა და ტანსაცმელიც მატყლის ეცვა. ჩვილიც მატყლის საფენებში იყო გახვეული.

ურუმის მუზეუმში დაცული ქალის მუმი იმდენად კარგადაა შემონახული, რომ მას „მძინარე მუზეუმისაგან“ ეძახიან. ანთროპოლოგიურად იგი ჩინურ ტიპს არ მიეკუთვნება. თანაც, მუმიას ჩანთაში ხორბლის მარცვლები უწყვია და არა — ბრინჯის. საინტერესოა მუმიების

ტანსაცმელიც, რომელიც კულტური ორნამენტებითაა დამშვენებული. ბარბერის მოსაზრებით, ჩინეთიდან წამოსული კულტები დღევანდელი ავსტრალია და უნგრეთის ტერიტორიებზე ანუ იქ დასახლდნენ, სადაც მარილი მოიპოვებოდა. სხვათა შორის, ავსტრიის სამარხებში იქნა აღმოჩენილი კულტური ნახატებით გაფორმებული ისეთივე ხალათები, როგორც სინციანის მუმიებს აცვიათ. მუმიების შესწავლა და კვლევა დღესაც მიმდინარეობს. ■




წყალქვეშა პირამიდები

1979 წელს ბერმუდის სამკუთხედის მკვლევარმა — ჩარლზ ბერლიცმა სენსაციური განცხადება გააკეთა. მან აღნიშნა, რომ მეთევზეებმა შემთხვევით აღმოაჩინეს წყალქვეშა პირამიდა, რომელიც ხეოფსის პირამიდაზე დიდია. ბერლიცის სიტყვებით, ამაზონის აუზში 12 პირამიდაა განთავსებული.

როკის ტბის პირამიდები

1967 წლის 30 ივნისს სპორტსმენ-აკვალანგისტებმა როკის ტბაში (აშშ, ვისკონსინის შტატი) ჩაყვინთეს. ერთ-ერთმა მათგანმა ტბის ფსკერზე ხელოვნური ბორცვი აღმოაჩინა, რომელიც სიმაღლეში — 12, სიგანეში კი 6 მეტრი იყო.



წყალქვეშა პირამიდა

ატლანტიდის საჩუქარი

ჟურნალ „იუნესკოს კურიერის“ მიხედვით, დედამიწის სხვადასხვა ნაწილში ათასობით პირამიდაა აღმოჩენილი და მათ შექმნას ლეგენდარულ ატლანტიდაზე მცხოვრებ ადამიანებს მიანერენ. ატლანტიდაზე ლეგენდა ბერძენმა ფილოსოფოსმა,



ხეოფსის პირამიდა

პლატონმა დაგვიტოვა. ზოგიერთ მკვლევარს მიაჩნია, რომ სწორედ განათლებულმა ატლანტებმა ასწავლეს ეგვიპტელებსა და ძირძველ ამერიკელებს პირამიდების აგება.

პირამიდების არსებობის შესახებ პირველად XX საუკუნის დასაწყისში შეიტყვეს. 1937 წელს მსოფლიო ჩემპიონმა წყალქვეშა ყვინთვაში — მაქს ნოელმა ტბის ფსკერის გამოკვლევა გადამწყვიტა. მან მალევე მიაგნო სიმაღლით 10, სიგანით — 5-მეტრიან პირამიდას. მკვლევრებმა ივარაუდეს, რომ ნაგებობა ტბის წარმოქმნამდე იყო შექმნილი და დაახლოებით, 10 ათასი წლის წინ, იქ ადამიანები ცხოვრობდნენ.

1979 წელს ლისაბონში გამართულ კონფერენციაზე მკვლევრებმა გამოთქვეს მოსაზრება, რომ ატლანტიდა შესაძლოა, პორტუგალიასა და კუნძულ მადეირას შორის ყოფილიყო ჩაძირული. ბულგარელმა მკვლევრებმა წყალქვეშ დააფიქსირეს თაღები, კიბეები, მრგვალი და ოვალური ფორმის ქვები და გუმბათოვანი თაღები. ■



Kia-მ ახალი სედანის გამოსახლება გააკრძალა



ცოტა ხნის წინ, სამხრეთკორეულმა კომპანიამ — Kia — სედანის — Cadenza — ოფიციალური გამოსახლება წარმოადგინა, რომელიც სამოდერნო რიგში ავტომობილ Opirus-ს ჩანაცვლებს. სიახლის დებიუტი მიმდინარე წლის ბოლოს, იმ ავტოშოუზე შედგება, რომელსაც საუდის არაბეთი უმასპინძლებს. Kia Cadenza-ს მიმდინარე წლის აპრილში, სეულის ავტოშოუზე დებიუტირებული კონცეპტ-ავტოს — KND-5 — სტილისაა. წინასწარი ცნობით, ავტომობილისთვის გამოიყენებენ სედანის — Hyundai Gradeur — წინამძრავიან პლატფორმას, ხოლო მის ძრავათა გამაში შევა 200 ცხ.ძ. სიმძლავრის, 2,4-ლიტრიანი ბენზინის მობოტორი, აგრეთვე, 6-ცილინდრიანი, 3,5 ლიტრის მქონე Lmabada-ს აგრეგატი. სამხრეთ კორეაში მანქანა მიმდინარე წლის ბოლომდე გამოჩნდება, სხვა ქვეყნებში კი მისი დებიუტი 2010 წლის პირველ ნახევარში შედგება. ■

„მიცუბიუსი“ ჰიბრიდული სპორტული

მომავალი თაობის სპორტულ სედანს — Mitsubishi Lancer Evolution — შეიძლება, ჰიბრიდული აგრეგატი დაუყენონ, რომელიც კონსტრუქციით კონცეპტუალურ კროსოვერზე — Mitsubishi PX-Miev — დამონტაჟებულის მსგავსი იქნება. Mitsubishi PX-MiEV-ის ჰიბრიდული დანადგარი 1,6-ლიტრიანი, 116 ცხ.ძ. მქონე ბენზინის ძრავასგან, მანქანის წინა და უკანა ღერძზე განთავსებული ორი — 82 ცხ.ძ. სიმძლავრის ელექტრომობოტორისგან, აგრეთვე, ლითიუმის აკუმულატორებისგან შედგება. ასეთი მანქანა, მცირე სიჩქარით მოძრაობისას, მხოლოდ ელექტრომობოტორების მეშვეობით გადაადგილდება, ხოლო სწრაფად სიარულისას შიგაწვის ძრავას გამოყენება იქნება საჭირო; დამუხრუჭების დროს კი ენერჯის რეგენერაციის სისტემა ჩაირთვება, რომელიც ბატარეების დატენას შეუწყობს ხელს. ასეთი აკუმულატორების დატენა ჩვეულებრივი დენის წყაროდან ან სპეციალური სადგურებიდან იქნება შესაძლებელი. გარდა ამისა, კონცეპტ-ავტო S-AWC-ის სრულამძრავიანი სისტემითაა აღჭურვილი. ჯერჯერობით უცნობია, რა ცვლილებები შევა აგრეგატში, — PX-MiEV — რომელიც Mitsubishi Lancer evolution XI-ში იქნება გამოყენებული. ■



15 ღარივევა 11 წუთში

შვეიცარიაში 47 წლის იტალიელმა მძღოლმა, რომელიც პოლიციისგან მიმალვას ცდილობდა, 11 წუთში 15-ჯერ დაარღვია მოძრაობის წესი. დევნა მას შემდეგ დაიწყო, რაც სველ გზაზე 160 კმ/სთ სიჩქარით მიმავალი ავტომობილის მძღოლმა, პოლიციის მოთხოვნის მიუხედავად, მანქანა არ გააჩერა. მას მიმალვა სურდა, რის გამოც, სახიფათოდ არღვევდა მოძრაობის წესებს, ხოლო გზის იმ მონაკვეთზე, სადაც სამშენებლო სამუშაოები მიმდინარეობდა, 140 კმ/სთ სიჩქარით გაიარა და დაწესებულ ლიმიტს ორჯერ გადააჭარბა. იძულებით გაჩერების შემდეგ მძღოლს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა ჩამოართვეს. გარდა ამისა, იგი შესამონღმელად ნარკოლოგიურ სამედიცინო დაწესებულებაშიც გადაიყვანეს. ჯერჯერობით, ტესტირების შედეგი უცნობია. ■

ახალი „პეჟო-308“

ინტერნეტით სედანის ძარაზე შექმნილი Peugeot 308-ის ფოტოები გავრცელდა. ავტომობილი ჰეჩბეკისგან არა მარტო ახალი ძარათი, არამედ წინა ნაწილის გაფორმებით, შეცვლილი ჰაერცხაურიანი წინა ბამპერთა და ახალი კაპოტით განსხვავდება. ზოგიერთი მონაცემით, მყიდველებს სედანს — Peugeot 308 — იმავე ძრავათა გამით შესთავაზებენ, რომლითაც ჰეჩბეკი იყიდება, ხოლო მისი წარმოება მომავალი წლის დასაწყისში, ჩინეთში მდებარე ქარხანაში — Dongfend — დაიწყება. ავტომობილი არა მარტო ჩინური, არამედ ლათინურამერიკული და ევროპული ბაზრებისთვისაცაა განკუთვნილი. სავარაუდოდ, განახლებული ჰეჩბეკის — Peugeot 308 — პრემიერა მომავალი წლის გაზაფხულზე, ჟენევის მობოტორ-შოუზე შედგება. ■





რუბრიკას უძღვება ექიმი 6060 ჩარბიშვილი

კვება შაქრიანი დიაბეტის დროს

მიუხედავად იმისა, რომ შაქრიანი დიაბეტი მიიძღვება დაავადებას, მის ფონზე სრულფასოვანი ცხოვრება მაინც შესაძლებელია. სპეციალისტები ირწმუნებიან, რომ დიაბეტიანთა მესამედს, მდგომარეობის დასასტაბილურებლად, დიეტაც ჰყოფნის. მათ კატეგორულად ეკრძალებათ იოლად ასათვისებელი ნახშირწყლების შემცველი პროდუქტები: შაქარი, კანფეტი, მურაბა, საკონდიტრო ნაწარმი, ღვინო და ტკბილი გაზიანი წყალი. გარდა ამისა, სასურველია ქიმიკატის, ყურძნისა და ლეღვის ჭამისგანაც შეიკავოთ თავი, რადგან მათში შემავალი გლუკოზა სწრაფად შეიწოვება, შედეგად კი სისხლში შაქრის შემცველობა იმატებს და დიაბეტიანის მდგომარეობა მძიმდება.



ტკბილი ზოგჯერ დასაშვებია!

დიაბეტის მსუბუქი ფორმის დროს შეიძლება, თავს ცოტათუნი თავფლის ჭამის უფლება მიეცეთ (1 ჩ/კ დღეში ორჯერ), უფრო რთულ სიტუაციაში კი უნდა გამოვიყენოთ შაქრის შემცველები — სპეციალური ნივთიერებები, რომელთაც ტკბილი გემო აქვთ, მაგრამ სისხლში შაქრის დონეს არ სწევენ. მაგალითად, ფრუქტოზა (ხილის შაქარი), სახარინი, ქსილიტი, სორბიტი, ასპარტამი, მანიტი, იზომალტი. მათი გამოყენება შესაძლებელია არა მარტო ჩაისა და ყავის დასატკბობად, არამედ ტკბილეულის მოსამზადებლადაც. ოღონდ, უნდა გაითვალისწინოთ, რომ ზოგი მათგანი გაცხელებისას სიტკბოს კარგავს და ამიტომაც, ცხელ სასმელებსა თუ კერძებში მათი ჩამატება მიზანშეწონილი არ არის.

დიაბეტიანისთვის შიშველი დაუშვებელია!

დიაბეტიანი უნდა ეცადოს, დღეში 5-6-ჯერ, ერთსა და იმავე დროს იკვებოს, თანაც ისე, რომ ზედმეტი არ მოუვიდეს. საკვები უნდა დაიღებოს ნელ-ნელა და გულდასმით. მენიუ უნდა იყოს მრავალფეროვანი, მაგრამ დაბალკალორიული. სასურველია, უმთავრესად მივირთვათ ხილი და ბოსტნეული, რომლებიც შეიცავენ არა მარტო ვიტამინებს, მინერალებს, არამედ მცენარეულ ბოჭკოებსაც. ყველაზე მარგებელია კომბოსტო, სტაფილო, კიტრი, პომიდორი, ყაბაყი; მათი უმად ჭამაც შეიძლება და მოშუშვაც — თერმულად რაც უფრო ნაკლებად არის დამუშავებული საკვები, მით მეტად ინარჩუნებს ვიტამინებს. ცილების წყაროდ შეიძლება, მჭლე ხორცი გამოვიყენოთ, იდეალურ შემთხვევაში — ფრინველის. რძის პროდუქტები: ხაჭო, არაჟანი, ყველი; მანონი ნაკლებად ცხიმოვანი უნდა იყოს. კვირაში 2-3 კვერცხის მიღებაც შეიძლება. ნაღების კარაქზე დიაბეტიანმა უარი უნდა

თქვას და მის ნაცვლად ზეთისხილის, მზესუმზირას ზეთი ან სხვა მცენარეული ცხიმი გამოიყენოს. სასარგებლოა შვრიის, წინიბურასა და ბრინჯის ფაფები. მანანისა და მკარონის კერძები მხოლოდ მსუბუქი ფორმის დიაბეტის დროსაა ნებადართული. კარგია ლიმონი, ფორთოხალი, კივი, კუნელი, მოცვი. დიაბეტიანებმა თეთრ პურზე უარი უნდა თქვან, მაგრამ დღის განმავლობაში 2-3 ნაჭერი ჭვავის პურის მიღება მიზანშეწონილია.

დიაბეტიანის დღიური რაციონი დაახლოებით ასეთი უნდა იყოს:

- საუზმე:**
 - 1) ნაკლებცხიმიანი ხაჭო;
 - 2) ოლივიე მცენარეული ზეთით;
 - 3) რძიანი ყავა, უშაქროდ.
- შუალედში:**
 - ახალი ვაშლი.
- სადილი:**
 - 1) ვეგეტარიანული წვინანი;
 - 2) ორთქლზე მომზადებული ხორცის კატლეთი;
 - 3) მოშუშული ბადრიჯანი;
 - 4) ვაშლი.
- სამხარი:**
 - 1) უცხიმო ხაჭო;
 - 2) გახეხილი სტაფილო.
- ვანშამი:**
 - 1) მოხარშული თევზი;
 - 2) მოშუშული კომბოსტო.
- ღამით:**
 - ერთი ჭიქა მანონი.

ღიბტური კარძაპი სოკოს სალათი (4 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: ახალი ქამა სოკო — 400-500გ, 3 მოხარშული კვერცხი, 6-8 ს/კ მცენარეული ზეთი, 2 ს/კ ძმარი, 3-4 ს/კ წვრილად დაჭრილი ოხრახუში, მარილი და პილპილი (გემოვნებით).

მოზადების წესი: გარეცხილი სოკო დაჭერით რგოლებად (რამდენიმე ქუდი კერძის მოსართავად შეინახეთ), მოხ-

არშეთ მარილწყალში და დაყარეთ სანურზე. როცა დაინრიტება, შეურიეთ დაჭრილი კვერცხი და მოშუშეთ ზეთში. დაუმატეთ ძმარი, მარილი და პილპილი. გადმოიღეთ სასალათეზე და მორთეთ სოკოს ქუდებითა და მწვანე ხილით.

ბადრიჯანი მანონით (6 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 2 ბადრიჯანი, 2 პომიდორი, 2 კვერცხი, 0,5 ჭიქა მანონი, 1 ს/კ ფქვილი, 2 ს/კ მცენარეული ზეთი, მარილი და პილპილი (გემოვნებით).

მოზადების წესი: გარეცხილი ბადრიჯანი დაჭერით გრძივად (1 სმ სისქის ნაჭრებად), მოაყარეთ მარილი, გააჩერეთ 10 წუთის განმავლობაში, დაასხით ცივი წყალი, განურეთ, ამოავლეთ ფქვილში და ორივე მხრიდან შეწვიეთ. ღრმა ქვაბში ფენებად ჩააწყვეთ შემწვარი ბადრიჯანი და მრგვლად დაჭრილი პომიდორი, მოაყარეთ მარილი და პილპილი. კვერცხი ათქვიფეთ მანონთან ერთად, მოასხით ქვაბში ჩაწყობილ ბოსტნეულს და 7 წუთით შედგით ღუმელში.

სოფლის ოვლიბი (2 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 150 გ კომბოსტო, 2 კვერცხი, 0,5 ლ რძე, 2 ს/კ მცენარეული ზეთი, 2-3 ს/კ დაჭრილი მწვანილი, მარილი (გემოვნებით).

მოზადების წესი: წვრილად დაჭრილი კომბოსტო მოხრაკეთ ზეთში (3-5 წუთის განმავლობაში), დაამარილეთ, მოასხით კვერცხთან ერთად ათქვიფილი რძე, დაასურეთ თავზე და 10 წუთით დადგით ცეცხლზე. სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ მწვანილი.

„ფხის სხივი“ (4-6 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 1 ჩ/ჭ ბრინჯი, 1 ჩ/ჭ რძე, 2 კვერცხი, 1 ჩ/ჭ

ინფორმაციულ-მედიასფეროში კოლაჟი

ეოზა ღვალის უბის წიგნაკრძან:

1. შვეციას ყველაზე დიდი სანაპირო ზოლი აქვს ევროპაში.

2. ტაჯმახალს 22 წლის განმავლობაში, 20 ათასი ხელოსანი აშენებდა.

3. იოლა ნორვეგიული, სარენაო დანიშნულების უგემბანო, მსუბუქი ნავია.

4. მთვარეს დედამიწასთან შედარებით ექვსჯერ ნაკლები მიზიდულობა აქვს.

5. ხემიან ინსტრუმენტზე უხეზოდ, თითის ამოკვრით დაკვრას პიციკატო ჰქვია.

6. „არაფერია სამიში, გარდა თავად შიშისა“, — ამბობდა ფრანკლინ რუზველტი.

7. „ტოლკო უ რუსკის იესტ ვირაჟენიე, „კრასივ, ხოტ ვ გრობ კლადი“, — მხრებს იჩეჩს მიხაილ ზადორნოვი.

8. „ჯოჯოხეთისკენ მიმავალი გზა კეთილი ზრახვებითა მოკირწყლული“, — ამბობენ ამერიკელები.

9. მარკ დევიდ ჩემპენის მიერ სასიკვდილოდ დაჭრილმა ჯონ ლენონმა ფრანკლინ რუზველტის სახელობის ჰოსპიტალში დაღია სული.

10. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვას, რაც შუა საუკუნეების დასაწყლეთ ევროპაში ფართოდ იყო გავრცელებული, სიმონიას ეძახდნენ.

11. ლითონის ნაწილების ერთმანეთთან კალთ მიდულება-დაკავშირება (აი, ჩვენში „პაიალნიკით“ მიდულებას, „მი-პაიალნიკებას“ რომ ეძახიან), მირჩილვა ჰქვია.

12. ბობ ფოქსის ფილმ „კაბარეს“, რომელშიც ლიზა მინელი და მაიკლ იორკი მონაწილეობენ, ბრიტანეთის აკადემიის 7 პრემია და 8 „ოსკარი“ აქვს მიღებული.

13. შინაურ ცხოველთა შორის ღორი ყველაზე სწრაფად ველურდება. ტყეში გაპარულ ცხოველს დინგი უგრძელდება, ხშირი ჯაგრით იმოსება, ეშვები განზე ეზრდება და გარეულ ტახზე აგრესიულიც კი ხდება.

14. ცივი ომის დროს, ამერიკის სპეცდანიშნულების ჯარის სნაიპერებს ვარჯიშისას სამიზნეებად ხრუშჩოვის, ფიდელ კასტროსა და მათ ძე დუნის პორტრეტები ჰქონდათ გაკრული.

15. კატრინ დენევეს მარჩელო მასტროიანისგან შვილი ჰყავდა, მაგრამ მსახიობი ქალი ამან ვერ შეაჩერა — მან ურთიერთობა განწყვიტა ბევრი ქალისთვის საოცნებო მამაკაცთან და საქვეყნოდ განაცხადა: იტალიელებს თავში მხოლოდ ორი რამ უტრიალებთ და ამათგან ერთი — სპაგეტიაო.



ჯანმრთელობა

გარგარის ჩირი, 2 ს/კ ფრუქტოზა, 1 ს/კ ზეთი, მარილი (გემოვნებით). მომზადების წესი: გარეცხილი ბრინჯი მოხარშეთ წყალში (პროპორციით 1:2). 12-15 წუთის შემდეგ, როცა ბრინჯი წყალს შეინოვს, დაამატეთ რძე, მარილი და ხარშეთ კიდევ 5 წუთის განმავლობაში. მიღებული ფაფა გააცივეთ, დაუმატეთ ფრუქტოზა (1,5 ს/კ) და კვერცხის გული. ეს მასა მოათავსეთ ცხიმნასმულ ფორმაში, მოაყარეთ დაკეპილი გარგარის ჩირი და მოასხით კვერცხის ცილისა და დარჩენილი ფრუქტოზისგან მომზადებული ბეზე. შედგით ცხელ ჰაერლუმელში, 15 წუთით. როცა გაცივდება, დაჭერით და მიიტანეთ სუფრასთან.

ოლივიე „ზაფხული“ (4 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 2 კარტოფილი, 2 სტაფილო, 1 ჭარხალი, 100 გ ყვავილოვანი კომბოსტო, 2 მყავე კიტრი, 3 ს/კ კონსერვირებული მწვანე მუხუდო, ნახევარი კონა სალათის ფურცელი, 2-3 ს/კ არაჟანი, 3 ს/კ დაჭრილი კამა, მარილი (გემოვნებით).

მომზადების წესი: ცალ-ცალკე მოხარშეთ კარტოფილი, სტაფილო და ყვავილოვანი კომბოსტო. კომბოსტოს თავი დაშალეთ ყვავილედებად, სალათის ფურცლები მსხვილად დაკეპეთ, დანარჩენი ბოსტნეული კი რგოლებად დაჭერით, დაამატეთ მუხუდო, კამა, მარილი და შეაზავეთ არაჟნით.

მილანური „მოზარაშულა“ (4 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 500 გ ყაბაყი, 2 ს/კ მცენარეული ზეთი, 1 ხახვი, 0,5 ლ ბოსტნეულის ნახარში, 25 გ მჭლე ლორი, 3 ს/კ კეტჩუპი, 2 მოხარშული კვერცხი, 3 ს/კ გახეხილი ყველი, მარილი, ნიორი, მწვანილი.

მომზადების წესი: ქვაბში გააცხელებთ ცხიმში, ჩაყარეთ გათლილი, კუბურებად დაჭრილი ყაბაყი, ხახვი, დაასხით ბულიონი და 3 წუთის განმავლობაში შუშეთ. დაამატეთ კეტჩუპი, მარილი, მოხარშული და ჩანგლით ასრესილი კვერცხი, გახეხილი ყველი, თხლად დაჭრილი, შემწვარი ღორის ნაჭრები და შედგით ჰაერლუმელში, 7-10 წუთით. სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ მწვანილი და წვრილად დაჭრილი ნიორი.

ქათმის ბარკლავი (4 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 4 ქათმის ბარკალი, 3 ს/კ ზეთი, 2 ს/კ თაფლი, 1,5 ს/კ ლიმონის წვენი, მარილი, პილპილი (გემოვნებით).

მომზადების წესი: ქათმის ბარკლები გარეცხეთ, გააშრეთ, წაუსვით მარილი და პილპილი. მცირე ზომის თასში ერთმანეთში აურიეთ ზეთი, თაფლი, ლიმონის წვენი. მიღებული მასის ნახევარი წაუსვით ბარკლებს და 7-8 წუთით შედგით ცხელ ჰაერლუმელში, შემდეგ კი გამოილეთ. როცა შეგრილდება, დარჩენილი სოუსი წაუსით და 15 წუთით კვლავ ლუმელში შედგით (ამ კერძის მირთმევა შეუძლიათ მსუბუქი ფორმის დიაბეტი დაავადებულებს).

წმინაი „ზღვის პიზაში“ (6 ულუვა)

მოსამზადებლად საჭიროა: 700-800 გ სკუმპრიის ფილე, 2 ს/კ გატარებული ნიგოზი, 2 ს/კ გატარებული თხილი, 2 ს/კ გატარებული გოგრის თესლი, 2 ს/კ პომიდვრის ტომატი, დაფნის ფოთოლი, მარილი, პილპილი.

მომზადების წესი: თევზი გარეცხეთ, გააშრეთ, დაჭერით დაახლოებით, 1 სმ-იან კუბურებად და ჩააწყვეთ ქვაბში. დაასხით 2 ლ მდულარე წყალი, დაამატეთ დაფნის ფოთოლი, პილპილი და ხარშეთ საშუალო ცეცხლზე, 7-10 წუთის განმავლობაში. დაუმატეთ ნიგოზი, თხილი, გოგრის თესლი და ადულეთ 5 წუთს, შემდეგ კი შეაზავეთ პომიდვრის ტომატითა და მარილით.

კიპორჩხალას სალათი

მოსამზადებლად საჭიროა: 3 სომხური ლავაში, 200 გ მაიონეზი, 200-250 გ კიბორჩხალას ხორცი (შეიძლება, კიბორჩხალას ჩხირებიც), 2-2 კონა კამა და ოხრახუმი.

მომზადების წესი: აიღეთ ლავაში, გადაუსვით 4 ს/კ მაიონეზი, ზემოდან დაადეთ მეორე ლავაში, მასაც გადაუსვით 2 ს/კ მაიონეზი და მოაყარეთ წვრილად დაჭრილი კიბორჩხალა, დაადეთ მესამე ლავაში, გადაუსვით 2 ს/კ მაიონეზი, მოაყარეთ დაჭრილი მწვანილი და ფრთხილად გადაახვიეთ, მოათავსეთ ოთხკუთხა თასში და 3





ინფორმაციულ-შეფხვნილობითი კოლაჟი

ეონა ღვალის უბის ნიგნაკიან:

16. ევროპაში ასეთი წესია: ახალგაზსნის ბოთლიდან ჯერ მასპინძელმა უნდა დაისხას ღვინო, შემდგომ კი სტუმრებს შეუფსოს სასმისი. ეს წესი სულაც არ ისახავს მიზნად, რომ სტუმრები ღვინის უფნებლობაში დაარწმუნოს. უბრალოდ, მასპინძელი ცდილობს, სტუმრის ჭიქაში საცობის ნამტვრევები არ მოხვდეს. ეს ტრადიცია მანამდეც არსებობდა, ვიდრე ხმარებაში კორპის საცობებს შემოიღებდნენ, ოღონდ მაშინ, საცობის ფუნქციას მცენარეული ზეთის თხელი ფენა ასრულებდა.

17. ერთხელ, ბანკის არჩევნების გამო უკმაყოფილო გრიგოლ ორბელიანს უთქვამს, ჩვენი ქვეყნის უბედურება იქ დაინვა, როცა მე, პატარა კახის შვილიშვილსა და ცალქალამანიძეს თითო ხმა მოგვცესო. მეც ერთი უნდა ვთქვა და იმანაც ერთი!.. ეგ როგორ შეიძლებაო!..

18. „მან გამოსტაცა ელვა ზეცას და სკიპტრა — ტირანებს“, — ამბობენ ისტორიკოსები ბენჯამინ ფრანკლინის შესახებ, რომლის მრავალ დამსახურებას შორის, მესამრიდის გამოგონებაც გახლავთ.

19. „ყველასა და ყველაფერზე წერ და რა მოხდებოდა, ჩემზეც დაგენერა რამე“, — უსაყვედურა ნოდარ დუმბაძეს მეუღლემ, ნაწული გეგნავამ. „ამდენ ხანს ხატიაში შენი თავი თუ ვერ დაინახე, ცუდად ყოფილა ჩემი საქმე“, — ამოუხორავს ნოდარ დუმბაძეს.

20. „მთელი ქალაქისათვის თავისიანი ვარ და შვილისთვის უცხო“, — ნუხდა აკაკი წერეთელი. მისი შვილი ალექსი 1942 წელს, პარიზში გარდაიცვალა და ქალაქის ერთ-ერთ სასაფლაოზე, დედის გვერდით დაკრძალეს. მიწის იჯარა მხოლოდ 30 წლის ვადით იყო გადახდილი, რის გამოც, 1981 წელს მათი საფლავები გააუქმეს.

21. ერთხელ მიხაილ ვორონცოვი ზაქათალიდან თბილისში ვიპაჟით ბრუნდებოდა და ძალზე ჩქარობდა. როცა კახელმა თავადებმა გაიგეს, კავკასიის მთავარმართებელს მათ მიწებზე უნდა გაეყოლო, გზის პირას ჩამწკრივდნენ. მათ დანახვაზე ვორონცოვს მეეტლისთვის უთქვამს, — სვლა შეანელო. შტაბის უფროს კოცებოს, რომელიც ვორონცოვს ახლდა, მისთვის მოკრძალებით უთხოვია: ძალიან გვეჩქარება, გრაფ, არ ღირს ყველასთვის საღმის თქმა, დროს ნუ დავკარგავთო. ვორონცოვს უპასუხია, — ამათ რომ უყურებ, გზის პირას რომ დგანან და ცხენდაცხენ მოგყვებიან (ასე აცილებდნენ კახელები), თითოეულის გვარი ორი ათასი წლისაა და ჩვენგან, კარგი საღმის მეტი, არა უნდათ რაო.



საათით შედგით მაცივარში.

თევზი ქოთანში

მოსამზადებლად საჭიროა: 600 გ თევზის ფილე, 2-3 ხახვი, 4 კარტოფილი, 1 ჩ/ჭ ნალები, 4 ს/კ გახეხილი სულუგუნი, 5 ს/კ ზეთი, მარილი.

მომზადების წესი: ქოთანში ფენებად ჩაანყვეთ კუბურებად დაჭრილი თევზის ფილე, თხლად დაჭრილი კარტოფილი, დაკეპილი და ზეთში მოხრაკული ხახვი, მოაყარეთ მარილი, მოასხით ნალები, დაახურეთ თავზე და შედგით გახურებულ ღუმელში, 40 წუთით. ღუმლიდან გამოღებამდე, 5 წუთით ადრე, ქოთანს მოხადეთ თავსახური და მოაყარეთ სულუგუნი.

კურდღელი ზოსტანულით

მოსამზადებლად საჭიროა: 1 კურდღელი, 1 ჩ/ჭ თეთრი ღვინო, 3 პომიდორი, 3 ბულგარული წინაყა, 1 ყაბაყი, 3 ს/კ ზეთი, 3 ს/კ დაკეპილი ოხრახუში, მარილი, პილპილი და ნიორი (გემოვნებით). **მომზადების წესი:** კურდღლის ხორცი კარგად გარეცხეთ, გააშრეთ, დაჭერით მომცრო ნაჭრებად, მოაყარეთ მარილი, პილპილი, დაყარეთ სქელძირიან ტაფაზე (1,5 ს/კ ზეთში) და გააჩერეთ 15 წუთით, შემდეგ დაასხით ღვინო, დაახურეთ სახურავი და შუშეთ 35-40 წუთის განმავლობაში. პომიდორი დაჭერით რგოლებად, ბულგარული წინაყა — ჩხირებად, ყაბაყი — კუბურებად და ეს ყველაფერი ზეთთან ერთად, ტაფაზე მოშუშეთ (3-5 წუთს), შემდეგ კი მოაყარეთ კურდღლის ხორცი. კერძს დაუმატეთ მარილი, დაწყარეთ ნიორი და კიდევ 3-5 წუთის განმავლობაში შუშეთ. სუფრასთან მიტანამდე მოაყარეთ ოხრახუში.

ხორცი თავადურად

მოსამზადებლად საჭიროა: 600 გ საქონლის ხორცი, 2 ხახვი, 4 კანინად მოხარშული კარტოფილი, 200 გ ქამა სოკო, 2 ს/კ ნაკლებციმიანი არაჟანი, 1 ს/კ მაიონეზი, 4 ს/კ გახეხილი სულუგუნი, 4 ს/კ მცენარეული ზეთი, მარილი და პილპილი, გემოვნებით.

მომზადების წესი: ხორცი გარეცხ-

ვთ, გააშრეთ, დაჭერით ჩხირებად და მოაყარეთ პილპილი. ხახვი დაჭერით ალყა-ალყა და მოშუშეთ ხორცთან ერთად, 2 ს/კ ზეთში, 10 წუთის განმავლობაში. ცალკე ტაფაზე 1 ს/კ ზეთში მოშუშეთ დაჭრილი ქამა სოკო. კარტოფილი დაჭერით რგოლებად. ხახვიანი ხორცი გადმოიღეთ ზეთნასმულ, ცეცხლგამძლე ფოლგაში, ირგვლივ მოუწყვეთ კარტოფილი, მოაყარეთ სოკო და მოასხით 1 ს/კ არაჟანი. დანარჩენი არაჟანში შეურიეთ მაიონეზი და მოასხით კარტოფილს. ყველაფერ ამას მოაყარეთ გახეხილი სულუგუნი და გამოაცხვეთ ჰაერღუმელში, 15 წუთის განმავლობაში.

ბადრიჯანი რუმინულად

მოსამზადებლად საჭიროა: 3 საშუალო ზომის ბადრიჯანი, 3-4 პომიდორი, 2 ს/კ ფქვილი, 100 გ ყველი (ბრინჯა), 3 ს/კ ზეთი, მარილი, დაკეპილი ქინძი და ნიორი (გემოვნებით).

მომზადების წესი: ყველი დაჭერით კუბურებად, პომიდორი — თხელ რგოლებად. ბადრიჯანი გარეცხეთ, დაჭერით რგოლებად, დაამარილეთ, ჩაანყვეთ თასში და დატოვეთ 15 წუთს, შემდეგ განურეთ, ამოავლეთ ფქვილში და შეწვით ტაფაზე, 1 ს/კ ზეთში. ცეცხლგამძლე ფოლგას ნაუსვით 1 ს/კ ზეთი, მოაყარეთ მარილი და მასზე ფენებად დააწყვეთ ბადრიჯანი, პომიდორი, ყველი, მოასხით დარჩენილი ზეთი და შედგით გახურებულ ღუმელში, 10-15 წუთით. სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ ქინძი და ნიორი.

ორაგული ლიმონით


მოსამზადებლად საჭიროა: 1 კგ ორაგული, 6 ს/კ ლიმონის წვენი, 6 ს/კ ზეთი, მარილი, პილპილი, 3 ს/კ დაკეპილი ქინძი და ოხრახუში.

მომზადების წესი: ორაგული კარგად გარეცხეთ, გააშრეთ და ცოტა ხნით საყინულეში შედგით. როცა ოდნავ გაიყინება, რგოლებად დაჭერით (5-6 ნაჭერი უნდა გამოვიდეს). ორივე მხარეს მოასხით ლიმონის წვენი და 15-20 წუთით გააჩერეთ, შემდეგ მოაყარეთ მარილი, შავი პილპილი, ნაუსვით ზეთი და შეწვით ჰაერღუმელში, ორივე მხრიდან (დაახლოებით, 10-12 წუთი დასჭირდება), ვიდრე კანი ოქროსფერად არ დაეებრანება. სუფრასთან მიტანის წინ მოაყარეთ მწვანილი, ხოლო გარნირად გამოიყენეთ კუბურებად დაჭრილი უმი (ან მოშუშული), ნებისმიერი ბოსტნეული.

P.S. ავტორს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონის ნომერზე: 8(99) 30.35.97 ან ელფოსტაზე: nino.char@yahoo.com ის თქვენს ნებისმიერ კითხვას გასცემს პასუხს.



იკითხეთ თქვენი და თქვენი ოჯახის ჯანმრთელობისთვის



**2 ჩანართი
პერსონალი**



**ს ა ნ ი თ ი რ ი თ ი მ ი თ ი რ ი თ ი
მ ი თ ი მ ი თ ი მ ი თ ი მ ი თ ი**


ბავშვთაგანს სურვილის
კარგად მყოფი, რომელიც უკვე
დასრულებულია. ბავშვთაგანს
მთავარი – ისევე როგორც, მკ-
ლის კვალიდან მისი ყოველი
ხანა ხელმეორე მისი ყოველი
მხარის ხელმეორე მხარის ხელ-
მეორე.

**რ ი თ ი მ ი თ ი მ ი თ ი მ ი
მ ი თ ი მ ი თ ი მ ი თ ი მ ი**

მკვლელობის და მისი
ხელის კარგად მყოფი ხელის მხ-
არის მხარის მხარის მხარის
მხარის და მხარის მხარის მ-
ხარის მხარის მხარის მხარის
და მხარის მხარის მხარის მ-
ხარის მხარის მხარის მხარის
და მხარის მხარის მხარის მ-
ხარის მხარის მხარის მხარის

**ს ა ნ ი თ ი რ ი თ ი მ ი თ ი რ ი
მ ი თ ი მ ი თ ი მ ი თ ი მ ი**

კარგი მხარის მხარის მხარის მხარის
მხარის და მხარის მხარის მხარის
მხარის მხარის მხარის მხარის
– მხარის მხარის მხარის მხარის
და მხარის მხარის მხარის მხარის
და მხარის მხარის მხარის მხარის
და მხარის მხარის მხარის მხარის
და მხარის მხარის მხარის მხარის



ადამიანი

სიკვდილისთვის ხელიდან გამოტაცებული პაციენტები, რისკიანი ექსპერიმენტები და ნაწი ბრებვის მიერ ნაჩუქარი ბრილიანტის მტკვარი...


ლალი ფასია

„საკუთარ ინტუიციას რამდენჯერაც ვუღალატე, იმდენჯერ ვინანე. ამიტომ მუშაობისას ყოველთვის ინტუიციას ვეყრდნობი“, — ამბობს ქალბატონი, რომელიც დაუფერებელია, მაგრამ ადამიანებს, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ უამრავ პრობლემას უხსნის. სწორედ მას მიეწერება: მოჭრილი ფეხისა თუ ხელის კიდურების აღდგენა, დამსხვრეული სერხემლის გამთელება და უამრავი ურთულესი ტრავმის მორჩენა... როგორც ამბობენ, რენი-მაციიდან არაერთი ადამიანი გამოსტაცაო სიკვდილს... ამ საოცარ ქალს — ინგა ნიჟარაძეს, გასულ კვირას, შინ ვენვიე... საუბარი ცოტა შორიდან დავიწყეთ, რადგანაც ჩემთვის საინტერესო იყო, თუ სად და როგორ ჩამოყალიბდა ის ასეთ მკურნალად...

— დავიბადე გუდაუთაში, ზღვისპირა ქალაქში...

— დევნილი ხართ?

— შეიძლება, ასეც ითქვას, მაგრამ 1982 წელს სასწავლებლად რუსეთში, კერძოდ, სამარაში (მაშინდელ კუიბინევი) წავიდი. ამიტომ, იქიდან დევნილი უფრო მეტქმის, ვიდრე გუდაუთიდან. სამარაში ის სამედიცინო სასწავლებელი დავამთავრე, რომელიც სპეციალურად, მიყრუებულ სოფლებში სამუშაოდ ექიმ-ფერმლებს ამზადებდა. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ პრაქტიკაზე უნდა წავსულიყავ-



ინგა ნიჟარაძე შვილებთან ერთად

ით რუსეთის რომელიღაც მიყრუებულ სოფელში და იქ გვემუშავა.

— მერე წახვედით მიყრუებულ სოფელში სამუშაოდ?

— არა და ამის გამო კინალამ დამიჭირეს; მამაჩემმა ისე მოახერხა, რომ ჩვენი მშობლიური ქალაქი — გუდაუთა ჩემს სამუშაოდ ადგილად გააფორმებინა. იქ სანეიდსადგურში ექიმად დავიწყე მუშაობა. 300 ობიექტი მეზარა, რომელიც ახალი ათონის მღვიმეებიდან რინამდე იყო გაშლილი... საგანგებოდ „ნივა“ მემსახ-

ურებოდა. ობიექტების ჩამონათვალში იყო: საპარიკმახეროები, სანატორიუმები, წყალსაცავები, კაფეები, რესტორნები, კინოთეატრები... სმამალა ნათქვამად ნუ ჩამითვლით და ნამდვილად დიდი წვლილი შევიტანე გუდაუთის მაშინდელ განვითარებაში; როგორც შემდეგ, ვზრუნავდი ჩემს ქალაქზე, რომლის საოცარი ნოსტალგია ახლაც მანუხებს...

— რამდენ ხანს იმუშავებთ იქ?

— სამი წელი, მერე სწავლის გასაგრძელებლად ისევ სამარაში გავემგზავრე. ამისთვის სამარის სა-

ოლქო კლინიკურ საავადმყოფოში კანისა და ვენერიულ დაავადებათა განყოფილებაში ვმუშაობდი. უდიდესი საავადმყოფო გახლდათ. იქ ექთანი ვიყავი. იმ განყოფილებაში ბევრი წარმატებული ექსპერიმენტი მაქვს ჩატარებული. ასე რომ, იმ საავადმყოფოში ფართო ასპარეზი მქონდა იმისთვის, რომ ჩემი საკუთარი ნამუშაოები პაციენტებზე გამოემეცადა და გამომეყენებინა. იმ დროისათვის უკვე კარგად მქონდა შესწავლილი ფარმაკოგნოზია და ფარმაკოლოგია. ისე მოხდა, რომ კარგად შეეძლო თეორიის პრაქტიკაში გადმოტანა.

— საერთოდ, როგორ გაგინდათ სურვილი, ნამუშაოები საკუთარი რეცეპტებით დაგეგმადებინათ?

— რაც თავი მახსოვს,

დედაჩემი ბალახებისგან სულ რაღაც სამკურნალო საშუალებებს ამზადებდა. ჩვენს სახლში პაციენტები მუდმივად დადიოდნენ.

— ესე იგი, მკურნალის სტატუსი მემკვიდრეობით გადმოგეცათ?

— უნდა ვაღიარო, რომ ცოტა ამბიციური ადამიანი ვარ და ის, რასაც სხვა აკეთებს, მე არ მაკმაყოფილებს; მინდა, თვითონ გავაკეთო უკეთესი. მუდმივად ძიებაში ვიყავი და ვარ. ამიტომ, ზუსტად იმის გაგრძელება, რასაც დედაჩემი აკეთებდა, აღარ მო-



მინდა და საკუთრის შექმნა დავინწყე. მისგან არაფერი გადმომილია. ექსპერიმენტებსაც ჩემით ვატარებდი. შესაბამის ლიტერატურას გამუდმებით ვეცნობოდი, ვსწავლობდი...

— სამარის საავადმყოფოში ჩატარებულმა თქვენმა ექსპერიმენტებმა გაამართლა?

— კი, ვხვდებოდი და ვხედავდი, რომ იქაურ პაციენტებზე ჩემი ნამლები არაჩვეულებრივად მოქმედებდა. იქ 5 წელი ვიმუშავე, რამაც უდიდესი გამოცდილება შემმატა, რადგანაც შეხება თითქმის ყველანაირ დაავადებასთან მქონდა; ერთხელ ძალიან უცნაური შემთხვევა მოხდა, რამაც მიმახვედრა, რომ შინაგანად მართლაც ექიმი ვიყავი!.. ლამის მორიგე გახლდით და საავადმყოფოში რალაც ბალახებით ნამკურნალები მამაკაცი შემოიყვანეს. მიმღებიდან გამოიძახეს ჩვენი განყოფილების ექიმი, რომელიც სამწუხაროდ, ვერსად ვიპოვე (ექიმები ხშირად გვეკარგებოდნენ — ან ექინათ სადმე, ან — სვამდნენ). არადა, უმძიმესი შემთხვევა იყო: ჩვენ წინ იდგა აბსოლუტურად შიშველი მამაკაცი, რომელიც ღმუროდა, ყვიროდა, მას ვერც გამაყურებელს უკეთებდნენ, რადგანაც თავზე, თვალებზე, პირზე, ფეხისგულზე და მთელ სხეულზე უზარმაზარი სითხით სახვე ბუმბულები ჰქონდა გამოყრილი, რომლებიც თანდათან სკდებოდა... ისეთი გამწარებელი იყო, რომ ადგილს ვერ პოულობდა. წელის ტკივილის გამო მისთვის ახლობელს თურმე რალაც შესამანი ბალახის აბაზანა გაეკეთებინა, რომელსაც ასეთი მძიმე რეაქცია მოჰყვა. ამ დამიანს რომ შევხედე, გული შემინახდა, თან აზრზე არ ვიყავი, რა უნდა გამეკეთებინა, რადგანაც მსგავსი პაციენტი არასდროს მყოლია. ვენასაც ვერ ვპოულობდით, გამაყურებელი რომ გაგვეკეთებინა. იმის გამო, რომ ექიმი ვერსად ვნახე, მის ნაცვლად ხელი მე მოვანერე პაციენტის მიღების აქტს. განყოფილებაში ძლივს ავიყვანე, მხოლოდ ერთი დამხმარე სანიტარი მყავდა. ვფიქრობდი, ღმერთო, მომეცი იმის მოფიქრების უნარი, რა შეიძლება, ამ კაცს გაუჟვეთო-მეთქი. მერე უეცრად გონება გამეხსნა და სანიტარს ვუთხარი: ნყალში ჩავსვათ-მეთქი. აბაზანაში ზენარი დავაფინე, შიგ „მარგანცოვკა“ ჩავყარე და კაცი ჩავანვიწიეთ. მაშინვე გაჩუმდა. რომ არ ჩასძინებოდა და აბაზანაში არ დამხრჩვალყო, მისი თავი ხან სანიტარს და ხან მე მეკავა. ნყალს სისტემატურად ვუცვლიდით. დილით ყველაფერი ჩანყნარებული ჰქონდა და სანოლში ჩავანვიწიეთ. ეტყობა, „მარგანცოვკამ“ გამოიტანა კანიდან შხამი. იმ ღამეს თუ არ მოკვდებოდი, არ მეგონა... ისე, ექიმი

ადგილზე რომ ყოფილიყო, ასე დამოუკიდებლად მოქმედების უფლებას არავინ მომცემდა... პაციენტს ვინ დამანებებდა?..

— იმ საავადმყოფოში დიდხანს იმუშავეთ?

— 5 წელი. იქიდან რომ წამოვედი, მეორე შვილი შემიძინა და მთლიანად ბავშვების აღზრდით დაკავადი... ახლა ჩემი უფროსი ვაჟი 21 წლის არის, გოგონა 19-ის და კიდევ 9 წლის ვაჟი მყავს. ჩემმა შვილებმა, რაც ამათუ იმ დაავადების მკურნალობას ეხება, ჩემგან ყველაფერი კარგად იცინან. ამასთან, ბიჭი სამედიცინო აკადემიის მეექვსე კურსის სტუდენტია. ჩემი გოგონა „აიტიის“ მესამეკურსელია. შვილებში გამიმართლა.

— ისევე როგორც თქვენ გაუმართლეთ მშობლებს, არა?

— ალბათ... სამწუხაროდ, დედაჩემთან და ჩემს დასთან ოჯახური დაპირისპირება მაქვს.

— რატომ?

— რუსეთიდან საქართველოში რომ ჩამოვედი, ქავთარაძეზე მდებარე „ლეჩკომბინატში“ მე და დედაჩემმა მუშაობა ერთად დავიწყეთ. რაკი იქ ფიტოთერაპიით დავკავდი, მინდოდა, ამ დარგში დიპლომიც მქონოდა და მუშაობის პარალელურად, თბილისში სამედიცინო ინსტიტუტ „გაენათში“ ჩავაბარე. აღნიშნულ ინსტიტუტში ფიტოთერაპიის ფაკულტეტი დავამთავრე (სამი წელი ვისწავლე). „ლეჩკომბინატში“ დედაჩემი — ლილი რატიანი თავისი სახელითა და გვარით მუშაობდა. მერე ისე მოხდა, რომ რაკი დედა რატიანია, პაციენტებმა მეც ეს გვარი მომანებეს და თბილისში როგორც დედა-შვილ რატიანებს ისე გვიცნობდნენ. მე ამას ვაპროტესტებდი, რადგანაც ნიჟარაძე ვარ... დედა-შვილ რატიანებს კი გვეძახდნენ, მაგრამ ყველამ იცოდა, რომ შვილი — ინგა რატიანი უნდა მოეძებნათ. 6 წლის შემდეგ გადავწყვიტე, რომ დედაჩემს საქმეში ჩამოვშორებოდი, რადგანაც კონკრეტულ პაციენტზე სხვადასხვა აზრი გვექონდა. მე მკურნალობის ჩემი მეთოდები და წამლები მქონდა შექმნილი და მასთან მუშაობა აღარ მაძლევდა ხელს. თანაც, ბოლოს და ბოლოს, პროფესიულად გავიზარდე კიდევ. და მოგვიანებით, უკვე ყველასთვის უცნობი, მაგრამ ჩემი ნამდვილი სახელითა და გვარით — ინგა ნიჟარაძით დავიწყე მუშაობა. ხალხს კი გამოვუცხადე, რომ ინგა რატიანი მოკვდა და აღარ არსებობს-მეთქი.

— ბავშვობაშიც ასეთი დამოუკიდებელი იყავით?

— ერთხელ მახსოვს, ბადმინტონის ჩოგანი გამიტიყდა და დედას შევჩივლე. მან უარი მითხრა, რამდენიც გაგი-

ტყდება, უნდა გიყიდო? ბადმინტონის შესაძენად სულ 11 მანეთი და 50 კაპიკი მინდოდა. სად მეშოვა?! ავდექი, შევედი ჩვენი ეზოს ბაღში, ხეხილი ჩამოვკრიფე და ბაზარში გასაყიდად წავიღე, საჭირო თანხა რომ გამომემუშავებინა. დახლთან ისეთი ამაყი ვიდექი და ვყიდადი ხილს, რომ ირგვლივ გაოცებულები მიყურებდნენ. როგორც კი შევავროვე 11 და 50 კაპიკი, ბაზარი დავტოვე და დარჩენილი ხილი იქვე მდგომებს ვაჩუქე... ერთხელაც თანხა რომ გამომემუშავებინა, სარდაფი დავალაგე და 400 ბოთლი მარტომ მინის ტარის მიძღვებ პუნქტში ჩავაბარე...

— ბავშვობაშიც გაბედული და დამოუკიდებელი ყოფილხართ... მერე ახალი სახელითა და გვარით რომ დაწყეთ მუშაობა, პაციენტები როგორ შემოიკრებთ?

— ამისთვის დრო კი დამჭირდა, მაგრამ ნელ-ნელა შემოვიკრიბე ადამიანები, რომლებსაც ჩემი ნდობა ჰქონდათ. მოსკოვი ერთი მძიმე შემთხვევა მოხდა: სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე — მირიან დეკანოიძე სამინდად დაიმტვრა — ისე, რომ ორივე ხელი მოიტყხა. იქ ერთ-ერთი ცნობილი კლინიკის მთავარმა ექიმმა — მირონოვმა უთხრა: თბილისში არ ნახვიდეთ, რადგანაც იქ მაღალი დონის სპეციალისტი არ ჰყავთ, ვერ მოგარჩენენ, აქ გიმკურნალებთ, თუმცა შესაძლოა, ინვალისდი დარჩეთ ან ხელოვნური სახსრები ჩაგიდგათო. მაშინ მირიანი მე დამიკავშირდა და მეითხა: ინგა, მიშველითო? ვთხოვე, თბილისში ჩამოსულიყო. არადა, ურთულესი ტრავმა ჰქონდა. ისე ჰქონდა დამტვრეული ცალი ბეჭი, რომ 26 ნაწილად იყო დანაწევრებული... მეორე ბეჭიც თითქმის ასეთივე მდგომარეობაში ჰქონდა. მას მოსკოვის კლინიკიდან არ უშვებდნენ, ამიტომ საქმეში ზურაბ ნოლიაძელი და ზურაბ წერეთელიც კი ჩაერივნენ და პაციენტი როგორღაც გამოამგზავრეს. ჩემთან რომ მოვიდა, თვე-ნახევარში ფეხზე დავაყენე. მერე მირიანი მირონოვს ინტერნეტით (სკაიპით) ელაპარაკა, ორივე ხელი ზემოთ აუწია და დაუქინა, რითაც აგრძნობინა, რომ აი, ხედავთ, თბილისში მომარჩინესო. ამის შემდეგ მირონოვმა იკითხა: ეს ქალბატონი ჩემს სამკურნალოდ ხომ არ ჩამოვა, ხერხემალი მანუხებსო?.. მე შევეუთვალე: თუ ვინმეს მკურნალობა სჭირდება, ჩამობრძანდეს ულამაზეს საქართველოში და სიამოვნებით მივხედავ-მეთქი.

— დღესდღეობით რას მკურნალობთ?

— ვაკეთებ ძვლის სტრუქტურის აღდგენა-განვითარებას. ასევე აღვადგენ მყესებს, ხრტილებს, მენისკებს,



დისკებს; ვახორცებ განწყვეტილ კუნთებს. კანიდან დამწვრობისა და ნებისმიერი სახის იარას ვალაგებ. ამჟამად ვმკურნალობ პაციენტს, რომელსაც ხერხემალი სხვისი გადარჩენის დროს დაემსხვრა: გუდაურში ვიღაც ქალმა ორივე ხელი მოიტეხა. ჩემმა პაციენტმა დამტვრეული ქალი „ბურანზე“ შემოისვა (ნელზე თოკით მიიბა, რომ არ გადმოვარდნილიყო), მაგრამ „ბურანი“ ამოტრიალდა (ორ ადამიანს ვერ გაუძლო). იმ ქალმა შეიძლება, არც კი იცის, რომ მუხლებით იმ მამაკაცს ხერხემალი შეუნგრია და მეთერთმეტე მალა ჩაუშვს. იმ კაცს ზემოდან „ბურანიც“ დაეცა და სრულ დახეობრებას ბუნებრივად გადურჩა. სხვათა შორის, იგი ადრეც თითქმის მსგავს სიტუაციისას დაშავდა — კვლავაც სიკეთის გაკეთებისას, ვიღაც ბავშვმა გუდაურში ხელი მოიტეხა, ისიც „ბურანზე“ შემოისვა, რომელიც ასევე ამოტრიალდა. მაშინ ხელი მაჯაში მოიტეხა... მერე ვხეხებოდი, რომ გუდაურში დამტვრეული ხალხის აგროვებას აგვიკრძალავ-მეთქი...

— რაც შეეხება ცნობილ პიროვნებებს და მათ თქვენთან ვიზიტებს?

— ახლახან, 5 ოქტომბერს, დიდი საკონცერტო დარბაზი ხომ ნანი ბრეგვაძის კონცერტით გაიხსნა. ჰოდა, იქ ნანისთვის პატარა შემალღებულ სცენა გაუკეთებიათ, მას ფეხი გადაუბრუნდა და ტრავმა მიიღო. ტერფის ძვალი აუტყეკა, მყესი გაუწყდა და ჩაქცევა ჰქონდა. ამის გამო გასტროლოგზე უკრაინაში ვეღარ წავიდა. მის სამკურნალოდ 7 დღე დამჭირდა. ქალბატონ ნანის მანამდე

ახლოს არ ვიცნობდი. მისთვის მკურნალობა ჩემთვის დიდი პატივი იყო და გავუხუმრე კიდეც: კიდეც კარგი, ფეხი დაიზიანეთ, თორემ ალბათ ვერც გაგიცნობდით-მეთქი. ამაზე დიდხანს იცინა. მანამდეც ხომ მიყვარდა და შორიდან უდიდეს პატივს ვცემდი, მაგრამ ერთი კვირის განმავლობაში თავი ძალიან შემაყვარა. ამასთან, მაჩუქა ბრილიანტის მტვრისგან, თეთრ ოქროში დამზადებული „კოლიე“, რომელიც შვეიცარიაში სასცენოდ თავისთვის გაუკეთებინა. ამ საჩუქრით ისეთი გახარებული და აფორიაქებული ვიყავი, რომ მთელი ღამე არ მძინებია... ამჟამად ვმკურნალობ „ქართული ხმების“ ცნობილ მომღერალს — გურამ თამაზაშვილს, რომელსაც სამწუხაროდ, ამპუტირებული აქვს მარჯვენა ფეხი და მარცხენა ფეხზე ერთი თითი. მას დიაბეტის გამო განგრენა დაწყო. სამკურნალოდ ისრაელში იყო. ყოველდღე მასთან სეფსისის ცენტრში დავდივარ. პაციენტის მდგომარეობა მკურნალობას ნელ-ნელა ექვემდებარება... ჩემი პაციენტი იყო თედო ჯაფარიძეც; ძალიან მიყვარს ეს პიროვნება (ამჟამად ის საქართველოში არ არის). მას ამერიკაში მენისკის ოპერაცია გაუკეთდა, მაგრამ ოპერაციიდან წლების შემდეგ სახსარი მაინც ზიანდება. ჩემთან რომ მოვიდა, ვერ დადიოდა. მას მუხლის სახსარს ვმკურნალობდი... ახლა ჩემთან მსოფლიო ჩემპიონი — მიხეილ სალაძეც მკურნალობს. ასე რომ, თბილისში ვინც მიყვარს და ვაფასებ, პრაქტიკულად, ყველანი ჩემი ყოფილი პაციენტები არიან.

— თქვენ პაციენტებიდან კიდე ვის გაიხსენებდით?

— ჩემი პაციენტი იყო გივი სიხარულიძე. ის ჩემთან ავარიის შემდეგ მოხვდა, ასევე მსახიობი — გია ბურჯანაძე საოცარი ტრავმით მოვიდა; მოდელ ნინო ჩქარეულს ავარიის შედეგად სახეზე უსაშინლესი ჭრილობა ჰქონდა, რომლის კვალაც სახიდან მთლიანად ავუღაგე. ჩემი პაციენტები იყვნენ სოფიკო ჭიაურელი, გია აბესალაშვილი, ირმა სოხაძე, ის მისმა ალბანელმა სიძემ, ადრიანმა მომიყვანა. ბევრს სამწუხაროდ ვერ ვასახელებ... მინდა, ჩემი განსაკუთრებული პაციენტიც გავიხსენო — ელდარ ციციშვილი (დათო კიკალიშვილის სიმამრი). მას ფუძის მოტეხილობა ჰქონდა. ეს ტრავმა ხომ პრაქტიკულად სიცოცხლესთან შეუთავსებელია. მე მას რესპუბლიკურ საავადმყოფო-

ფოში შევხვდი. უამრავი მოტეხილობა ჰქონდა. ასევე თავის მძიმე ტრავმა. ის სასტუმრო „საქართველოში“ რესტავრაციას აკეთებდა და სიმალიდან გადმოვარდა. ბატონი ელდარი ჩემი მკურნალობის შემდეგ გაცილებით უკეთესად იყო, ვიდრე დამტვრევამდე. საჭეს მანამდე არასდროს მართავდა და ტრავმის შემდეგ მანქანის მართვა დაიწყო. მოკლედ, დიდ სიამოვნებას მანიჭებს, როდესაც ურთულეს ტრავმებს ვეჭიდები და ადამიანებს ასეთ დროს შევბას ვგვრი.

— უცხოელები თუ ჩამოსულან თქვენთან?

— კი, ჩემთან სამკურნალოდ ავსტრიის პრინცესა იყო ჩამოსული. პრინცესა ვერენას სამი თვის განმავლობაში ვმკურნალობდი... ახლა გამახსენდა, რომ ჩემი პაციენტი აკადემიკოსი — ლეო გაბუნია გახლდათ. მზიასა და ზეზვას აღმომჩინი. სხვათა შორის, ისინი მან ჩემი მკურნალობის შემდეგ აღმოაჩინა. ასე რომ, ამ საქმეში პატარა წვლილი მეც მიმიძღვის (იღიმება).

— ესე იგი, თქვენთვის გამოუსწორებელი შემთხვევა არ არსებობს?

— როგორ არ არსებობს და პაციენტთან მუშაობის დაწყების წინ ყოველთვის ვიცი, რა შედეგს მივიღებ და ამის შესახებ ყველას ვუბნები. მიყვარს ექსპერიმენტების ჩატარებაც და როცა ამას ვაპირებ, ადამიანებს მაშინაც ვაყენებ საქმის კურსში.

— თავად თუ მკურნალობთ საკუთარ თავს?

— კი, რასაკვირველია. მკურნალობის ცდებს ხშირად საკუთარ თავზე ვატარებ...

— როგორც შეგატყვეო, მიღწეულით არ კმაყოფილდებით. ახლანა გეგმები გაქვთ?

— მედიცინის მიღწევა ის, რომ ადამიანებს დღეს ხელოვნურ სახსრებს უდგამენ, რომლებსაც გარკვეული ვადა აქვს. ის პირველ ეტაპზე 10 წელიწადში იცვლება, მეორედ — 2 წელიწადში. მესამე გამოცვლის ვადა მას არა აქვს ანუ ამის შემდეგ ადამიანი განწირულია იმისთვის, რომ ინვალიდის სავარძელს მიეჯაჭვოს. მინდა, რომ შემდგომი ეტაპის პრობლემებს შევეჭიდო ანუ ინვალიდის სავარძლიდან პაციენტის აყენება შევძლო. ფაქტობრივად, ამისთვის უკვე დანაყებულნი მაქვს მუშაობა.

— ბევრ რამეს მკურნალობთ. ყველაზე სასიამოვნო სფერო თქვენთვის სამუშაოდ მაინც რომელია?

— ყველაზე სასიამოვნო სფერო არის სახის კუნთის აღდგენა. რაც სახიდან საბოლოოდ ნაოჭის გაქრობას იწვევს. ეს არის პრაქტიკულად პლასტიკური ოპერაცია დანის გარეშე...



ინგა ნიქარაძე: ბევრი პაციენტის გვარს ვერც ვამხელებ



„გმირი“ გურული ბოლშევიკები და ემიგრაციის „გემო“ ანუ დიდი ოჯახის ოდისა

ბათუმში ერთი უთბილესი სტუმართმომყვარე ოჯახი გავიცანი. მეზობლებმა მითხრეს, ხშირად ძალიან პატივსაცემი ხალხი სტუმრობს ამ ოჯახს, თუ დაინტერესდები, იმ ადამიანებსა და ოჯახის უფროსის წინაპრებზე ბევრ საინტერესო ამბავს მოისმენო. მეც სწორედ ოჯახის უფროსს, პედაგოგ რაიბულ ჩხაიძეს ვენვლე და მის ნამბობს თქვენც სიამოვნებით „მოგასმენინებთ“.

ირმა ხარშილაძე

რაიბულ ჩხაიძე:

— ბაბუაჩემი, ლავრენტი ნულაძე ფოთის ეკლესიის წინამძღვარი, ფოთის ვაჟთა და ქალთა გიმნაზიების ისტორიისა და ქართულის ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი და დასავლეთ საქართველოში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარე იყო. ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ თანამშრომელი, მწერალი და მთარგმნელი ქართული ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის ისტორიაში დათვით ვერმიცანაშვილის სახელითაა ცნობილი. ბაბუასთან ძალიან ახლოობობდნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ექვთიმე თაყაიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, დიმიტრი ერისთავი, ვაჟა-ფშაველა... ვაჟა ერთხელ ფოთშიც სტუმრებია ბაბუას. ბიძაჩემი სოკრათი, მსახიობისა და რეჟისორის — ბაადურ ნულაძის მამა ჰყვებოდა ხოლმე, ფოთის ტაძრის ეზოში როგორ გააცნეს თავისფერ ჩოხაში გამოწყობილი ვაჟა-ფშაველა ბაბუამ და ფოთის მერმა ნიკო ნიკოლაძემ, როგორ ომახინად წაუკითხა პოეტს „არწივი“ და მისგან საჩუქრად



კვიციც კი მიიღო. ამაზე ბაბუას გალიმბია: ბატონო ვაჟა, თქვენი გულუხვობა კარგია, მაგრამ ჩარგლიდან კვიცს ვინ ჩამოიყვანსო? ვაჟა ლავრენტი ბაბუას ოჯახში რამდენიმე დღე დარჩენილა, ბაბუას მისთვის ექსპრომტად ლექსიც მიუძღვნია, ვაჟს კი სათუთუნე უჩუქებია.

სათუთუნე ახლაც თქვენთან ინახება?

— ის სათუთუნე კარგად მახსოვს, ძვირფასი ხისგან იყო ნაკეთები. ბიძაჩემი სოკრათი სულ იქ ინახავდა თუთუნს. კარგა ხანია, სადღაც გაქრა და ახლა ყველანი ვეძებთ — ან თბილისში დაიკარგა, ან — ბათუმში... ბაბუას მამაც — იოანე ნულაძე და ბაბუაც — ნიკოლოზი მღვდლები იყვნენ, გურიაში, სოფელ ჭანჭათში ცხოვრობდნენ. ღვთისმშობლის სახელობის ხის უძველესი საგვარეულო ეკლესია ჰქონდათ ეზოში. 1921 წელს, როდესაც ლენინის ბრძანებით, ეკლესიის მსახურთა წინააღმდეგ რეპრესიები დაიწყო, ბაბუას შინ მიაკითხეს და გამოუცხადეს, თქვენი ეპოქა დამთავრდა, ან ალარც ეკლესიის მსახური იქნები, არც მღვდელმთავარი და ულტიმატუმი წაუყენეს — წვერი უნდა გაიპარსო, ანაფორა გაიხადო, სკოლაში კი, თუ გინდა, ასწავლეო. ბაბუამ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. მაშინ თავის ორ ვაჟთან — სოკრატთან და ბაგრატთან ერთად დააპატიმრეს და მეტეხის ციხეში ჩასვეს. მალევე ბაბუას მხსენლად გამოუჩნდა თავისი ყოფილი მოსწავლე დუმბაძე, რომელმაც ყველას გათავისუფლება ვერა, მაგრამ ბაბუას გამოშვება მოახერხა. ლავრენტი ჭანჭათში რომ ჩავიდა, ეკლესიის ნაშთიც ალარ დახვედრია. შინ მხოლოდ ქალები —

მეუღლე მინა გურგენიძე, და გალინე, დეიდაჩემები — კატო და სოფიო და 9 წლის დედაჩემი დახვდნენ. ვიდრე პატიმრობაში იმყოფებოდა, ერთ ღამეს ბოლშევიკები მისულან მათ სახლში, ეკლესიიდან ხატები და საეკლესიო ლიტერატურა გამოუტანიათ, დაუყრიათ, ქალების თვალწინ გადაუსხამთ ნავთი და ცეცხლი გაუჩაღებიათ.

მათი თანასოფლელი ბოლშევიკები იყვნენ?


— რა თქმა უნდა, აბა, პეტერბურგიდან ვინ გამოუგზავნიდათ?!

რა გვარის ხალხი ცხოვრობდა სოფელში?

— მამას ვერ გეტყვით. მათ ნათესავეს ეწყინებათ. ბიძამაც მთხოვა, გვარები არავისთან დაასახელოო. თანაც, იმ სოფელში, ბაბუის საფლავზე ხომ ჩავდივარ ხოლმე და... ერთადერთი, ღვთისმშობლის ხატი დედაჩემმა გადაარჩინა — უკვე ცეცხლი ვკიდებოდა, რომ გამოაძვრინა, თურმე გულში ჩაიხუტა და სახლის უკან დამალა. ძალიან დიდი ხნის შემდეგ, მე გადმომაბარა ის ხატი, — კარგად შეინახე, ამ ხატმა ჩვენი ოჯახი გადაარჩინაო.

ეკლესია დაანგრეს?

— გადაწვეს. მხოლოდ სახლისთვის არ უხლიათ ხელი, არც ნივთები გამოუტანიათ, ამიტომ ბაბუის ბევრი საბუთი გადარჩა, მერე მისმა დამ და დეიდაჩემმა ყველაფერი საგულდაგულოდ შეინახეს. ბოლშევიკებმა ბაბუა გააფრთხილეს, თუ ჩვენს პირობას არ შესარულებ, ღმერთს არ უარყოფ და ანაფორას არ გაიხდი, განსაცდელს არ გამოგიღევთო. ლავრენტიმ ამავე რადაც სასტიკი უარი თქვა. ერთხელაც, 1923 წლის 4 ნოემბერს (ეს თარიღი დეიდაჩემს ჩაუნიშნავს) 57



ლავრენტი ნულაძე



წლის ლავრენტი სოფელ აკეთიდან მოდიოდა, ბავშვი მოენათლა ვილაცის ოჯახში და 3 ახალგაზრდა დახვედრია — ერთი ჯვარს ჩაჰფრენია, მეორე — ნვერს... ბაბუა ლონიერი კაცი იყო და ორივე აქეთ-იქით გადაუგდია, მაგრამ მესამეს „უყოჩალია“ და საფეთქელში ქვა ჩაურტყამს — ჩანს, ჭკუის სწავლება და დაშინება უნდოდათ, მაგრამ ბაბუას უცნია და ამიტომაც განირეს. ეს ამბავი შორიდან დაუნახავს თანასოფელელ ახალგაზრდა ნულაძის ქალს და ყვირილი დაუწყია. ჩვენები რომ მოცვენთან, ბაბუას სხეული ჯერ კიდევ თბილი ყოფილა. სოფლის კაცებს საკაცე შეუკრავთ და ისე წამოუსვენებიათ ჩვენს ეზოში. მერე თითქოს იძიებდნენ ამ საქმეს, ან კი რა უნდა გამოეძიებინათ?!

მკვლევებს რა ბედი ეწიათ?

— 1937 წელს დაუჭერიათ და მას შემდეგ აღარავის უნახავს. მგონი, მათი გვარიც არ გაგრძელებულა, ნათესავ-



ბებია — მინა გურგენიძე-წულაძე

ები კი დარჩენიათ სოფელში... ბაბუა ლავრენტის ერთმა ვაჟმა — ბაგრატი-მა მოახერხა და ეტაპით გადაყვანილს ბადრაგს გაექცა. შემდეგ კი ტრადიციული „საემიგრაციო გზა“ გაიარა — ჯერ თურქეთში გადავიდა, ცოტა ხანს იქ დაყო, მერე თურქეთის გემს მარსელში გაჰყვა, იქიდან კი — პარიზში გაემგზავრა. ფილმი „ფესვები“ ხომ გახსოვთ? — იქ ბიძაჩემის ამბავია აღწერილი. მანვნის ამბავიც ნამდვილია. „ტაქსისტიც“ რეალური პიროვნება იყო — ფრანგულის ცნობილი სპეციალისტის, უკეთილშობილესი ქალბატონის, ან გარდაცვლილი თინა სარჯველაძის მამა, „ფედერალისტი“ სევო სარჯველაძე. პარიზში დაუმეგობრდა ბიძაჩემს. პატარა კაფე გახსნეს და „გემო“ დაარქვეს. შემდეგ თინამ იქაური მანვნის ქილა, ლათი-

ნური წარწერით „გემო“ თბილისში რელიკვიად ჩამოიტანა... ჩვენი ოჯახის რეპრესიები კი გაგრძელდა. ბაბუას და — გალინეც დააპატიმრეს — ბაგრატის ადგილსამყოფელს ეკითხებოდნენ თურმე. ბაგრატი-მა თურქეთში წასვლამდე შინ მორბენა და დამშვიდობება მოახერხა, როგორც ჩანს, ვილაცამ შენიშნა და ამიტომ ატყდა ერთი ამბავი...

საუბარს ბატონი რაიბულის მეუღლე, ძალბატონი ლინა შემოურეთდა:

— კარგა ხანს რომ აღარ გამოჩენილა, საცოდავ დედამისს, მინას უთქვამს: აი ბიჭი კია გალმა წასულიო — საზღვარს იქით გადასვლას გულისხმობდა (იციინს)... ბაგრატი-მა საფრანგეთში ცოლად ლანა ლოლობერიძის ულამაზესი დეიდა, ბოკა ხუციშვილი შეირთო. ორი ვაჟი ეყოლათ — გურამი და ჯიმშერი. ბოკა თურმე დაავადდა და მალე გარდაიცვალა, ბაგრატი — მოგვიანებით. ორივენი ლევილის სასაფლაოზე არიან დასაფლავებულნი. გურამი პარიზში ცხოვრობს, ჯიმი კარგა ხანს ტულუზაში ცხოვრობდა, ქიმიკოსი გახლავთ. ორივენი ჯანმრთელად და კარგად არიან.

გაქვთ მითან ურთიერთობა?

— როგორ არა, ტელეფონით ხშირად ვსაუბრობთ. ადრე უფრო ხშირად ჩამოდიოდნენ, ახლა ასაკში არიან და უძნელდებათ.

ქართულად ლაპარაკობენ?

— გურამმა კარგად იცის ქართული, რადგან მამა ყოველთვის ქართულად ელაპარაკებოდა. ჯიმიმაც იცის, მაგრამ უფრო ცუდად ლაპარაკობს...

რაიზულ ჩხაიძე:

— ჩემმა მეორე ბიძამ — სოკრატ ნულაძემაც სცადა გამოქცევა, ისიც გადმოხტა, მაგრამ ფეხი მოიტეხა და კვლავ ციხეში ამოყო თავი. ციმბირში გადაასახლეს და პირველად გადასახლებაიდან 30-იან წლებში დაბრუნდა. როდესაც პოლიტპატიმრებისადმი დამოკიდებულება შეიზღო, სოკრა-



ღვთისმშობლის საგი დელაჩემა, მარიკა წულაძემ გადაარჩინა

ტი ბათუმის პროკურატურაში გამოძიებულად დანიშნეს. ცოლად შუშანა მჟავანაძე შეირთო და 9 მარტის ქუჩაზე, კერძო სახლში ცხოვრობდნენ. მერე, 1937 წელს კვლავ დაიჭირეს და 10 წელიწადს იჯდა, მერე პოლიტიკურისთვის აღარ დაუჭერიათ, ამჯერად გაფლანგვა დააბრალეს, თუმცა ხელჩასაჭიდი არაფერი ჰქონდათ და მაინც დაიჭირეს. მოკლედ, მთლიანობაში სოკრატს საპატიმროებში 22 თუ 24 წელიწადი გაუტარებია. 1981 წელს ბუნებრივი სიკვდილით გარდაიცვალა და სოფელ ჭანჭათში, მეუღლესთან ერთად, ნულაძეების სასაფლაოზე დაკრძალული...

თქვენ როგორღა აღმოჩნდით ბათუმში?

— მამაჩემის მამა რკინიგზელი იყო, ბათუმი-თბილისის მატარებელზე მემანქანედ მუშაობდა. იცით, რა ხელფასი ჰქონდა ბაბუას? — იმხანად მემანქანე კოსმონავტის რანგში გა-



ბაგრატის ვაჟი გურამი და მისი მეუღლე სკუმრად ბათუმში რაიბულ ჩხაიძესთან



ბაგრატი ჭანჭათშიც ჩავიდა, მშობლების, უფროსი ძმის — შიოსა და წინაპრების საფლავებიც მოინახულა

დიოდა (იციინის). სხვათა შორის, ამ მატარებლით ნოე ჟორდანიაც დაჰყავდა. ბაბუამ ბათუმში, ერთსართულიანი სახლიც იყიდა, მამაჩემი და მამიდაჩემი ჩამოიყვანა და სკოლა აქ დაამთავრებინა. მერე ლანჩხუთში მისი ოჯახის წევრებიც „განაკუთლავს“, სახლიდან ყველაფერი გაზიდეს, სხვათა შორის, ბიძაჩემმა მაგიდა მერე ფილიპე მახარაძის კაბინეტში აღმოაჩინა; ბევრი იჩხუბა, ჩემი ოჯახისაა და დაგვიბრუნეთო, მაგრამ მაგიდა კი არა, ყველაფერი მიატოვებინეს. ასე რომ, რეპრესიები მეორე ბაბუას ოჯახსაც შეეხო... მერე მე ჩემი ოჯახით ამ სახლში დავსახლდი და აგერ უკვე ნ წელიწადია, აქ ვცხოვრობ. ლავრენტი ბაბუას საბუთების დიდი ნაწილი ჩემთანაა, შედარებით ცოტა — ბაადურთან, რადგან მამამისის, სოკრატის ხშირი დაჭერის გამო ოჯახსაც არ ასვენებდნენ — რა წამს შეუცვივდებოდნენ შინ, არავინ იცოდა, ამიტომ იქ რამის შენახვა ნაკლებსაიმედო იყო... ბიძაჩემი ბაგრატი საქართველოში, ემიგრაციის შემდეგ პირველად 1970 წელს ჩამოვიდა, თუმცა „ჩეკისტები“ ყველგან იყვნენ. დედა ამბობდა, კუთხეკუთხეული არ დაუტოვებიათო. თითოეულ ეზოს ჰყავდა „ჩამშვები“, რომელსაც 30 მანეთ ხელფასს უხდიდნენ. მაშინ ბავშვი ვიყავი და ყველას შინ ვეპატიჟებოდი — თურმე

ხოლმე, — ნეტავ, ის სახლი შეგვენარჩუნებინაო, მაგრამ სოკრატი პასუხობდა: ის სახლი რომ შეგვენარჩუნებინა, მე აღარ ვიქნებოდი შენთანო. საშინელი დრო იყო, კაცი არაფრის გულისთვის გაანამეს. ჩემი დეიდაშვილი, 19 წლის ბიჭი 1935-36 წლებში დაიჭირეს — მასაც ლავრენტი ერქვა, ლამას ეძახდნენ, გვარად ძიმისტარიშვილი იყო და ანტისაბჭოურ წერილებსა და ძალიან კარგ ლექსებს წერდა. გადაასახლეს და დეიდაჩემმა ერთხელ მოასწრო იქ ჩასვლა — თბილი წინდები და რეზინის ჩექმები ჩაუტანა, მერე ლაშაც, ისევე, როგორც ბევრი ქართველი, უკან აღარ დაბრუნებულა...

— ბატონო რაიბულ, როგორც ვიცი, ამ სახლსა და თქვენს ოჯახს ბევრი საინტერესო და ცნობილი ადამიანი სტუმრობდა.

— ეგ მართალია. მაგალითად, 90-იან წლებში დიდი სტუმრიანობა გვექონდა ოჯახში — ხან ნოე ჟორდანიას ვაჟი გვეწვია, ხან ვიქტორ ხომერიკი, ხან სხვა ემიგრანტების შვილები. ისე, წარსულ დროში რატომ ვლაპარაკობთ? — პატივსაცემი და საინტერესო სტუმარი არც ახლა გვაკლია მე, ლიანასა და ჩვენს ქალიშვილ მაგდას. თქვენი სტუმრობაც ძალიან გვახარებს და იმედი მაქვს, სწორად გვეწვევით.

ალბათ ბევრს უნახავს ტელევიზორებზე უგემოიერესი შოკოლადის — „კორონას“ სარეკლამო რგოლები... ვერაფერს წარმოიდგენდა, თუ ერთ-ერთ მათგანში მოცეკვავე ახალგაზრდა მამაკაცი, დღეისათვის საზოგადოებისთვის, მეგობრების და ნაცნობებისთვის ჯორჯ თომას სტრუსკის სახელით ცნობილი, სინამდვილეში, ქართველი გიორგი მაღალაშვილია.

მან 8 წლის ასაკში, დედასთან ერთად დატოვა საქართველო. წლების მანძილზე მხოლოდ ბავშვური მოგონებებით საზრდოობდა, მშობლიური ქვეყანა თითქმის არ ახსოვს, მხოლოდ წყნეთის ქუჩაზე ძველი საცხოვრებლის შესასვლელი თალი და ქართული ენა, ისიც — ინგლისური აქცენტით შემორჩა მის მეხსიერებას. წლების შემდეგ, გიორგი პირველად ესტუმრა სამშობლოს და ინტერვიუს ჩასაწერად შეგვხვდა.


ანა აგულავე

ლაგაზი ზღაპარივით პოლონეთს „გაყოლილი“ საქართველო


თბილისში დაიბადა, ანა-ბანაც აქ შეისწავლა. 8 წლისა რომ გახდა, დედამ, რომელიც პოლონეთის დედაქალაქ ვარშავის ერთ-ერთ სკოლაში ინგლისური ენის პედაგოგად მუშაობდა, გადამწყვიტა, თავისთან წაყვანა. პატარა გიორგის პოლონური ენის შესწავლა არ გასჭირვებია... სკოლაც ვარშავაში დაამთავრა და შემდეგ ქალაქ რადომის კოლეჯში გააგრძელა ენათმეცნიერებისა და კომპიუტერული პროგრამების შესწავლა. ენატრებოდა საქართველო და თბილისში დარჩენილი ბავშვობის მეგობრები, მაგრამ დედამ გადაწყვიტა, რომ შვილის მომავლისთვის უცხოეთში დარჩენა ჯობდა...

ნისლიანი ალბომი

კოლეჯის დასრულების შემდეგ, გაცვლითი პროგრამით, 17 წლის გიორგიმ სასწავლებლად ლონდონს მიამშურა, დედაც თან გაჰყვა. ინგლისში ცხოვრება შედარებით ძვირია, ამიტომ გიორგი პარალელურად, სასტუმროში მუშაობდა. მას ტანსაცმლის მაღაზიები იზიდავდა... როცა სწავლა დაამთავრა, იმდენი მოახერხა, რომ ერთ-ერთი ცნობილი ბრენდის ტანსაცმლის მაღაზიაში გამყიდველად მოეწყო. მალე სპორტულ მაღაზიაში ამოყო თავი. სპორტის სახეობებიდან, სკეიდბორდი იზიდავდა და იმდენად ოსტატურად „დასეირნობდა“ გორგოლაჭებიან პანელზე, რომ სპორტული მაღაზიის — Fat Faces —



ჯიმი კარგა ხანს გულუბანი ცხოვრობდა, ქიმიკოსი გახლავთ



სოკრატს საპატიმროებში 22 თუ 24 წელიწადი გაუტარებია



შოკოლადით მოკოვებული პოპულარობა და პირველად ლონდონში დაჭაუნეიკებული აჭარული ხაჭაპური

საჩვენებელ შოუებში მონაწილეობისთვისაც მიიწვიეს. სპორტის ამ სახეობაში მნიშვნელოვანი წარმატებებიც ელოდა, მაგრამ ქართულმა ბუნებამ იჩინა თავი: სპონსორის „ჭკუაზე სიარული“ დიდად არ ეპიტანებოდა: „თავისუფლება მიყვარს, ჩემი თავის ბატონი უნდა ვიყო, სხვაგვარად არ შემიძლია“, — ამბობს გიორგი „დამტვრეული“ ქართულით...

„დოლჩე და გაბანას“...

დამოუკიდებელი კარიერის შექმნა გადაწყვიტა. 2 წლის მანძილზე ცნობილ მაღაზიათა ქსელში — Reiss — მუშაობდა. ბევრი საინტერესო და გავლენიანი ადამიანი გაიცნო და ცოტა ხანში „დოლჩე და გაბანას“ ახალგაზრდული სტილის მაღაზიათა ქსელში აღმოჩნდა. საკუთარი იმიჯიც შეიქმნა. პარალელურად, ფოტოგრაფიამ გაიტაცა და სტუდიაც გახსნა. მის მიერ გადაღებულ ფოტოებს დიდი მოწონება ხვდა. ამ სფეროში საკუთარი მიმართულებაც აირჩია — ავტომობილების ვრცელი კატალოგი შექმნა და ინტერნეტსაიტზე განათავსა.

შოკოლადით მოკოვებული პოპულარობა

ტანსაცმლის ცნობილ მაღაზიებში მომუშავე გიორგი საკუთარ იმიჯსა და ჩაცმულობას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა. კავკასიური გარეგ-



ნობის ახალგაზრდა მამაკაცს ინგლისელი მანდილოსნები გულგრილად არ უყურებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ლონდონის ქუჩაში მიმავალი გიორგი პროდიუსერმა ქალმა გააჩერა და სარეკლამო კლიპში გადაღება შესთავაზა. თავიდან გიორგიმ იუარა, მაგრამ ბოლოს დაყაბულდა. „კორონას“ კლიპში გადაღება არ გასჭირვებია, მით უმეტეს, რომ ევროპული ცეკვაც კარგად ეხერხებოდა... ასე მოუტანა შოკოლადის რეკლამამ გიორგი მაღალაშვილს პოპულარობა.

აჭარული ხაჭაპურითა და ხინალით გაოცებული ქართველი...

ადრეულ ასაკში წასულ კაცს, ბუნებრივია, მხოლოდ ბუნდოვნად, ლამაზი ზღაპარებით ასსოვდა სამშობლო. ლონდონში „გათქვეფილს“ ჯერაც არ გაეცნო ქართული კერძი... ერთხელაც, ლონდონში შემთხვევით გაცნობილმა ქართველმა გოგონამ ქართულ რესტორანში წაიყვანა...

— გაოცებული ვუყურებდი სუფრაზე მოტანილ, დიდ თევზზე დადებულ შემწვარ „ნავს“, რომელშიც 2 კვერცხის გული ცურავდა; ვერაფრით მივხვდი, საიდან და როგორ დამეწყობა... რესტორნის თანამშრომელს გაუკვირდა: ქართველი ხარ და ქართული კერძი არ გიჭამიაო? ბოლოს მასწავლეს, მივირთვი და გავოცდი. ასეთი გემრიელი მანამდე არასოდეს მეჭამა. ვფიქრობდი, თურმე რა შესანიშნავი სამზარეულო ჰქონიათ ჩემს სამშობლოში! ცოტა ხანში ხინკალსაც გავუსინჯე გემო და გადავირეე...“

როგორ გაიტაცა „დოლჩე და გაბანას“ ბოსის მანქანა

ერთხელ თანამშრომელთან ერთად სამსახურში მიმავალმა დაინახა, როგორ გაჩერდა მაღაზიასთან მისი უფროსის მანქანა. „დოლჩე და გაბანას“ ბოსი მანქანიდან გადმოვიდა და მაღაზიაში შევიდა; მანქანაში, უკანა სავარძელში მისი შვილი იჯდა. გიორგიმ შენიშნა, რომ გასაღებიც სტარტერში ჩაეტოვებინა. სამსახურამდე არც ისე დიდი მანძილი იყო დარჩენილი, მაგრამ გიორგიმ გადაწყვიტა, ეხუმრა, საჭესთან მოკალათდა, სწრაფად დაქოქა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა... ბავშვს ისე შეეშინდა, ხმა ვეღარ ამოიღო, მა-



ლაზიიდან გამოსული ბოსი კი დაბნეული და შოკში ჩაფარდნილი ელოდა მაღაზიასთან...

„გამარჯობა, ჩემო თხილის-ქალაქო...“

დედა, რომელიც უკვე სამშობლოში ცხოვრობდა, 4 წლის უნახავი ჰყავდა და ენატრებოდა; შარშან საქართველოში დატრიალებულმა ამბებმაც ძალიან შეაწუხა და აპირებდა კიდევ, ყველაფერი მიეტოვებინა და დაბრუნებულიყო, მაგრამ მეგობრებმა ურჩიეს, ცოტა მოეცადა, სიტუაცია დანყნარებულიყო და გიორგიმაც გამოგზავრება ერთი წლით გადადო... ის სულ ახლახან ჩამოვიდა. მის თვალში ყველაფერი შეცვლილიყო, პრაქტიკულად, ხელახლა აღიქვა საქართველო... ბავშვობის მეგობრებმაც ძლივს გაიხსენეს.

— ჩემი სადარბაზოს „არკას“ რომ შევხედე, თითქოს რაღაც გამახსენდა... არა, კი არ გამახსენდა, ეს „არკა“ სულ მახსოვდა, მარტო ის შემორჩა ჩემს მეხსიერებას... მოკლედ, სამშობლო ხელახლა გავიცანი. გული ვიჯერე ღირსშესანიშნაობების თვალყურებით. ინგლისში ცხოვრებას აქ ცხოვრება სჯობს, თუ ფული გაქვს, მაგრამ აქ იმდენად დაბალი ხელფასებია!.. ლონდონში კი 3-4 თვის ხელფასით პატარა ბინის ან მანქანის ყიდვა შეიძლება...

გიორგი თავის საყვარელ საქმიანობას — ფოტოგადაღებას აქაც აგრძელებს, რათა ერთ თვეში, ლონდონში ფოტოსურათებზე ასახული საქართველო ჩაიტანოს.



მეგობრობით დაწყებული სიყვარული

კითხვაზე — ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არსებობს თუ არა? — ბევრს უჭირს პასუხის გაცემა და ამ თემაზე ისევე დაობნენ, როგორც გემოვნებაზე, რომელზეც წესით, არაფერს უნდა დაობდეს. როცა ბებია ან დედა მოზარდ გოგონას უჩიჩინებს: კაცს არ ენდო! თუ ქალი ლამაზია, მასთან მამაკაცი ვერ იმეგობრებს, რადგან სუსტი ნებისყოფა აქვსო, ხშირ შემთხვევაში, მართლდება და გოგონა ხვდება, რომ შეცდომა დაუშვა, როცა ამის გამო მშობელს ან ბებოს ედავებოდა და ჯიუტად ამტკიცებდა, რომ სუსტი და ძლიერი სქესის წარმომადგენლებს შორის ძმაცაცობაც შესაძლებელია.

ლიკა ქავაია

მოკლედ, არახალია, რომ სიყვარული ბრმა, თანაც ის დაუკითხავად მოედის და იპყრობს ჩვენს გულებს. ასე რომ, გამორიცხვად არაა, ვიღაცას მეგობარიც შეუყვარდეს, მაგრამ მისთვის ამის გამხელა კი ნამდვილად, სარისკო საქმეა. ჩემმა ერთ-ერთმა რესპონდენტმა ლამის, სასამართლოში უჩივლოს ყოფილ მეგობარს, რომელმაც გაბედა და მას სიყვარულში გამოუტყდა; მეორე კი ბედნიერია იმით, რომ მეგობრობით დაწყებული სიყვარული დაგვირგინდა და ახლა წყვილს უღამაზესი შვილი ჰყავს, უდიდესი სიყვარულის ნაყოფი; მესამე რესპონდენტს კი სიყვარულში გადაზრდილი მეგობრობის საკუთარ თავში ჩაყვლა მოუხდა, რადგანაც საყვარელ ადამიანს თავისი გრძობა ვერაფრით გაუმხილა და ამის გამო დღემდე იტანჯება.

ამჟამ, 19 წლის:

— მეგობრთან ბავშვობიდანვე ვმეგობრობდი და ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ მილალატებდა.

— ლალატში რას გულისხმობ?

— სხვანაირად შემომხედა, სიყვარული ამიხსნა და წერვებიც მომიშალა. ის სამუდამოდ დაეკარგე, წავშალე ჩემი ცხოვრებიდან. დედაჩემის ბრალია, რომ არ ვუჩივლე და მორალური ზარალისთვის კომპენსაცია არ მოვიტხოვე.

— სასამართლოში ჩივილი დედამ გადაგაფიქრებინა?

— გადამაფიქრებინა კი არა, ამ საქმეში ხელი შემეშალა. სულ „ისტერიკა“ მეძახა. სხვა მშობლები, მსგავს სიტუაციაში, თმას დაიპუტავდნენ, დედაჩემი კი თითქოს, ყველაფერს გაგებით შეხვდა და მერაბს ცოლად რომ გაეყოლო-



„იქულაბული ვარ, ვიხინო და ვიხინარულო...“

დი, ალბათ, არც ამის წინააღმდეგი იქნებოდა.

— არ მესმის, წინააღმდეგობა რატომ უნდა გაენია? თუ მერაბთან მეგობრობდი, გამოდის, რომ ის კარგი ადამიანია და ერთურთსაც მშვენივრად უგებდით...

— (მანყვევტინებს) თავიდან მართლა ასე მეგონა, მაგრამ მერე მივხვდი, რომ ყველაფერი სიყალბე იყო. ჩვენ შორის მეგობრობა არასდროს ყოფილა. ის ყოველთვის ისე მიყურებდა, როგორც ქალს, მე კი ერთი გულუბრყვილო, სულელი გოგო ვიყავი და ვიდრე სიყვარულში არ გამომიტყდა, ვერაფერს მივხვდი. დედა კი მეუბნებოდა, — ის ბიჭი სხვანაირი თვალთ გიყურებს, მგონი, უყვარხარო, მაგრამ ამის დაჯერება არ მინდოდა და დედას ვუჯავრდებოდი კიდევ, ჩამორჩენილს ვეძახდი. თურმე, მართალი ყოფილა.

— მეგობრთან რამდენი წელი მეგობრობდი?

— 7 წელი ვმეგობრობდით, ერთმანეთს არაფერს ვუშალავდით. ეჰ, გული მწყდება, ჩვენი ურთიერთობა რომ გაფუჭდა, მაგრამ რა ვქნა, ვერაფრით ვაპატიებ, სიყვარული რომ ამიხსნა.

— თუ შეუყვარდი, აბა, რა უნდა ექნა?

— მან იცოდა, რომ ძმასავით ვუყურებდი და ისიც იცოდა, სიყვარულის ახსნის შემთხვევაში ჩემგან რასაც მიიღებდა, მაგრამ მაინც გარისკა. თავხედი!

— ალბათ, გრძნობის დამალვა ვეღარ შეძლო...

— რაც უნდა მომხდარიყო, ხმა არ უნდა ამოეღო. თუ ვუყვარდი, ჩემზე უნდა

ეზრუნა და იმაზე ეფიქრა, რომ ამ შემთხვევაში, გულს უზომოდ მატყენდა. მან ისიც იცოდა, რომ სხვა მიყვარს, რომ მისთვის, როგორც კაცისთვის, არასდროს შემიხედავს და საკუთარი თავისთვისაც არ უნდა მიეცა ჩემზე ფიქრის უფლება.

— ამბობენ, გულს ვერ უზრძანებო.

— რა სისულელე! გულს არც იმის ნება უნდა მისცე, რომ გამოგაშტეროს. ისეთი პიროვნება უნდა შეიყვარო, ვინც შენი ღირსია და ვისაც მეგობრულად არ უყურებ.

— ეი, მერაბი შენი ღირსი არ იყო? შენი შეყვარებული მას რითი სჯობია?

— არაფრითაც არ სჯობია და მე თუ მკითხავთ, მერაბს შეუძლია, ჩემზე უკეთესი გოგოც მოიყვანოს ცოლად. ჩვენ ერთმანეთს არ შევეფერებით.

— როცა შენი ახლანდელი „ლოვე“ გაიცანი, თავიდანვე იცოდა, რომ შეგიყვარდებოდა?

— არა, მაგრამ ისიც ვიცოდი, რომ მასთან ვერ ვიმეგობრებდი.

— რატომ?

— იმიტომ, რომ დანახვისთანავე მომეწონა.

— დღევანდელი გადასახედიდან, როგორ ფიქრობ, ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა შესაძლებელია?

— მეგობრის გარდა, ძმაცაცები კიდევ მყავდა და ახლა მათაც ვეღარ ვენდობი. ჩემი საქციელი თითოეულ მათგანს აკვირვებს: ჩვენ რაღა დაგიშავეთ, რატომ გვეუბნები? მათ თქვენი მეშვეობით ვეტყვი: იმიტომ გეუბნები, რომ ყვე-



ლაფერს ხვდებოდით, მერაბის გრძობების შესახებ მშვენივრად იცოდით და ჩემს დასახმარებლად არაფერს აკეთებდით. პირიქით, მერაბს აქებდით, რომ ჩემთვის სიყვარული აქსნა. ახლა ვერც თქვენ გენდობით, რადგან გამიგონია: ხარი ხართან რომ დააბა, ან ზნეს იცვლის, ან ფერსაო.

— მაშინ, ზნე შენც უნდა შეგცვლოდა, რადგან მათთან მეგობრობდი.

— ჰო, მაგრამ მე გოგო ვარ, ისინი კი ბიჭები არიან. სხვათა შორის, ჩემი დაქალები მხარში ამომიდგნენ და მერაბი მათაც აითვალნენ — შენ თუ არ დაგინდო, რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალ ჩვენ არ შევუყვარდებით?! მოკლედ, მას სახელი შევბღალა და ჩვენი ურთიერთობაც დაინგრა. მართალია, ამას დღემდე განვიცდი, მაგრამ არც ის შემეძლო, ბავშვობის მეგობრისთვის მხარი ამეხა და მხოლოდ იმიტომ, რომ გავთხოვილიყავი ან მისთვის არ მენწყინებინა, ცოლად გავყოლოდი. ბიჭებმა ცოტა მეტი უნდა იფიქრონ, საყვარელ ადამიანს გული რომ არ ატკინონ.

დათო, 21 წლის:

— მე და ნატას ერთმანეთი დიდი ხნის წინ შეგვიყვარდა და ახლა ძალიან ბედნიერები ვართ. ჩვენი ურთიერთობა მეგობრობით დაიწყო. ერთიერთი ზოოპარკში გავიცანი — ორივე მაიმუნების გალიასთან ვიდექით და ცხოველებს მზესუმიზირათი ვუმასპინძლდებოდით. მერე ნატას გამოველაპარაკე. აღმოჩნდა, რომ ცხოველები მასაც ძალიან უყვარდა, საერთო ენა ვიპოვეთ და დავემეგობრდით. ერთმანეთს ძირითადად, ზოოპარკში ვხვდებოდით, მერე ნატამ თავისი მეგობრები გამაცნო, მე ჩემი ძმაცეები წარუდგინე და ავწყო ურთიერთობა. ჩვენ წლების განმავლობაში ვძმაცეობდით, ერთ დღეს კი აღმოვაჩინე, რომ ნატას გარეშე სიცოცხლე არ შემეძლო და ყველანაირად შევეცადე, მისთვის თავი შემეყვარებინა. ეს გამომივიდა კიდევ.

— საინტერესოა, რას აკეთებდი იმისათვის, რომ მისთვის თავი შეგვიყვარებინა?

— ყირაზე ვდგებოდი და ვცდილობდი, საგმირო საქმეები ჩამედინა (იციინის).

— მაინც, ნატას გამო რა საგმირო საქმეები ჩაგიდენია?

— მაგალითად, ვიდრე ნატას ვეტყოდი, — მიყვარხარ-მეთქი, მამამისთან „ჩაივანყე“ საქმე.

— ეგ როგორ?

— სასიამოროს გამოუტყედი, რომ მისი შვილი მიყვარდა და დავძინე: თუ საწინააღმდეგო არაფერი გაქვს, ახლა ნატასაც ვეტყვი ჩემი გრძობის შესახებ-მეთქი. კაცს გაცივებისგან ლამის, ენა ჩაუვარდა. ბოლოს, გონს მოეგო და მითხრა: თუ ჩემს შვილსაც უყვარხარ, საწინააღმდეგო რა უნდა მქონდეს? კარგი ბიჭი ხარ, ვერაფერი დაგინუნებო. აბა, გულახდილად მითხარით, ჩემზე უშუალოდ სასიძო სადმე გინახავთ? ამაზე

გაბედული საქციელი ვინმეს ჩაუდენია (იციინის)?

— მსგავსი რამ მართლაც, არასდროს მსმენია. ნატამ გრძობაზე გრძობითვე გიპასუხა?

— აღმოჩნდა, რომ მასაც ვუყვარდი და რამდენიმე თვეში დავქორწინდით კიდევ. მერწმუნეთ, მეგობრობით დანყებული სიყვარული უფრო მტკიცეა.

— ამბობენ, თუ გოგონას მეგობრობას შეჰფიცებ, მას მერე, სხვანაირი თვალთ არ უნდა შეხედო.

— ჯერ ერთი, ნატასთვის არაფერი შემიფიცავს და კიდევ, შეუძლებელია, მეგობრობდე გოგონასთან და ის არ შეგიყვარდეს. ქალსა და მამაკაცს შორის ნამდვილი ძმაცეობა მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ გოგო მახინჯია, მაგრამ დაზღვეული არც ამ შემთხვევაში ხარ — შესაძლოა, მან თავისი ბუნებით მოგხიბლოს და სიყვარული შენდა უნებურად შეგიძვრეს გულში.

ლანა, 24 წლის:

— მე და ზურა ბავშვობიდანვე ერთად ვიზრდებოდით. 15 წლის ასაკში მის მიმართ სხვა გრძობა გამიჩნდა, მაგრამ ამის გამჟღავნებას დღემდე ვერ ვუბედავ. როცა ის თავისი ნაშუბის შესახებ მიყვება, გული მენუერება ხოლმე, მაგრამ იძულებული ვარ, ამ დროს ვიცინო და ვიმხიარულო.

— ამ სიყალბეს ვერ გამჩნევს?

— კი, და ხშირად მეუბნება, — ბოლო დროს შეიცვალე, ვეღარ გცნობ, საკუთარ თავში ჩაიკეტე; მითხარი, თუ რაიმე პრობლემა გაქვს და ხომ იცი, შენ გამო ხრამში თავით გადავეშვებიო.

— მერე, უთხარი, რაც განუხებს და იქნებ, გაგიგოს კიდევ...

— რა სისულელეა! ამას ვერასდროს მაპატიებს და მას სამუდამოდ დავეარგავ.

— იქნებ, ასეც ჯობდეს შენთვის.

— არა, ამას ვერ გადავიტან, დამიჯერე. მასთან ახლოს ყოფნა ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. თუ მსგავსი რამ არ გამოგიცდია, ვერასდროს მიხვდები, მე რას ვგრძობ. ძალიან ძნელია იმის დანახვა, როცა შენი შეყვარებული ვილაცას კოცნის, მაგრამ ამასაც ვეჩვევი, ნელ-ნელა.

— ზურა შენ თანდასწრებით კოცნის გოგოებს?

— პრინციპში, მან არც იცის, მე რომ ვუთვალთვალე.

— რა, მას სულ კულში დასდევ?

— სულ არა, მაგრამ ზოგჯერ ასეც ხდება. რამდენჯერმე ჩემთან თავისი მორიგი „გატაცება“ ამოუყვანია და როცა ოთახიდან გავდიოდი, მას ეზასავებოდა კიდევ.

— თვითგვემას როდემდე აპირებ?

— ალბათ, მხოლოდ მას შემდეგ მოვისვენებ, როცა ზურა ცოლს მოიყვანს და მიხვდება, რომ ის სამუდამოდ დავეკარგე.

— მან ცოლი საერთოდ რომ არ შეერთოს?

— მეც დავრჩები შინაბერად და ის იქნება.

— თაყვანისმცემლები არ გყავს?

— როგორ არა, მაგრამ მათ გავურბივარ და სხვათა შორის, ეს ყველას უკვირს. ერთხელ ზურამ ისიც კი მითხრა: რა იყო, ბოლოს და ბოლოს, ლესბოსელი ხომ არ ხარ, ბიჭებს რატომ გაურბიხარო?..

— შენი სიყვარულის შესახებ არავინ არაფერი იცის?

— არა, ამის შესახებ მხოლოდ უფალმა იცის, მხოლოდ მის გასაგონად ვჭურჭულე ხოლმე.

ბაიკო, 17 წლის:

— ჩემი მეგობარი ძმაცეს გაჰყავდა ცოლად და მასზე შთაბეჭდილება დაგვეკარგა. როგორ შეიძლება, მეგობარს სხვანაირად შეხედო? არა, მსგავსი რამ არ მესმის, ეს ჩემთვის მიუღებელია! ის კი არა, ჩემი ძმის ძმაცეებსაც ისე ვუყურებ, როგორც საკუთარ ძმას და ზედმეტის თქმას ვერც ისინი გამიბედავენ.

— ასეთი დარწმუნებული რატომ ხარ?

— იმიტომ, რომ ვიცი, რასაც ვამბობ. თუ საბაბს არ მისცემ, გიყის ვარდა, არავინ მოგახტება. მე არც ერთ ძმაცეს და ჩემი ძმის მეგობარს არ ვეპრანჭები, ზედმეტად არ ვუღიმი და ისინიც, ხისთავიანები კი არ არიან.

— რომელიმე მათგანი რომ შეგიყვარდეს...

— (მწყვეტილებს) ოდესმე მსგავსი რამ თუ მოხდა, გულს საკუთარი ხელებით ამოვიგლეჯ!

— ალბათ, ხუმრობ...

— ნუ, გულს თუ ვერ ამოვიგლეჯ, იმ ბიჭს წავშლი ჩემი ცხოვრებიდან, ამის გაკეთება კი მერწმუნეთ, ნამდვილად არ გამიჭირდება! ადამიანს საკუთარი გონებისა და გრძობების მართვა უნდა შეეძლოს, მხოლოდ ასეთ პიროვნებას ვალიარებ ძლიერ არსებად... ერთხელ ჩემმა ძმამ ჩემს დაქალზე მითხრა: რა კარგი გოგოა! არ გინდა, შენი ოძალი რომ გახდესო? ლამის თავი მოვიკალი და იმდენი ვქენი, რომ იმ გოგოს სხვანაირად ველარასდროს შეხედავს.

— ასეთი რა გააკეთე?

— დაქალი გავათხოვე (იციინის).

სანდრინა, 18 წლის:

— ვერ ვხვდები, რა პრობლემაა, მეგობარი რომ შემეყვარდეს? რა, ის უკეთესია, ქუჩაში შემხვედრ პირველსავე კაცს რომ მიჰყვებიან ცოლად? რაც უფრო ახლოს ხარ ადამიანთან, მით მეტად ეჩვევი და გიყვარდება. ჩემი აზრით, ნამდვილი ცოლ-ქმარი, პირველ რიგში, კარგი მეგობრები უნდა იყვნენ, სხვანაირად ოჯახს ვერ შეინარჩუნებენ. სიმართლე გითხრათ, ძმაცეი არასდროს მყოლია. ბიჭებთან ვმეგობრობ, მაგრამ მათ ძმაცეით ნამდვილად არ ვუყურებ. მე 2 ლვიძლი ძმა მყავს და სხვებთან დამშობილება არაფერში მჭირდება. ■

როცა ნიჭი ფული ჩაბრავს და გზა, სმარტლიანობის დასასაყად

„მეაჭვება, ღირსეულმა გაიმარჯვოს“

„ჯეოსტარი“ დაიწყო და ინტერნეტფორუმებზე კონკურსის მონაწილეთა შესახებ დაიწყო ქორაობა. თუმცა, ამ სამყაროში ცენზურა ნამდვილად არსებობს და ამა თუ იმ კონკურსანტის გულშემატკივარს უფლება არა აქვს, „ჯეოსტარის“ სხვა მონაწილეზე აუცილებლად ამბობდეს, „ბალელშიკები“ ცდილობენ, თავიანთი რჩეულის მეტოქეების შესაძლებლობები მსუბუქად, მაგრამ მაინც დააკნინონ.

ერთ-ერთ ფორუმზე სულ სხვა თემას განიხილავდნენ და მეც, სწორედ მათი ინტერნეტდიალოგით დაინტერესდი. აქ მხოლოდ საუკეთესო „ჯეოსტარელს“ კი არ ასახელებენ, არამედ, როგორც თავად ამბობენ, ერთ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას განიხილავენ და შიშობენ, რომ კონკურსში გაიმარჯვებს არა ნიჭი, არამედ — ფული. ჰოდა, ეძებენ გზებს, რათა ეს ხარვეზი გამოასწორონ, თუმცა — უშედეგოდ.



ზაზა:

„მე გვანცა კაჭკაჭიშვილს ვგულშემატკივრობ, ნათესავია და აბა, რა ვქნა?“

ნესტან:

„მე კიდეც, დნ დნ-ს „ვბალელშიკობ :)“.

გიორგი:

„მეც დნ დნ-ს ვგულშემატკივრობ. ჩემი აზრით, ის ყველას სჯობია“.

მაია:

„ჯერჯერობით, სოფო ბედია მესიმათიურება. მგონი, მისგან ნამდვილ ფეიერვერკს უნდა ველოდეთ. ვნახოთ :)“.

პაპა:

„ჩემი აზრით, ვაჟა მანია საუკეთესოა“.

ნათია:

„ვფიქრობ, მყურებელმა საუკეთესოსგან საუკეთესო უნდა ამოირჩიოს. კარგი პროექტია. მიხარია, ახალგაზრდებს საკუთარი ნიჭის რეალიზების საშუალებას რომ აძლევენ. P.S. ერთ-ერთ ქვეყანაში მსგავსი პროექტი უნარშეზღუდულთათვისაც არსებობს. კარგი იქნება, ასეთი რამ საქართველოშიც რომ გააკეთონ“.

ტარიელი:

„ვფიქრობ, საინტერესო სანახაობა გვექნება“.

ოზიკო:

„მე ნოდკოს ვგულშემატკივრობ. გარდა იმისა, რომ ჩემი მეგობარია, უნიჭიერესი ადამიანია და იმედი მაქვს, ამ კონკურსშიც წარმატებას მიაღწევს“.

გიორგი:

„სოფო ბედია ძალიან მომეწონა“.

აკო:

„მინდა, კონკურსის ორგანიზატორებს

რჩევა მივცე: ფინალის დროს მაინც მოხდეს ასეთი რამ: ზარი იყოს უფასო და თითოეულ ჩვენგანს მხოლოდ ერთხელ დარეკვის უფლება უნდა მოგვცეთ... არ მიყვარს, როცა ნიჭი ფული ჩაბრავს. ჰოდა, იქნებ, „ჯეოსტარმა“ მართლაც ვარსკვლავს, ნიჭიერებას გაამარჯვებინოს და არა — ფული.

ვაზა:

„აკოს ვეთანხმები. თუნდაც, ფასიანი იყოს, მაგრამ მხოლოდ ერთი ზარის უფლება უნდა გქვოდეს“.

ანა:

„სოფო ბედიას ვგულშემატკივრობ, მას კარგი ვოკალური მონაცემები აქვს... მეც გეთანხმებით, მხოლოდ ერთი ზარის გაშვების უფლება უნდა გქვოდეს“.

ილია:

„ვაჟა მანია, ნოდარ ტატიშვილი, სოფო ბედია — აი, ასე გამოიყურება ჩემ მიერ შედგენილი რჩეულთა სია. ისე, მინდა აღვნიშნო, რომ პროექტის შემოსავლის გაზრდის მხრივ რაღაც დამატებითი მექანიზმია მოსაფიქრებელი. რატომ? — იმიტომ, რომ მეტი შემოსავლის მიღების სურვილს ღირსეული მონაწილე არ შეეწიროს. ჩემი აზრით, სამართლიანობამ უნდა იზეიმოს. კატეგორიულად არ ვეთანხმები საუკეთესო კონკურსანტის გამოვლენის ასეთ პრინციპს და მე თუ მკითხავთ, პირველ აუტსაიდერთა სამუშაოში ღირსეული მონაწილეები მოხვდნენ — იქ სხვები უნდა მდგარიყვნენ“.

ნათია:

„100%-ით გეთანხმები და კიდეც, მანია შეუდარებელი იყო!“

ნინო:

„მართალი ხარ, მაგრამ მე კახელი ბიჭიც მომწონს. სამწუხაროდ, არ ვიცი, რა ჰქვია“.

ტარიელი:

„სუფთა ცხოვრებისეული ამბავია ის, რომ აუტსაიდერთა სამუშაოში შესაძლოა, ღირსეული მოხვდეს. ყველაფრით კმაყოფილი ვერ იქნები... რას იზამ, ხანდახან ნიჭი ფული სჯობის“.

მეა:

„უიურის გადანყვეტილების მიღების უფლება რომ ჩამოართვეს, ეს როგორ მოგწონს? მე ნოდკოსაც ვგულშემატკივრობ, გიორგისაც და ვაჟასაც, მაგრამ თუ მათი გამარჯვება მყურებლის ზარებზე იქნება დამოკიდებული, მეეჭვება, ღირსეულმა გაიმარჯვოს. ის ზუგდიდელი გოგო რომ გავარდა (მართალია, მისი ალფრთოვანებული არ ვიყავი), უსამართლობაა. მის ადგილას მე სხვას, თუნდაც, აჭარელს გავუშვებდი. მან მერაიას სიმღერა საშინლად შეასრულა“.

ნანა:

„ძალიან მომწონს ვაჟა მანია და ვფიქრობ, მან უნდა გაიმარჯვოს“.

ანუნა:

„ვერ ვიტყვი, რომ რომელიმე კონკურსანტი სუსტია, მაგრამ ფაქტია, თითოეული მათგანი „ჯეოსტარი“ ვერ გახდება. ის ქარიზმა, რასაც ეს ტიტული მოითხოვს, ყველას არა აქვს. ისე, ბაშარულზე რატომ არაფერს ამბობთ? ის უდავოდ, პროგრესირებდა... კარგი იქნება, თუ სამართლიანობის დასაცავად ბოლო ტურში მაინც იღონებენ რაიმეს, მაგრამ შესაძლოა, მანამდე ძლიერი კონკურსანტები გავარდნენ და ამას აზრი არ ექნება“.

მედა:

„მე საკუთარ ძმას, გიორგი ცხვარიამვილს ვგულშემატკივრობ. გული დამწყდა, წინა ტურში კონკურსი სამეგრელოს წარმომადგენელს რომ დაატოვებინეს“.

მარინა:

„მომწონს ნოდკო, რადგან ის ძალიან საყვარელი და ნიჭიერია. მომწონს ბედია და ცხვარიამვილიც. გეთანხმებით, საუკეთესო კონკურსანტი არა მყურებლის ზარების მიხედვით, არამედ სხვა მეთოდით უნდა შეირჩეს“.

P.S. თუ ფორუმელები ნიჭიერი ადამიანის დაცვას შეძლებენ და ამისთვის რაიმე გზას იპოვიან, აუცილებლად შეგატყობინებთ. მანამდე კი ისლავ დაგვრჩენია, თითოეულ კონკურსანტს წარმატება ვუსურვოთ და იმედი, მათ შორის მართლაც ღირსეული გაიმარჯვებს.



ბიბლუსი

ბიბლუსი — იბიზა, რას პაპირუსი, გრაბნილი, წიგნი

წვეთი პოეზია

რა ჯარგი ხარ, რა ჯარგი!

რა ჯარგი ხარ, რა ჯარგი!

ჯობტა ზღვისფერთვალება
თმებზე ღამე გიციინის, პირზე
– დღის ბრწყინვალება.

რა ჯარგი ხარ, რა ჯარგი!

შუშპარა და მჩქეფარე!

როცა მოვკვდე, გენაცვალე,
ძეგლად გადამეფარე.

სიომ ძლივს ინახულა,

სადაც გძინავს, ის ბინა

და შენს ტუჩზე გულნარას

ვარდი ააბიბინა;

სპილომ ძვლები დაიფშვნა

რამდენიმე წვრილ ჯბილად

და მარჯნებში ჩაგება

მარმარილოს ბორჯილად.

რა ჯარგი ხარ, რა ჯარგი!

ჯობტა, ცელქი, მჩქეფარე....

როცა მოვკვდე, გეთაყვა,

ძეგლად გადამეფარე.

იოსებ გრიშაშვილი



პატარა ლექსიკონი

ჯერ-ჯერობით,

მეტის-მეტად

ამ სიტყვების ძველი ფორმა რატომღაც, ახალგაზრდებშიც უფრო გაფრცელებულია, ვიდრე თანამედროვე, მართებული:

ჯერჯერობით,

მეტისმეტად



ბა - ფსიქოლოგი

ინგა ჯაყელი

დასაწყისი იხ. „გზა“ №40-43

სასტუმროში მისულს ვაჟა უკვე ჩამოსული დამხვდა და ნომერში მელიოდა. სანოლზე პლუმის უზარმაზარი დათუნია იდო, რომელსაც თათებში გულის ფორმის წითელი ბალიში ჩაეზღუჯა. ის იყო, ვაჟასთვის მადლობა უნდა გადაემხადა სიურპრიზისთვის, რომ თავად დამასწრო:

— ამოდენა სათამაშო რამ გაყიდვინა?!

კიდევ კარგი, დამასწრო, თორემ უხერხული გაუგებრობა მოხდებოდა. მე კი თავის მართლებზე მეტად, არაფერი მეჯავრება ქვეყანაზე...

რა თქმა უნდა, ნიკას საჩუქარი იყო.

— შენ ჩანთა წაიღე, მე კი დათუნიას წამოვიღებ! — ვუთხარი ვაჟას.

— შენზე დიდია, მგონი. მოერევი?

— აქაც მე არ ამოვიტანე?! — ავიჩიე მხრები.

კაცი გავიდა თუ არა, სათამაშო გაწვრიკე და მართლაც, გულის უკან მიმაგრებული ბარათი ვიპოვე: „აუცილებლად მოგძებნი, რადგან ჩემი ბელი ხარ, მე კი — შენი დათუნია და უკვე მენატრები“...

ორიგინალურობით არ გამოირჩეოდა, მაგრამ მაინც გამითბო გული ბარათმა, რომელიც ჩანთის ძირში ჩაუფახვე. დერეფანში ვილაც წამომენია და ისე მოულოდნელად ჩამწურჩულა ყურში, შევვრთი:

— ნება მომეცით, დაგეხმაროთ... ნიკა იყო.

— გიჟი ხარ! — ვუთხარი მოკლედ, და როცა დათვი ჩამომართვა, ნაბიჯს ავუჩქარე, რადგან დერეფნის ბოლოს ვაჟა მელიოდებოდა.

როცა ნიკამ სათამაშო უკან სავარძელზე მოათავსა და გასწორდა,

ვაჟამ კუბიურა გაუნოდა — მგონი, ორლარიანი. მეგონა, ეწყინებოდა. ვიგრძენი, წამომახურა და სახე პიჯაკის საყელოში ჩავმალე. ნიკამ კი მშვიდად ჩამოართვა და მადლობაც გადაუხადა.

— ხომ არ მოინდინე მარტომ? — რეალობაში დამბარუნა ვაჟას ხმამ.

— არა. მე ხომ სწორედ მარტობა მინდოდა და დავტკბი კიდევაც სიმშვიდით...

— არ მოგენატრე?! — ისე გამიღიმა, მივხვდი, რაზეც გააკეთა მინიმუმება და მეც ვცადე გაღიმება...

კიდევ კარგი, ადამიანებს ერთმანეთის ფიქრების წაკითხვა რომ არ შეუძლიათ, თორემ ვაჟას ნამდვილად არ ესიაზონებოდა ის, რასაც ახლა მასზე ფიქრობდი...

...სახლში რომ მიმიყვანა, მომეხვია: ხვალ რომ ადრინად არ მივდიოდე, ამაღამ შენთან დავრჩებოდი, რადგან ძალიან მომენატრეო...

„კიდევ კარგი!“ — გავიფიქრე, მაგრამ ხმამალა სულ სხვა რამ ვუთხარი:

— ამის დრო კიდევ გვექნება.

— რა თქმა უნდა, სიხარულო! — ჩამიკრა გულში და კარი გაიხურა.

საოცრად მომნატრებოდა ამ რამდენიმე დღეში ჩემი სახლი. რა მეშველებოდა, ეს „ციხესიმაგრე“ რომ არ „ამეგო“ და ისევ დიდ ოჯახში მეცხოვრა, სადაც თითოეული ნაბიჯის გამო უამრავ კითხვას დამისვამდნენ. აქ კი მინდა — ვიცინებ, მინდა — ვიტირებ, მინდა — ვიბობოქრებ... სადილსაც არ მოვამზადებ კვირაობით, სარეცხსაც უდარდელად მივყრი...

...ტელეფონები მთელი დღე აღარ გაჩერებულა. ვინ აღარ დამირეკა! დაგვიანებით მილოცავდნენ დაბადების დღეს და მოითხოვდნენ, რესტორანში უახლოესი მეგობრები მაინც დამეპატიჟებინა:

— მრგვალი თარიღი იყო, ბოლოს და ბოლოს — ან რა გჭირდა დასამალი, თორემ კი! — მისაყვედურა ნინუცამაც, ჩემმა ყველაზე ახლობელმა დაქალმა.

მართლაც, არაფერი მიჭირდა იმის ფასი, რომ ერთი სუფრა გამეშალა რესტორანში. თანაც ახლა მარტო დაბადების დღე კი არა, ჩემი ქალად ქცევაც მქონდა აღსანიშნავი. თუმცა ამაზე ხმამალა ვერავის ვერაფერს ვეტყვოდი, ჯერჯერობით — ნინუცასაც კი... ვერც ჩემს მოძღვარს — მამა მალხაზს გავუშხელე, თუმცა აღსარებისას ყოველთვის გულწრფელი ვარ.

...მამა მალხაზმა თავად „მიპოვა“...

ეკლესიაში სულ დავდიოდი, მაგრამ მოძღვრის გაჩენის სურვილი არასოდეს მქონია, ვერც ის წარმომედგინა, თუ აღსარების თქმას შევძლებდი...

რამდენჯერმე დავესწარი წირვას. არც მეგონა, ვინმე თუ შემამჩნევდა კუთხეში მდგარს... ერთხელ მამა მალხაზმა შემჩივრა, თანაც ეკლესიაში კი არა, ქუჩაში: ხიდზე, საპირისპირო მხრიდან მოდიოდა. სალაამიც პირველმა მითხრა და როცა შეცბუნება შემატყო, თბილად მომიკითხა:

— როგორ ხარ?

— როგორ დამიმახსოვრეთ?! — ვკითხე სულში სითბოჩაღვრილმა.

— უფლის თვალს არავინ რჩება შეუჩნეველი. მეც იმან მომახედა შენკენ და ისიც „მითხრა“, რომ სულიერი მწყემსი გჭირდება. გელოდებოდი; მეგონა, თავად მოხვიდოდი...

— აუცილებლად მოვალ... პირველს ალბათ გამიჭირდებოდა ამ ნაბიჯის გადადგმა, მაგრამ ახლა უკვე შევძლებ...

პირჯვარი გადამსახა და უბრალოდ მითხრა, დაგელოდებო!..

მეც მივედი და თუ რამე გადამარჩენს თავის დროზე ჯოჯოხეთში მოხვედრისგან, ეს სწორედ მამა მალხაზის დამსახურება იქნება...

ადამიანებს შორის ნინუცა ჩიქოვანს ვენდობი ყველაზე მეტად, მამა მალხაზის შემდეგ. ის 2 წლითაა ჩემზე უფროსი, მაგრამ რადგან ორჯერ მოასწრო გათხოვება-გამოთხოვება, ხშირად, დედასავით მექცევა. მისი 10 წლის ანა ჩემი ნათლულია და ისიც დედამისივით ჭკვიანია. ზოგჯერ ისეთ რამეს მეტყვის, ჩემზე უფროსიც მგონია.

ანა მეორე ქმრისგან ჰყავს ნინუცას. პირველად მეცხრეკლასელი გათხოვდა თავის თანაკლასელზე — ორივენი 15 წლისები იყვნენ და ერთმანეთში აერიათ სიყვარული, ოჯახი და გართობა... ისე ჩხუბობდნენ წვრილმანებზე, როცა დაფხმძიმდა, დედამისმა დააძალა აბორტის გაკეთება: ამათი შვილი არანორმალური გამოვა, ჯერ თავად არიან გასაზრდელებიო...

3 წელი მაინც იყვნენ ერთად. სტუდენტებიც გახდნენ და 18 წლის ასაკში „აღმოაჩინეს“, რომ არც მათ ოჯახს ერქვა ოჯახი და არც მათ ურთიერთობას — ცოლქმრობა.

ირაკლი ჯარში გაიწვიეს, ნინუცა მშობლების სახლში დაბრუნდა. მანინ ეგონა, რომ დროებით, მაგრამ აღმოჩნდა — ეს საბოლოო წერტილი იყო მათ ურთიერთობაში. ნინუცა თავის პროფესორს შეუყვარდა. კარგა



ხანს მალავენენ კავშირს, რადგან კაცს, მართალია უშვილო, მაგრამ ცოლი ჰყავდა და 38 წლის ასაკში ოჯახის დანგრევა არ უნდოდა, თანაც, 20 წლის სტუდენტის გამო... მერე ნინუცა დაფხმძიმდა და აბორტის გაკეთებაზე სასტიკი უარი თქვა. პროფესორთან პათიოსნად მოიქცა: არ გავამხელ, რომ შენი შვილია, არც რაიმე პრეტენზია მექნება; არაფერს მოვაკლებთ მე და ჩემი მშობლები; იმათაც არავინ ჰყავთ, ჩემ გარდა; ჩემს შვილს არც ხელს ჰკრავენ და არც ნაბიჭვრის დაძახებას გააბედვინებენ ვინმესო!.. — მაგრამ პროფესორი გიორგი ჯაყელიც არ აღმოჩნდა უნამუსო: შეუძლებელია, ჩემმა შვილმა არ იცოდეს, ვინაა მამამისი... ბავშვზე ნატვრაში დავბერდი და ახლა რა უნდა მოხდეს, მასზე უარი რომ ვთქვაო?!

გიორგი ოჯახიდანაც წამოვიდა და ნინუცას მშობლების საყვარელ სიძედაც იქცა. ანაზე ხომ ჭკუა ეკეტება... მაგრამ ჩემმა მეგობარმა ვერც ცოლის ამპლუა აიტანა და ვერც 18 წლით უფროსი ქმრის ჭკუაზე სიარული. ერთ-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ ისე გაშორდა, არც ხელი მოუწერია მასთან და არც ჯვარი დაუწერია. გია ჯაყელი ცოლს დაუბრუნდა და ორმაგად დააფასა მისი მშვიდი ბუნება და მორჩილი ხასიათი. თანაც, იმ ქალს არც საყვედური დასცდენია, ისე მიიღო. ეგ კი არა, ანაც სიგიჟემდე შეუყვარდა. ბავშვი იმდენივე დროს ატარებს მამის ოჯახში, რამდენსაც დედასთან.

ზოჯერ ბრაზობს კიდევაც — ნინუცა შვილებზე:

— როცა ჩემი საქციელი არ მოეწონება, მაგალითად სულ მამამისის ცოლი მოჰყავს: დეიდა თინამ ასე თქვა, დეიდა თინამ ისე გააკეთა... ნამდვილი დედები ასე იქცევიანო!.. ალბათ ასეც იყო — 50-ს მიღწეულ უშვილო ქალს, დედობას დანატრებულს, ყველაზე მეტად ბავშვთან ურთიერთობა და მის ჭკუაზე სიარული სიამოვნებს. არადა, ნინუცა ჩინებულ ექიმი, თან — პედიატრი, ბავშვებსაც უყვართ და ენდობიან...

ჩვენ ერთ ებოში ვიზრდებოდით და ალბათ, ბევრი რამითაც ვგავდით ერთმანეთს. როცა მის კლინიკაში ფსიქოლოგიური კაბინეტი გაიხსნა, თავად გამიწია რეკომენდაცია მთავარ ექიმთან. მერე ვაჟს ავტორი-

ტეტიც წამეშველა და ახლა უკვე, მესამე წელია, ერთად ვმუშაობთ...

ნინუცას ყოველთვის არანორმალურობად მიაჩნდა 30 წლის ასაკამდე ქალწულად დარჩენა და არაერთხელ უთქვამს:

— თავად გაქვს ფსიქიკაში გადახრა, სხვას რა უნდა ურჩიო და უმკურნალოო?!

თავად გათხოვებას აღარ აპირებს, მიუხედავად იმისა, რომ ექიმი — 26 წლის ზურა მესხი ჭკუას კარგავს



მასზე. არც ნინუცა მის მიმართ გულგრილი და დიდად არც მალავენ, საყვარლები რომ არიან.

გათხოვებას კი არაფრით თანხმდება:

— მე ცოლიც ვიყავი და დედაც ვარ, ჩემი მისია ამ მხრივ ამოწმურე და კარგად ვიცი, რომ ცოლობა სიყვარულს არაფერს მატებს. პირიქით, მხოლოდ აფერმკრთალებს და ახუნებს. თანაც, 6 წლით უმცროსი ქმარი „დამიჭერს“?! „პატარები“ მხოლოდ სანოლში არიან მაგრები, ცხოვრებასთან ჭიდ-ილში კი უცებ იჭრებიან...

ნინუცას ამ სალაშოსვე უნდოდა მოსვლა, მაგრამ დაღლილობა მოვიმიზუნე და მეორე დღის 6 საათისთვის დავუთქვი შესვენება რესტორანში. ვთხოვე, ზურაც წამოეყვანა და კიდევ რამდენიმე ჩვენი ახლობელი...

საბოლოოდ, სუფრასთან თხუთმეტიოდე სტუმარმა მოიყარა თავი. ყველა ჩემი ახლობელი და მეგობარი იყო, გარდა ერთისა: 35 წლამდე მამაკაცი ზურამ თავის ბიძაშვილად და სერიოზულ ბიზნესმენად გამაცნო:

— ოთარ ბერძენიშვილი, ჩემი ბიძაშვილი, ფაქტობრივად — ძმა. ამჟამად უკრაინის მოქალაქე და ნამდვილად სერიოზული ბიზნესმენია, რაც მთავარია, უ-ცო-ლო! — დამარცვლა ბოლოს ზურამ და ამით გასათხოვართა ყურადღება მიიპყრო. ეჭვიც არ შემპარვია, რომ ზურამ ოთარი ჩემს „საჩუქრად“ უფრო მოიყვანა და ამასი ნინუცას ხელიც ერია...

არ იყო ცუდი კაცი — არც გარეგნობა და ენუნებოდა და არც გემოვნება. ნათელი იყო — არც უფულობა აწუნებდა. მოკლედ, მთლიანობაში, არაფერი დაეწუნებოდა და თუ ქალს გათხოვება სურს, უკეთეს ვარიანტს ვერც ინატრებს, მაგრამ... სუფრამ მხიარულად ჩაიარა. შინ დაქანცული დავბრუნდი. შხაპი გადავივლე და კარგა ხანს ვერ დავიძინე. ძალიან მომიწოდა, ახლა გვერდით ნიკა მყოლოდა... მასთან სიახლოვეზე ფიქრში ვიყავი, როცა უეცრად ჩემმა მობილურმა დარეკა. უცნობ ნომერს ამ დროს ალბათ არ ვუპასუხებდი, მაგრამ თითქოს ვიგრძენი, რომ ის იქნებოდა. იმედი გამიმართლდა:

— დამიჯერებ, რომ შენზე ვფიქრობდი?.. — კითხვითვე ვუპასუხე.

— ჰო. არც მე მეძინება. ლამის ვიტირო. ისე მენტრები... დღევანდელი დღე სახლში ჩაკეტილმა გავატარე, არავის დანახვა არ შემეძლო...

— მე კი ახლა დავბრუნდი რესტორნიდან. მეგობრებთან ერთად ალვინიშენ დაბადების დღე. მარტო ყოფნა მერჩივნა, მაგრამ არ მომასვენებს.

— იცი, შენს ნომერში ვწევარ, მეორე ღამეა... არ შემოვაშვებინე ახალი სტუმარი, არც თეთრეული გამოვაცვლევი. ისე აქვს შერჩენილი შენი სურნელი...

— მე კი შენს დათუნისას ვეხუტები!.. — მართლა, სათამაშოს კალთაში მედო თავი...

— გკოცნი! თავიდან ბოლომდე გიკოცნი სხეულს, სიხარულო! — ისეთი ხმით მითხრა, ტანში ჟრუანტელმა დამიარა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

შახვედრები სტალინთან

ფრაგმენტები ვლადიმერ ანტონოვის ნაშრომი „ვანერატიშვილი“



საფრანგეთის განადგურების შემდეგ, ჰიტლერი და მისი სამხედრო სტრატეგები ელოდნენ, რომ ინგლისი გერმანიასთან დასაზავებლად, მოლაპარაკებაზე წავიდოდა, მაგრამ იმედი გაუცრუვდათ. ფიურერს ინგლისური პრობლემის სასწრაფოდ გადაწყვეტა სურდა. საფრანგეთი დაეცა. ამის შემდეგ, სახელმწიფოთა ამ ჯაჭვის — საფრანგეთი, ინგლისი, საბჭოთა კავშირი — მომდევნო რგოლების განსაზღვრა იყო საჭირო. ინგლისის ნეიტრალიზება რომ მოეხერხებინა, გერმანია უმთავრესი მიზნის — აღმოსავლეთის უკიდვარ სივრცის დასაპყრობად გალაშქრებას შეძლებდა.

დასაწყისი იხ. „გზა“, №27-43

(მას „ზღვის ლომი“ დაარქვეს) მზადების ბრძანება გასცა, მაინც ინგლისთან კომპრომისული მშვიდობის დამყარების იმედს იტოვებდა. დიდი საფრთხის, პოლიტიკური, დიპლომატიური ნაბიჯებისა და „მეხუთე კოლონის“ მოქმედების მიუხედავად, ბრიტანეთის დაშინება მაინც ვერ მოახერხეს. ჯერ 4, ხოლო შემდეგ 18 ივნისს თეთმა პალატაში სიტყვით გამოსვლისას, პრემიერ-მინისტრმა ჩერჩილმა განაცხადა, რომ ბრიტანეთი იომებდა ბოლომდე, თუნდაც გერმანიასთან პირისპირ მარტო დარჩენილიყო.

ამის შემდეგ, გერმანიას ერთადერთი — სამხედრო ძალით მოწინააღმდეგის დაჩოქების გზა რჩებოდა. მაგრამ გერმანიის სარდლობაშიც ყველას კარგად ესმოდა, რომ ისეთივე მყისიერ წარმატებას ვერ მიაღწევდნენ, როგორცაა აქამდე, საფრანგეთის წინააღმდეგ განხორციელებული სახმელეთო ოპერაციების დროს.

და მაინც, არაერთი თათბირისა და ბევრი სჯა-ბასის შემდეგ, 1940 წლის 16 ივლისს ფიურერმა ხელი მოაწერა საგანგებო დირექტივას — „ინგლისში ჯარების გადასხმის ოპერაციისთვის მომზადების შესახებ“, რომელშიც ნათქვამი იყო: „ვინაიდან ინგლისი, თავისი უპერსპექტივო სამხედრო მდგომარეობის მიუხედავად, კვლავაც არ იჩენს ჩვენთან საერთო ენის გამოწახვის ნებას, გადავწყვიტე, თუ საჭირო იქნება, მის წინააღმდეგ სადესანტო ოპერაცია განვახორციელო. ამ ოპერაციის მიზანია — გავაუფლებლოთ ინგლისის მეტროპოლია, როგორც გერმანიის წინააღმდეგ ომის გაგრძელებისთვის საჭირო ბაზა და თუ საჭირო იქნება, სრულად დავიპყრო იგი“.

„ზღვის ლომის“ მომზადების დასრულება აგვისტოს შუა რიცხვებისთვის იყო დაგეგმილი. მაგრამ ყველა სხვა წინამორბედი ოპერაციისგან განსხვავებით, ამჯერად ფიურერს მყარი გეგმა მაინც არ ჰქონდა, ამიტომ გამუდმებით ეკითხებოდა თავის სამხედრო სტრატეგებს აზრს. ჰიტლერს

ესმოდა, რომ სამხედრო ბლოკადას, ჰაერიდან ავიაციისა და ზღვიდან წყალქვეშა ნაგების მეშვეობით, მხოლოდ ერთ-ორ წელიწადში განახორციელებდა. ამხელადროის დაკარგვა გერმანიისთვის სრულიად მიუღებელი იყო.

მაისის შუა რიცხვებში ბერლინი, ინგლისში რუდოლფ ჰესის (ნაცისტურ პარტიაში ჰიტლერის მოადგილის) მოულოდნელი ავიაგადაფრენის შესახებ ცნობამ შექრა: ჰესი თავად მართავდა „მესერშიტს“, რომელიც 10 მაისს სამხრეთ გერმანიაში მდებარე ქალაქ აუგსბურგის აეროდრომიდან აფრინდა და გეზი აიღო შოტლანდიისკენ, დაუნჰავილ კესლის მამულისკენ, რომელიც ჰესის კარგ ნაცნობს — ლორდ ჰამილტონს ეკუთვნოდა. მაგრამ მალაჩინოსან პილოტს საწვავის ანგარიში შეულოდა და დანიშნულების ადგილამდე 14 კილომეტრის მოშორებით, პარამუტით გადმოსტოპამ მოუწია. ის ადგილობრივმა გლეხებმა დააკავეს და ხელისუფლებას მიჰგვარეს...

რამდენიმე დღე ინგლისის მთავრობა მომხდარის შესახებ არაფერს აცხადებდა. ბერლინსაც კრინტი არ დაუძრავს. მაგრამ შემდეგ, ბრიტანელებმა ჰესის მოულოდნელი ტყვეობის შესახებ ინფორმაცია გაავრცელეს და გერმანიის მთავრობა მიხვდა, რომ საიდუმლო მისია საბოლოოდ ჩავარდა. ჰოდა, ფიურერის შტაბბინაში გადაწყვიტეს, ჰესის საცხელი მისი ფსიქიკური ანალიზით აეხსნათ. ოფიციალურ კომუნიკეში ნათქვამი იყო: „როგორც ჩანს, პარტიის წევრმა ჰესმა აიკვირებდა აზრი, თითქოს პირადი კონტაქტებით შეძლებდა გერმანიასა და ინგლისის შორის ურთიერთობის მოწესრიგებას“...

ჰიტლერს ესმოდა, თუ რა მორალური ზიანი მიაყენა მასა და მის რეჟიმს ჰესის წარუმატებელმა რეისმა. კვალის დასაფარავად, მისი უახლოესი გარემოცვის დაპატიმრების ბრძანება გასცა, ხოლო თავად ჰესი ყველა თანამდებობიდან მოხსნა და გასცა განკარგულება, თუ გერმანიაში გამოჩნდებოდა, დაუყოვნებლივ დაეხრითათ. მაშინვე, ნაცისტურ პარტიაში თავის მოადგილედ მარტინ ბორმანი დანიშნა.

არადა, ეჭვგარეშეა — ჰიტლერელები ჰესის მისიაზე დიდ იმედს ამყარებდნენ. ფიურერი ფიქრობდა, რომ ის მოახერხებდა, ანტისაბჭოურ ლაშქრობაზე დაეთანხმებინა გერმანიის მოწინააღმდეგე, მათ შორის, უპირველესად, ინგლისი. ნიურნბერგის პროცესისა და სხვა მასალებიდან, რომლებიც გერმანიის დამარცხების შემდეგ გამოქვეყნდა, ცნობილი გახდა, რომ 1940 წლის ზაფხულიდან მოყოლებული, ჰესს აქტიური მიმოწერა ჰქონდა ინგლისელ მიუხეცნელებთან. ამ ურთიერთობის დამყარებაში მას დაეხმარა უნიძორელი ჰერცოგი — ინგლისის ყოფილი მეფე ედუარდ VIII, რომელმაც თავის დროზე, ამერიკელ ქალთან სასიყვარულო კავშირის გამო დათმო ტახტი. მაშინ ჰერცოგი ესპანეთში ცხოვრობდა. თავისი კავშირების გამოყენებით, ჰესმა წინასწარ შეათანხმა ინგლისში ვიზიტი (საინტერესოა, რომ ამ

ომი პროზაში

(ინგლისის დაჩოქების მცდელობა)

თავდაპირველად, ჰიტლერი ცდილობდა, პოლიტიკური ინტრიგებისა და ზენოლის გზით გამოეთიშა თამაშიდან ინგლისი, მაგრამ წარმატებას ვერ მიაღწია. დიდი სჯა-ბასის შემდეგ, სხვადასხვა ვარიანტს შორის, ფიურერმა გენერალ იოდლის გეგმა მოიწონა, რომელიც 1940 წლის 30 ივნისს მას ჩამოყალიბებული ჰქონდა თავის საგანგებო მოხსენებით ბარათში — „ინგლისის წინააღმდეგ ომის წარმართვის გაგრძელება“. გამარჯვების მომტანი სტრატეგიული გეგმა ასეთი იყო:

„1. ალყა: ფლოტისა და ავიაციის მეშვეობით, უნდა აღიკვეთოს ბრიტანულ კუნძულზე ნებისმიერი ტვირთის შეტანა და იქიდან გამოტანა; წარიმართოს ბრძოლა ინგლისური ავიაციისა და ქვეყნის სამხედრო-ეკონომიკური ობიექტების წინააღმდეგ;

2. საჭიროა, განხორციელდეს ინგლისის ქალაქებზე მატერორიზებული საავიაციო იერიშები;

3. განხორციელდეს დესანტის გადასხმა, ინგლისის ოკუპაციის მიზნით. ეს მხოლოდ ჰაერში სრული გაბატონების მოპოვებისა და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების დეზორიენტირების შემდეგ იქნება შესაძლებელი და კუნძულზე დესანტირება, როგორც ბოლო, მომავლდინებული დარტყმა, ისე უნდა განვიხილოთ“.

მიუხედავად ამ გეგმის მოწონებისა, მაშინაც კი, როცა ჰიტლერმა ოპერაციისთვის



ფიურერმა გენერალ იოლდის გეგმა მოიწონა

ქვეყანაში მისი ყოფნის ამსახველი ყველა დოკუმენტი დღემდე გასაიდუმლოებული რჩება...)

გერმანელ სარდლობას ძალიან უნდოდა ინგლისის ტერიტორიაზე შეჭრის ოპერაციის თავიდან აცილება, მაგრამ ჰესის მისიის ჩავარდნის შემდეგ, ეს, დასახული სტრატეგიული ამოცანის ერთადერთ საშუალებად რჩებოდა.

მაგრამ ბრიტანეთში შეჭრის სხვადასხვა ვარიანტის განხილვისას, მთავარი საზღვაო შტაბი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ 1940 წელს ოპერაციის ჩატარებაზე უარი უნდა ეთქვა, უფრო მეტიც — მომდევნო წელსაც მხოლოდ იმ შემთხვევაში მოახერხებდა საჭირო რაოდენობის ჯარის დესანტირებას, თუ გერმანული ავიაცია სრულად დაიპყრობდა ბრიტანეთის ცას. გარდა ამისა, ჰიტლერს მოახსენეს, რომ ინგლისის წინააღმდეგ ომის მოსამზადებლად, გერმანიის სამხედრო მრეწველობას წლები დასჭირდებოდა, მაგრამ ესეც ნაკლებშესაძლებელი იყო, რადგან ალმოსავლეთის დასალაშქრავად, სახმელეთო ჯარების განვითარება-გაძლიერების გეგმა ჰქონდა შესასრულებელი.

ჰიტლერი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ოპერაცია „ზღვის ლომი“ ვერ განხორციელდებოდა; მისი ყოყმანი იმაშიც გამოიხატებოდა, რომ რამდენჯერმე გადასწვია ვადა...

30 ივნისს მაინც მიიღეს გადაწყვეტილება, დაეწყოს ინგლისის მასირებული დაბომბვისთვის მზადება. 1-ელ აგვისტოს ხელმოწერილ დირექტივაში კი ჰიტლერი აღნიშნავდა: „ინგლისის სრულად დასამარცხებლად საჭირო ნაწამძღვრების მოსამზადებლად, განზრახული მაქვს, უფრო მწვავე ფორმით წარვმართო საჰაერო და საზღვაო ომი მის წინააღმდეგ. ამისათვის ვბრძანებ: გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებმა, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალების გამოყენებით, რაც შეიძლება მოკლე ხანში უნდა განადგურონ ინგლისის ავიაცია“. 2 აგვისტოს დირექტივის თანახმად, გერმანიის სამხედრო-საჰაერო ძალებს 4 დღეში უნდა დაეპყრო სამხრეთ ინგლისის ცა. მაგრამ სტიქიამ სამხედრო გეგმებში კორექტივები შეიტანა: ცუდი მეტეოროლოგიური პირობების გამო, ტოტალური საჰაერო ბრძოლა მხოლოდ თვის შუა რიცხვებში დაიწყო. 15 აგვისტოს განხორციელდა პირველი მასირებული იერიში, რომელშიც 801 ბომბდამშენი და 1149 ავიაცია მანადგურებელი მონაწილეობდა. დაბომბვასთან ერთად, გერმანია ინგლისელებზე მაქსიმალურ პროპაგანდისტულ ზენოლას ახდენდა და კუნძულებზე ჯარების გადასხმით ემუქრებოდა, რათა აეშულებინა, დაზავებოდა. 5 სექტემბრიდან განსაკუთრებულ ძალისხმევას, საკუთრივ დედაქალაქის დასაშინებლად იჩენდნენ. მაგრამ საჰაერო იერიშებისა და მძლავრი მორალურ-ფსიქოლოგიური ზენოლის მიუხედავად, გერმანელებმა ვერ მოახერხეს ვერც კუნძულების ცის დაპყრობა და ვერც ინგლისელთა მორალური და გატეხვა. 14 სექტემბერს გამართულ სარდალთა თათბირზე, განხილული ჰიტლერი იძულებული იყო, ეღიარებინა: „მიღწეული წარმატებების მიუხედავად, ოპერაცია „ზღვის ლომის“ დასაწყებად საჭირო ნაწამძღვრები ვერ შევქმენით“.

ოპერაციების დაწყებამდე, გერმანელებმა მოწინააღმდეგის სამხედრო ავიაციის სათანადოდ შეფასებაც ვერ შეძლეს. ამის გამო, დაბომბვების დროს, თვით გერმა-

ნიის ავიაციას დიდი ზიანი მიაღდა. ამგვარად, 1940 წლის სექტემბრის დაძლევისთვის სრულიად ნათელი გახდა, რომ: სამშვიდობო შეთანხმება არ მოხდებოდა, საზღვაო ბლოკადას გერმანია ვერ ახერხებდა, ხოლო ინგლისის ცის ტოტალური დაპყრობაც არარეალური აღმოჩნდა. სამოქმედო ასპარეზად გერმანიას, ე.წ. პერიფერიული სტრატეგია რჩებოდა, რომელიც მის სარდლობას ასევე არაერთხელ განუხილავს.

1940 წლის 12 აგვისტოს გერმანელებმა ჩრდილოეთ აფრიკისკენ სატანკო ნაწილების გადასროლა დაიწყეს, რათა სუეცის არხზე მიეტანათ იერიში. ხმელთაშუა ზღვაზე პოზიციების შენარჩუნება ინგლისისთვის ძალზე მნიშვნელოვანი გახლდათ, რადგან ამ გზით ხორციელდებოდა მეტროპოლიის კავშირები ინდოეთთან, შორეულ აღმოსავლეთთან, ავსტრალიასთან, აღმოსავლეთ და ჩრდილოეთ აფრიკასთან. სუეცის არხით, როგორც სტრატეგიული საკომუნიკაციო დერეფნით, ბრიტანული არმიის მომარაგება ხდებოდა; ახლო აღმოსავლეთიდან ნავთობის შეტანაც იქიდან ხორციელდებოდა...

1941 წლის 12 თებერვალს აფრიკის სანაპიროზე გენერალ რომელის კორპუსი გადასხეს. აპრილში გერმანიამ საბერძნეთის ოკუპირება მოახდინა. ჰიტლერს გიბრალტარის დაპყრობაც ჰქონდა განზრახული და ამ მიზნით, ესპანეთის ტერიტორიის გავლით ჯარის გაგზავნას აპირებდა, მაგრამ დიქტატორმა ფრანკომ თანხმობა არ მისცა, რადგან დიდ სახელმწიფოებთან დაპირისპირების სურვილი არ ჰქონდა. ფიურერმა იტალიის ჯარის დასამარებლად, ლიბიაში სატანკო კორპუსის გაგზავნა შესთავაზა მუსოლინის, მაგრამ მისი მოკავშირე დუჩეც კი კარგა ხანს ფრთხილობდა და ბოლოს და ბოლოს, ნაძალადევად დათანხმდა...

ბალკანეთსა და ხმელთაშუა ზღვის აუზში განხორცილებული ყველა ეს ქმედება არა მარტო ინგლისის დასუსტებას ისახავდა მიზნად, არამედ ჰიტლერის მთავარი ჩანაფიქრის — საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადების შესანიშნავად ხორციელდებოდა. ფიურერს ესმოდა, რომ ევროპაში აღარ დარჩა სახელმწიფო, რომელიც გერმანიის წინააღმდეგ მეორე ფრონტის გასახსნელად რაიმე კოალიციის ჩამოყალიბებას შეძლებდა, ხოლო ინგლისი, რომელსაც კონტინენტისგან დევაყოფდა, მისთვის რეალურ საფრთხეს არ წარმოადგენდა. ამგვარად, ჰიტლერმა ზურგი გაიმაგრა (რაც წარსულში, ყველა გერმანელი მხედართმთავრის სანუკვაროცნებას შეადგენდა) და ხელ-ფეხი საბოლოოდ გაიხსნა. ინგლისის დამინების, ხოლო, რაც მთავარია, ევროპის დეზინფორმაციის მიზნით, „ზღვის ლომის“ მზადების თაობაზე ცნობების გავრცელებასთან ერთად, გერმანიის გენერალურმა შტაბმა საბჭოთა კავშირზე თავდასხმის ოპერაციის — „ბარბაროსას“ შემუშავება დაიწყო...

გაგრძელება შემდეგ ნომერში



გერმანული ავიაციით დაბომბილი ლონდონი



ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი
იხ. „გზა“ №37-43

გონა მანველიძე

თათბირი დაძაბულ ვითარებაში წარიმართა. გიორგის რამდენიმე წელში არ მიუღია იმდენი შენიშვნა, რამდენიც ამ ერთი საათის განმავლობაში მოისმინა. უკეთეს დღეში არც პროკურორი იყო. ის თავჩაქინდრული იჯდა მაგიდასთან და სახეაჭარხლებული ისმენდა ქალაქის მთავარი პროკურორის საყვედურებს.

— ბოლოს და ბოლოს, ამოიღებთ ხმას თუ არა?! რამე მაინც თქვით თავის გასამართლებლად! — თქვა მთავარმა პროკურორმა და განრისხებული, გვერდიგვერდ მსხდომებს — გიორგისა და კოტეს მიაჩერდა.

— იურიდიული თვალსაზრისით, გამომძიებელს შეცდომა არ დაუშვია, — უპასუხა კოტემ.

— ის, რასაც თქვენ „უშეცდომო“ საქმეს უწოდებთ, მე ნამდვილ „ბარდაკს“ დავარქმევ! — ბრაზით განაგრძო პროკურორმა. — ვერ გავიგე, ამინდის მიხედვით ხომ არ მუშაობთ: თუ ქარიანი და წვიმიანი დღეა, საქმეს აღძრავთ და პატიმრობაში პიროვნების აყვანას აფორმებთ... მერე მზე გამოვა და თვითონვე აუქმებთ წინააღმდეგ მიღებულ გადაწყვეტილებას. რას მივანერო ეს?

— ძიების პროცესში აღმოჩენილ ახალ გარემოებებს, — გაუბედავად თქვა გიორგიმ.

— მაგ ტერმინების რახარხუს შეეუვი და ადამიანურად ამიხსენი — რა მოტივით გადაწყვიტეთ კილაძის პატიმრობაში აყვანა?

— ამოცნობებისა და მოწმეების ჩვენებების საფუძველზე, — უპასუხა გიორგიმ.

— კეთილი... მე გავეცანი ამ მო-

ნაცემებს და გეთანხმები, რომ ისინი მართლაც იძლეოდა პატიმრობაში კილაძის აყვანის საფუძველს. ახლა კი ის ამიხსენით, რატომ შეცვალეთ მიღებული გადაწყვეტილება? — ჰკითხა მთავარმა პროკურორმა.

— საქმის ასე შემობრუნებას არავინ ელოდა, ბატონო პროკურორო. თქვენთვის უკვე ცნობილია, რომ კილაძე მოქალაქე პაპაშვილის განზრახ მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი. ის გარდაცვლილის ძმამ ამოიცნო. ვითარებას ერთი გარემოება ამძიმებდა: პაპაშვილი და კილაძის მამა ერთი და იმავე იარაღით იყვნენ მოკლულნი, კერძოდ — „მაკაროვის“ სისტემის პისტოლეტით. სავარაუდოდ, ეს პისტოლეტი ხმის დამსშობით უნდა ყოფილიყო აღჭურვილი. ეს მონაცემები სავესებით საკმარისი იყო პატიმრობაში მის ასაყვანად. მე ასეც მოვიქეცი და მივმართე ბატონ კოტეს შუამდგომლობით...

— მაგრამ კილაძე წინასწარი დაკავების იზოლაციაში მაინც არ მოხვდა! — შეაწყვეტინა პროკურორმა.

— იმ ღამეს კილაძის დედა გონს მოეგო და მე ის საავადმყოფოში წაიყვანე, — უპასუხა გიორგიმ.

— ზღაპრებს ნუ მიყვები! — ბრაზით თქვა პროკურორმა. — ოქმში აღნიშნულია, რომ ამოცნობას კილაძის ადვოკატი ესწრებოდა. არა მგონია, მას არ დაეფიქსირებინა პროტესტი, მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის დაკავების გამო!

გიორგიმ სწრაფი მზერა ესროლა კოტეს და ყრულ ჩაილაპარაკა:

— საქმე ისაა, რომ კილაძესა და მის ადვოკატს არც უნახავთ დაკავების ოქმი.

— ესე იგი, არაფერი იცოდნენ მისი არსებობის შესახებ?

— არა.

— როგორ ამიხსნი ამას?

— ჩვენ უკვე გადაწყვეტილი გვეონდა მისი დაკავება. ბუნებრივია, რომ დადგენილებას მის ადვოკატსაც გავაცნობდით, მაგრამ ამ დროს საავადმყოფოდან გაცნობეს, რომ დედამისი გონს მოეგო. სიმაართლე რომ გითხრათ, ბატონო პროკურორო, მე ბოლომდე მქონდა იმედი, რომ კილაძეს თანამშრომლობაზე დავითანხმებდი. ამიტომაც აღარ მოვიწოდებ დაკავების ოქმით მისი დაფრთხობა...

— უბრალოდ რომ ვთქვათ, კეთილი პოლიციელის როლის თამაში გადაწყვიტე, — შენიშნა პროკურორმა.

— დიას, — დაეთანხმა გიორგი, — მეგონა, რომ საავადმყოფოში წაყვანით და დედის მონახულების ნებართვით, მის კეთილგანწყობილებას დავიმსახურებდი.

— ზუსტად ასეთი ავანტიურები აფუჭებს საქმეს!.. თუ საკმარისი საფუძველი გაქვს, პიროვნება ყოველგვარი იმპროვიზაციის გარეშე უნდა აიყვანო პატიმრობაში. ამას ითხოვს კოდექსი!

— ვიცი და ვალიარებ, რომ შეცდომა დავუშვი. მაგრამ ეს არ იყო დიდი გადაცდომა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, როდის წარუდგენდი დაკავების ოქმს კილაძეს?! ნებისმიერ შემთხვევაში, მას მაინც მიეცემდი დედასთან შეხვედრის საშუალებას.

— მაგრამ ის საავადმყოფოდან გაგექცათ!.. ეს ჩემთვის საქმის ყველაზე ბუნდოვანი მომენტი. მაინც როგორ მოახერხეთ მისი გაშვება? — დამცინავად თქვა პროკურორმა.

— რა ვიცი... მოკლედ, გაგვეცა... — გაუბედავად თქვა გიორგიმ.

გოგას გაქცევა მისთვის ყველაზე უხერხულ თემას წარმოადგენდა. ის არ ტყუოდა, როცა ირაკლის ეუბნებოდა, რომ მომხდარი ოფიციალურად არ იყო გაფორმებული. ამით ყველა იყო დაინტერესებული — პროკურორიცა და ბადრაგიც. ოფიციალურ ოქმში, რომელიც ეჭვმიტანილის გაქცევის შემდეგ შედგა, გამომძიებელზე თავდასხმა, გატაცებული იარაღი და მანქანა საერთოდ არ იყო ნახსენები.

— ეგ უკვე ვიცი. მე ის დაინტერესებს, როგორ გაგექცათ! — ხმას აუწვია პროკურორმა. — მახსოვს შემთხვევა, როცა ერთმა თანამშრომელმა 4 შეიარაღებული ბანდიტი დააკავა. თქვენ კი — 4-მა შეიარაღებულმა ბრიყვმა, ერთ უიარაღო კაცს ზედააშედველობა ვერ გაუწიეთ!.. ამის შემდეგ, როგორ დავტოვოთ სამსახურში?!

— ვალიარებ, რომ ამ შემთხვევაში, შეცდომა დავუშვი, — ამოიოხრა გიორგიმ.

— სად გგონია თავი?.. ქალაქის მთავარ პროკურორთან თუ — ეკლესიაში აღსარებაზე?! როდემდე უნდა



იძახო: შეცდომა დავუშვი... შემეშალა... შევეცდი!.. და საერთოდ, რამე თუ გაგვიტეხა სწორად ამ საქმეში?!

გიორგიმ დუმილით უპასუხა.
— კარგი, მე ნელ-ნელა მოვინინინავ შენს შეცდომებს და საუბრის ბოლოს წარგიდგენ ანგარიშს. ახლა ძეხვის გამოცხადებაზე გადავიდეთ. საქმის მასალებით ძეხვა იმ დილითვე გამოვაცხადე. 3 დღის შემდეგ, საქმეში ახალი დადგენილებები გაჩნდა, — პროკურორმა სათვალე მოირგო და საქალაქო სასამართლოში ჩაიხედა, — პირველი დადგენილება — ძეხვის გაუქმების შესახებ და მეორე — იძულებითი წესით მოწმის წარმოდგენის შესახებ! რას ნიშნავს ეს?

— კილაძეს ეჭვმიტანილად აღარ განვიხილავ.

— საინტერესოა, რატომ?

— ეს ახალი გარემოებების აღმოჩენამ გამოიწვია. მე უკვე მოგახსენეთ, რომ კილაძე ეჭვმიტანილი იყო მოქალაქე პაპაშვილის განზრახ მკვლელობაში. პაპაშვილის მკვლელობის შემდეგ, მისი კუთვნილი ავტომობილი დაიკარგა. 3 დღის წინ სამტრედიის ასეთი შემთხვევა მოხდა: ოპერატიული მონაცემებით, საგზაო პოლიციის წარმომადგენლებმა შემოწმების მიზნით, „ჟიგულის“ მარკის ავტომობილი გააჩერეს. შემოწმებისას ავტომობილის ძარასა და ძრავას ნომრები მძღოლის მიერ წარდგენილ საბუთებში მითითებულ ნომრებს არ დაემთხვა, ე.ი. ავტომობილს სხვა სანომრე ნიშნები ეყენა. ამის შემდეგ, პოლიციელებმა მძღოლის დაკავება სცადეს. პასუხად მან პისტოლეტიდან ცეცხლი გახსნა. 2 პოლიციელი ადგილზე დაიღუპა, მესამე — დაიჭრა, მეოთხე გაქცევით უშველა თავს. დაშინებულ კი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა და ამასთან ერთად, პოლიციელთა კუთვნილი 2 ავტომობილი გაიტაცა. მოგვიანებით, მანქანა გზის პირას მიტოვებული აღმოაჩინეს. დეტალური შემოწმებისას გაირკვა, რომ „ჟიგული“ თბილისში, მოქალაქე იორამ პაპაშვილის სახელზე იყო რეგისტრირებული. ეს შემთხვევა მოხდა მაშინ, როდესაც კილაძე ჩემს სამუშაო კაბინეტში, დაკითხვაზე იმყოფებოდა!..

— მერე რა?! შესაძლოა, კილაძეს თანამზრახველი ჰყავდა. ან კიდევ, უბრალოდ, გაყიდა ავტომობილი, — ივარაუდა პროკურორი.

— მე ამ ვერსიასაც განვიხილავდი. მაგრამ შემდგომ მოპოვებული მონაცემებით, ის არ

დადასტურდა, უფრო მეტიც — მოპოვებულმა მონაცემებმა პაპაშვილის საქმეში კილაძის მონაწილეობა საერთოდ, გამოირიცხა.

— საინტერესოა... რომელ მონაცემებზეა ლაპარაკი?

— პირველ რიგში, თავდასხმისას გამოყენებულ იარაღზე. პოლიციის წინააღმდეგ იგივე იარაღი გამოიყენეს, რომლიდანაც პაპაშვილი და ვახტანგ კილაძე დახოცეს. ეს ფაქტი უკვე დადასტურა ბალისტიკურმა ექსპერტიზამ. გარდა ამისა, მე თავად გახლდით სამტრედიის და პირადად დავკითხე გადარჩენილი პოლიციელები. მათი აღწერილობით, დამნაშავე 25 წლის, ტანმაღალი, სპორტული აღნაგობის მამაკაცია; აქვს ღია ფერის თმა და ცისფერი თვალები, ლოყაზე კი — მკრთალი ხალი. მოგვიანებით მათ კილაძის ფოტოსურათიც ვუჩვენე. მათ დადასტურეს, რომ სწორედ ეს პიროვნება დაესხა თავს!..

— ესე იგი, ამ დანაშაულში კილაძის მონაწილეობა გამოირიცხა!

— თავისთავად ცხადია. ის ჩემზე უკეთეს მონაწილეს ვერც კი იოცნებებდა. ბუნებრივია, მას არ შეეძლო ერთდოულად, თბილისსა და სამტრედიისში ყოფნა. ე.ი. პოლიციელებს სხვა პიროვნება დაესხა თავს. მაგრამ ეს პიროვნება საოცრად ჰგავს კილაძეს. აქედან დასკვნაც: კილაძეს არაფერი აკავშირებს დანაშაულებთან, რომლებშიც ის ეჭვმიტანილად განიხილებოდა!.. ბუნებრივია, რომ ეს გარემოებები შემდგომ ძიებაზე აისახა. მე გავაუქმე მისი ძეხვაში გამოცხადების დადგენილება, მაგრამ რადგანაც ის მიმალვამა, იძულების წესით მისი წარმოდგენის დადგენილება შევადგინე. ამჟამად ძიება მას მხოლოდ დაზარალებულისა და მოწმის სტატუსით განიხილავს.

— ლოგიკურია, — დაეთანხმა პროკურორი, — თურმე შეგძლება მუშაობა... მაგრამ რამდენად რეალურია ორი პიროვნების ასეთი მსგავსება? ზოგჯერ ტყუილსცალებიც კი არ ჰგვანან ერთ-

მანეთს. შენი ვერსიით კი ორ, ერთმანეთისთვის სრულიად უცხო პიროვნებასთან გვაქვს საქმე.

— მაგაზე ვერაფერს გეტყვით, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება.

— კარგი, დაგეთანხმები, მაგრამ იცოდეთ, რომ კილაძის გაქცევას მაინც არ გააპატიებ. წარმოიდგინე, რა მოხდებოდა, საგზაო პოლიციის თანამშრომლებს ის მანქანა რომ არ შეეჩერებინათ! კილაძე ეჭვმიტანილის სტატუსით დარჩებოდა საქმეში, შენ კი — იმ ბოთე გამომძიებლად, რომელმაც მას გაქცევის საშუალება მისცა!

— მაგაზე მეტად, სხვა რამ მახარებს.

— რა?

— ის, რომ კილაძეს ბრალდება მოეხსნა. თავიდანვე უცნაურად მეჩვენებოდა ეს საქმე. ვგრძნობდი, რომ მკვლელთან არ მქონდა საქმე, მაგრამ რა უნდა მომეხერხებინა იმ ამოცნობების შედეგებისთვის?! ახლა ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. დამტკიცდა, რომ მონაწილეები, შუბითიძე და პაპაშვილი სიმართლეს ამბობდნენ. ასევე დადასტურდა თავად კილაძის პოზიცია და საქმეში სხვა პიროვნება გამოიკვეთა.

— რა ვიცით ამ პიროვნების შესახებ? — ჰკითხა პროკურორმა.

— თუ მის გარეგნულ აღწერილობას არ ჩავთვლით, ჯერჯერობით — არაფერი.

— ცოტაა... ძალიან ცოტა!

— ცოტაა, მაგრამ პირობას გაძლევთ, რომ ვერსად წამივა. მაგ არაკაცმა იმდენი უსიამოვნება მოგვაყენა, რომ საჭირო თუ გახდა, ჯოჯოხეთშიც ჩავყვები და მაინც დავიჭერ!

— ეს მომავალში მოხდება, მაგრამ რაც შეიძლება სწრაფად უნდა იმუშაო. როგორც ჩანს, ძალიან საშიშ, თავზე ხელაღებულ მკვლელთან გვაქვს საქმე, რომელმაც უკვე 4 ადამიანი მოკლა!.. რაც შეეხება კილაძეს — რა იცი მისი ადგილსამყოფლის შესახებ?

— არაფერი, — თავი გაიქნია გიორგიმ.

— უსამართლოდ გამოგვდის. კაცი უბნის მკვლელობაში დავადანაშაულებ. პრაქტიკულად, ყველა გზა შევუკარით და გაქცევა ვაიძულეთ. არ მიკვირს, ასე რომ მოიქცა... მისი მდგომარეობაც მაფიქრებს: ცხელ გულზე რაიმე სისულელე არ ჩაიდინოს... როგორ აპირებ მის მოძებნას?

— ადვოკატის მეშვეობით. თუ წინააღმდეგი არ იქნებით, ადვოკატს დღესვე გადავცემ ბრალდების მოხსნის დადგენილებას. შემდეგ ის თავად დაუკავშირდება მის ნაცნობ-მეგობრებს, — უპასუხა გიორგიმ.





— შენ რას იტყვი? — პროკურორმა კოტეს გახედა.

— ვეთანხმები, — უპასუხა მან.

— მაშინ შეგიძლია, იმოქმედო. რაც შეეხება სავარაუდო ეჭვმიტანილს: უმნიშვნელო მონაცემიც რომ მოიპოვო, მაშინვე მაცნობე, — თქვა პროკურორმა და გიორგის, სისხლის სამართლის საქმე დაუბრუნა.

მოდველებული ავტობუსი რახრახით მიუყვებოდა გზას. ეს ერთადერთი შედარებით უსაფრთხო ტრანსპორტი იყო, რომლითაც თბილისიდან გამგზავრება შეიძლებოდა. სენაკში მატარებლითაც შეიძლებოდა ჩასვლა, მაგრამ რკინიგზას მკაცრად აკონტროლებდა პოლიცია. ეს კარგად ახსოვდა შარშანდელი მგზავრობიდან, როდესაც ბათუმში მატარებლით ჩასვლა გადაწყვიტა. მთელი მგზავრობის განმავლობაში, რამდენჯერმე შეუმონმეს საბუთები და ხელბარგიც გაუჩხრიკეს. რას აღარ იმიზეზებდნენ ამ დროს პოლიციელები?! ვინ საპასურო რეჟიმს, ვინ იარაღს დაეძებდა... ზოგი სპილენძსა და კონტრაბანდაზე იყო დაგეშილი... არც ხელბარგი ჰქონდა, არც იარაღი და არც კონტრაბანდა, მაგრამ მაინც ვერ გაბედა მატარებლით მგზავრობა. ირაკლიმ ხომ გააფრთხილა: გამომძიებელი ძებნაში გადაგცემს და პოლიციელებს ერიდე, შემთხვევით ვინმეს არ გადააწყდეო. ამიტომაც აუარა გვერდი რკინიგზის სადგურს და დიდუბეს მიაშურა, საიდანაც დასავლეთ საქართველოში მიმავალი ავტობუსები გადიოდნენ.

ვახტანგის მეგობარი, აკაკი ბებია, რომელიც დედამისმა საუბრისას ახსენა, ცოცხალი აღარ იყო. ის 2 წლის წინ გარდაიცვალა. გოგა თავად ახლდა მამას მის დაკრძალვაზე. აკაკის ყველაზე უკეთ შეეძლო მისი დაკვალვანიება. მას შემდეგ 25 წელი იყო გასული, მაგრამ განა ხშირად ხდება ადამიანის ცხოვრებაში ასეთი რამ?! მას არ უნდა დავიწყებოდა ის დღე, როდესაც თავის მეგობარს ჩვილის აყვანაში დაეხმარა. ასევე ემახსოვრებოდა ის ექიმიც, რომელმაც გამწვინების მსურველი ოჯახი გამოიწვია. მაგრამ აკაკი ცოცხალი აღარ იყო და გოგას მხოლოდ ერთი გზა რჩებოდა — სენაკში უნდა ეცადა ბედი და თვითონ მოეძებნა ექიმი, რომლის არც ვინაობა იცოდა და არც საცხოვრებელი მისამართი.

„ისიც რომ არ დამხედეს ცოცხალი? — უსიამოვნო ფიქრი მოეძალა გოგას. — 25 წელი ცოტა დრო არ არის. იმ პერიოდში სამშობიაროს მთავარი ექიმი ყოფილა. ასეთ თანამდებობაზე კი 20 წლის ბიჭს არავინ დანიშნავდა. დაახლოებით 35 წლის მაინც უნდა ყოფილიყო. თუ ასეა, ახლა

70-ის უნდა იყოს. მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს ასაკს?! ზოგი 40-ის კვდება, ზოგიც — საუკუნეს „ახურდავებს“... არა, ცოცხალი იქნება. ასე რომ არ იყოს, ძალიან გამიძნელებდა იმ არაკაცის მოძებნა... მაინც მოვძებნი, მაგრამ — როდის და რა ფასად?..“

— ბრაზილიის დედაქალაქი... მასო, — ჩაესმა მოულოდნელად.

გოგა ფიქრს მოსწყდა და გვერდით გაიხედა. მისი მეზობელი მამაკაცი კროსვორდით იტყვევდა თავს.

— არ იცი? — მოლოდინით შეხედა მეზობელმა.

— ბრაზილია, — უპასუხა გოგამ.

— არა, ქვეყანა კი არა, დედაქალაქი მაინტერესებს.

— ბრაზილია, — გაიმეორა გოგამ.

— ჩადის!.. — კეფა მოიქექა მამაკაცმა. — მაგრამ როგორ შეიძლება, დედაქალაქს ქვეყნის სახელი ერქვას?!

— ეგრეა, ბრაზილია ჰქვია, — დაუდასტურა გოგამ.

— იქნებ, ესეც იცი?.. ჯუჯა სახელმწიფო ევროპაში... 6 ასო...

— ანდორა.

— ჩადის! — გაიხარა მამაკაცმა. — ვაა, მგარია! გეოგრაფი ხარ?

— არა, ექიმი.

— მაშინ, ესეც უნდა იცოდე, — მამაკაცმა სწრაფად ჩახედა კროსვორდს, — რა აქვს საერთო ადამიანის ყურსა და მოლუსკს?

— ნიჟარა...

— ვაა, შენ რა მაგარი ყოფილხარ!.. — კაცმა კროსვორდი ჩანთაში ჩაჭმუჭნა. — გავიცნოთ ერთმანეთი. მე მურთაზი მქვია.

— გოგა.

— სენაკელი ხარ?

— არა, თბილისელი.

— ჰოო... სენაკელი რომ ყოფილიყავი, აუცილებლად მეცოდინებოდი. 15 წელი მილიციაში ვიმუშავე. ახლა პოლიციელი გახვდით... მოკლედ, მილიციაა თუ პოლიცია, მთელ სენაკს მაინც ვიცნობ!

პოლიციის ხსენებაზე გოგა შეკრთა, მაგრამ მის თანამოსაუბრეს არაფერი შეუმჩნევია. ისევ ხალისით განაგრძო ლაპარაკი:

— მთელი ცხოვრება სენაკში გავატარე. მიყვარს ეს ქალაქი და რა ვქნა, მაგრამ ისეთი დრო დადგა, მშობლიურ ქალაქშიც ვეღარ გავჩერდი. რა ხდება, ვეღარ გამიგია. სალამოს ერთი მთავრობაა ქალაქში... ლამით ატყდება სროლა... გათენდება და რას ხედავ?! მთავრობა გაქცეულა და ახლა სხვები იბრალებენ პრეფექტობა-გამგებლობას. მევე გავა ცოტა ხანი, ლამით ისევ ატყდება სროლა და დილით სხვა ხალხი აცხადებს საკუთარ თავს

მთავრობად. აღარც მასხოვს, რამდენჯერ შეცვალეს ერთმანეთი. ხან ჯაბას „მხედრიონი“ იყო მთავრობა, ხან ქობალიას ხალხი. აბა, როგორ უნდა მემუშავა პოლიციაში?! „სმერტნიკი“ ხომ არა ვარ. ან „მხედრიონი“ მომიღებდა ბოლოს, ან ქობალიას ხალხი. ქართველებს კიდევ უთქვამთ: გინდ, მგელს შევეუჭამივარ და გინდ მგლისფერ ტურასო!.. ჰოდა, მეც მოკვიდე ხელი ჩემს ოჯახობას და თბილისში გადავბარგდი. მართალია, აქ უკეთესი სამუშაო მქონდა... „ტეკუ“ ვიდექი... თბილისში კი ვინ მიგასუნინებს „გაიში“?! არასაუნყებოში გამოიშვეს. მაგრამ მაინც კმაყოფილი ვარ. თბილისში არავინ მიცნობს და მტრადაც არავინ მომეკიდება. სენაკში კი გასაქანს არ მომცემდნენ: მთავრობა შარს მომდებდა: პოლიციელი თუ ხარ, მაგ ბანდებს უნდა ეომოო!.. — აქაურები კი „მხედრიონის“ მომხრედ გამოცხადებდნენ და ყველაზე ცოტა, სახლ-კარს მაინც გადაიბუგავდნენ.

— ახლა არ გეშინია სენაკში ჩასვლის? — ჰკითხა გოგამ.

— რატომ უნდა მეშინოდეს? — გაიკვირვა მამაკაცმა. — სენაკში ვერავინ იტყვის, მურთაზ ქაჯაია რამეში ჩაიჭრაო. თანაც, ჩამოსვლელობაც არ გამოვა. მოხუცი დედ-მამა მყავს. ორი „კაპიკი“ თუ არ მივანოდე, შიშმილით დამეხოცებიან...

ამასობაში ავტობუსი რიკოთის უღელტეხილზე ავიდა და მომცრო სამწვადესთან შედგა.

— ნახევარი საათით ვჩერდებით, — გააფრთხილა მძღოლმა მგზავრები, — საქმელი ჭამეთ, ტუალეტში წადით, გაიარ-გამოიარეთ... მოკლედ, თქვენი საქმისა თქვენ იცით. იცოდეთ — სენაკამდე აღარ გავჩერდები!

— ჩავიდეთ, თითო კათხა ლუდი გადავკრათ, — მაშინვე წამოდგა მურთაზი.

პირველ კათხას მეორე მოჰყვა...

— ას-ასი გრამიც ხომ არ ჩაუფინოთ? — თვალის ჩაკვრით შესთავაზა მურთაზმა.

— ცხელა, მოგვთენთავს, — უპასუხა გოგამ.

— მევე რა?! ეს ავტობუსი მაინც აკვანივით გვარწევს. მივწვეთ და დავიძინოთ. სენაკში გამოძინებულები მაინც ჩავალთ.

— კარგი, — დაეთანხმა გოგა და ოფიციალტს ხელით ანიშნა: აქ მოდიო.

არაყმა და ლუდმა სწრაფად დაიძრკმედა. ავტობუსი ადგილიდან ამიძრა თუ არა, მურთაზს კისერი მოსწყდა და მალე გაბმული სვრინვა ამოუშვა. გოგამ უფრო მეტხანს გაძლო. არ ეგონა, თუ ასეთ ჯანჯღარში დაძინებას შეძლებდა, თან, ფიქრიც არ აძლევდა მოსვენებას... მაგრამ ცოტა ხანში მაინც დაეხუჭა თვალები...



რწევა დიდხანს არ გაგრძელდება. გოგამ ძილში იგრძნო, როგორ შეანელა სვლა ავტობუსმა და მალე გაჩერდა კიდეც.

— რა ხდება, რატომ გაჩერდით? — ახმაურდნენ მგზავრები.

— დანყნარდით, პოლიციაა. ავტობუსს დაათვალიერებენ და გაგვიშვებენ, — მათ დასამშვიდებლად თქვა მძღოლმა.

„პოლიცია!“ — ელვასავით დაჰკრა გოგას და თვალები გაახილა.

პირველი, რაც დაინახა, 2 პოლიციელი იყო. ავტობუსის სალონში შემოსულები, ყურადღებით ათვალიერებდნენ მგზავრებს. მერე ერთ-ერთი, ავტობუსის ბოლოსკენ დაიძრა, მეორე მძღოლს მიუბრუნდა. რამდენიმე წამში კი...

მგზავრები ვერც კი მიხვდნენ, თუ რა ხდებოდა მათ თავს, ყველაფერი ელვის სისწრაფით მოხდა: სალონის ბოლოში მყოფმა პოლიციელმა მოულოდნელად, ავტომატი შემართა, ჯერი იმ წერი დაცხრილა და ხმაძალდა დაიყვირა:

— არ გაინძრეთ, ნაბიჭვრებო! ვინც ხმას ამოიღებს, ადგილზე გაგაცივებ!..

მეორე პოლიციელმა მძღოლს პისტოლეტის ლულა კეფაზე მიაბჯინა და ავტობუსის დაძვრა უბრძანა.

სროლის ხმამ მურთაზი გამოაფხიზლა. შეშინებულმა, თვალები დააჭყიტა, გოგას გვერდზე აეკრა და ჰკითხა, რა მოხდაო?

— გვაყაჩაღებენ!

— აუჰ... დამერხა! — აკანკალდა მურთაზი და ხელი ჯიბისკენ წაიღო.

— ხელები!.. რას ჩალიჩობ მანდე?! — გაშმაგებულმა იყვირა ერთ-ერთმა ყაჩაღმა.

— არაფერს... ჯიბეში ვალიდოლი მიდევს, — ამოიკნავლა მურთაზმა.

— არ გაინძრე, თორემ ტყვიას მიიღებ შუბლში! — გააფრთხილა ყაჩაღმა და თავისი სიტყვების დასადასტურებლად, ავტომატის ლულა მიუშვირა.

— არაფერს... ჰო... გავიგე, — სწრაფად უპასუხა მურთაზმა და ორივე ხელი წინა სავარძლის საზურგეზე ჩამოადო.

— იარაღი ხომ არა გაქვს? — ფრთხილად გადაულაპარაკა გოგამ, როგორც კი ყაჩაღმა გვერდით გაიხედა.

— არა... მაგის გულისთვის არავის მოვაკვლევინებ თავს. დედ-მამისთვის დასატოვებელი ფული მაქვს და პირადობის მონშობა, — ჩურჩულითვე უპასუხა მურთაზმა. — ამას წინათ ყაჩაღებმა ერთი თანამშრომელი მოკლეს — გაჩხრიკეს, პირადობის მონშობა უპოვეს და იმიტომ მოკლეს: შენი ძალი დედაცო!.. შეიძლება, სულაც ესენი იყვნენ. თუ გამჩხრიკეს, დავიღუპე — ცოცხალს არ დამტოვებენ!..



ორიოდე კილომეტრის გავლის შემდეგ ყაჩაღებმა მძღოლს გზატკეცილიდან გადახვევა უბრძანეს. მალე ავტობუსი ტყეში შევიდა. იქ ნანახმა სურათმა გოგას კინოფილმ „დათა თუთაშისა“ ერთ-ერთი სცენა მოაგონა — სცენა, რომელშიც რაჟა სარჩიმელის ბანდა ყველა გამველეს ძარცვავს და ვიდრე საქმეს არ მოამთავრებს, არავის აძლევს გზის გაგრძელების საშუალებას...

ტყის განაკვეთში ერთი ავტობუსი და ორი მიკროავტობუსი იდგა. მანქანების სიხლოვეს, მიწაზე ოცდაათამდე ადამიანი იჯდა. მათ ათამდე შეიარაღებული ნიღბოსანი წამოსდგომოდა თავს.

როგორც კი ავტობუსი გაჩერდა, ნიღბოსნების ნაწილი ხორხოცით შევარდა სალონში.

— ახლა სათითაოდ ჩახვალთ, თან ჯიბეებს ამოიბრუნებთ და „ოქროებს“ შეიხსნით. ვინც მაყუთის ან ოქროს დამალვას გაბედავს, ტყვია არ ასცდება!.. — გაისმა ბრძანება. — აბა, დროზე, გაინძერით!

ავტობუსში 5 თუ 6 მგზავრი რჩებოდა, როდესაც ერთ-ერთი ნიღბოსანი გოგას მიუახლოვდა... ყურადღებით შეათვალიერა, მერე სწრაფად გაბრუნდა და თავის თანამზრახველს რალაც ჩასურჩულა. მან პასუხად თავი დაუქნია, გოგასკენ წამოვიდა და უბრძანა: ადგილზე დარჩიო.

კილაძე ვერ მიხვდა, რატომ გამოარჩიეს ყაჩაღებმა, მაგრამ მაინც დაემორჩილა. ამასობაში კი ავტობუსიდან ყველა მგზავრი ჩავიდა.

— თბილისელი ხარ? — ჰკითხა ყაჩაღმა.

— თბილისელი ვარ.

— გოგა გქვია და „არამიანცში“

ექიმად მუშაობ?

— ჰო.

— ეს ვინაა? — მურთაზზე მიანიშნა ნიღბოსანმა.

— თანამშრომლები ვართ. ერთად ვმუშაობთ „არამიანცში“, — მშვიდად იცრუა გოგამ.

— კარგი... თქვენ აქ დარჩით. არავინ შეგეხებათ, — თქვა ნიღბოსანმა და მაშინვე უკან გაბრუნდა.

ამასობაში, ძარცვა-რბევა სწრაფად დამთავრდა. ნიღბოსნებმა მგზავრებს ჯიბეები ამოუტყაროვდნენ. მერე ხელბარგს მისდგნენ. ერთი ჩანთაც არ დატოვეს გაუსხნელი. მგზავრების ნივთებიდან რაც მოეწონათ, ერთ-ერთ მიკროავტობუსში ჩაალაგეს, რაც არა, აქეთ-იქით მიმოფანტეს. დასასრულს ავტობუსს საბურავები ტყვიებით დაუცხრილეს, მიკროავტობუსში ჩასხდნენ და გაუჩინარდნენ.

— გადავჩრით, — შვეებით ამოისუნთქა მურთაზმა, — რას ნიშნავდა ნეტავ ეს? რატომ გამოგარჩიეს ამდენ ხალხში?

— ხომ გაიგე, სამუშაო ადგილი მკითხა. შეიძლება, მისთვის ან მისი ახლობლისთვის ოპერაცია მაქვს გაკეთებული.

— ჰოდა, შენს ოქროს ხელებს ვენაცვალე, რომელმაც ის ვილაც გადაარჩინა!.. ეგ რომ არა, ნალდად მიმბრიდავდნენ. ხომ ნახე, როგორ ჩხრეკდნენ ხალხს! პირადობის მონშობას მიპოვიდნენ და მერე ველ-არაფერი გადაამარჩინდა!.. ოქრო ხარ, ოქრო!.. და იცოდე, რომ ქაჯაიებს ვალში დარჩენა არ სჩვევიათ! — თქვა მურთაზმა და მხარზე მეგობრულად დაჰკრა ხელი.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



სახიფათო თამაში

მარი ჯაფარიძე

— ძვირფასო, ძალიან მინდა, დავრჩე. ხომ იცი, შენთან ყოფნა მეც ყველაფერს მირჩევნია... მაგრამ...

„ამჯერად რა საბაბი აქვს?“ — ლელა ცდილობდა, გამოეცნო მამაკაცის ფიქრი, მაგრამ რაც უნდა ეთქვა მას, ლელას უკვე ყველა ვარიანტი მოსმენილი ჰქონდა.

ცოლიან მამაკაცთან ხუთწლიანი ურთიერთობის შემდეგ, მისი „რეპერტუარი“ ზეპირად იცოდა.

„ცოლს მალაზიებში უნდა გავყვე“, „დღეს ხელოსანი უნდა მოვიდეს და კარადის შეკვეთა უნდა მივცეთ“, „ბავშვი ცეკვიდან უნდა წამოვიყვანო“, „ესმა დეიდა ჩამოდის და მატარებელს უნდა დავხვდე“...

ბოლო მიზეზი ყველაზე სასაცილო იყო, რაც ლელას მოუსმენია და ამის გახსენებაზე ყოველთვის ეცილებოდა... თან სიმწრისგან კბილებს აღრჭიალებდა.

ჯერ კიდევ მათი ურთიერთობის დასაწყისში, როდესაც წყვილი ქალაქგარეთ სასეირნოდ იყო, დათამ, როგორც ყველა ცოლიან მამაკაცს სჩვევია, ქალს საიდუმლოდ გაუხილა, რომ სულ მარტო იყო... ბავშვობაშიც მართლად გრძნობდა თავს.

— და-ძმა არ მყავდა, დეიდები და ბიძებიც კი... ხანდახან ძალიან მინდოდა, დიდ ოჯახში მეცხოვრა, — სევდიანად უამბობდა ის, — ახალი წლის დღეებში კი ვგრძნობდი...

დროთა განმავლობაში ლელამ ვერ გაიგო, რას გრძნობდა დათა ახალი წლის დღეებში... ის რაღაცას ამბობდა მანდარინის, ბაბუის, ვაშლის ხეების შესახებ... ეს ყველაფერი ქალს უაზრობად მოეჩვენა და მესხიერებიდან ამიტომ ამოიშალა.

ლელამ დათას შეცდომის გამოსწორების საშუალება მისცა...

— ხომ არ სჯობია, რომ ესმა დეიდას შენი ცოლი დახვდეს? ბოლოს და ბოლოს, მასაც ჰყავს მანქანა და თანაც, ის მისი დეიდაა და არა — შენი.

— არა, არა, საიდან მოიტანე? ესმა ჩემი დეიდაა და ბავშვობაში ძალიან ვუყვარდი. ვალდებული ვარ, დავხვდე. მართალია, ძალიან მეზარება, მაგრამ ეს მე უნდა გავაკეთო. ხომ გესმის?

ლელა მიხვდა, რომ ფრთხილად უნდა ყოფილიყო. საკმარისი იყო, დათა ერთხელ ემხილებინა ტყუილში და მათი ურთიერთობა საფრთხის წინაშე აღმოჩნდებოდა. ამას შესაძლოა, მათი სამუდამო განშორება მოჰყოლოდა. მამაკაცმა თავიდანვე მიახვედრა, რომ ეჭვი და საკუთრების შეგრძნება მათ ურთიერთობას არ წაადგებოდა და ეს მხოლოდ ცოლის პრეროგატივას წარმოადგენდა. ამის შემდეგ ქალმა გადანყვიტა,

თავისი ყველა ნაბიჯი, ნათქვამი გაეკონტროლებინა. ამიტომ თავი მოიხსულელა, შავი თმა უკან გადაიყარა და ჩუმად უსმენდა... დათა კი სულ უფრო და უფრო იხლართებოდა ტყუილის აბლაბუდაში.

ტყუილი მხოლოდ დეიდის დახვედრით არ დასრულებულა... ის რამდენიმე კვირის განმავლობაში გრძელდებოდა, ვინაიდან ამ ქალბატონის სტუმრობა სწორედ ამ ხნის განმავლობაში გრძელდებოდა და როგორც დათა ამბობდა, ყურადღება სჭირდებოდა. ესმა დეიდა სასეირნოდ სწორედ იმ საღამოს წაიყვანა, როდესაც ლელასთან უნდა მისულიყო. დეიდა ავადაც სწორედ მაშინ გახდა, როცა დათა და ლელა ქალაქგარეთ წასვლას აპირებდნენ... როდესაც ლელა გაცივდა და სიცხიანი ინვა, სხვის დაუხმარებლად უვლიდა თავს, რადგან სწორედ იმ დღეებში ესმა დეიდა რამდენიმე დღით ნათესავის სანახავად, დათამ რაიონში წაიყვანა.

ამასობაში 1 წელი გავიდა. ერთ დღეს, საქმეებით გადატვირთული დათა ლელას ხანმოკლე ვიზიტით ეწვია და ქალმა სწორედ მაშინ მორიდებით შეჰპბედა, დეიდის შესახებ რაღაც ეკითხა.

— ესმა დეიდასი რა ისმის?

— ესმა დეიდა ვინაა? — გულუბრყვილოდ იკითხა დათამ.

ლელამ საოცარი სიამოვნება განიცადა ამ სიტყვების მოსმენისას... ასეთ სიამოვნებას ის დათას ალერსის დროსაც კი არ განიცდიდა, ხანდახან... ქალს სურდა, ეთქვა — „უი, მამაკაცი, ალბათ შემეშალა“, — მაგრამ გადაიფიქრა.

— ის დეიდა, შარშან მთელი ზამთარი შენთან რომ იყო... — მხოლოდ ეს თქვა.

დათას სახეზე შფოთი, შიში და დანაშაულის გრძნობა გამოესახა... მესხიერება დაძაბა და როგორც იქნა, გონს მოეკო.

როგორ შეიძლება, დაავინყდეს საყვარელი, ძვირფასი, მოხუცი დეიდა?! ლელა ალბათ სწორედ მას გულისხმობდა, მაგრამ ის მისი დეიდა სულაც არ იყო; ის ცოლის ნათესავია, რომელსაც „დეიდას“ ბავშვები ეძახიან.

ბუნებრივია, ლელა ყველაფერს მიხვდა და ღიმილით გაათავისუფლა დათა ხაფანგიდან... ამასთან, ახალი გეგმები დაანყო... ერთი წლის შემდეგ ასევე მშვიდად ჰკითხავდა ცოლის ნათესავის შესახებ, რომელსაც ბავშვები „დეიდას“ ეძახიან...

მისი დანაშაული — აი, რა იყო მთავარი! თანაც, ლელას ეს უკვე ახლისებდა კიდევ. კითხვებს, რომლითაც ის კაცს ტყუილში ამხელდა, პირდაპირ არ სვამდა, ემბაკურად, შორიდან მოუვლიდა ხოლმე...

ეს სახიფათო თამაში იყო და როგორც ყველა სახიფათო თამაში, ისიც მოქნილობასა და ემბაკობას, ლოგიკასა და შედეგის წინასწარ გათვლას საჭიროებდა. ცოტა ზედმეტად თუ მიიმყვდევდა კუთხეში, უეჭველად იჩხუბებდნენ. თუ არა და, მაშინ, როგორც მამაკაცს უნდოდა, ისე მოიქცეოდა და რამდენიმე დღის განმავლობაში არც კი დაურეკავდა. მერე, ახალი მთვარესავით გამოჩნდებოდა, მომხიბვლელი ღიმილით, თითქოს არაფერი მომხდარიყო.

ლელა თამაშმა ჩაითრია. ყოველთვის ზუსტად „ისროდა“ და მიზანში ურტყამდა. მამაკაცი რამდენიმე თვის წინ დაემუქრა, მიგატოვებ, თუ ჯამუშობას არ მოეშვები!.. არადა, „ჯამუშობა“ გაზვიადებულად ნათქვამი იყო: ლელამ ხომ მხოლოდ საქმიანი შესვენების მიმართ ინტერესი გამოხატა და მეტი არაფერი. ამ შესვენებას დათამ წინა კვირის დასვენების დღეები შესწირა.

— ის არაბი ბიზნესმენი შესვენებას არ ესწრებოდა, არა? ამის შესახებ გაზეთში წავიკითხე, — ჰკითხა მამაკაცი.

ამის გაგონებაზე დათა ნადირივით ეკვეთა ლელას. ქალი კი ამის გამო ისე გაბრაზდა, რომ ვეღარ უკვირდებოდა, თუ რას აკეთებდა და ლაპარაკობდა.

ლელას ცრემლების საბაზუხოდ, დათამ კარი გაიჯახუნა, გასვლამდე კი მიაძახა, — ჩემი ფეხი აღარ იქნება შენს სახლში!

ლელას დიდი ნერვების ფასად დაუჯდა მამაკაცის შემორიგება... წერილი დაწერა და ელფოსტაზე გაუგზავნა. „ახლა, როცა ამას კითხულობ, მე უკვე ცოცხალი აღარ ვარ“... ასე იწყებოდა წერილი. როგორც ჩანს, ეს გზავნილი ადრესატამდე მალე მივიდა, რადგან რამდენიმე საათის შემდეგ, როგორც იქნა, ქალმა კიბზე ნაცნობი ნაბიჯების ხმა გაიგონა...

თაროზე შემოდებულ წამლის შუშას ხელი წამოავლო და მთელი მუჭი აბები პირში გადაუტახა.

მამაკაცი გიჟივით შემოვარდა ოთახში და დივანზე უღონოდ მიწოლილ ლელას მივარდა...

როდესაც საავადმყოფოში ქალს აკითხავდა, დათა ისევ ისეთი გულისხმიერი იყო, როგორიც წინათ...

როგორც იქნა, ქალი საღ-საღამათი შინ გამოწერეს. დათა უამრავ საჩუქარს უძღვნიდა, ყოველდღე ურეკავდა და ამით საკუთარი საქციელის მონანიებას ცდილობდა...

ასე გაგრძელდა მანამ, ვიდრე დათას ეს ყველაფერი არ მოჰპებურდა. ჯერ მოინყინა, შემდეგ გაღიზიანება დატყყო და ბოლოს, კამათის დროს აღარც ინდობდა ქალს.

— ეს შანტაჟია! — ამბობდა დათა ყოველი შელაპარაკებისას, როცა ლელა იმის გაკეთებას აიძულებდა, რაც მას არ სურდა.

ბოლოს ქალი მიხვდა, მამაკაცის შე-



ნარჩუნების ერთადერთი გზა ის იყო, რომ მასთან აღარ უნდა ეკამათა, მომთმენი და დამთმობი ყოფილიყო. მოკლედ რომ ვთქვათ, მამაკაცისთვის, ნებისმიერი ცუდი საქციელის შემდეგ წყლიდან მშრალად ამოსვლის საშუალება უნდა მიეცა.

სწორედ ამიტომ იყო, რომ ზაფხულის ამ მშვენიერ საღამოს ლელა ღიმილით ისმენდა იმას, რასაც დათა ეუბნებოდა...

მაგრამ საინტერესოა, რას იტყოდა ახლა?.. რა მიზეზს დაასახელებდა, რომლის გამოც მასთან ვერ რჩებოდა?

— ხომ გესმის, ჩემო კარგო, მე ოჯახი მაქვს... ჩემს შვილს ხვალ სასკოლო ოლიმპიადა ეწყება... ვიცი, დარწმუნებული ვარ, რომ ის აუცილებლად გაიმარჯვებს. ოლიმპიადას მეც უნდა დავესწრო. მასწავლებელი ამბობს, რომ ის ყველაზე საუკეთესოა და ყველას დაჯაბზნის...

მამაკაცის თვალებში ნაპერწკალი გაჩნდა. ასეთი რამ ლელას ადრე არ შეუნიშნავს. რამდენიმე წუთის განმავლობაში ცდილობდა, წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ამ ჭკვიანი ბავშვის დედა, რომ დათასთან ერთად გაეზიარებინა ეს საიამაყის გრძნობა.

დათას გაბრწყინებული სახის დანახვისას ლელამ იგრძნო, თუ როგორ ჩამოწვა მის გარშემო სიბნელე. ეს საშინელი სიბნელე ურჩხულივით აწვებოდა და მეტყველების უნარს აკარგვინებდა.

— ამ ოლიმპიადას მილიონის ფასადაც კი არ გამოვაკლდები, — ჩამონოლილ სიბნელეში მამაკაცის ხმა შორიდან ჩაესმა, — ამაყი ვიქნები, როცა ჩემს შვილს გამარჯვებულად გამოაცხადებენ. ის ხომ ჯერ 9 წლისაა! თავისზე უფროს ბავშვებს უნდა შეეჯიბროს!

ლელას ერჩივნა, ისევ ტყუილი მოესმინა... მას ვერც კი წარმოედგინა, რომ ამ მატყუარა ბავით ნათქვამი სიმართლე ასეთი მწარე იქნებოდა...

სკოლის ჭიშკარი ბოლომდე გაეღო. ეზოში უამრავი ადამიანი ირეოდა — დედები, მამები, და-ძმები, დეიდები, მამიდები... ვინ შენიშნავდა მას ამდენ ხალხში?

მამები შედარებით ცოტანი იყვნენ. ლელას მამაკაციდან მამაკაცზე გადაჰქონდა მზერა. დათა სადღაც, აქვე უნდა ყოფილიყო. ქალი შიშობდა, იმას უფრო ადრე არ შეენიშნა. თუმცა ამის რისკი ნაკლებად არსებობდა, რადგან

ლელას სწორედ ისეთი უპირატესობა ჰქონდა, როგორც მონადირეს — მსხვერპლთან შედარებით: ქალმა იცოდა, ვისაც ეძებდა და ისიც იცოდა, რას გააკეთებდა, როცა მას დაინახავდა. მამაკაცს კი წარმოდგენაც არ ჰქონდა, ქალი აქ თუ იქნებოდა.

ლელა ხეს ამოეფარა და ვინაიდან

თავი სამშვიდობოს დაიგულა, შვებით ამოისუნთქა.

სკოლის დირექტორმა ყველა თავისკენ მიიხმო. ხალხი დაიძრა. ლელაც მათ მიჰყვა. როდესაც ერთ-ერთ რიგში სკამზე ჩამოჯდა, უფრო გათამამდა და იქაურობას თვალი მოავლო.

ფიზკულტურის მასწავლებელი მეგაფონით დადიოდა და ოლიმპიადის წესებს აცხადებდა... დათა არა და არ ჩანდა. გამოდის, რომ ისევ მოატყუა და ბავშვის ოლიმპიადით ისარგებლა, მიუხედავად მამობრივი სიამაყისა... დეგენერატი! ნამდვილ დეგენერატი!

„მე შენ დაგელაპარაკები, როგორც საჭიროა, დათა! გასწავლი, როგორ უნდა ტყუილების თქმა და როგორ უნდა ჩემი გასულელება! გგონია, ისევ დაიძვრენ თავს?!“

მზე აცხუნებდა... ლელას ოფლმა თმაც კი დაუსველა... ის იყო, მოთმინების ძაფი გაუწყდა, რომ გაიგონა, როგორ გამოაცხადეს დათას შვილი, რომელიც პირველ ადგილზე გასულიყო.

— დედა, დედა, გაიმარჯვა! — გაიგონა გოგონას ხმა და თავი იქითკენ მიაბრუნა. დათას გოგონა და დედამისი რამდენიმე მეტრის მოშორებით ისხდნენ.

— მამა ხომ ამბობდა, აუცილებლად გაიმარჯვებო! — აღტაცებას ვერ ფარავდა გოგონა.

— ჩუმად, ნუ ყვირი, დაჯექი! — პუტყუნა, სიმპათიური ქალი გოგონას

ღირს?! ვისთანაა ახლა დათა? ქალს ეჭვის ჭია ღრღნიდა.

ლელას მზერა დედა-შვილს გადასწვდა. ორივეს სახეზე ბედნიერი ღიმილი დასთანამშობდა.

„რა უფლება აქვთ, ასეთი ბედნიერები იყვნენ?! წუთუ არ იციან, რომ მათი ბედნიერების საფუძველი არ არსებობს?! მათი ოჯახური ბედნიერების საძირკველი დამპალია და ტყუილსა და სიცრუეზე დგას!..“ ლელას გულისრევის შეგრძნება დაეფულა... ადგა და რიგებს შორის გზის გაკვალვა დაიწყო.

— აქ დამელოდ, შენს ძმას მოვიყვან და მოვალ, — მოესმა ამ დროს. გოგონა მარტო დარჩა.

ლელამ შეცრად მიიღო გადანყვეტილება და ბავშვს მიუახლოვდა.

— იცი, მამაშენი აქ რატომ არ არის? — აღერსიანად ჰკითხა გოგონას. — იმიტომ, რომ მას საყვარელი ჰყავს, სხვა ქალი უყვარს, ეს ქალი კი მე ვარ და მალე მამიკოს წაგართმევ...

ბავშვი უაზრო თვალებით უყურებდა...

ლელა მიბრუნდა და ჩქარი ნაბიჯით გასასვლელისკენ წავიდა. მას კმაყოფილების გრძნობა დაუფლებოდა. კმაყოფილებისგან მამინ გაელიმა, როდესაც მის ყურს გოგონას ბლავილის ხმა მისწვდა. იქაურობა უკანმოუხედავად დატოვა.

ლამის 10 საათი ხდებოდა, როდესაც



კაბის კალთაზე ექაჩებოდა. — მამაშენს ვეტყვი და დაგსჯის!

„მამამ თქვა, მამას ვეტყვი...“ სადაა მამა? ვინ იცის, ახლა სად ბრძანდება? „ამ ოლიმპიადას მილიონის გამოც არ გამოვაკლდები...“

კი, მაგრამ ვინაა ისეთი, ვინც მილიონსა და შვილის გამარჯვებაზე მეტი

საც კიბეზე ნაცნობი ნაბიჯების ხმა მოესმა. აღარც კი იცოდა, ელოდა თუ არა ამ ხმის გაგონებას.

რასაკვირველია, დათა გაბრაზებულ იქნება, მაგრამ ალბათ შევით ამ-მოისუნთქა კიდევ: 5 წელი ასეთი საიდუმლოს შენახვა იოლი ხომ არაა?!

გაგრძელება იხ. გვ. 82



აქსარული ოცნებები

სპეციალური კვარტალი

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით

gza.fantazia@gmail.com

დასაწყისი იხ. „გზა“ №38-43

— აი, აქ ვცხოვრობ, — თქვა ნინიმ და კარი გააღო, — ყავა გინდა?
გოგონა ცოტათი ნერვიულობდა.
— შენ იცი, მე რაც მინდა, — მსუბუქად წარმოთქვა თორნიკემ და ისე შეხედა, მზერით გაამიშვლა.
— რა? — ვითომ ვერ მიუხედა ნინი, თვალი აარიდა მამაკაცს.
— კარგი, რა... გეყოფა გულუბრყვი-

ლოს თამაში, ჩვენ უკვე ერთად ვართ, ვერ ხედავ?
— თორნი... რამდენი თვეა, ერთმანეთი არ გვინახავს, ასე არ შეიძლება... ჯერ უნდა შეგეჩვიო, ფაქტობრივად, თავიდან უნდა გავიცნოთ ერთმანეთი...
— ამის მოხერხება საწოლშიც შეიძლება, საყვარელო. შეჩვევის უკეთესი საშუალებაა ჯერ მსოფლიოში არ მოუგონიათ, — თორნიკემ ხელი წელზე მოხვია და თავისკენ მიიზიდა,
— გაიხადე, მინდა შეგხედო და დაგინახო ისეთი, როგორიც ხარ, — ჩურჩულებდა მამაკაცი, თან კაბის ღილებს ერთმანეთის მიყოლებით ხსნიდა.
— მოიცა... რას აკეთებ...
— მეტი რაღა მოვიცადო? რაც გაგიცანი, მას შემდეგ შენს ლოდინში ვარ. კიდევ რამდენ ხანს ვიცადო? მოსახდენი დღეს უნდა მოხდეს, სიხარულო, მეტი აღარ შემიძლია!
— არა! — სასონარკვეთილი ხმით ამოთქვა ნინიმ და წინააღმდეგობის განევას შეეცადა.
ამ დროს კარზე კაკუნი გაისმა.
„ახლა რომ გიო მოვიდეს!“
— გაუელვა თავში გოგონას და მამაკაცს სწრაფად გამოორდა, თან აცახცახებული თითებით ღილების შეკვრას შეუდგა.
— ნინ, ყველაფერი რიგზეა?
— გაისმა ლელას ხმა, — შეიძლება შემოვიდე?
— ერთი წუთით, ახლავე!
— გოგონა კარისკენ გაემართა, — აჯობებს, სააბაზანოში დაიმალო, — თან ხმადაბლა გადაულაპარაკა თორნიკეს.
— დროზე მოიშორე თავიდან ეგ ქალი, რა, — გალიზიანდა მამაკაცი და ბუზღუნით შეიკეტა სააბაზანოში.
ნინიმ კარი გააღო.
— ხომ კარგად ხარ? ჩაპამ ყვეფით აიკლო აქაურობა. უცხო დანახვაზე იცის ხოლმე ასე. მარტო ხარ? — თქვა ქალმა და ეჭვის თვალით მოათვალიერა ოთახი.
— ჰო, რა თქმა უნდა...
— რა გჭირს, როგორი წითელი ხარ... სიცხე ხომ არ გაქვს?
— არა, ყველაფერი რიგზეა, კარგად ვარ.
— თუ რამეა, აქ ვარ, იცოდე, დამირეკე და მაშინვე შენთან გაეჩნდები! — ორაზროვნად უთხრა დიასახლისმა მდგმურს და უცნაური ღიმილით გაიხურა კარი.
— რა უნდოდა მაგ ჯადოქარს? — შუბლშეკრული თორნიკე საწოლზე ჩამოჯდა.
— მგონი, იცის, აქ რომ ხარ. არ უთქ-

ვამს, მაგრამ მიმანიშნა.
— ასეც ვიცოდი! ახლა ამის თვალთვალა გვაკლდა! შენ მართალი ხარ, ჩვენ ეს ბინა შეხვედრებისთვის არ გამოგადგება. სასწრაფოდ სხვა უნდა ვეძებოთ, უფრო მყუდრო და თვალს მოფარებული. იქნებ რომელიმე ძმაკაცს დაველაპარაკო.
— ძმაკაცს? — ვერ მიუხედა ნინი.
— ჰო, რამდენიმეს აქვს თავისი პატარა ბუნაგი სასიყვარულო შეხვედრებისთვის. დროებით შევუბნებოდი რომელიმეს.
— გაგიჟდი?
— რა იყო, რა არის ამაში ცუდი?
— ცუდი ის არის, რომ ამგვარი რამ ჩემთვის სასტიკად მიუღებელია! — ხმას აუნია გოგონამ.
— რა გჭირს? ჩემი გულისთვის ამხელა გზა გამოიარე და ახლა უარს მეუბნები?
— ვერ ხედავ, რაზე გეუბნები უარს? თუ ჩემთან ყოფნა გინდა, ნორმალური ბინა იქირავე, ძმაკაცის და ვილაცების „ხავერები“ არ მინტერესებს! სხვის საწოლში ვერ ჩაწვები იმის გულისთვის, რომ შენ სიამოვნება მოგანიჭო! მე შენი საყვარელი არ ვარ!
— მამატიე, სიხარულო! ნამდვილი ბოთე ვარ, ამდენი კი ვერ ვიფიქრე. ისე ძალიან მინდისხარ, თავგზა ამეზნა...
— ძალიან გთხოვ, ახლა წახვიდე... გემუდარები... მეშინია, ის ქალი ისევე არ დაბრუნდეს.
— კარგი, კარგი, წავალ, ოღონდ შენ არ ინერვიულო, — ხელები გაშალა მამაკაცმა, — დროებით ალბათ ძველმოდური ტრადიციებით დაკმაყოფილება მოგიწევს — კინოში სიარული, პარკში გასეირნება, მუზეუმების დალაშქვრა...
— არ ვარ წინააღმდეგი.
— დაგირეკავ...
თორნიკეს წასვლის შემდეგ, ნინი კარგა ხანს იდგა გაუძრევლად და კარს გაჰყურებდა. „ძალიან უიღბლო საღამო გამოვიდა“, — განხიბულმა გაიფიქრა და საწოლზე მიესვენა, — „როგორ შეიცვალა ეს ბიჭი... რა სხვაწიერი იყო, რატომ მექცევა ასე? იქნებ ცუდი პერიოდი აქვს და იმიტომ? მე მესმის მისი... იმეღია, ბინას ნახავს და მალე გადავალ აქედან. ყველანაირად შევუნყოფ ხელს, რომ ბედნიერი იყოს“, — ბალიშში თავწარგულმა ერთი ღრმად ამოიხორა და თვალები დახუჭა.
მეორე დღით, სამსახურში გამოცხადდა თუ არა, სააგენტოს უფროსმა „ახარა“, ჩემი მეუღლე თავს უკეთ გრძობს და ხვალეიდან თავისუფალი ხარო. ნინის ხასიათი წაუხდა. იძულებული ხდებოდა, ახალი სამუშაო მოეძებნა. როგორც კი თავისუფალი დრო იპოვა, ეთერს დაურეკა.
— არ ინერვიულო, შენთვის ახალი ამბავი მაქვს. დოკუმენტური ფილმების სტუდიაში დროებით ერთი ადგილი გამოთავისუფლდა.
— იქ რა უნდა ვაკეთო?
— მისაღებში დაგსვამენ კომპუტატორ-



თან და ხალხს ერთმანეთთან დააკავშირებ, თან სტუმრებისთვის ყავის მოდუღება მოგიწევს ხანდახან.

— აუუუუუუუუუ! — იწვილა ნინიმ. ეთერს გაეცინა.

— მესმის შენი, მაგრამ გულს ნუ გაიტყვ, სამაგიეროდ, კარგად გადაგიხდიან. ასე რომ, თუ უფროსობას თავს მოაწონებ, იქნებ შტატის თანამშრომლის ადგილსაც გამოჰკრა ხელი.

— იქაურობა ალბათ სულ პენსიონერებით იქნება სავსე, არა?

— რატომ გგონია?

— რა ვიცი, დოკუმენტურ ფილმებს ხომ ბებრები იღებენ...

— ცუდი წარმოდგენა გქონია ჩვენს რეჟისორებზე, გოგონი. რას ამბობ, სტუდია სულ ახალგაზრდებით არის დაკომპლექტებული. ერთი ჩვენგან გაგზავნილი უკვე კარგა ხანია იქ მუშაობს, ლიზიკო ახვლედიანი. რომ მიხვალ, იკითხე და გაიცანი. უთხარი, ეთერმა გამომგზავნა-თქო და თუ რამეს ვერ გაიგებ, დაგეხმარება, გასაგებია? ახლა კი მისამართი ჩაინერე და ხვალ დილით, ათ საათზე იქ იყავი, არ დაგავიანო.

„რა უღიბლო ვყოფილვარ, როგორ არაფერში მიმართლებს“, — მოთქვამდა გულში სტუდიისკენ მიმავალი გოგონა. შენობა სამსართულიანი აღმოჩნდა, კოხტა, გემოვნებით გარემონტებული. მისაღებში საშუალო სიმაღლის შავთმიანი გოგონა შემოეგება.

— მობრძანდით! მე ვერიკო მქვია! შენ ნინი ხარ, არა? წამოდი, შენს ადგილს გაჩვენებ. იმედია, არ ნერვიულობ, ისეთი არაფერია, რომ ვერ გაერკვე...

კარგი დასაწყისია, ჩაეცინა ნინის. რა დიდი ამბავი უნდა ტელეფონზე პასუხის გაცემას და ყავის მოდუღებას?

დერეფანი გაიარეს და ერთ დიდ, ნათელ დარბაზში ამოყვეს თავი, რომელიც ოთახის მცენარეებით გაელამაზებინათ. ნინიმ მაშინვე იგრძნო დაძაბული სამუშაო ატმოსფერო და თავადაც დაიძაბა. ვერიკო შესასვლელთან მდგარ მაგიდას მიუახლოვდა და შემოტრიალდა.

— იცი კომპუტატორთან მუშაობა? — ჰკითხა გოგონამ და როცა ნინიმ თავი დაუქნია, გააგრძელა, — დამატებითი ნომრები ამ ტაბულაშია ჩამონეროლი. თუ რამეს ვერ გაიგებ, ნებისმიერს სთხოვე და დაგეხმარება. ეველინა მალე მოვა და ის უკეთ გაგარკვევს ყველაფერში. მე აზრზე არ ვარ. აქ ერთადერთი ვარ, ვისაც ამის იწიბინჩი არ გაეგება, — გულწრფელად გაიცინა ვერიკომ და ლოყაზე ფოსო გაუჩნდა.

...ტელეფონის ზარები არ წყდებოდა. ნინი ნერვიულობდა — ისეთი შეგრძნება დაეუფლა, თითქოს ყველა ელოდა, როდის ააფრიალებდა თეთრ დროშას დანებების ნიშნად... მაგრამ არა, ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდიოდა, კომპუტატორი მისთვის ახალი ხილი არ იყო, ამიტომ თავიდანვე აულო ალლო აპარატურას.

თორმეტის ნახევარზე ეველინაც გამოჩნდა — მაღალი, ქერათმიანი ტანწერნეტა ქალი დიდრონი თვალებით.

— ნადი, ყავა დალიე, ცოტა ხნით მე შეგცვლი, — ისე შინაურულად მიმართა ნინის, თითქოს დიდი ხნის ნაცნობი ყოფილიყო, — გითხრა ვერიკომ, სად გვაქვს ბუფეტი? არა? არც მივიკრის. მისგან ეს მოსალოდნელი იყო. დერეფნის ბოლოში, შუშის კარს რომ გასცდები, იქვეა. ერთი ჭიქა მეც წამომიღე, კარგი? რძიანი, ოღონდ უშაქრო.

ნინი მალევე მობრუნდა ორი ფინჯნით ხელში.

— ეველინა, მითხრეს, რომ თქვენთან ერთი მუშაობს, ლიზიკო ახვლედიანი, ხომ არ იცნობ?

— როგორ არ ვიცნობ... მგონი, მეხუთე კაბინეტშია. ალბათ ისევ ტირის. არ გაუმართლა სანყალს.

— ტირის? რატომ, რა მოხდა? — შეწუხდა ნინი.

— ისეთი არაფერი... გუშინ ორი ჩანერილი სცენარი შემთხვევით წაეშალა, რის გამოც პროდიუსერს ვერაფერს დავახვედრებთ. ვილცამ ამის შესახებ უნდა უთხრას გადაცემის წამყვანს, მაგრამ ვერავინ ბედავს, მათ შორის ვერც ლიზიკო. ჩვენი

ტელეჟურნალისტები, ხომ იცი, როგორი თავანულები დადიან, კიტრივით მოაქვთ თავი, როგორ ეკადრებათ ყველაფრის ხელახლა ჩანერა იმის გამო, რომ რიგითმა თანამშრომელმა მასალა წაშალა? ამიტომაც ტირის.

— ღმერთო, რა საშინელებაა! — შეიცხადა გოგონამ. — წავალ, მოვქებნი.

ლიზიკო ორმოციოდე წლის სიმპათიური ქალბატონი აღმოჩნდა. ის მართლაც მესხეთე კაბინეტში იჯდა და ტირილისგან თვალები დასწითლებოდა. ნინი მიესალმა, უთხრა, ვინც იყო და გვერდით მიუჯდა.

— იქნებ შეიძლება ფაილების აღდგენა? ხომ არ გვეცადა, ქალბატონო ლიზიკო?

ქალმა უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— გამორიცხულია! უნდა გამეშვიფრა და მერე ამომებეჭდა სცენარი. ყოველთვის ასე ვიქცევი, სანამ გამოიფერას დავინყებ, ჯერ თავიდან ბოლომდე მოეუსმენ ხოლმე ჩანაწერს, რომ მერე ადვილად გავარკვიო ტექსტი. ამ დროს შემთხვევით რომელიღაც კლავიშზე დამეჭირა და ყველაფერი ნაიშალა. რა მეშველება, გამაგდებენ სამსახურიდან, — ქალი კვლავ ატირდა.

— ძალიან გთხოვთ, ნუ ნერვიულობთ, ყველაფერი მოგარდება, გული მიგრძნობს, — მისი დამშვიდება სცადა გოგონამ.

— არადა, როგორ მინდოდა, კარგად გამომსვლოდა ყველაფერი. ისე მიყვარს მისი გადაცემები... ჯერ არც ერთი არ გამომიტოვებია. საამაყოდ მექნებოდა, მე გავუმზადე მასალები-მეთქი... ამ დროს რა დამემართა?! არ ვიცი, რა უნდა ვქნა... სულ მაფრთხილებდნენ, ეს კაცი ისეთი მკაცრია, მცირე შეცდომასაც კი არავის აპატიებსო... ვიცი, აუცილებლად გამათავისუფლებს... — ამოისლუკუნა ლიზიკომ და ცხვირსახოცი თვალებთან მიიტანა.

— დაწყნარდით, გთხოვთ. ექიმპიუტერს ფაილების აღდგენის მილიონი შესაძლებლობა აქვს. ზოგი პროგრამა ავტომატურად აკეთებს დუბლირებას, ზოგი წაშლილ მასალას პირდაპირ სანაგვე ყუთში ყრის. გარდა ამისა, როგორც თქვენ ამბობთ, თუ პროფესიონალი ჟურნალისტი, თავადაც ექნება დუბლირებული ინფორმაცია შენახული. თუ არა და, იდიოტი ყოფილა და მეტი არაფერი...

ამ დროს ქალს სახე შეეცვალა და ნინიმ დაინახა, როგორ ჩაუდგა ლიზიკოს თვალებში შიში. გოგონამ თავი ნელა მოატრიალა და ტანში ჭიანჭველებმა დაურბინეს — ზღურბლთან გიო რობაქიძე იდგა. გოგონა თვალებს არ უჯერებდა. მირაჟი ეგონა ეს ყველაფერი! ღმერთო, მაინცდამაინც იმ სტუდიაში როგორ ამოყო თავი, სადაც ეს თავხედი კაცი მუშაობს?!

— გააგრძელეთ, გააგრძელეთ, საქალბატონე ნინი... — გიოს ხმაში არქტიკული სიცივე შეინიშნებოდა, — დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი ძვირფასი გასაკიცხი სიტყვა გექნებათ შემონახული თქვენს ლექსიკონში... გაგვიზიარეთ, თუ შეიძლება, ნუ მოგერიდებათ! რატომ გაჩემდით? ენა ხომ არ გადაგეყლაპათ?

ნინის ფერი წაუვიდა, მაგრამ მიხვდა,





ახლა უკან დახევა არ შეიძლებოდა. მან ჯერ რობაქიძის უკან მდგარ შემოვლთებულ ეველინას გახედა, მერე — ლიზიკოს, ბოლოს კი ცნობილ ტელენამყვანს მიაპყრო მზერა.

— სულაც არა, პატივცემულო, — არანაკლებ ცივად უპასუხა გოგონამ, — უბრალოდ, ვისხენებდი, რას უწოდებენ იმ ადამიანებს, ვინც სხვის საუბარს უგდებს ყურს... და თამამად გავიმეორებ იმას, რაც წელან მოისმინეთ. დამწყებმა ყურნალისტმაც კი იცის, რომ როცა საქმე ტექნიკასთან გაქვს, აუცილებლად უნდა იზრუნო მასალის დუბლირებაზე. არაფერ იცის, რა წამს რა მოხდება.

— ეს დაუდევრობის ბრალია, — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა რობაქიძემ, — აქამდე თანაშემწესთან პრობლემები არასდროს შემქმნია.

— მართლა? იქნებ ჯობდა, ჯერ საკუთარ შეცდომებზე გაგმხსვილებინათ ყურადღება? — უკან არ დაიხია ნინიმ. — და, თუ შეიძლება, თქვენი აგრესიული მანერები ტელეკრანისთვის შეინახეთ! ცხოვრებაში იგი მაინცდამაინც დიდ შთაბეჭდილებას არ ახდენს, — გოგონა წამოდგა და ლიზიკოს ზურგს უკან დადგა.

— წამოდით, უკეთესი იქნება, ვნახოთ, რა დაემართა კომპიუტერს.

— გიო, ბოდიშს გიხდის, ასე რომ მოხდა... მე უკვე გამოვიცხებ ხელოსანი, — თითების ფშვნივით ალაპარაკდა ეველინა და მამაკაცს წინ გადაუდგა, — პირობას გაძლევ, ორივეს ახლავე უკან გავუშვებ, ეთერთან და გავაფრთხილებ, რომ ასეთი არაკომპეტენტური თანამშრომლები მეტჯერ აღარ გამოგვიგზავნოს.

— თუ მხოლოდ ფაილბეია გაფუჭებული, მე მისი აღადგენა შემიძლია, — მშვიდად განაცხადა ნინიმ.

— თქვენ? იურისტს? მეექვსეა... თქვენ რა იცით კომპიუტერები?..

— მე ბევრი რამ ვიცი... პროგრამისტის კურსები გავლილი მაქვს, — ყელი თავმოწმონედ მოიღერა გოგონამ.

— არ არის საჭირო, როგორმე თავად გავართმევთ თავს. ახლავე მოვლენ ბიჭები, უკვე გამოვიცხებ, — თავი გამოიღო ეველინამ.

— კაცმა არ იცის, ისინი როდის მოვლენ, — გიომ თავი გადააქნია, — შეიძლება ბევრი შეკვეთა აქვთ და დააგვიანონ. საქალბატონე ნინი კი აქაა, რატომ არ უნდა მივიღოთ მისი დახმარება? — ირონიულად ჩაილაპარაკა რობაქიძემ.

— სულ არ გააფუჭოს... — ვითომ სხვათა შორის წამოისროლა ეველინამ.

— იმაზე მეტი რა უნდა დამართოს, რაც სჭირს... — გაიცინა გიომ. — წამობრძანდით სტუდიაში, ნინი, და გვაჩვენეთ ერთი, რა შეგიძლიათ.

წინ მიმავალ ყურნალისტს სამივე ქალი უკან მიჰყვა. მესამე სართულზე ავიდნენ. ნერვები დაგლეჯაზე ჰქონდა. ღმერთს ეხვეწებოდა გულში, ოღონდ ახლა არ დამალაბატო და მერე მე ვიციო.

გიო ოდნავ განათებული დარბაზში შევიდა და განაპირა მდგარ ყველაზე დიდ

მონიტორს მიუახლოვდა.

— აი, ეს არის და იგი თქვენს განკარგულებაშია, — დამცინავი ნაპერწკლები აუთამამდა მამაკაცს თვალეში.

— გასაგებია... ვეცდები, გავიგო, რა სჭირს, ოღონდ გთხოვთ, თავზე ნუ დამადგებით. ვერ ვიტან, როცა მუშაობისას თვალყურს მადევნებენ, — კატეგორიული ტონით მოითხოვა და სკამი გამოსწია.

— კარგი, ჩვენ ხელს არ შეგიშლით, მიხედეთ საქმეს.

— დრო რამდენი მაქვს?
— რამდენიც გაგიხარდებათ, მთავარია, საქმე გავეთდეს, — ცივად თქვა რობაქიძემ და გატრიალდა.

ეველინა უკან მიჰყვა თავის უფროსს, თან თვალთ ანიშნა ლიზიკოს, შენც წამოდიო.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნინი მარტო დარჩა დარბაზში. არა, რაღაც უნდა დაუფუძეს, გააკეთებს, თორემ წასულია მისი საქმე ხელიდან. სირცხვილი თუ ჭამა, მორჩა! თავი აღარ გამოეყოფა! ის მართლა კარგად ფლობდა კომპიუტერს, მაგრამ მსგავსი აქამდე არაფერი უნახავს. ხედავ, თურმე, როგორი ტექნიკა უდგათ სტუდიებში? აქამდე ეს არ იცოდა!

კარგა ხანს იჩხირკედელავა და ბოლოს, როგორც იქნა, მიხვდა, რა იყო პროგრამაში არეული. გაისუნა ყველაფერი, რაც კი ოდესმე ესწავლა და როცა ყველაფერს მორჩა, პროგრამების გადატვირთვა დაიწყო. სამუშაო დრო სამი საათით უკან გადაიყვანა და წამოიღო ფაილების დირექტორიაში შევიდა. დაჭირა ლილავს „აღდგენა“ და დაელოდა... როგორც იქნა, დინამიკში ნაცნობი ხმა გაისმა. ნინის სიხარულისგან სუნთქვა შეეკრა. არის! მან შეძლო ეს! მან აღადგინა სცენარი! სასწრაფოდ დაიწყო ორივე სცენარის დუბლირება და მოუსვენრად აცემუჭებულმა თითები მაგიდაზე აათამაშა. თან სახეზე გამარჯვების ღიმილი დასათამაშებდა.

უცებ გაიგონა, როგორ გაიღო ზურგს უკან კარი და მის სმენას ვერიკოს ნათქვამი მისწვდა.

— ხელოსანი მოვიდა, შეგიძლია წამოხვიდე!

— ახლავე, მაგრამ მე უკვე მოვრჩი, ორ წუთში დამთავრდება დუბლირება და ყველაფერი მზად იქნება! ასე რომ, უთხარით პატივცემულ რობაქიძეს, ყურადღებით იყოს, კიდევ არ დაკარგოს თავისი ძვირფასი სცენარები! — საზეიმო ხმით წამოიძახა ნინიმ და ნიშნის მოგებით გახედა გოგონას.

— მართლა აღადგინე? — ეჭვი შეეპარა ვერიკოს. — არ არსებობს! არ მჯერა შენი!

— ეგ შენი პრობლემაა! — მხრები აიჩეჩა გოგონამ. — მე ჩემი გავაკეთე! — თქვა და წამოდგა.

ის იყო, კარისკენ წავიდა, რომ დარბაზში გიო გამოიწნა.

— მაჩვენეთ, აბა, რა ჩაიდინეთ! — ცალწარბანულმა ბრძანების კილოთი მიმართა.

— ყველაფერი აქ არის. იმედია, იცით,

რომელ კლავიშს უნდა დააჭიროთ, რათა შეამონწმოთ. ჩათვალეთ, რომ მე აქ უკვე აღარ ვარ! — ცივად წარმოთქვა, მამაკაცს თვალი თვალში გაუყარა და გავიდა.

იგი პირველ სართულზე ჩამოვიდა და ეველინას მაგიდას მიუახლოვდა, რათა თავისი ჩანთა აეღო და აქედან რაც შეიძლება, სწრაფად წასულიყო.

— ნინი, გიომ დარეკა, ახლავე უკან დაბრუნდესო, — აცნობა მან უკმაყოფილო ხმით.

— მაპატიეთ, მაგრამ არ შემიძლია, — უკმეხად მოუჭრა გოგონამ და სტუდია დატოვა.

ქუჩაში გამოსვლისთანავე გააჩერა სამარშრუტო ტაქსი და ისე ჩაჯდა, მისი მარშრუტით არც დაინტერესებულა. ოდნავ მოეშვა. მამ ასე, ეთერს იმედი გაუცრუა, მისკენ ყველა გზა მოჭრილია... რა უნდა ქნას? ეს არაფერი, მთავარია, მივიდეს მასთან და ლიზიკოზე დაეღაპარაკოს. შეეცოდა ის ქალი...

არა, ეგ ეველინა რა აუტანელი ვინმეა! ვის არ გაუძნელებდა მის გვერდით მუშაობა?! სამაგიეროდ, თავის ბოსს სასიამოვნო კომპანია უქმნის. ორივე ერთნაირია და იმიტომ! — თავის თავთან საუბარს აგრძელებდა გოგონა. გიო რობაქიძე ისე იქცევა, თითქოს დედამინის ღერძი იყოს. რომ სცოდნოდა ნინის, იგი დოკუმენტური ფილმების სტუდიაში მუშაობდა, სათოფეზეც არ გაეკარეოდა იქაურობას! იმ ატმოსფეროში, რაც იქ სუფევს, არანაირი ფული არ მოგინდება!

რომელიღაც გაჩერებზე ტაქსიდან ჩამოვიდა და გზა ფეხით გააგრძელა. როგორც იქნა, მიაღწია სახლამდე და სულის მოთქმაც ვერ შეძლო, რომ ტელეფონმა დარეკა.

— სად დამეკარგე, ნინი? — ეს ეთერი იყო. — როგორ გრძნობ თავს დღის გმირის როლში?

— არ მესმის, რას გულისხმობთ, ქალბატონო ეთერ, — დაბნეულმა ჩაილაპარაკა.

— როგორც ჩანს, შენ მანამდე წამოხვედი, სანამ დაგანინაურებდნენ, — გაიცინა ქალმა, — აღმოჩნდა, რომ მათი ერთერთი თანამშრომელი დეკრეტულ შევებულებაში გადის და გადანყვიტეს, შენ აგიყვანონ მის ადგილზე. ვფიქრობ, სერიოზული შთაბეჭდილება მოახდინე მათზე. — ხუმრობთ?

— არა, სრულიად სერიოზულად გელაპარაკები. დანვრილებით მომიყვინენ, როგორ გადაარჩინეთ სცენარები წამლას. ისინი კი არა, მეც აღფრთოვანებული დავრჩი... ასე რომ, მითხარი, რა ვუთხრა?

— არ ვიცი... შეიძლება, ცოტა ხანს მაცალოთ? მოციფიქრებ...

— მდალა... შეიძლება, რა თქმა უნდა... — გაოცება დაეტყო ეთერს ხმაში. — მაგრამ რაიმე პრობლემა? ასეთ სამსახურს ყოველდღე რომ არ შემოგთავაზებენ, ხომ იცი... თან იქ კარგი სიტუაციაა... — მართლა? — მშრალად იკითხა ნინიმ. — ვინ გითხრა? ამის შესახებ ერთხელ მაინც თუ დალაპარაკებინარე ლიზიკოს?



— მე არ უნდა გამეშვა იგი სტუდიაში, ეს შეცდომა იყო, — ამოიოხრა ქალმა, — მისთვის უკვე ვეძებ უფრო მშვიდ სამუშაოს, მაგრამ შენ სხვა ხარ. შენისთანები გაძლებენ იქ, დარწმუნებული ვარ. მეგონა, გაგახარებდით ახალი ამბით.

— იქნებ მეც სხვა ადგილი მირჩევენია... იმედია, ამის გამო შავ სიაში არ ჩამსვამთ?

— რას ამბობ, ჩემო კარგო, რა შავი სია... თუ არ გინდა, სხვა რამეს გამოგი-ნახავ, მაგრამ ვერ შეგპირდები, რომ ასეთი საინტერესო იქნება... ვეცდები, ყოველ შემთხვევაში.

— კარგი, დიდი მადლობა... პასუხისთვის აუცილებლად დაგიკავშირდებით.

აი, ამას კი არაფრით ელოდა. მას შემდეგ, რაც სტუდიაში გადახდა, ვერც წარმოიდგენდა, თუ უკან დაუძახებდნენ. ღირს ალბათ და-თანხმება, თუნდაც იმიტომ, რომ ეველინას დაჯღანული სახე დაინახოს... მაგრამ რობაქიძე? მის ფიზიონომიას რა აიტანს ყოველდღე?

ცოტა რომ დაისვენა, მალაზიაში გადაწყვიტა წასვლა პროდუქტებისთვის. ის იყო, ჭიშკარი მიხურა და მოტრიალდა, რომ უცაბედად ვილაც მამაკაცი შეეჯახა. არც შეუხედავს, ისე ჩაიბურტყუნა რაღაც მობოდიშების ნიშნად. ამ დროს ნაცნობი ხმა შემოესმა.

— კიდევ კარგი, მოგისწარით.

— თქვენს ადგილას, აქ საერთოდ არ მოვიდოდი, — ამრეზით წარმოთქვა გოგონამ.

— შემთხვევით არ აღმოვჩენილვარ აქ, რომ იცოდეთ. გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ მადლობის სათქმელად მოვედი...

— ჩათვალეთ, რომ უკვე მითხარით, — ცივად გაიღიმა ნინი, — მაპატიეთ, მეჩქარება...

— და კიდევ... მინდა... სადმე ვახშმად დაგპატიოთ... — გააგრძელა გიომ და გოგონას წინ გადაუდგა. — და არ მითხრათ, რომ დაკავებული ხართ, იმიტომ, რომ ეს არ იქნება მართალი.

— არ არის გამორიცხული, რომ მართლა არ მეცალოს... — ამოილულულა.

— როგორც ვიცო, თორნიკეს ამ საღამოს რაღაც საქმეები აქვს... — მრავალმნიშვნელოვნად გაიღიმა გიომ და ნინის მოეჩვენა, რომ მამაკაცმა ამწუთას პირველად შეხედა მას, როგორც რეალურ ადამიანს... უფრო მეტიც, როგორც ქალს...

ამის გაფიქრებამ უცნაური გრძობა გაუჩინა — რაღაც გარდაშავალი შიშისა და სიამოვნებას შორის.

— ნინი, — რბილად წარმოთქვა მამაკაცმა მისი სახელი, — მართლა მადლობელი ვარ იმისთვის, რაც დღეს გააკეთეთ... ამიტომაც მინდა ეს მადლიერება რაღაცნაირად გამოუხატო. არ დამთანხმდებით ვახშმზე? არ ვიკბინები, ნუ გემინიათ...

ნინიმ დაჟინებული მხერა მიაპყრო.

— თუ გინდათ, მადლობა გადამიხადოთ, მე და თორნიკეს თავი დაგვანებეთ. გიომ წამით გაქვავდა, მერე კი ირიბად გაიღიმა.

— კარგი, თანახმა ვარ.

— თანახმა ხართ? — გაოგნდა.

— ჰო, რა იყო?... ახლა კი, რადგან ზავი ჩამოვადეთ, არ ვივანშობთ ერთად? უკვე შესამედ გეკითხებით...

ინსტიქტი, გონება, ჯანსაღი აზრი... სამივე ერთად აუჯანყდა გოგონას მამაკაცის წინააღმდეგ და ის იყო, უარის



სათქმელად პირი გააღო, რომ...

— გმადლობთ... დიდი სიამოვნებით, — მისდა უნებურად წამოსცდა.

— შესის, რომ სიამოვნებით არ მთანხმდებით, მაგრამ არა უშავს, — ფართოდ გაიღიმა რობაქიძემ, — ვინ იცის, რა იქნება მერე. იქნებ მალე მართლაც ასე იფიქროთ... — და ისე შეხედა, როგორც ვილაც განსაკუთრებულს. — რვა საათზე განყოთ? გამოგივლით, — სწრაფად დაასრულა და პასუხს არ დალოდებია, ისე გაემართა იქვე მდგარი მანქანისკენ.

ნინი გაფართოებული თვალებით მისჩერებოდა მიმავალს.

შინ დაბრუნებულ გიოს თორნიკე სამზარეულოში დახვდა, ლუდის ბოთლით ხელში.

— პრივეტ! ლუდი არ გინდა? — თორნიკემ ფეხი ფეხზე გადაიდო.

— არა, გმადლობ. რაღაც მინდოდა მეთქვა... ამაღამ გვიან მოვალ, შესაბამისად, სხვაგან ვივანშობ... შენ რამ მოგიყვანა ასე ადრე? მეგონა, გვიანობამდე მუშაობდი.

— კლიენტს უნდა შევხვედროდი, მაგრამ გადაიდო. ასე რომ, საღამოს კაზი-

ნოში წავალ. ტანსაცმლის გამოსაცვლელად შემოვირბინე, — უპასუხა თორნიკემ და ცოლის ბიძაშვილს გამჭოლი მხერა ესროლა, — ვინ არის ის ბედნიერი? ერთ-ერთი შენი ლამაზმანი?

— ამ დროს სულ პირიქით... — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა გიომ და ზურგი შეაქცია.

ზიზლი გაუჩნდა სიძის მიმართ. ღმერთო, რა უცნაური გრძობაა სიყვარული, ნუთუ შეიძლება ასეთი ბედოვლათის გვერდით წლების განმავლობაში იცხოვრო? როგორ მეცოდება თავო... და ნინიც...

— გინდა მითხრა, რომ დანახვისთანავე არ ჩაგიხტა სანოლში? მაგას ვერ დავიჯერებ, — უწნოდ გადაიხარხარა თორნიკემ, — ალბათ უნიკალური ქალია.

გიომ ცივად გაიღიმა. — შესაძლებელია... ამიტომაც იმსახურებს ჩემგან განსაკუთრებულ ყურადღებას.

— გავიგე! — მამაკაცმა თვალი ჩაუკრა. — არავითარი პრობლემა, ძმაო! აბა, შენ იცი... ესე იგი, ამაღამ არ მოხვალ, არა?

— აუცილებლად დავბრუნდები.

— ესეც გასაგებია... ესე იგი, ასე ადვილად ხელმისაწვდომი არ არის, ხომ? მეჯავრება ასეთებთან ურთიერთობა... არ მიყვარს, როცა ქალს ხვეწნა და დევნა სჭირდება...

„აჰა! მივხვდი! — გაიფიქრა გამოცოცხლებულმა გიომ, — გამოდის, რომ „საუკუნის რომანი“ არც ისე ადვილად მიმდინარეობს... თუმცა... ლელუკამ ხომ უთხრა, შენი სიძე წუხელ ჩემს მდგომრთან ათევედა ლამესო? ეგ როგორ გავიგოთ მაშინ?“

— მე არ მაქვს გართულება... თანაც, ამწუთას ის თავისუფალი არ არის... სხვას ხვდება.

— და გინდა, მის ცხოვრებაში ცვლილებები შეიტანო? — ისევ გადაიხარხარა თორნიკემ. — მაგრამ ხარ! ალბათ ეჭვდაც არა აქვს, ვისთან აქვს საქმე.

— მაგის იმედი მაქვს... კარგი, შევალ ახლა სააბაზანოში.

— მოიცა, სანამ შევალ, რაღაც მინდა გითხრა... დიდი მადლობა, რომ შემეფარე, მაგრამ არ მინდა შეგავინროო, ამიტომ გადაწყვიტე, ბინა ვიქირაო და ცალკე გადავიდე.

— მერე? თავო რას ამბობს, თანახმაა? თორნიკეს სახე შეეცვალა.

— ამ საკითხზე მასთან არ მისაუბრია. ჯერ ბინა უნდა ვიშოვო... ქალების ამბავი ხომ იცი... თუ არ მოეწონა...

— გასაგებია... როგორც გინდა... წარმატებებს გისურვებ, — გაღიზიანებულმა გიომ მხარზე დაჰკრა ხელი სიძეს და თავის ოთახში მიიმალა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში



დასაწყისი იხ. გვ. 77

— მე მგონი, დადგა დრო, ყველაფერი გაგვემხილა, — უკვე მეხუთედ თუ მეექვსედ ეუბნებოდა ქალი სავარძელში გაქვავებულ კაცს.

...დათას მოსვლის შემდეგ რამდენიმე საათი გასულიყო, ის კი ცდილობდა აეხსნა თავისი საქციელის მიზეზი, ცდილობდა, მამაკაცისთვის ერთი სიტყვა მინც დაეცდინებინა, რაიმე პასუხი მიეღო... შვილის გამარჯვებაც კი მიულოცა...

— ცუდია, რომ არ იყავი და საკუთარი თვალთ არ ნახე, — დაამატა, მაგრამ ვერც ამან ამოაღებინა ხმა დათას. სიჩუმემ დაისადგურა.

— დათა, მაპატიე, თუ გოგონა ძალიან გავანერვიულე... არ მინდოდა მისი ატირება... უბრალოდ, მიმაჩნია, რომ ბავშვებმა ჩვენი ურთიერთობის შესახებ უნდა იცოდნენ... მათ სიმაართლე უნდა იცოდნენ... ასე ნუ მიყურებ, საყვარელო... ვიცი, რომ ეს დიდი სტრესია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, როცა დაფიქრდები, მიხვდები, რომ ყველაფერი გაცილებით უკეთ იქნება. შენი ცოლი ძალიან კარგი ადამიანია და არა მგონია, რაიმე დაგვიშავოს. ერთად მოვიფიქროთ, როგორ უნდა მოვიქცეთ. ეს ბინა ორივეს გვეყოფა...

როგორც იქნა, დათა ამოძრავდა. გაჭირვებით წამოდგა სავარძლიდან და კომპიუტერის მაგიდასთან მივიდა. ცალი თითით აკაკუნებდა კლავიატურაზე... რაღაცას ეძებდა...

ლელას ელექტრონული ფოსტა გახსნა...

„წერილის გაგზავნა“...
მერე საკუთარი მისამართი ჩაწერა.
— საკუთარ თავს სწერ წერილს?

— გაელიმა ლელას.
„უაილის მოძებნა“...

ლელამ დაინახა, როგორ მოძებნა დათამ მისი ძველი წერილის ტექსტი... „ახლა, როცა ამას კითხულობ, მე უკვე ცოცხალი აღარ ვარ“...

„წერილი გაგზავნილია“.
დათა ქალისკენ შებრუნდა. ლელამ მის ხელში პისტოლეტი შენიშნა...

— საყვარელო, წერილი გაგზავნილია... ახლა ყველაფერი ისე უნდა მოხდეს და შემდგომში ისე უნდა გამოიყურებოდეს, როგორც ნამდვილი თვითმკვლევობა...

ლელამ მის სახეზე ნათლად ამოიკითხა, თუ რა იქნებოდა შემდეგ...

— შენ ამას გააკეთებ, — თითქოს ამშვიდებდეს, მამაკაცს ისეთი ხმა ჰქონდა.

ნელ-ნელა უახლოვდებოდა... მისი ნაბიჯების ხმას იატაკზე დაგებული ნოხი ახშობდა...

ლელა მშვიდი სახით იდგა. „ეს ნაძირალა ამ საქმიდანაც აუცილებლად გამოძვრება! წელიდან ისევ მშრალი ამოვა“... ეს იყო ბოლო, რისი გაფიქრებაც ქალმა მოასწრო...



დასაწყისი იხ. „გზა“, №43

მამინ ანა 22 წლის იყო... იმ წელს დაამთავრა სამედიცინო უნივერსიტეტი და სწავლის გაგრძელებას აპირებდა. ქმრის სიკვდილის გამო დიდი სტრესი გადაიტანა. ჯერ ერთი, საყვარელი ადამიანი გამოეცალა ხელიდან და ვერც წარმოედგინა, როგორ უნდა გაეძლო მისი მონატრებისთვის. მეორეც, ცხოვრების დარჩენილი წლები გოჩასთან ერთად ჰქონდა დაგეგმილი და ახლა უეცრად, ყველაფერი შეიცვალა...

გოჩა დაკრძალეს. გასვენების მეორე დღეს ანა სვანეთში წავიდა და იქ დარჩა, თბილისში აღარ დაბრუნებულა.

გოჩას ოჯახი დედაქალაქში ცხოვრობდა. სვანეთში სახლი დიდი ხნის გამოკვტილი ჰქონდათ და მხოლოდ ზაფხულობით ჩადიოდნენ. ანამ ოჯახის წევრებისგან ნებართვა ითხოვა და ქმრის სახლში დარჩა. ძაძები ჩაიცვა...

შავმა ქსოვილმა მისი სილამაზე შთანთქა... მხოლოდ თვალები ანათებდა შავი ჩაღრიდან... შურისძიების სურვილით აღვსილი და ცრემლისგან დაწითლებული თვალები.

მისი ოჯახი იქვე, გვერდით სოფელში ცხოვრობდა. დედა ეხვეწებოდა, მარტო ნუ დარჩები მაგ დანყველილ სახლში, წამოდი, აქ იყავი, მაგრამ გოგონა ქმრის სახლს არ ტოვებდა. მთელი წელი გაუძლო ასეთ ყოფას. შემაც მოიმარაგა ზამთრისთვის, წყალზეც ფეხით დადიოდა და შორი გზიდან, მხარზე დოქით შემოდგმული მოჰქონდა.

იმ ზაფხულს სტუმრადაც კი არ ჩამოსულა გოჩას ოჯახი. დედამთილმა ვერა და ვერ მოიბრუნა გული. დაწუნებული

რძალი ბოლომდე შეიძულა შვილის სიკვდილის შემდეგ.

წლისთავი როდის ჰქონდათ, ისიც არ შეატყობინეს.

მათი ქორწილისა და გოჩას წლისთავის წინადაღეს თბილისში გამგზავრება გადაწყვიტა. დილით სახლს მიხედა, მერე გარდერობიდან მოზრდილი ჩანთა გადმოიღო, ელვაშესაკრავი გახსნა და ჩანთის შიგთავსი საწოლზე გადმოყარა. რამდენიმე ხელი ტანისამოსი ჰქონდა თბილისიდან წამოღებული. ყველაფერი დაჭმუჭნილი იყო. მთელი წელი საგარეო ტანისამოსი არ სცმია. კარგა ხანს დაჰყურებდა ტანსაცმლის გროვას. მერე შავი, ტილოს შარვალი და შავი მაისური ამოარჩია და გააუთოვა. სარკის წინ დადგა და საკუთარი გამოსახულება შეათვალიერა. კოჭებამდე დაშვებული, ნელამდე ჩაილილული, შავი კაბა, რომელსაც არც ძირი ჰქონდა შემოტეხილი, არც საყელო და სახელო, ასაკს მატებდა; 80 წლის დედაბერივით გამოიყურებოდა. თავზე შავი თავსაფარი ჰქონდა წაკრული, თმა — ცხენის კუდივით გამოწასკვული.

მორჩა! დღეს მთავრდებოდა მის მიერ დადებული ფიცის ვადა: გასვენების დღეს გოჩას საფლავთან დაიფიცა, რომ 1 წლის განმავლობაში ასე იცხოვრებდა... შემდეგ კი... შემდეგ ახალი ფიცის დადებას აპირებდა და მას სვალ, საყვარელი ქმრის საფლავზე იტყოდა, რასაც უეჭველად შეასრულებდა...

კიდევ ერთხელ შეათვალიერა საკუთარი თავი სარკეში. თითქოს ცდილობდა, დაემახსოვრებინა, როგორ გამოიყურებოდა... შემდეგ კაბის გახდა დაინცო...

სათითაოდ, ნელ-ნელა იხსნიდა ღილებს, თითქოს იცილებდა ძაძის სიმძიმეს და



შავი მარნუხებისგან თავისუფლდებოდა. როცა ბოლო ლილიც გახსნა, კაბა მხრებზე გადაინია. შავი ქსოვილიდან თეთრმა მხრებმა და სახეზე მკერდმა გამოანათა. ანა ინტერესით დააკვირდა საკუთარ მკერდს, მხრებს, მკლავებს... თითქოს პირველად ხედავდა მარმარილოსავით გამოქანდაკებულ სხეულს. მერე მკლავები გაითავისუფლა, კაბა თქოზე ჩამოაცურა, იატაკზე დაუშვა და ფეხით შედგა. სარკის წინ შავი, ბამბის ტრუსის ამარა დარჩა... ისიც გაინახა... ხელი ასწია და ჯერ თავსაფარი მოიძრო, ისიც ძირს დააგდო... მერე თმიდან საშავრი მოიხსნა. შავი, სქელი, ტალღოვანი თმა წელს ქვემოთ სწვდებოდა... თმა მხრებზე დაეფინა და სხეული დაუფარა. წყლის ნიმფას ჰგავდა... თითქოს ხელახლა შეიმოსა ძაძით. მწვანე თვალები უელავდა, გული გამალებით უცემდა... დღეიდან ის ახალ ცხოვრებას იწყებდა — ძაძების გარეშე!..

უეცრად აჩქარდა, საწოლზე დაყრილი ტანისამოსიდან შავი, აუურული ტრუსი ამოარჩია და ამოიცვია... შარვალი... მაისურა... წელში მოიხარა და თმა წინ გადმოუშვა, მერე თავი აიქნია და უკან გადაიყარა... სარკესთან მივიდა... არ მოეწონა. მთელი წელი თმისთვის არ მიუხედავს, ფორმაში არ ჰქონდა. „თბილისში ჩავალ და მივხედავ“, — გაიფიქრა და ისევ კუდივით გამოინასკვია...

შავი კაბა და თავსაფარი მინავლულ ბუხარში შეაგდო და დაელოდა, ბოლომდე როდის დაინვებოდა. მერე ჩანთა აიღო, იქაურობას უკანასკნელად მოავლო თვალი და ეზოდან გავიდა.

...თბილისში წასასვლელიც არსად ჰქონდა, გარდა ბიძისა. მას მიადგა კარზე. უცოლო ბიძა ჰყავდა და სტუდენტობისას, მთელი 5 წელი მასთან ცხოვრობდა. გოჩაც მასთან გაიცნო... ის იყო ერთადერთი, ვინც ბოლო 1 წლის განმავლობაში სვანეთში აკითხავდა და ყურადღებას აქცევდა...

— ანა, წავიდეთ, — ფიქრებიდან წინოს ხმამ გამოარკვია. უკვე კარგად მოსალამოებულნიყო და ბინდდებოდა.

ანა წამოდგა, კიდე ერთხელ შეავლო თვალი საფლავის ქვას და ჩქარი ნაბიჯით დატოვა იქაურობა.

იმ საღამოს გუნება უკვე გაფუჭებული ჰქონდა. წინომაც არ გაუწყალა გული შეკითხვებით, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ აინტერესებდა. მხოლოდ რამდენიმე ფრაზა გაცვალეს დებმა. ანა ადრინადად დაწვა დასაძინებლად. ცოტა ხანში რალაცამ გამოავლიდა... შეიშმუშნა... მიხვდა, წინო შეუწვა ლოგინში. წინო ფრთხილობდა, არ უნდოდა, დას გაღვიძებოდა. ხელი ფრთხილად მოხვია, ზურგზე მიეხუტა, სახე მის თმაში ჩარგო და გაიტრუნა. ანას ესიაოვნა დის სიტონ... იგრძნო, რომ ვიღაცას ასე მონატრებია. არ აგრძნობინა, რომ გაელვია. ცოტა ხანში თვითონაც ტკბილად ჩაეძინა და დილით ზუსტად ასევე გამოელვია — არც თვითონ უცვლილა გვერდი და არც წინოს.

დისკენ გადმობრუნდა, მძინარეს სახეზე ხელი ჩამოუსვა და ცხვირზე აკოცა. გოგონა შეიშმუშნა და თვალები გაახილა. ერთმანეთს გაუღიმეს.

— ადექი, დღეს ბევრი საქმე გვაქვს, — ხელი მსუბუქად ნაპკრა.

— ჯერ შენ ადექი და ყავა მოადუღე, — წინომაც ნაპკრა ხელი.

— ოოჰ, აქ დიასახლისი შენ ხარ და ადექი ახლა და მომეხსახურე, — ისევ ნაპკრა ხელი, ამჯერად უფრო მაგრად.

წინო წამოხტა, ბალიშს ხელი წამოავლო და თავში დაუშვა.

ცოტა ხანში დებს შორის ნამდვილი „ბალიშების ომი“ გაიმართა. ბავშვობა გაიხსენეს. როცა პატარები იყვნენ, სწორედ ასე „ომობდნენ“ ხოლმე, რის გამოც დედა სულ უწყნებოდა და ხშირად ისჯებოდნენ კიდეც.

როგორც იქნა, დაილაღნენ და ღონემიხილები საწოლზე დაეყარნენ. მერე ორივეს სიცილი აუტყდა.

ყავა მაინც წინომ მოადუღა.

— დღეს რა გეგმები გვაქვს? — ჰკითხა დას.

— შენ სამსახურში არ მიდიხარ?

— დღეს შაბათია, არ ვმუშაობ.

— ახლა წავალთ და მანქანას ვიყიდით, ფეხით როდემდე უნდა ვიაროთ?!

— მაგარი! მერე სვანეთშიც წავალთ, არა? — აღფრთოვანდა წინო.

— ჰო, მაგრამ შენი მანქანით — არა, ჩემი მანქანით წავალთ.

— დაგავიწყდა, რომ მანქანა 2 წლის წინ დავამტვრიე?

— არა, ეგ მახსოვს. მაგრამ დღეს შენც გეყოლება მანქანა.

— რა მეშველებოდა, შენ რომ არ მყავდე?! — წინოს სიხარულით თვალები აუციმციმდა.

ანამ ჯინსის შარვალი ჩაიცვა, ფეხზე ბოტასები მოირგო და სპორტულ „ვიდზე“ დადგა.

— ვა, მაღალქუსლიან ფეხსაცმელს არ იცვამ? — გაუკვირდა წინოს.

— ახლა ასე ჯობია. წავედით, — წინომ ჩანთა მხარზე მოიგდო და და წინ გაატარა.

მანქანების ბაზრობამდე ტაქსით მივიდნენ. აქ ძირითადად, მამაკაცები ირეოდნენ. გოგონები მათი ყურადღების ცენტრში მოექცნენ. ერთი ქერა იყო, მეორე — შავგვრემანი და ორივე ქალღმერთივით გამოიყურებოდა. მამაკაცები ხარბი მზერით აცილებდნენ, კომპლიმენტს არ იმუშრებდნენ, მაგრამ ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ.

მთელი ბაზრობა მოიარეს. წინომ ვერცხლიფერი „აუდი“ იყიდა... დღის ბოლოს ანამ დიდ, წითელ, კვასკვასა ჯიპს დაადგა თვალი. პატრონი არ ჩანდა. ანა მანქანას გარშემო უვლიდა და აღფრთოვანებული შეჰყურებდა... მათ ირგვლივ მამაკაცებმა მოიყარეს თავი.

— სადაა ამის პატრონი? — იკითხა

ანამ, რადგან არავინ გამოელაპარაკა.

— აქვე იქნება სადმე, ტელეფონის ნომერი ანერია აგერ, — მამაკაცმა მინის მწმენდავში გარჭობილი ფურცელი ამოაძვრინა და გაუწოდა.

ანამ ნომერი აკრიბა. 5 წუთში მანდ გაეჩნდებოდა, — უპასუხა კაცმა. ცოტა ხანში მანქანის პატრონიც გამოჩნდა.

— რა ღირს? — მოსვლისთანავე ფასი იკითხა გოგომ.

— ძვირია, — ამრეზით უპასუხა მამაკაცმა და ანა თავიდან ფეხებამდე შეათვალიერა.

ქალი მოეწონა, მაგრამ მასში მყიდველი ვერ ამოიცნო და ტუჩი აიბზუა.

— რა ღირს-მეთქი? — გაუმეორა ანამ.

— მე არ მიკითხავს, ძვირია თუ არა, ფასი ვიკითხე, შეიძლება, შენთვის ძვირი იყოს, მაგრამ ჩემთვის — იაფი.

— ეს სლევანდელი „რენიჯ როვერ-სპორტია“, გენაცვალე! 4,2 ძრავა აქვს, 12 აირბეგი... სანვავსაც ბევრს წვავს, — თითქოს გაყიდვა არ უნდაო, ისე ლაპარაკობდა გამყიდველი.

— რა ღირს?! — ბრძანებასავით გაისმა ანას ხმა. ყველას აინტერესებდა, რა მოხდებოდა და ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს.



— 85 ათასი, — როგორც იქნა, ამოღებულა.

— რამდენს დააკლებ? — შეევაჭრა ანა.

— ვერ დავაკლებ, ხომ გითხარი, ძვირია-მეთქი! არ ხარ შენ ამის მყიდველი და



დამანებე თავი, ლაყბობისთვის არა მცალია, — ხელი ჩაიქნია მამაკაცმა.

— რა გქვია? — მოულოდნელი კითხვა დასვა ქალმა.

— ჯონი.

— ჰოდა, ჩემო ჯონი, 80 ათასს მოგცემ და ნავიდეთ, გაავფორმოთ.

— ვა! — დაიძახა ერთმა; მეორემ დაუსტვინა.

— აი ქალიი! — აღფრთოვანება ვერ დაფარა მესამემ.

ჯონი დაფიქრდა, მერე ხელი ჩაიქნია და შეთავაზებულ ფასს დათანხმდა.

— ჯერ გავივლი, — ანამ მანქანის კარი გამოაღო და მანქანაში ჩაჯდა. საჭეს ხელი გადაუსვა, თითქოს მოეფერაო, გასაღები გადაატრიალა... ძრავამ თითქოს შეუღრინაო, ისეთი ხმა გამოსცა და მანქანა ადგილიდან რბილად დაიძრა.

— მაგარია, — მოეწონა ანას, — დღეს გვიანი არაა? მოვასრებთ გადაფორმებას?

— დღეს გვიანია, ხვალ კვირაა, ზეგ გადავფორმებთ, — კაცმა ხელი გაუწოდა გასაღების გამოსართმევად.

— ფულს დღეს მოგცემ, ხვალ მანქანა მჭირდება — რაიონში მივდივარ; ჩამოვალ და გადავფორმებთ. ნინო, იმ „აუდის“ პატრონის ნომერი მითხარი, ნამოვიდეს ბარემ, მაგასაც მივცემ „ბეს“ და დავამთავროთ დღევანდელი შოპინგი.

— მეორე მანქანაც იყიდეთ? — გაუკვირდა ჯიპის მფლობელს.

— ჰო, ჩემი დისტისის, — სასხვათაშორისოდ უპასუხა ანამ, რადგან იცოდა, როგორი რეაქცია ექნებოდათ დანარჩენებს და ცოტა ნაიმეტიჩრა კიდეც.

მეორე დღეს, დილით სვანეთის გზას დაადგნენ. დასავლეთში რომ გადავიდნენ, ანა აღფრთოვანებული უყურებდა გზას, მთებს... ხარბად აკვირდებოდა გარემოს და დიდ სიამოვნებას იღებდა. გზაში ბევრგან გაჩერდნენ, რომ ანა ბუნების მშვენიერებით დამტკბარიყო. საღამო ხანს, როგორც იქნა, ჩააღნიეს.

ჭიშკართან გაჩერებული ჯიპი რომ შენიშნა, დედამ ეზო გადმოჭრა, რომ სტუმარს შეჰგებებოდა. როცა თავისი შეილები შერჩა ხელში, ცოტა დაიბნა. ანას დანახვას ხომ საერთოდ არ ელოდა!.. მონატრებული შვილი გულში ჩაიკრა და ატირდა. კარგა ხანს ეფერებოდნენ ერთმანეთს დედა-შვილი.

— მე ვის ვახსოვარ, არა?.. — ნინომ თავისი არსებობა შეახსენა და თვალზე მომდგარი ცრემლი მოიწმინდა.

ახლა დედა მას ჩაეხუტა.

— შენ არ გეწყინოს, შვილო, 1 თვის წინ გნახე, ეს კი 8 წელია, არ მინახავს! რატომ არ მითხარი, რომ ჩამოდიოდი? ასე შეიძლება?! — მიუბრუნდა ანას.

— ნამო, დედა, შინ შევიდეთ, — ანამ ჭიშკარი შეაღო და ეზოს თვალი მოავლო. გული შეეკუმშა — თავისი ბავშვობა გაახსენდა. სახლისა და ეზოს ყოველი კუნჭული მოიარა, მერე დედას მიუჯდა საჭორაოდ...

იმ საღამოს მათ ოჯახში მეზობლებმა მოიყარეს თავი. ანას ნახვით ყველამ გაიხარა. დედამ კუბდარი გამოაცხო და ანამ იმდენი ჭამა, მერე კვნესოდა, ვეღარ ვისვენებ, მუცელი მტკიავო...

ტატზე მიწოლილი ანა დედას ადევნებდა თვალს. ქალი მოტყბილიყო... ჯერ 50 წლის იყო, მაგრამ გაცილებით ასაკოვნად გამოიყურებოდა.

— დედა, მამა დავითი ისევ აქაა, ჩვენს ეკლესიაში მსახურობს?

— ჰო, შვილო, აქაა, — თავი დაუქნია დედა.

— ხვალ ვნახავ.

— ხვალ ვეზდენთან იქნება: ვეზდენი დაილუპა, ხვალ მისი სულის მობრძანება აქეთ დაგეგმილი, ჩვენც უნდა წავიდეთ.

სულის მობრძანება სვანური რიტუალია. როდესაც ადამიანი სახლიდან შორს გარდაიცვლება, მისი გადმოსვენების შემდეგ, დაკრძალვამდე მისი სულის მობრძანებას ახდენენ. გარდაცვალების ადგილზე მამალი მიჰყავთ; იქ ძაფის ბოლოს რაიმე საგანზე მიამაგრებენ და სახლისკენ აიღებენ გეზს. ძაფს მთელ გზაზე გააბამენ და მეორე ბოლოს მიცვალებულის ჩასასვენებელთან დაამაგრებენ. ამ დროს სასწაული ხდება: ოთახში გაშვებული მამალი თავისი ფეხით მივა მიცვალებულის თავთან, კუბოზე შემოჯდება, ფრთას ფრთას შემოჰკრავს და დაიცივლებს. ეს იმის ნიშანია, რომ სული მობრძანდა...

მეორე დღეს ანა, ნინო და დედა ვეზდენის სახლისკენ გაეშურნენ. ჭირისუფალმა მიატირა, ქალმაც თავი ვერ შეიკავა და აქვითინდა.

ვიღაცამ მხარზე ხელი დაადო. მამა დავითი იყო. ანა მოძღვარს გადაეხვია და ქვითინს უმატა.

— გარეთ გავიდეთ, დამშვიდდები, — მოძღვარმა მხარზე ხელი მოხვია და კარისკენ წაიყვანა. ანა დაჰყვა მის ნებას. ეზოში, მერხზე ჩამოსხდნენ.

— როგორ ხარ? — მოძღვარმა თვალი თვალში გაუყარა.

— არ ვიცი, — მხრები აიჩჩინა ანამ.

— როდის დაბრუნდი?

— გუშინწინ, მამაო.

— იმედია, შენს განზრახვაზე ხელი აიღე.

— არა, მამაო. ჩემი ქმრის სისხლს საბლიანებს არ შევარჩენ.

— შურისძიება და სისხლის აღებას ქრისტიანული რელიგია გმობს.

— ვიცი, მაგრამ მე ისედაც ცოდვილი ვარ. კიდევ ერთი ცოდვით დავიმძიმებ ისედაც დამძიმებულ სულს, — ანას ცრემლი ლაპაღუბით სცვიოდა და მიწაზე ერთმანეთის მიყოლებით ეწვეთებოდა.

— სისხლის აღება ქალის საქმი არაა, შვილო, — მოხუცი მოძღვარი ანას „მობრუნებას“ მაინც ცდილობდა.

— როცა არ არსებობს მამაკაცი, რომელიც შურს იძიებს, მაშინ ეს საქმე ქალმა უნდა მოაგვაროს. ტყუილად ნუ გაირჯებით, მამაო, — ანამ ცრემლი მოიწმინდა, თავი ასწია და მოძღვარს თვალებში შეხედა, — ეს ამბავი გადანყვეტილია

და ფიცს არ გავტყებ: ხომ იცით, მამაო, რომ გოჩას დალუპვიდან 1 წლის შემდეგ მის საფლავზე დავიფიცე, მკვლელს პასუხს ვაგებინებ-მეთქი და ამას აუცილებლად შევასრულებ.

— ქალმა სისხლში ხელი არ უნდა გაისვაროს, ქალმა შეილები უნდა აღზარდოს. შენ კი ქალი ხარ, თანაც — მშვენიერი ქალი და შენს ჩანაფიქრზე ხელი უნდა აიღო.

ანა მხოლოდ თავს აქნევდა უარის ნიშნად.

— ხვალ ტაძარში მოდი, — მოკლედ მოჭრა მოძღვარმა და წამოდგა.

ანას მთელი ღამე არ უძინია, მოძღვართან საუბარი არ სურდა, მაგრამ ვერც მის სიტყვას გადავიდოდა.

...ეკლესიის კარი მოწინებით შეალო და პირჯვარი გადაიწერა. კუთხეში მამა დავითი შენიშნა და მისკენ გაეშურა.

— გამარჯობა! — მიესალმა მოხუცს.

მოძღვარი წელში გასწორდა, ქალს შეხედა, უსიტყვოდ შებრუნდა და ოთახში გაუჩინარდა. ცოტა ხანში გამოვიდა და ანასკენ გამოემართა. ხელში წმინდა გიორგის მოოქრული ხატი ეჭირა. ანას წინ გაჩერდა და ხატი გაუწოდა.

— ემთხვიე! — უბრძანა.

ქალი ხატის კუთხეს ბაგით შეეხო.

— ეს ხატი წელიწადში რამდენჯერმე გამობრძანდება — მხოლოდ განსაკუთრებული შემთხვევისა და დღესასწაულის დროს. ასლა დადგა ეს განსაკუთრებული დრო: დავიფიცე ამ წმინდა ხატზე, რომ შურისძიებაზე ხელს აიღებ და საბლიანების ოჯახს არაფერს დაუშავებ.

— არა. საფლავზე დადებულ ფიცს არ გავტყებ! — შეუვკიდი იყო ქალი.

— დავიფიცე, ანა!

— არა, მამაო... მე ნავალ... სალაპარაკო აღარაფერი გვაქვს... მერე მოვალ, როცა პირნათელი ვიქნები ჩემი ქმრის სულის წინაშე და პატიებას ვთხოვ ღმერთს. მაშინ გეტყვით აღსარებას...

ანამ რომდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, მერე მოძღვარს ზურგი აქცია და კარისკენ წავიდა. ზღურბლზე ფეხი გადადგა თუ არა, დავითის ხმა მოესმა, მოძღვარი ეძახდა.

ქალი შეჩერდა... თავი არ მიუბრუნებია. ელოდა, როდის დაუძახებდა კიდევ, მაგრამ ძახილი აღარ განემოხრდა. ქალმა პირჯვარი გადაიწერა:

— ღმერთო, მიშველე და მაპატიე! — ხმამაღლა წარმოთქვა და ეკლესიის ეზო დატოვა.

მიდიოდა და ფეხები უკან რჩებოდა. კიდევ ერთხელ რომ დაეძახა დავითს, შესაძლოა, მიბრუნებულიყო, მაგრამ როგორც ჩანს, მოძღვარმა მხოლოდ პირჯვარი გადასახა და ასე დალოცა ცოდვილი.

„ამ საღამოს უხუცესთან მივალ, მას ვთხოვ რჩევას; გავარკვევ, რა ხდება გვარებს შორის“, — გაიფიქრა და წელში გაიმართა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

გზის გზნილები



მარი ჯაფარიძე

გამარჯობა, ძვირფასებო. ლამის ლოცვად და ქადაგად დავვარდებ, ამ კვირაში ისე მომენონა თქვენი გზავნილები. მადლობა, რომ ჩემი თხოვნა შეისმინეთ და კარგი მესოჯები გამოგზავნეთ. სიმართლე გითხრათ, თუ აქამდე 5 მესოჯიდან 4-ს ვინუნებდი, ახლა არც ერთი არ დამიწუნია. შეგძლებიათ თურმე საინტერესო ამბების გამოგზავნა და რატომ აფუჩუჩებდით აქამდე? ჰოდა, ახლა არ გათამამდეთ, არ მოეშვათ და იმავე ტემპითა და შემართებით განაგრძეთ. თუმცა, ეს ამბავი ზოგიერთ მკითხველს ალბათ არ გაუხარდება: „მე მაგალითად, მივსალმები, თუ „გზავნილები“ დაიხურება. იმ მკითხველებს, რომლებიც აქ არ გწერენ, არ აინტერესებთ ეს „გზავნილები“. თან რაში უნდა გვანტერესებდეს ვილაცის უაზრო ამბები? ლიკა ქაჯაია, შენ გეისარე, „თინეიჯერული პონტების“ შექმნისთვის. EKO BOY. არა, ლიკას გახარების სანინალმდეგო კი არაფერი მაქვს, უბრალოდ, საინტერესო ის გახლავთ, რომ თუ „გზავნილებს“ არ კითხულობს და სხვისი ამბები არ აინტერესებს, წინა შესავლის შინაარსი საიდან იცის? მოკლედ, დავანებოთ თავი ბოლმიან ადამიანებს (რატომ არ ვუყვარვართ ამ ბიჭს, მაინც ვერ მივხვდი) და თქვენს საინტერესო მესოჯებს მივხვდეთ.

უსუნაური გათხოვების ამბავი



მოკლე ჩართვა

მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო

• მე რომ ჟურნალ „გზის“ რედაქტორი ვიყო? :) დარწმუნებული ვარ, უმაგრესი შეგრძნება იქნებოდა (სასკოლო გაზეთის რედაქტორი ვარ და ვიცი, ეგ რასაც ნიშნავს). ზურაბ აბაშიძე ალბათ ბედნიერია, ასეთი პოპულარული და ყველასთვის საყვარელი ჟურნალის ხელმძღვანელი რომაა. წარმატებებს გისურვებთ. აბეზარა.

• ვერც წარმოიდგენ, მარ, ამ კითხვას რამდენი ხანი ველოდი და აჰა... იქმნა ნათელი! „გზა“ მართლა ძალიან მიყვარს, რადგან სხვის პირად ცხოვრებას არ ქექავს, სადაა და არ ყვირის, მაგრამ ხანდახან მგონია, რომ ცოტა მაროლი აკლია. რამდენჯერ მინატრია, ცოტა ხნით რედაქტორის ადგილზე დამსვა და მერე მე ვიცი, რასაც ვინამდემეთუ :-). პირველ რიგში, „გზავნილების“ გვერდებს გავზრდიდი და მაგ ჰოროსკოპს საერთოდ ამოვიღებდი. ტაძრის გვერდს მოძღვრის რჩევა-ქადაგებებსა და წმინდა მამათა სიტყვებს დავამატებდი, „საკითხავი ქალებისათვის“ რომაა, მანდ რამე ახალს დავანერინებდი (არ გენყონოთ, მაგრამ თითქმის ერთი და იგივე მეორდება), სპორტის გვერდს გავახალისებდი, იმხელა სკანდორდს შევკვეციდი და იმავე გვერდზე ინტელექტუალურ ტესტს ჩავჭუჭყნიდი, „ერუდიტი“ კი ხანდახან სტუმრად მგზავნილებსაც მოვიწვევდი. ლიმონა.

• აუ, ჩემი საშემოდგომო თუ საახალწლო სურვილი რაა, იცით? აი, როგორც სკოლებშია ხოლმე, წელიწადში ერთხელ ბავშვები რომ ხდებიან მასწავლებლები და დირექტორები, აქაც რომ ასე ვქნათ. დიდი სიამოვნებით ვიქნებოდი რედაქტორი... და „ერუდიტის“ სტუმარიც. „ერუდიტის“ გვერდს კი პარიჟანკას მივანდობდი. „პროვოკატორს“ — ენგმას, ინტელექტუალურ სფეროს — ეშმაკუნას, გრაფი თარხანისას — მაესტროს, „თინეიჯერულ პონტებს“ — იკუშკებს, ანეკდოტებისას — ჯეჯეს, ცნობილ ადამიანებთან ინტერვიუებს SWEET-ს, GREEN-ს, ჩუბის, სელოვანებსა და მოდაზე CRAZY-ს, „გზავნილებს“ — ილინს, სპორტს მე გავაკეთებდი და ასე, რა... რაიო? აჰა, მესმის, რომ ოცნებას ბაჟი არ ადევს. გავიგე, ჰო, ნულარ მესწრით რაღაცებს, მესმისმეთქი, ვაჰ! :-). ლიმონა.

წინდახეული მამა

„სკოლიდან მოყოლებული, ჩემს ახლობელ ნინოს ერთი ბიჭი უყვარდა. ლაშასაც უყვარდა ნინო. როგორც იქნა, დაამთავრეს სკოლა, ინსტიტუტიც და დაიწყეს ფიქრი ოჯახის შექმნაზე, მაგრამ ნინოს მამას სასიძო არ მოსწონდა. ჰოდა, უთქვამს, შვილო, მაგას თუ გაჰყვები, სამუდამოდ დაგვარგავო. რაღა ექნა? ადგა და დაურეკა თავის სიყვარულს და უთხრა — მამამ სხვა გზა არ დამიტოვა, ვერ გამოგყვები ცოლად, თორემ მშობლებს ვკარგავო. ლაშას ბევრი აღარ უფიქრია და დაარიგა, გამოიპარე სახლიდანო. ნინო ისეთი შეყვარებული იყო, მართლა გაიპარა. წავიდა და გაჰყვა ცოლად. მოიცა, მოიცა, საინტერესო ახლა იწყება: ნინოს მშობლებმა იმ დღესვე მიაგნეს თავის ქალიშვილს და უთხრეს, ან წამოდი სახლში, ან სამუდამოდ დაგვივინყეო. ნინოს ცრემლები წამოსცვივდა თურმე და წამოჰყვა მშობლებს, მაგრამ იქ ამბავი ატყდა! ლაშასა და ნინოს მამამ დასცხეს. ნუ, სიტყვიერი შურაცხყოფა ყოფილა მარტო და თან მაგარი. კი დააბრუნეს სახლში ეს თავისი ქალიშვილი, მაგრამ რად გინდა? იმ ღამეს გაპარულა ისევ ნინო, ლაშასთან, ტო! გადავირიე პირდაპირ, რომ გავიგე, კაცო... რაღას მოჰყვებოდა მამამისს, უკან? ჰოდა, მამამისმაც დაურეკა და უთხრა, შენ მამა აღარ გყავს, ჩემთვის უკვე მკვდარი ხარო. ბავშვიც შეეძინა, მაგრამ მამამისმა მაინც არ მიიღო. ჰოდა, ახლახან გავიგე, დამორებულან. მამამისს დაურეკავს და უთქვამს, ეგეც შენი ლაშა, სახლში მოსვლაც არ გაბედოოო. კეეე!9“.

„მოგებული“ ქმარი

„ჩემმა ახლობელმა გოგომ ზაბთრის ქარყინვაში „ბალი“ ბარათი გადაფიკა ქუჩაში, მაგრამ სანამ თანხას შეიყვანდა, ძლიერმა ქარმა გაყინული ხელიდან ბარათი წაგლიჯა. უცნობმა ბიჭმა დაიჭირა და მიუტანა. გამოელაპარაკენ ერთმანეთს, ბიჭმა ნომერიც დასტყუა და ერთი წლის შემდეგ ცოლ-ქმარიც გახდნენ, შემთხვევითი ნაცნობები. ნუ, გამართლებაც ესაა. გადაფიკა „ბალი“ და „მოიგო“ ქმარი. ენდი“.

გაქცეული პატარძალი

„ნატო რომ გავიცანი, პირველად ის გავიფიქრე, ჩემმა ძმამ ასეთი რძალი რომ მომიყვანოს, თავს მოვიკლავ-მეთქი. ის ვულგარული ჩაცმულობით, გამოწვევი სიცილითა და ხმაველი საუბრით იქცეოდა ყურადღებას. ირგვლივ კი იაფფასიანი სუნამოსა და სიგარეტის უსიამოვნო ნაზავის სურნელებს აფრქვევდა. არც გარეგნობით გამოირჩეოდა, არც ინტელექტით, მაგრამ რატომღაც ამ კატეგორიას უადვილდება გათხოვება. ჰოდა, ჩვენმა ნატუკამაც გამოიჭირა ვიღაც და ქორწილის თარიღიც დაინიშნა. ნატოს მეჯვარე მისი დაქალი, ირა უნდა ყოფილიყო. სასიძო რომ

მთლად დალაგებული არ იყო, იმით დაამტკიცა, რაც ქორწილის დღეს გააკეთა. მოკლედ, ქალბატონი ჯვრისწერამდე ვიღაც არაქართველთან ერთად გაიპარა. შურაცხყოფილმა სიძემ, რას ჰქვია, ქორწილი ჩაგმალა, იცით, რა დამიჯდა მარტო „სატრინაო“?! და ირა მოისვა გვერდით. მეჯვარედ გამზადებულმა ირამაც გაიხარა, ბედი გამეხსნაო და დაქალის „ნახმარ“ (უკაცრავად) კაცს ბევრი აღარ ახეუნინა. :) ღმერთო, გვაშორე ასეთი გადაგვარებული კაციც და ქალიც! პარიჟანკა“.

ნარდში წაგებული ქალწულობა

„მართალია, ის შემთხვევა, რომელსაც ახლა მოგიყვებით, ქორწინებით არ დამთავრებულა, მაგრამ მცდელობა იყო. მოკლედ, გურიის ერთ-ერთ სოფელში (არ დავასახელებ გასაგები მიზეზების გამო), ბიჭმა მოიტაცა გოგო, რომელიც ნამეტანი უყვარდა. გოგომ — სახლში მინდა მე, ჩემს წენაიასთანო... წივილი-კივილი... არ მიქნა — კი გიზამ და ბოლოს შეთანხმდნენ, რომ ნარდი ეთამაშათ ნაძლევზე. ბიჭმა — თუ მე მოვიგე, ჩემთან დანვებით, გოგომ — თუ მე მოვიგე, გამიშვებო. მოკლედ, გაიმარჯვა ბიჭმა, გოგომაც „თავანი“ პატოსნად ჩააბარა და დილით, როცა მისიანებმა მიაკითხეს, დაჰკრა ფეხი და გაჰყვა. გააბდლებულ სასიძოს კი უთხრა: რა გინდა, ძამა, „ფუფლოში“ ხომ არ გადავვარდით?! ატარექსია“.

დადუ

„მაშინ ეკა მხოლოდ 15 წლის იყო, როცა ნათესავთან საზაფხულო არდადეგებზე სტუმრად ჩასულმა, ერთი უცნაური და ყველასგან გამორჩეული ბიჭი შენიშნა ქუჩაში. არც დადუს დარჩა შეუმჩნეველი უცხო, ლამაზი გოგო. მალე მთელი უბნის ბიჭებიც ცდილობდნენ, ეკას გული მოეგოთ. ის — არა. თავისი ნაკლის გამო გოგოსთვის ბრძოლა შეუძლებლად მიაჩნდა. 9 წლის დადუ მშობლებთან ერთად ავარიში მოყვა. მხოლოდ ის გადარჩა, უამრავი ოპერაციის შემდეგ, დასახიჩრებული სახით. ეკამ და დადუმ ერთმანეთი გაიცნეს, ბევრი საერთო იპოვეს. დადუს მოსწონდა, ძალიან მოსწონდა, მაგრამ თავს მასზე ფიქრსაც უკრძალავდა. იცოდა, ეკას სიმპათიურ თავყვანისმცემელთან კონკურენციის არანაირი შანსი არ ჰქონდა. მხოლოდ მეგობრული სიახლოვითაც უბედნიერესი იყო, მაგრამ ეკამ მასში ის იპოვა, რაც ვერც ერთ ლამაზ ბიჭში ვერ აღმოაჩინა და მიხვდა, რომ დადუ უცნაური სიყვარულით უყვარდა. არ დაელოდა მის აღსარებას. თავად აგრძნობინა, რომ უყვარდა და ტრაგიკული, სევდიანი ბიჭი ბედნიერებით გაბრწყინებულ ადამიანად აქცია. ასეთი მხიარული, ტრაგედიის შემდეგ არავის უნახავს. ხალხს შეუმჩნეველი არაფერი დარჩენია. ეკაზე შეყვარებული

ბიჭები ბრაზობდნენ, ჩვენს თავს ეს როგორ არჩიაო. ეკას კი კეთილისმყოფლები თვალის ახელას ურჩევდნენ. განსაკუთრებით — მასპინძელი, მისი თანატოლი გოგო, ნინო აქტიურობდა. მთელი ოჯახი განიცდიდა, რამე თუ არ მოვიფიქრეთ, ეკას მშობლები გადაგვნივევენ, უპატრონო, დასახიჩრებულ ბიჭს რომ გაჰყვესო. რა არ სცადეს, მაგრამ გოგო შეუფალი იყო, დადუ — ბედნიერი. მალე ეკა შინ დასაბრუნებლად მოემზადა. ბიჭს დაჰპირდა, ნინოს მეშვეობით წერილებს მოგწერო. გამოთხოვება გაუჭირდა, მაგრამ მაინც წავიდა. თურმე — სამუდამოდ. ექვსი უპასუხო წერილი მისწერა ბიჭს. ის კი დუმდა. 2 თვის შემდეგ, ახლობლებმა უთხრეს, დადუს ბებია გარდაეცვალა (მხოლოდ ის ჰყავდა ბიჭს), გამოკვტა კარი და თბილისში წავიდაო. არ დაიჯერა გოგომ, ჩავიდა და მისვდა, არ ატყუებდნენ. დადუ უმისამართოდ გაქრა, დაუტოვა ეკას გულში სიყვარულის ღრმა იარა და უამრავი პასუხაუცემელი კითხვა... მას შემდეგ დადუ თავის სოფელში აღარ ჩასულა. აღარც ეკა მისულა იქ. 7 წლის შემდეგ ეკასთან ნინო ჩავიდა, საბერძნეთში მივდივარ სამუშაოდ დიდი ხნით და არ მინდა, ის ბოროტება არ ვაღიარო, რომელიც მეგონა, შენი კეთილდღეობის მიზნით გავაკეთეო და ეკამ გაიგო, რომ მეგობარს მისი არც ერთი წერილი არ გადაუტყდა დადუსთვის. სამაგიეროდ, ის წერილი გადასცა, სადაც თითქოს ნინოს სწერდა, დადუს უთხარი, სხვა მიყვარს, როგორ იფიქრა, რომ ასეთი კვაზიმოდო შემიყვარდებოდა, ასე იმ ბიჭების გასაბრაზებლად მოვიქცეო. ალბათ არ ჰქონდა დადუს საკუთარი თავისა და არც ეკას სიყვარულის რწმენა და ამიტომაც დაიჯერა ადვილად და არც მისი მოძებნა და სიმართლის გარკვევა უცდია. წავიდა ნინო და თან გაიყოლა გოცნებულ ეკას სიძულვილი და ბრაზი. თითქოს ამით დამთავრდა ყველაფერი. გავიდა წლები, მაგრამ... ერთ დღეს, ეკამ დასავლეთიდან თბილისისკენ იმგზავრა. სადგურზე ჩამოსული, მგზავრებსა და ურიკებიან მზიდავებს შორის გზას იკვლევდა, როცა მის სმენას შორეული, ნაცნობი ხმა მისწვდა. შებრუნდა და დადუ დაინახა. მის სიახლოვეს იდგა, ეკა არც შეუმჩნევია. ან იცნობდა კი, 11 წლის შემდეგ, დაქალებულ და სრულიად შეცვლილ ეკაში თავის საყ-

ვარელ, პატარა გოგონას? ურიკით მგზავრებს ტვირთის გადატანას სთავაზობდა. დაჭმუჭნილი ტანსაცმელი ეცვა და გრძელი თმით ნაიარევ სახეს მალავდა. ნამით მის მზერასაც მოჰკრა თვალი, თბილი მზერის ნაცვლად ნასვამი, ამღვრეული თვალების ცივ ხედვას ნაანყდა. შეცბა. — დადუ! დადუ! — ეგონა, მთელი ხმით ყვიროდა, მაგრამ მისი ბაგე უძრავად იყო. ეს გულის ყრუ გამოძახილი იყო მხოლოდ. დადუმ ვილაცის ბარგით ჩაურა. ეკა გამეშვებული იდგა, ხვდებოდა, ურიკის ყოველი ახალი გაჭრიალება მის საოცნებო, სიყვარულს შენიღბულ, მონატრებულ ადამიანს აშორებდა, მაგრამ ყველაფერი უკვე გვიანი და უადგილო იყო. მის ცხოვრებაში აღარ იყო დადუს ადგილი და არც — პირიქით. იქვე ჩამოჯდა, სახე ხელებში ჩარგო და აქვითინდა. ეს ცრემლები იყო ტკივილის, მონატრების, უსუსურობის, უიმედობისა და სამუდამოდ დაკარგული სიყვარულის რეალობად შეგრძნების. — ჩემი დადუ, — ჩურჩულებდა ეკა. თუმცა ხვდებოდა, სიტყვა „ჩემი“ უადგილო იყო. P.S. თუ ეს გზავნილი ოდესმე შენს თვალსაწიერში მოხვდება, მინდა, იცოდეს სიმართლე. ახლა უკვე შენი მოძებნა და ყველაფრის პირადად ახსნაც შემიძლია, მაგრამ ვიცი, ამას არ გავაკეთებ, დადუ, რადგან ძალა არ მეყოფა. ენდი“.

გაპარული

„ეს ამბავი 29 წლის წინ მოხდა. მანჩოს შეყვარებული მოტაცებით ეშუქრებოდა სწორედ მაშინ, როცა მის დეიდას დედამთილი დაეღუპა. გარდაცვლილის ნათესავეები შორს ცხოვრობდნენ. ამიტომ, ამბის შესატყობინებლად ვინმე უნდა წასულიყო, ეს საქმე კი მანჩომ აიღო თავის თავზე და მის ყველაზე ახლო მეგობარ თეკლასთან ერთად წავიდა. თეკლა ეშმაკი გოგო იყო, მანჩოს შეყვარებულ ლეკოს მოელაპარავა, რომ მეგობრის მოტაცებაში დაეხმარებოდა. ლეკომაც ეს მომენტი გამოიყენა და იმერეთიდან სურამში ჩავიდა, დაქირავებული ტაქსით. ამასობაში მანჩომ ნათესავეებს ყველაფერი შეატყობინა და თეკლასთან ერთად შინ ბრუნდებოდა, როცა გზაში ლეკო დახვდა. მაშინ, მოტაცებაზე თუ გოგო თანახმა არ იყო, შეეძლო ეჩივლა. ამიტომ, ტაქსის მძღოლმა მანჩოს უთხრა, თუ არ გიყვარს, ახლავე წადიო, მაგრამ როგორც ჩანს, ის არ

აპირებდა წასვლას და თავისი ნებით გაჰყვა. თეკლა კი იქ დარჩა და მარტომ განაგრძო გზა. იცოდა, რომ მოხვდებოდა და შიშის კანკალით მივიდა მანჩოს ოჯახში. გაპარული ხმით აცნობა მის მშობლებს მისი გაპარვის შესახებ. ატყდა კვილი-წივილი და თეკლაც მიხვდა, რომ კარგი ამბავი არ იყო მის თავს. რაღაც მიზეზის გამო, მანჩოსა და ლეკოს ტაქსის გამოცვლა დასჭირდა. ყველაზე უცნაური კი ის იყო, რომ სიძეს გახვრეტილი ხუთთეთრიანიც არ ეგდო ჯიბეში და ტაქსის ფული პატარძალმა გადაიხადა. როდის-როდის, ლეკომ მანჩო ნათესავეებთან მიიყვანა. ახლა იქ ატყდა ერთი ამბავი, ზოგი ულოცავდა, ზოგსაც ის აწუხებდა, პატარძლის მშობლებს არ ეჩივლათ. ამიტომ მანჩოს ხელწერილი დაანერინეს, რომ თავისი ნებით გამოჰყვა ლეკოს. მანჩოს მშობლებმა მალე მიაგნეს. საბოლოოდ, მათი ოჯახები დარწმუნდნენ, რომ სიძე-პატარძალს ერთმანეთი უყვარდათ და მშვიდობიანად დაემშვიდობნენ. ახლა მამიდაჩემი ანუ მანჩო 48 წლისაა და 28-29 წლის ვაჟუცაცები ჰყავს. ერთი დაოჯახებულია და 4 წლის შვილი ჰყავს, მეორე კი სულ მალე მოიყვანს ცოლს. ლუნა“.

ნაძირალა

„მან ხალხის მასა გაარღვია და მოცეკვავე გოგოს მიეჭრა.
— იცი, მომეწონე. მინდა, გაგიცნო. გოგომ გაიღიმა.
— რა პრობლემაა? ნინი ვარ.
— სასიამოვნოა, ნინი. მე ნიკა ვარ — ხელზე ეამბორა.
მეხუთე დღეს ნიკამ ნინი ცოლად მოიყვანა. შეუღლებიდან ერთი თვის შემდეგ ნიკამ მეგობრის სახლში შემთხვევით მოჰკრა თვალი ერთი ლამაზი გოგოს სურათს, რომელიც ამ მეგობრის ქორწილში იყო გადაღებული.
— ეს გოგო ვინაა? — იკითხა ნიკამ.
— არ ვიცი, მგონი, ლიკას ნათესავია. ნიკამ იმდენი მოახერხა, რომ ამ გოგოს ნომერი გაიგო. დაურეკა და პაემანი დაუწინაშა.
— როცა გნახე, მაშინვე მომეწონე. გოგომ გაიღიმა.
— მეც.
მალე ისინი სრულიად შიშვლები ერთმანეთს ეკვროდნენ და ეალერსებოდნენ.
ნიკა შინ დაბრუნდა და ცოლს აუხიროდა. ერთ კვირაში ჯერ სასტიკად სცემდა, მერე სახლიდან გააგდო. ის მაკაზე დაქორწინდა. 3-წლიანი თანაცხოვრების შემდეგ მაკა გზაზე ქაღალმა გააჩერა.
— რა გნებავთ?
— არაფერი. უბრალოდ, იცოდეთ, თქვენი ქმარი ნაძირალაა.
— უკაცრავად?!
ქაღალმა ყველაფერი უამბო. არც ის დაუმალავს, რომ ორსულად იყო და ნიკასთვის არ გაუშვებია. მაკა შეძრა ამ ამბავმა. შინ დაბრუნდა. ნიკა დივანზე იჯდა. ქაღალმა ორჯერ ესროლა. ემზარი. სამეგრელო“.



დიდი მოლოები ამ ამსებმბს.
უშმალოდ, ზვიერმათი მოლო ცაყცაო
ყოამო გმძღოლას, მეცი ამასოყრმი



მოკლე ჩართვა

მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო

• მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო? ვაჟა, რომ მომმართავენ, — „ბატონო ზურაბ...“ ეს ღირს ერთ რამედ, რადგან მამაკაცად ყოფნა ხომ ყოველთვის მინდოდა. კარგია ოცნება. გრუზინკა.

• თუ ამ საკითხის გადამწყვეტა ჩემს დაქვემდებარებაში იქნებოდა, აუცილებლად გავაქრობდი იმ მტრისკოდს, რომელიც ჟურნალის გარეკანს „ამშვენებს“. პატივისცემით, დათო.

• ვიამაყები არაჩვეულებრივი კოლექტივითა და ხალხის სიყვარულით, რომელიც ჟურნალს არ აკლია. ვენაცვალე ჩვენს „გზას“, შავ ტუსა ფურცლებში! პარიჟანკა.

• მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო, „გზავნილებს“ ცალკე ჟურნალად გამოვცემდი და, რა თქმა უნდა, „გზავნილები“ ერთქმეოდა. ჟურნალი „გზავნილები“ თან მოჰყვებოდა „გზას“. ბამბუჩა.

• პირველ რიგში, ვიზრუნებდი ჟურნალის ხარისხზე, რომ ხელები აღარ გაეშავებინა.

• „გზავნილებს“ ცოტა უფრო მეტ ფურცელს დავუთმობდი. აუ, რამდენს გავახარებდი! მატიტულა.

• მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო, რა მიჭირდა? ცხოვრება უფრო ხალისიანი იქნებოდა. ნეტავ, ვინ არის რედაქტორი, არ უნდა დახმარება? ასისტენტად დამნიშნეთ, გამიხარდება.

• საქველმოქმედო ფონდს ჩამოვყალიბებდი და ხალხს დავეხმარებოდი. თითომ თითო ლარი რომ აკრიბოთ, ხალხს ესეც წაადგება. ბერს სჭირდება ჩვენი ხელის განდევნა. მაგალითად, ერთ-ერთ მგზავნელს, რომელსაც არ სურს ვინაობის გამხელა, სასწრაფოდ ესაჭიროება გადაუდებელი ოპერაცია. მას განუკურნებელმა სენმა დარია ხელი. ასე რომ, რედაქტორო, ყველაფერი თქვენზეა დამოკიდებული. მე რომ ვიყო, კი ვიცი, რასაც ვიზამდი, მაგრამ... ეჰ... ქრიჭინა.

• იფ, რა კაია! მე რომ „გზის“ რედაქტორი ვიყო? აუ, ისე, ხომ მაგრად ჟღერს! კეკეი.

• პირველ რიგში, „გზავნილებს“ უფრო დიდ ადგილს დავუთმობდი. ეს ფურცლები ხომ უბრალო მკითხველისთვისაც და თითოეული მგზავნელისთვის საყვარელი ფურცლებია? და კიდევ, „ჟურნალი ჟურნალში“ დავაბრუნებდი. „ვოლ ტაკ“! კეკეი.

ძალით გათხოვილი

„გათხოვება? კი, ბატონო, მნიშვნელოვანი ნამდვილად არის იმდენად, რამდენადაც ამ ნაბიჯის გადადგმას წინ დიდი სიყვარული უნდა უძლოდეს, მაგრამ ნურას უკაცრავად, თქვენ არ იცით, ზოგ კუთხეში ქალის გათხოვებისთვის შეყვარებული მამაკაცის მხოლოდ ერთი მანევრი — ხელის ჩამორთმევაა კმარა და მეტი უცნაურობა რა გინდათ? ვალდებული ხარ გათხოვდე, მაშინაც კი, თუ დასაანახავდაც ვერ იტან ამ კაცს. დასაბამიდან ასეა და დღესაც ასე გრძელდება. ვინ მოთვლის, რამდენი ნაძალადევა გათხოვებული გოგოს ცრემლი იღვრება ჩუმიად, მაგრამ ვერვინ გაუგებს, რადგან ჩვეულება რჯულზე უმტიციცესია... ჩემს ერთ-ერთ ახლობელსაც ეს ბედი არგუნა განგებამ. თავმომწონე გოგო, ჯერ კიდევ პატარა, მაგრამ დამსახურებული პედაგოგი, ნარნარით მიუყვებოდა ერთი სოფლიდან მეორეში მიმავალ შუკას. იმ სოფელში საყვარელი მოსწავლეები უცდიდნენ და არა მარტო: იმ სოფლის ერთ-ერთ წარმოსადგე ყმანვილს ჩაუვარდა გულში ეს გოგო. ზუსტად 5 წელი ითმინა გულში გაჩენილი სიყვარულის მგზნებარე ცეცხლი, მაგრამ ერთხელაც გაიგო, რომ სხვა უპირებდა ამ გოგოს მოტაცებას. დაანებებდა? ჰოდა, ერთ მშვენიერ დღესაც ჩაუსაფრდა სკოლისკენ მიმავალს და მეგობრების დახმარებით, ძლივს ჩასვეს მანქანაში. აქ საგულისხმოა ის, რომ გოგომ გემრიელად მიბეჭა ბიჭის მეგობარი, გამოჩენილი მოჭიდავე, მაგრამ ქალი მაინც უმწეოა. მით უმეტეს — ოთხი მამაკაცის წინააღმდეგ. ჰოდა, ჩასვეს მანქანაში და ზუსტად ორი კვირა იცავდა ბიჭის ოჯახს შეიარაღებული სამხმაცო. ამ ორი კვირის განმავლობაში გოგო გააფთრებულ ძერას ჰგავდა, ვენებიც კი გადაიჭრა, მაგრამ ვერაფრით დაეხმარა საკუთარ თავს და უკვე ათი წელია, ოდესღაც საძულველი მამაკაცის მოსიყვარულე მუუღვე ჰქვია. P.S. კაცებო, რატომ აუბედურებთ ძალიანობით, დაუცველ არსებებს? მეუ“.

უცნაური „არგათხოვება“

„უცნაურ „არგათხოვებაზე“ შეიძლება? სკოლაში ქიმიას ძალიან ლამაზი გოგო გვასწავლიდა. უამრავი ბიჭი ყლაპავდა ნერწყვს მის დანახავზე. ჰოდა, ერთ მშვენიერ დღეს, ერთ-ერთმა, ყველაზე ნაკლებად სიმპათიურმა ბიჭმა იგაჟაცა, მანქანაში ჩატენა ჩვენი მასწავლებელი და გადასაყვარებელი გააქანა. ისვენა-იმუდარა გოგომ, მაგრამ გელა პუტინივით შეუვალი და დაუნდობელი იყო. გაიშალა სუფრა და წავიდა შარაფი. დიანას ცრემლები არავის ადარდებდა. გოგოს პატრონი ამ დროს აზრზე არ იყო, გაკვეთილებზე ეგონათ. როცა გაიგეს, უკვე გვიანი იყო, ბინდებოდა. აწრიალდნენ, მაგრამ რაღა დროს? თან ვერც მიაგნებდნენ, მთელი თვე რომ ეძებნათ, სა-

ბრალო ისეთ ადგილზე ჰყავდათ გადამაღული. სასიძოს ძმა ჯარში ჰყავდა და როგორც კი გაიგო გელას ცოლის მოყვანის ამბავი, ჯარში შექნილ ძმაცაცთან ერთად, სახლში წამოვიდა. იმ დროს შეაღეს კარი, როცა თითქმის ბედსშეგუებულ დიანასა და ნოლიადელის ღიმილით სახეგაბრწყინებულ გელას თამადა ლოცავდა, „ბოლტი“ და „გაიკასავით“ მიჰანგულიყავით ერთმანეთსო. შეაღეს და იცით, რა მოხდა? დიანა ძამიკოს ძახილით გაექანა ჯარისკაცისკენ. ის ბიჭი, რომელიც გელას ძმამ მოიყვანა, დიანას ძმა აღმოჩნდა. ატყდა ერთი განევ-გამონევა, მაგრამ გელას ძმის დახმარებით, არშემდგარი პატარძალი თავის ბუდეს დაუბრუნეს. P.S. დიანა მალე გათხოვდა. ახლა შვილებიც ჰყავს. გელა კი დღესაც ეძებს თავის მეორე ნახევარს და ძმას იმ დღეს ვერ პატიობს. ენდი“.

პირდაპირ ბოსტანში

„ჩსოროწყუში ერთი ფენოქენი და კოლორიტი ადამიანი ცხოვრობდა — მამანტი კვირტია. მამანტის თურმე მალალი წნევა აღმოაჩნდა და ექიმებმა წამლებთან ერთად მკაცრი დიეტა დაუნიშნეს — უხორცო, უმარილო, „უმიმილო“ კერძები. გვიანი შემოდგომა, მამანტიმ ბოსტანში ფხალი ნახა და მეუღლეს მისი გაკეთება სთხოვა. ქალმა ვერ მოიცალა. კიდევ შეახსენა, კიდევ გადაავიწყდა და ასე გაგრძელდა კაი ხანს. ერთ დღესაც გააშადა სადილი. მამანტისთვის შეკვამა ფხალი, ნაკლებად მარილიანი, უნიგვზოდ. სუფრასთან მეუღლე ფხალის დამზადების მთელ ისტორიას მოჰყვა და დაამატა: თუ მთლიანად არ გიჭამია, არ ვიცი, რას გიზამო. მამანტიმ გასინჯა, არ მოეწონა და მეუღლეს უთხრა: ქალბატონო ზინა, თუ ეს ფხალი მოხარშულად, შეკვამულად და გამზადებულად უკეთესი არ იქნებოდა, რაზე განუხებდი, ბარემ პირდაპირ ბოსტანში მოკოვდიო.“

მამანტი კვირტიამ რაიონული გუნდისთვის სიმღერის ტექსტი დაწერა, რამაც დიდი მოწონება დამსახურა თბილისში, რესპუბლიკურ დათვალეირებაზე. აღმასკომის თავმჯდომარემ, შალვა ხუნტუამ მისალოცი დევემა გამოუგზავნა. სამი დღის მერე, როცა ჩამოვიდნენ, ბატონი შალვა შეეკითხა მამანტის: — ხომ მიიღე ჩემი დევეშო? მამანტიმ უპასუხა: — მივიღე და მთელი ღამეები მუცელზე მიდეგს, მაგრამ შიშშილს ვერაფერს შევლისო. P.S. იგივე ითქმის მიშას მიერ გაცემულ დაპირებებზე და ორდენებზე. ლიმონა“.

დაწუნებული საპატარძლო

„ჩემმა მეზობელმა თავისი უცნაური გათხოვების ამბავი მომიყვა: 20 წლის რომ გავხდი, მამამ გადაწყვიტა, გარიგებით გავეთხოვებინე, რადგან იცოდა, თავისუ-

ფლება იმდენად მიყვარდა, ჩემი ნებით არ გადავდგამდი ამ ნაბიჯს. 20 წლის გოგოს საგარეო საქმეთა მინისტრს მიხსენებ, — 24 საათი დაქვრივი აღმა-დაღმა. საწყალ კაცს ცოტაც და ინფარქტი დაარტყამდა. ძალს მამა იყო და ძალს — მე. ვინ არ გამირიგა, მაგრამ ყოველ ჯერზე მოსულ მთხოვნელებს ისეთ დღეში ვაგდებდი, ჩემი დანიშვნა კი არა, ქალის სახელის გაგონებაც აღარ უნდოდათ. ასე გადიოდა წლები. მამა თავისას ცდილობდა, მე — ჩემს პოზიციებს არ ვთმობდი. 25 წლის ასაკში მამა სერიოზულად ჩაფიქრდა. ერთხელაც, იმხელა კაცმა ტირილი დაიწყო: — შვილო, ხომ ხედავ, უკვე ის 20 წლის გოგო არ ხარ, ახლა მაინც დაიჩვიე, მომეცი ნება, კარგი ბიჭი გაგირიგო, უარს ნუ მეტყვი, მაღირსე შვილიშვილიო. შეშველი და მამა. თანაც, უკვე დიდი ვიყავი და დავთანხმდი. გამოძებნა ბიჭი, რომელიც ჩემზე 2 წლით უმცროსი იყო. ჩემი სურათი გაუგზავნეს, რომელზეც ბიძაშვილთან ერთად ვიყავი გადაღებული. სილამაზით ჩემი ბიძაშვილი მჯობდა და ბიჭსაც თავის ჭკუაში, ის ლამაზი მე ვეგონე. ერთ მშვენიერ დღესაც გვესტუმრნენ სათხოვნელად. ჩემი თავი რომ გააცნეს, გიჟივით აყვირდა, ეს ის გოგო არ არის, მე მეორე მომენწნაო და ჩემი ბიძაშვილისკენ გაიშვირა თითი. მაგრამ გაოგნდა, როცა მისი გაბერული მუცელი დაინახა. ახლა ჩვენი სიძე მიეჭრა გაფხორილი მამალივით, რას ჰქვია, მოგეწონა?! ჩემი ცოლია ძმაო... თან, ნასვამიც იყო. სხვა გზა არ ჰქონდა და ასე კურიოზულად დავინიშნე. დღეს კი უბედნიერესი ოჯახი გვაქვს. გრუზინკა“.

ახდენილი წინასწარმეტყველება

„ჩემი ლექტორი უსაყვარლესი ქალია და მისი გათხოვების ამბავს მოგიყვებით: 24 წლის გახდა და მაინც ვერ თხოვდებოდა. შეყარა მისმა ოჯახმა ქვეყანა, თუმცა, თავად თეს ეს ამბავი სულაც არ ადარდებდა. ერთხელ, ქუჩაში ერთმა ბოძამ უმიკითხავა და უთხრა: გვიან გათხოვდები და შენი მომავალი ქმარი შენს სახლში თეთრ ტანისამოში გამოწყობილი მოვა, სავარძელში ჩაჯდება და ფეხს ფეხზე გადაიდებსო. თეას სასაცილოდაც არ ეყო. გავიდა 6 წელი და ერთ ჩვეულებრივ თუ არაჩვეულებრივ დღეს, უკვე 31 წლის მაიას მამამ სახლში ნაცნობი მოიყვანა. გინდ დაიჯერეთ, გინდ — არა, სტუმარი ჩაჯდა სავარძელში, ფეხი ფეხზე გადაიდო და თეთრებიც ეცვა. გაოგნებულმა მაიამ უარესი შოკი მიიღო, როდესაც სულ რაღაც 2 საათის განმავლობაში სტუმარმა ყოველგვარი მიკაც-მოკიბვის გარეშე უთხრა, ძალიან მომეწონე, უკვე დიდები ვართ და რაღას ვიაროთ აქეთ-იქით, ბარემ გამომყევით. 1 კვირაში გაჰყვა. ეს ამბავი 20 წლის წინ მოხდა. მათ დღემდე ულამაზესი ოჯახი აქვთ და ქალ-ვაჟს ზრდიან. არავინ თქვას, ბედი არ არსებობს! ბაბუჩკა“.

ძველი ნაცნობი

„გულდასმით მისმინეთ: სამი თვის წინ ჩემმა ბებერო, 33 წლის დაქალმა „ოდნოკლასნიკებში“ კლასელი ბიჭი დალანდა. ის ათვალეირებდა. ჰოდა, გაიხსენეს, რაც იყო „მაშინ, პეტერბურგში“. ბიჭმა — უცოლო ვარო. გოგომ — მეც გასათხოვარიო. ჰოდა, ჩვენლა დავრჩითო და ჰოპა! ბიჭი თურმე საბერძნეთში არ ყოფილაა?! მოვიდა ოჯახობა, ნათესაობა... დანიშნეს პატარძალი და ქე გავიდა სამი თვე. ვერ დაადაგა სამწელი მის გამოვრენას. უპატარძლო ქორწილი ვიცოდი, მაგრამ უსიძო? რას არ გაიგებ კაცი?! ქალი გამოკრეფილ ვნახს დაქვსაგასა. უნდა და რა ქნას?.. უშველეთ! ჯუჯ!00“.

მგზავნელები ქუთაისში

„მესტრო გავლით იყო ქუთაისში, ბათუმში მიდიოდა. ჰოდა, დრო ვიხელთეთ და მე, გიო და ემბაჟუნა უზნეო ანგელოზს ვესტუმრეთ. შუა გზაში გაგვახსენდა, რომ ხელცარიელი ტეხავდა მისვლა. შევქანდით მარკეტში. ერთი საათი ვქაქანებდით, ვერ გადავწყვიტეთ, რა გვეყიდა. ბოლოს, ისევე მე ვივარგე და შოკოლადიანი გოზინაყი ვიყიდეთ, რომელიც გიოს სათრევი გახდა. მაკასთან არაჩვეულებრივი სტუმარი დაგვხვდა, მამა თადეოზი, რომელსაც იმდენი ველაპარაკეთ „გზაზე“ და „გზავნილებზე“, რომ უურნალის ნაკითხის სურვილი გამოთქვა. მე ვეხუმრე — მამაო, თქვენი გზავნილი, რომ ვნახო „გზაში“, სიხარულისგან შოკს მივიღებ-მეთქი. ამას საერთო ჟრიაშული მოჰყვა. მაკამ სუფრის გაშლა დაიწყო. უცებ, გიომ ტიპური იმერელივით გაშალა ხელები და მაკას უთხრა: — რას შვრები, ნუ წუხდებიო. ცოტა ხმამაღლა მოუვიდა ნათქვამი, რადგან მაკას შეეშინდა და ხელიდან ლიქიორის ბოთლი კინალამ გაუვარდა. მამა თადეოზი სახალისო რაღაცებს გვიყვებოდა — მაკას საჭირო ოთახში ისეთი ხმაურიანი რაღაც აქვს დამონტაჟებულიო და სიტყვა არ ჰქონდა დამთავრებული, მესტრო ნამოხტა, უნდა ვნახოო. გიოს სულ სხვა პრობლემა აწუხებდა... მამაოს ვუთხარი მისი მაკას ნიცი. აუხსნა, რატომაც ერქვა ასე. მამაო გაეხუმრა, ორივე არ ვარგა, ან უზნეო იყავი, ან ანგელოზიო. მერე გიო გავამგზავრეთ ბათუმში. ძალიან კარგად გავატარეთ დრო. ეს ერთი და სხვა — მრავალი! :) GREEN GIRL“.

თემაზე და თემის გარეშე მისული მოკლე მესიჯები

„ამას წინათ ყური მოგვარი, ვილაც ცრურწმენას აყოლილი ამბობდა, თურმე შეგიძლია, ქმრის ან ცოლის სურათი წაიღო ეკლესიაში და ჯვარი ისე დაინეროო. ასე იყო ნეტავ... სადმე ენრიკეს

სურათს ვითრევდი. არც ალასანიძე ვიცოდი უარს. ავფერიანობდი ქორწინების მოწმობას და ესტუნავა და ყვირა მერე (ან რატომ უნდა ყვირა, მე მაგის დასაწინი გოგო ვარ?). ეჰ, კიდევ კარგი, ოცნება უფასოა. თან ისეთი ბედი მაქვს, ყველა ირავლის სურათით მოვა იმ დღეს. მე ხომ ცხოვრებაში არასოდეს მიმართლებს, უიღბლო ვარ. ენდი“.

„უცნაურის რა მოგახსენოთ, მაგრამ ახლა გავიგე, რომ ჩემი დაქალი გათხოვდა. არადა, არავინ არაფერი ვიცოდით. თან — სოფელში. თეოო, გაგაჟედი? თოჯინა“.

„ახალგაზრდობაში ერთი გოგო მიყვარდა. შუამავალი მისი დაქალი იყო და ნელ-ნელა ეს გოგო შემეყვარდა, მაგრამ ვერ ვუთხარი, რადგან სასაცილო სიტუაციაში აღმოვჩნდებოდი. ასე დუმილი გავიდა 26 წელი. ამასობაში ის გათხოვდა, შვილიც შეეძინა და ქმარსაც გაშორდა. მეც მყავს ცოლ-შვილი. საიდუმლო სიმთვრალეში წამომცდა, რისთვისაც გამებუტა და ძლივს შემოვირიგე. ჩვენ მხოლოდ ტელეფონზე ვაუბრობდით ხოლმე. ერთხელ მითხრა, ვთხოვდები, მაგრამ ჩემს საქმროსთან ჯერ სექსი არ მქონიაო. მანამდე კი ტელეფონზე ვილაც დამალაპარაკა, ჩემი საქმროაო. მე ისევე ძველებურად მიყვარს. ვერ ვეგუბები, რომ ის ქალწული აღარაა. გავნაწყენდი და სამაგიეროს გადახდა გადავწყვიტე. ახლობელ ქალს დავარეკინე, ვითომ ჩემი ცოლი იყო და ამ ქალმა საყვედურები უთხრა, ჩემთან ურთიერთობის გამო. ჩემი საქციელის ნამდვილი მიზეზი დავუშალე, ვუთხარი, გეხუმრე-მეთქი, უამრავ ბოდისს ვუხდი, მაგრამ არ მპატიობს. ნამდვილი მიზეზიც რომ უთხრა, ალბათ ვერც ამას გამიგებს. რა ვქნა?“

„მინდა, გათხოვების ერთი უცნაური ამბავი მოგიყვებო, რომელიც 17 წლის გოგოს ეხება. მან 1 წლის წინ შექმნილი ოჯახი ერთი ხელის მოსმით დაანგრია. ქმარს ბალიშზე „კლიცო“ დაუტოვა, შვილი თან წაიყვანა და „ოდნოკლასნიკებში“ გაცნობილ ბიჭზე გათხოვდა. გაოგნებული ქმარი, რომელსაც ვერ აუხსნია ცოლის ასეთი საქციელი, იძახის: ცოლი გამითხოვდაო. ასე რომ, ცხოვრებაში ყველაფერი ხდება. SCHMETTERLING17“.

„გზავნილების“ მომდევნო თემად გთავაზობთ —
„უიმედო სიტუაცია“.
გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე:
8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე:
marorita77@yahoo.com რაც შეეხება „მოკლე ჩართვას“, ამჯერად გთავაზობთ კითხვას: „რისი მესინია ყველაზე მეტად?“

„ნამდვილი მეგობარი სხვა თვალით არასდროს შემოგხედავს“

„მექალთანა კაცებისგან თავი შორს დაიჭირე“

„გზის“ №43-ში დაიბეჭდა 15 წლის თოლიას მესიჯი. იგი გვწერდა, რომ ძმაცაცები (როგორც დასაოჯახებელი, ისე ცოლიანები) სიყვარულს ვეფიცებიან და მას, როგორც მეგობარს, ვერ აღიქვამენ. „ისინი ჩემში სექსუალურ პარტნიორს ეძებენ. ეს ჩემი გარეგნობის ბრალია“, — გვწერს თოლია, რომელსაც მეგობრების დაკარგვა არ სურს და რჩევისთვის ამიტომაც მოგვმართა.

ლიკა ქავაია

წინა:

„დაიკო, შენი მესმის, მაგრამ ვფიქრობ, მათ რაღაც საბაბს თავადვე აძლევ. ეცადე, ბიჭებთან ურთიერთობაში სერიოზული და წინდახედული იყო. წარმატებებს გისურვებ, მთელი გულით“.

GRAZY GIRL:

„ჩემო პატარავ, დაფიქრდი, იქნებ, ბიჭებს საბაბს თავადვე აძლევ? იქნებ, გამომწვევად იცვამ? ან იქნებ, მათ ძალიან ახლოს უშვებ? აბა, რა ვიცი, რა ვიფიქრო და გითხრა... ისე, მათნაირ მეგობრებთან ურთიერთობა არ ღირს. მერწმუნე, ნამდვილი მეგობარი სხვა თვალთ არასდროს შემოგხედავს და ცხოვრების ბოლომდე პატივს გცემს. წარმატებები!“

რატომ:

„მეც ბევრჯერ ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში. ეცადე, მათთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნო და იყავი ისეთი, როგორც ახლა ხარ. ღმერთი იყოს შენი მფარველი. წარმატებებს გისურვებ!“

პაპაშა:

„ჩემო კარგო, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერაფერს შეცვლი. ადამიანი სხვა თვალთ რომ შემოგხედავს, შეუძლებელია, მან შენ შესახებ ოდესმე აზრი შეიცვალოს. რამდენჯერმე მსგავსი რამ მეც შემემთხვა. მეგობარი პირდაპირ რომ გეტყვის, — შენი ხელის შეხებაზე კი ჟრუანტელი მივლისო, ეს ამაზრუნია. იმ რამდენიმე უაზრო არსებასთან მამრინვე გავწყვიტე ურთიერთობა და ამას არც ვნანობ. დამიჯერე, აუცილებლად გეყოლება ისეთი მეგობარიც, რომელიც შენში ნამდვილ დაიკოს დაინახავს. მე მყავს ასეთი ძმაცაცები და ამით ბედნიერი ვარ. მერწმუნე, იმ უღირსი ადამიანების გამო ნერვიულობა არ ღირს. წარმატებებს გისურვებ!“



იკუშკაძე:

„ჯერ ერთი, ვინ გითხრა, რომ ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არსებობს? ეს მოსაზრება მცდარია და ამას სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ. ახლა, რაც შეეხება შენს პრობლემას — რადგან ასეთი შენუხებული ხარ, ალბათ, მამაკაცებს თავადვე აძლევ საბაბს, შენში სექსუალური პარტნიორი დაინახონ. მათ უბრალოდ, შენი იდუმალი მიზიდულობა და შარმი მოსწონთ, ეს კი არავის ბრალი არაა. მერწმუნე, მათ დამოკიდებულებას ვერაფრით გამოასწორებ. იცოდე, უხამსი წინადადებების მიღება არ ღირს და დარწმუნებული ვარ, ამას არც არასდროს გააკეთებ. უბრალოდ, ახლა მაგრად უნდა დაუდგე მათ უტაქტობას და ახლოს არავინ მოუშვა. საერთოდ, საბაბს თუ არავის მისცემ, უმიზეზოდ არავინ მოგახტება. მექალთანე კაცებისგან თავი შორს დაიჭირე. შენ ძალიან პატარა ხარ იმისთვის, რომ ასეთ თემებზე იფიქრო და ინერვიულო. გაიხარე შენი ბავშვობით და ბედნიერი იყავი. რადგან მორწმუნე ხარ, შენს

მოძღვარს დაელაპარაკე. დამიჯერე, მასთან საუბარი სულიერად დაგამშვიდებს“.

შოკოლადა:

„პრობლემა შენში არაა, ჩემო კარგო. ძალიან კარგი ადამიანი ჩანხარ და სწორად აზროვნებ. მომწონს, ძმაცაცებს ძმებად რომ აღიქვამ და არა — მამაკაცებად. მე საკმაოდ ბევრი მეგობარი და ნაცნობი ბიჭი მყავს, ადამიანებთან ურთიერთობა მიყვარს, მაგრამ ძალიან ცოტა ძმაცაცი მყავს. რატომ? — არ შეიძლება, ყველა ძმასავით გიყვარდეს. ალბათ, ისინი არიან ცუდი მეგობრები და პრობლემაც მათშია“.

ლიონა:

„15 წლის ხარ და შენი ტყვეა ჭალარა გულის ზმანება ავი :). მეგობარი, რომელიც სხვა თვალთ შემოგხედავს, მეგობარი აღარაა. ასეთ ბიჭებთან ყოველგვარი ურთიერთობის განწყვეტა გერჩივნოს, მათნაირი ვაიმძაცების ყოლას. დაე, განყდეს იქ, სადაც წვრილია! მოსამორებელი დროზე უნდა მოიშორო! ცუდი თვალთ ყურება ძმაცაცს კი არა, არავის არ უნდა გააბედვინო. არ არსებობს ღირსებასა და კვდემამოსილებაზე უმშვენიერესი სამკაული. თუ შენს სიმალლეზე იდგები, ვერავინ ვერაფერს დაგაკლებს. ასწავლე ჭკუა მათ, ვინც შეურაცხგყოფს და ასეთ აკრძალულ მანევრებს ვეღარავინ გაიმეორებს. მორწმუნე ხარ და გეცოდინება, რომ ქალს სულის სიძლიერე მოეთხოვება. გამოავლინე ხასიათის სიმტკიცე და შენზე ზედმეტ ფიქრსაც კი ვერავინ გაბედავს. ისე, ახალ მეგობრებს მალე შეიტენ, აბა, ჩვენ რისთვის ვართ აქანა?! :))“.

აზიელი:

„რა საოცარი „ბავშვი“ ხარ! რად გინდა, გენაცვალე, ისეთი ძმაცაცი, რომელიც ისე გიყურებს, როგორც ქალს?! ვფიქრობ, ასეთებთან ურთიერთობა არ ღირს. დავიჯერო, ყველა შენი ძმაცაცი გადაირია? თუ ასეა, ძვირფასო, მამინ მიზეზი საკუთარ თავში ეძებე. გირჩევ, „უარი“ უფრო მტკიცე გახადო და მათ შენკენ სავალი ყველა გზა მოუჭრა“.

სვანის ასული:

„ცოლშვილიანები, რა თქმა უნდა, გასაკიცხია, მაგრამ დანარჩენებს, ასე ხელალებით, „ბილნი“ არ უწოდო. ამ შემთხვევაში, არც გარეგნობაა გადამწყვეტი. მათ შენში უბრალოდ, კარგი ადამიანი უყვართ, გეჩვენებენ და შემიდეგ, ეს ყველაფერი სიყვარულში გადაიზრდება. არაა გამორიცხული, მსგავსი რამ თავადც დაგემართოს და ამაში არც შენ იქნები დამანაშავე. ჩემთვისაც ხშირად უთქვამთ, — ამას არ ვგეგმავდი, მაგრამ მეგობარზე მეტი გახდი და უშენოდ ყოფნა აღარ შემიძლიაო. ნებისმიერ შემთხვევაში, ასეთ ძმაცაცებთან ურთიერთობა უნდა შეცვალო, უფრო დისტანციური უნდა გახდე, მათ საქმეებში აღარ ჩაერიო ანუ — მათგან დაისვენე, რა. ჰოდა, მალე ყველაფერი დალაგდება“.



რუხისპირი:

„ადამიანი, რომელიც მეგობრად მიგაჩნია, ის კი შენთან სექსზე ფიქრობს, ნორმალურად მოაზროვნედ ვერ მიიჩნევა. ეს ყველაფერი გულისამრევია... ისე, როგორ შეიძლება, ყველამ სხვანაირი თვალით შემოგხედოს? იქნებ, მიზეზი შენშია? დღეს გოგონები ისე ჩაცმულენ ბი დადიხართ, ბიჭებს ვერაფერი გაამტყუნებ. პროვინციელი არ ვარ, ხალხნო და მოკლე ქვედაბოლოც მინახავს, მაგრამ უმეტესობა თითქმის შიშველი დაიარება. ისე, მეგობრის წინ შიშველმაც რომ გაიარო, მან სხვანაირად არ უნდა შემოგხედოს. მე ასე მწამს და რა ვიცი... ეივ მიზეზი საკუთარ თავში :“(“

თოჯინა:

„ასეთი პრობლემა მეც მაქვს — ვისაც კი გავიცნობ, ყველა სიყვარულს მეფიცება. არადა, ძალიან მინდა, მეგობრებიც მყავდეს, რათა გაჭირვებისას მხარში ამომიდგნენ. ამ ყველაფრის გამო ძალიან ვწუხვარ და შენც თანაგოგონებო.“

ბრუზინა:

„ამაზე ნუ დარდობ. საკუთარი თავის იმედი იქონიე და აბეზარ თავყანისმცემლებს გარკვევით აუხსენი, რომ გასათხოვარი კი არა, ბავშვი ხარ. ისე,

საინტერესოა, 15 წლის გოგოს ცოლმვილიან კაცებთან რა საერთო გაქვს? მოზარდი ხარ და ჯობია, თანატოლებთან იმეგობრო.“

GOLD GIRL:

„ქალსა და მამაკაცს შორის მეგობრობა არ არსებობს და არ შეიძლება, ყველას ძმაკაცი ეძახო. ხალხნო, კაცი, რომელიც მეგობრობას შემოგფიცებ და მერე სხვა თვალთ დაგიწყებთ ყურებას, სასწრაფოდ უნდა ჩამოიშოროთ და მასთან ურთიერთობის გაფუჭებაზე არც იდარდოთ. ასეთი ადამიანი მეგობრად არ გამოგადგებათ.“

პარიშანა:

„ეჰ, თოლია, თოლია... არ მინდა, უტაქტოდ გამომივიდეს, მაგრამ თუ საკუთარი საქციელით, ჩაცმულობით ან მზერით მამაკაცების პროვოცირებას არ ცდილობ, შეუძლებელია, 20-25 წლის ბიჭებმა 15 წლის ბავშვში სექსუალური პარტნიორი დაინახონ. დარდობ, — მათთან ურთიერთობა მიფუჭდებაო. საინტერესოა, რად გინდა ცოლიან თავყანისმცემლებთან ურთიერთობა? ჯობია, ისწავლო, რომ სხვისი კაცი ტაბუდადებულა, მეგობარი ბიჭი კი ბუნებაში არ არსებობს (მით უმეტეს, თუ მიშვიდველი

გოგო ხარ). ნარმატებებს გისურვებ!“

ლუნა:

„ყურადღების ცენტრში ყოფნა ყველა გოგოს სიამოვნებს, მაგრამ თუ ბიჭის მხრიდან პატივისცემაც არ იგრძნობა, მისი ყურადღება არც ისე სასიამოვნოა (ისე, ვისთვის როგორ, გააჩნია). შენ იმ ბიჭებს უნდა აგრძნობინო, რომ გულს გტკვენენ. როცა დარწმუნდებიან, რომ „ავარდნილი“ კი არა, წმინდა სულის მქონე გოგონა ხარ (წესით, ეს უნდა იცოდნენ), ეგეთ რამეს არ გაკადრებენ. ნამდვილ სიყვარულს გისურვებ!“

ღამავალი:

„შენი ძმაკაცები არც ისე კარგი მეგობრები ყოფილან. რაც შეგხება შენ, გირჩევ, ჩაიცვა შენი ასაკისთვის შესაფერისი სამოსი — კედი, ჯინსის შარვალი და ა.შ. ამის წყალობით ისევე პატარა გოგოდ იქცევი და დიდი ქალბატონის იმიჯსაც დააღწევ თავს.“

შავი მხადარი:

„ნუ იქნები ინიციატორი იმ ადამიანებთან ურთიერთობისა, ვინც შესაბამისად არ გაფასებს. და მაინც, თუ მათთან მეგობრობა ძალიან გინდა, ღვთის სახლისკენ მიანიშნე და შენ მიმართაც შეიცვლებიან.“

სანი ზიჟის მამა:

„გამარჯობა, ლიკა. ძალიან განვიცდი და ვნერვიულობ იმ ყველაფერს, რასაც ვისმენ და ვუყურებ. რომ ამბობენ, სიყვარულმა ასაკი არ იცისო, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ მამისტოლა კაცს გაჰყვე ცოლად ან დედისტოლა მოიყვანო. ვერ გამიგია, რამ გადარია ეს პატარა გოგო-ბიჭები? ნუთუ, თავიანთ თანატოლებს ვერ ხედავენ, ვერ ამჩნევენ? ალბათ, ესეც მოდაშია, ისევე, როგორც სიგარეტის გაბოღება — უნდათ თუ არა, მაინც რომ ეწევიან. ეს ჩვენი უბედურებაა და არა — სხვისი. რატომღაც, მგონია, რომ ამ ადამიანებს მშობლები არ ჰყავთ. თუ ჰყავთ, საინტერესოა, რას ფიქრობენ? შვილებს მხოლოდ ჩაცმა-დახურვა და ჭამა-სმა არ უშველით. მათ ყოველ ნაბიჯზე უნდა ვაკონტროლებდეთ. მშობელმა უნდა იცოდეს, მისი შვილი სად დადის, ვისთან მეგობრობს და ა.შ. სკოლის მოსწავლეს რად უნდა, დანას ჯიბით რომ დაატარებს? რატომ არ უშლიან სამართალდამცავები ცივი იარაღით მოვაჭრეებს მათთვის იარაღის მიყიდვას? ლიკა, ძალიან გთხოვ, დამიბეჭდე. პატივისცემით.“

ღამავალი:

„ძალიან დიდი მადლობა შენ იმისთვის, რომ უყურადღებოდ არ დამტოვე და ჩემი თხოვნაც შეასრულე. თითოეულ მგზავნელს უდიდესი მადლობა. იმედს ვიტოვებ, რომ

ნატა, უკვე გონს მოსული, მალე შემეხმიანება. GOLD GIRL, მადლობა შენ. თქვენს მეგობრად მიგულეთ. უფალი გვარავდეთ.“

იკუშპაი:

„დიდი მადლობა, გერასიმეს, თბილი სიტყვებისთვის. ვცდილობ, რჩევის მიცემისას ობიექტური და გულწრფელი ვიყო. ცხოვრებამ ბევრი საჭირო, სასარგებლო რამ მასწავლა და გადანიყვებილების მიღებამდე ყოველთვის ბევრს ვფიქრობ. ერთ რამეში კარგად დავრწმუნდი —

თინეიჯერები გვწერენ

მთავარი ფული არ არის! როცა ადამიანი ბედნიერებას ეძებს, მას სიმდიდრეში ვერასდროს იპოვის, დამიჯერეთ. არაფერია იმაზე მშვენიერი განცდა, როცა ქალსა და მამაკაცს შორის გულწრფელი სიყვარული იბადება და ცოცხლობს. ასე რომ, გიყვარდეთ ერთმანეთი და იყავით ბედნიერები. გერასიმე, ძალიან მიყვარხარ, ჩემო კარგო.“

„2 შვილს ღელ თანაპირუხაით უაიყუარლა...“

სპანდალისტი:

„გაუ, ლიკ. ამჯერად, მეც დამჭირდა რჩევა და იმედია, მესიჯების მოწერას არ დაიხარებთ. ახლახან ერთ-ერთ რედაქციაში დავინყე მუშაობა და იქ მისული ერთ-ერთ ჟურნალისტს დავუახლოვდი. ჩვენ მშვენივრად გავუგეთ ერთმანეთს და დავმეგობრდით. მას მაგარი ხასიათი აქვს. მოკლედ, რალა ბევრი გავაგრძელო და, ისე მოხდა, რომ 2 შვილის დედა თავდავინყებით შემეყვარდა. მასაც მოვწონვარ და მაგრად ვუყვარვარ, მაგრამ ისე, როგორც მეგობარი. ვიცი, როგორც კაცს, არასდროს შემომხედავს. როცა მარტო ვრჩები, ერთურთს საკუთარ საიდუმლოებებს ვუმჟღავნებთ. ის 25 წლისაა, მე — 18-ის. ვერ ვუბედავ იმის თქმას, რომ მიყვარს. როგორ მოვიქცე? მე თქვენი ერთგული მკითხველი ვარ და ახლა ლიკას სხვა ნომრიდან ვუმესიჯებ, რათა არ მიცნოს :) (მიუხედავად ამისა, ჩვენი მგზავნელი „ხელწერით“ შევიცანი :) და მე თუ მკითხავთ, ვერც მივხვდი, ნიკის შეცვლა რაში დასჭირდა, ის ხომ ძალიან გაბედულია(!)“.

P.S. გშ ასე თუ სპანდალისტის წერილის ნაკითხის შემდეგ, მასთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმისიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.58. 25.60.81 მას თქვენი დახმარების იმედი აქვს.



მოზილი-ზასია

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მოზილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნით ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ვრცელი მესიჯის გამოგზავნა გასურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.



ქაღაბი

1. ვარ 36 წლის, საშუალო სიმაღლის, სუსტი, ლამაზი სახის. გათხოვილი არ ვყოფილვარ. ოჯახის შექმნის მიზნით მინდა გავიცნო შესაფერისი ასაკის, სერიოზული, სიმპათიური მამაკაცი.

2. ვარ 33 წლის, სუფთა წარსულის მქონე, მომხიბვლელი მანდილოსანი. სერიოზული ურთიერთობისთვის გავიცნობ 33-43 წლის, სერიოზულ, დასაქმებულ მამაკაცს. გასართობად არ შემეხშიანო!



ქასაბი

3. ვეხმაურები ანას, „გზის“ 41-ე ნომრიდან. ვარ 33 წლის, ცოლს გაცილებული. არ გამომართლა ცხოვრებაში. ვარ ერუდირებული. ვცხოვრობ სოფელში. ფული არ მაქვს. თუ გასურს, მომწერე.

4. გავიცნობ საზღვარგარეთ მყოფ მანდილოსანს, ოჯახის შექმნის მიზნით. ვარ ჯარისკაცი, კონტრაქტზე.

5. მინდა გავიცნო ისეთი ქალი, რომელსაც შეუძლია სითბო და სიყვარული. მშვენიერი და ბინიანი, თბილისიდან ან რუსთავიდან, 35-45 წლის. მესიჯი დამიტოვებ. მეომარი.

6. გავიცნობ 37 წლამდე ასაკის გოგოს, ვინც ნამდვილად ოცნებობს ოჯახის შექმნაზე.



სხვადასხვა

სუთმაბათიდან სუთმაბათამდე/ უურნალ „გზისა“ და მარის წყალობით/ ვეჩვევით კამათს, ფიქრს და მოთმენას/ ლოდინს ვეჩვევით, თანდათანობით/ სიზმრების მსგავსად იზრდება „გზა“ და ჩვენც ვეჩვევით შავ-თეთრ ბილიკებს/ ვეჩვევით ცრემლებს, სისხარულს, განცდას/ წუთისოფელი რასაც გვირიგებს/ აღმართებს ისევ დაღმართი მოსდევს/ ზოგჯერ ვიჩხუბებთ, ზოგჯერ — ვიტყვებთ/ თუმც ეს შემოხლა ბევრს არა გასტანს/ და ერთურთს ისევ შემოვირიგებთ/ ვერავის მოვთხოვთ „გზაშიც“ მარადუაშს/ მშვიდობის მტრედის როლი ატაროს/ ჩვენც შვილები ვართ, ამ ცოდვილ ჟამთა/ (ღმერთმა სიკეთის გზებით გვატაროს)/ აპყვე? შეცდი? ეგვეც მოსულა/ ხელახლა აღსდექ, თავი დახარე/ მოუბიდოშე სხვას ყოვლი წყენა/ მიუტყვე და ლხინი ახარე/ ასე და ამით, ამგვარ დევიზით/ გაკვალული გვაქვს გზის სავალ-ტყვირთ/ ცოტა ვართ ცუდი და როლს ცუდისას/ უეჭველია, ვთამაშობთ ბევრი/ ლიმონა.

• ყველაზე ლამაზი ოცნება აგისდეს, მეგობრად გყოლოდეს კეთილი ფერია, ეცადე,

არასდროს არავინ შეგძულდეს, ცხოვრება ისედაც ძალიან ძნელია. აბეზარა.

• მარიამულ, მოგესალმები იტალიიდან. ძალიან მომენატრა ყველა მგზავნელი. მართალია, პირველად გიმესიჯებ, მაგრამ სანამ საქართველოში ვიყავი, სუთმაბათს ველოდი ყოველკვირა, რომ მეყიდა „გზა“ და ჩამებულებულბინა და საკმაოდ დიდი არქივიც მქონდა. ყველა მგზავნელს ვგულშემატკივრობდი და ახლა ვეღარ ვიგებ, ძველები სად წავიდნენ და რატომ ეზარებათ წერა ან რატომ დაგვივინწყეს. აქ ერთი კვირით გვიან მოდის „გზა“ და ერთი სული მაქვს, როდის მოვა სუთმაბათი, რომ გავიდე, ვიყიდო და ცოტა გავიხალისო დღეები. ძალიან მენატრება საქართველო და ყველაფერი ქართული. გაუფრთხილდით ერთმანეთს და ძველები არ დაივიწყოთ. მარიამულ, ღმერთი გფარავდეს შენ და ყველას, ვინც საქართველოში ხართ. თამარი.

• მინდა, ჩემი სისხარული გავიზიაროთ. ამ წუთში ვუყურებ ტელევიზორს, სადაც ბერძნები ნინი შერმადინის სიმღერებს აჩვენებენ და ამბობენ, რომ მაგარი მომღერალია და სისხარულისგან ვტირი. მინდა, ბერძნებმა გაიგონ, რომ ქართველები მაგრები ვართ და წარმატებები ვუსურვო ნინის. ათენიდან, ქართველ ხალხზე შეყვარებული ოსი ლია.

• მარი, მაგარი ჟურნალისტი ხარ. ყოველთვის სულმოუთქმელად ველოდები სუთმაბათ დღეს, რომ „გზა“ ვიყიდო. ეს შენი დამსახურებაა. არ ვაჭარბებ, მართლა



ყველას ჭაღში ეშმაყიას ჩაშობღებო-
ლი, ყველას ეშმაყში ყი — ჭაღი



ძალიან მაგარი ხარ. ჰო, მართლა, დიდი სურვილი მაქვს, მგზავნელები გავიცნო. განსაკუთრებით — ქუთაისელები. რა თქმა უნდა, ვისაც ამის სურვილი ექნება. მართლა მთელი გულით მინდა. გელოდებით. ნინოს.

•მერამდენე ნელია, უკვე საბერძნეთში ვარ. რამდენჯერ გაცრუებია იმედი ბერძნების ყალბი სულის გამო. მათ ღიმილშიც ხომ სიყალბე ჩანს. თბილისობას „კომედი მოუს“ ბიჭები ჩამოვიდნენ. წარმოდგენა შუაში შეწყდა. მიმენი? ვილაცამ დარბაზში სიგარეტი მოსწია, ვილაც სკამზე ბოტასებით ავიდა. მერე ბერძნების საქაჯეთიდან გამოქცეულმა „ველურმა კატამ“ მიკროფონში კნავილით გამოაცხადა, „პარასტასი“ დამთავრებულიაო. ჰოდა, დარბაზიც დაიკალა. ასე დათრგუნულად თავი პირველად ვიგრძენი. მშვილდოსანი.

•ტამის თანხლებით ვიკვებ, ჩემი ბაბუა და ბებიაც ვაკვებ. მიზეზი? ნინო შერმადინმა კიდევ გაიმარჯვა სიმღერის კონკურსში. გახარებული ვარ! ათენი. ლილე ჯაფარიძე.

•პრივეტ, მეც მინდა თქვენთააან! გკოცნით და მიყვარხაააართ! SAD GIRL.

•მეზიზღება „გზავნილები“. იქნებ ეს მაინც დამიბუჭდო, ქალბატონო მარი... ეჰ, არადა, „გზავნილების“ გარეშე მართლა არ შემიძლია. ბერბიჭ და გრუზინკა, მაგრად მიყვარხართ.

•გამარჯობა, მარი და მგზავნელებო, როგორ ხართ? „გზა“ არ მინახავს და თურმე რა ამბებია აქ? ნინო, შენ რასაც ამბობ, მართალია ეგ, მაგრამ როგორ ადამიანებზეც იქ ენერა, არ არიან ისინი არც ქართველი ვაჟაკები და არც ქართველი დედის შვილები. ქართველი დედის მანდილი სხვას გვასწავლის. შენ რაც თქვი, ვიცი, ეგ როგორც თქვი და მაგ მხრივ მართალი ხარ. არც ისე ცუდო გოგო, თუ რა ვი, რაც დაირქვი, შენ კარგად იცი, ვინც ხარ და ისიც იცი, თუ მენდომებოდა, ვინ ვის მიუტანდა ჩუსტებს... შენ კი მართლა რამე შენს თავზე აიღე? ძნელი არაა, დამიკავშირდე, თუ პრეტენზია გაგიჩნდა რამე ან კიდევ, მიუთითე, ვინ ხარ და სადაც უნდა იყო იქ მოგნახავ. მიუთითე, ვინ ხარ, შენ იბრალბე ქართველობას? ქალივით უნდა განუწუნო მართლა. 9717 (არ დავმალავ, რომ ეს მესიჯი უამრავი უცენზურო სიტყვით იყო სავსე და ავტორმა ბოლოს ბოდიშით მოაყოლა, ჩემი მისამართით. მე ცოტა „გავაპატიოსნე“ და ისე მოგანოდეთ. მინდა, ყველა მკითხველისა

და მგზავნელის გასაგონად ვთქვა, რომ ყურნალის ფურცლები „საქმის გასარჩევი“ ადგილი არაა და თავი შეიკავებ ერთმანეთის ლანძღვისგან. არავის აინტერესებს თქვენი პირადი ურთიერთობები. 9717 ძალიან მიყვარს და ამას ალბათ თვითონაც გრძნობს, მაგრამ აშკარად ზედმეტი მოუვიდა და მინდა, ვუსაყვედურო. ბოდიში მიღებულება, მაგრამ იმედი, მსგავსი რამ აღარ განმეორდება არც მისგან და არც სხვისგან. შესაძლოა, ამ მესიჯის ავტორმა თქვას, მე პასუხი მივწერე მხოლოდო, მაგრამ წონასწორობა არასოდეს უნდა დაკარგოს მამაკაცმა. აქვე კონსტანტინე გამსახურდიას სიტყვებს შეგახსენებ, „დიდოსტატის მარჯვენადან“ — „ყოველი საგანი მაშინ იწყებს ნაქცევს, როცა წონასწორობას კარგავს“. ცოტა მკაცრად გამომივიდა ნათქვამი (ეს მხოლოდ 9717-ს არ ეხება), მაგრამ იმედი, მომიტყვებ და მიხვდებით, რომ მართალი ვარ. კამათიც „მოსულა“ ამ თემაზე, სურვილის შემთხვევაში — ავტ).

•გულისტუზა, მაგარი კი არა, ამ ბალნარში პანანინა მარცვლი ვარ. ჩემო კარგო, პროვოკატორობის რა მტყუობა? ჩემს ფავორიტებს და სხვა ინტელექტუალურ მგზავნელებს მოვეფერე, თორემ არავითარი პირადი ინტერესები არ მამოძრავებს. არ გიცნობ და შენი სანინალმდეგოც არაფერი მაქვს. ბოროტება სხვებმა ეძიონ საკუთარ თავში. გკოცნი ბრახიან გულში. ტირიფი73.

•ვეზმაურები ნატას, რომელიც 26 წლისაა და ჩათში გაიცნო ლამა. ფურჩევი, არ დაანგრეოს ოჯახი. მსგავსი პრობლემის წინაშე თავად გახლდით, როდესაც ჩემმა მეუღლემ გააბა საუბარი ვილაც ქალთან. შემდეგ ტელეფონის ნომრებიც გაცვალეს და შემთხვევით ნავიკითხე მესიჯი. მეუღლემ მითხრა, ვერთობიო. ამიტომ მივწერე ქალბატონს, აქსნა, რა ხდებოდა. ეს ქალბატონი აღმოჩნდა შეგნებული და აღარ ისურვა სხვისი ოჯახის დანგრევა. ნანახიც არ ჰყავდა ჩემი მეუღლე. ჩემმა ქმარმაც მოინანია. მიხვდა, რომ ოჯახს კარგავდა. ვაპატიე, მაგრამ დღე არ გავა, არ გამახსენდეს და ვიტანჯები.

•ვიყავი დარდი, ვიყავი ვენბა.../ ვიყავი მისთვის ვენბათაღელვა/ ვიყავი უცხო და თან ნაცნობი/ ვიყავი მისი შვილების დედა/ მე ვიყავი ერთი, ან იქნებ ბევრიც/ მაგრამ მე ვიყავი წარსულის გვერდი/ ვიყავი ერთგული, მაგრამ მსაჯული/ და ჩემს სიყვარულს ფურცლებზე ვწერდი/ ვიყავი სიშორე სიახლოვისა, ვიყავი წერილი ერთი მგზავრისა/ ვიყავი სურათიც, ვიყავი სიზ-

მარიც/ მაგრამ მე ვიყავი ერთი გულისა/ ვიყავი უცნობი და თან ნაცნობი.../ ვიყავი დარდი, ვიყავი ვენბა/ ვიყავი ოცნება ან იქნებ ლელვაც/ მაგრამ მე ვიყავი მისი ცხოვრება/ ეს იყო თურმე ზღაპარი ყველა/ ფარსი გრძნობებით მორევში თრევა/ თურმე ვყოფილვარ უზრდელი ბავშვი/ და არა მისი გრძნობების ლელვა. გაცოცხლებული თოჯინა.

•სალამი ყველას. მე ახალი ვარ. იმედი, მიმიღებთ? ძალიან მომწონხართ ყველა. პატივისცემით, ბზიკა.

•გამარჯობა მარი, დიდი ხანია „გზას“ ვკითხულობ და ნამდვილად მისხარია, რომ სალად მოაზროვნე და მრავალფეროვანი საზოგადოებაა აქ შეკრებილი, თუ არ ჩავთვლით იმ კონფლიქტურ ადამიანებს, „მოზილი-ზაციაში“ რომ ამქსიჯებენ. თუმცა, ყველა მხარეს თავისი სიმართლე აქვს და ამიტომ ვერაფერს განვიკითხავ. მემე.

•მარიანაშელ, როგორ ხარ, ჩემო ტკბილო და კეთილო ადამიანო? „სიტუაციაზე“ ვიმხიარულე. ჩემი ტკბილი გოგო ხარ და უმაგრესად მიყვარხარ, გეზუტუნე თბილ გულში, ჩემო სულო. ლუნა.

•ეს მესიჯი პირადად იმ ადამიანს ეხება, ვინც მესიჯებს მიბეჭდავს. მინდა, უსაზღვრო მადლობა გადაგიხადოთ, რომ უყურადღებოდ არ მტოვებთ. მე წლებია, თქვენი მკითხველი ვარ, მაგრამ მესიჯების გამოგზავნა მხოლოდ ახლა დავიწყე. უღრმესი მადლობა იმ განცდებისთვის, რასაც ჩემი მესიჯის ყურნალში ნაკითხვა ბადებს. მართლა მიყვარხართ და ღმერთმა მუდამ გააჩვენებოთ! ბამბუჩა.

•„დეტსკი მირის“ სასადილოს თანამშრომლებს ქურდული სალამი. მიყვარხართ, გეფიცებით. აუ, წელი, აღარ გამაბრახო რა, კაი? ცუტი ნათია.


•მარ, ჯიგარი ხარ! ვაფანატებ შენზე და „გზავნილებზე“ საკალელი გოგო ხარ. ცუტი ნათია.

•მარი, ერთ-ერთ ჩათში SWEET GIRL აღმოვაჩინე, თავის სურათიანად. ისე გამისხარდა, ავტბი და დავტბი, სისხარულით. ვაშაა! :)

•სალამი მარი, ერთი შემოთავაზება მაქვს თქვენს ყურნალთან და პირადად თქვენთან: არ შეიძლება, ერთი გვერდი ახალგაზრდა პოეტებს რომ დაუთმოთ? მე ვწერ ლექსებს და მინდა, გავაცნო საზოგადოებას და ჩემნაირი ბევრია, მაგრამ ყველა ვერ ახერხებს ამის აფიშირებას და იქნებ რაიმე მოვახერხოთ? ასეც შეიძლება: თქვენ „გზავნილებს“ თემასთან ერთად ლექსების თემას მოგვეცემთ და იმ თემაზე დავწერთ ლექსებს. ჩემი აზრით, არ იქნება ცუდი საქმე და ვცადოთ, მაინც. ონისე ფხაკაძე, ქუთაისი.

•იცო, ბათუმიდან მოვდივარ. მანდ, თბილისში გადმოვიდივარ და მაგრად მწყდება გული. აქ ვტოვებ ჩემს მეგობრებს, ჩემს თანამშრომლებს, ჩემს ზღვას. მიყვარს ბათუმი. მიმტანი.

•მისტერ, უუუჰაღიანესად განმაცვიფრა და გამახარა შენმა გაბაფთულმა საჩუქარმა... სიტკბოს მაჩვენებელი ამ ბოლო დროს მალალი მაქვს და კიდევ ეგ მინდ-



ის ისე თამაშობდა ძვირს, თითქმის
ქმინდა, მამ ნებისმიერ მოძიწში
ვილაც ცოცხს შეასწოლებდა



ოდაა? გაიხარე, ორიგინალური ხარ... SWEET-GIRL.

• გრუზინკას, იგივე — გასაღებს: ეთო-ში ალბათ კაჭკაჭს გულისხმობდი, არა? არა, ეთო არ ვარ! რა იყო, შენი საქმენი საგმირონის შესახებ მარტო მან იცოდა? უამრავ ადამიანს დასწამე ცილი და ვცდილობ, სამართლიანობა აღვადგინო! სვეტა, ბოროტებას ერთი მეტისმეტად ცუდი თვისება აქვს, ბუმერანგივით უკან გიბრუნდება... დაფიქრდი ამაზე! ნამდვილო მამაკაცი, ეს მე კი არა, შენ ვერ გაიგე სუპრობა! ბოლმის ნთხევასა და სიმართლის პირობი თქმას ბავშვობიდანვე ვერ ანსხვავებდი თუ ახლა დაგეწყო? :) გამაჯვებზე კი უარს არ გეტყვი, კარგი იქნებოდა, მოძიებებს დაგმსგავსებოდი! :) თეთრი ყვავი.

• მაააარ, კაი რა, რომ დაგივინყე, იმიტომ აღარ მიბეჭდავ მესიჯებს? მოკლედ, ხალხო, ჩამოვედი საქართველოში და ანი სუუულ თქვენთან ვიქნები! ძალიან, ძალიან მომენატრეთ, ჩაგებუტეთ ყველას! მარ, ეს მაინც დამიბეჭდე, ა! ჩისტოკოპიანი დილეთანტი.

• სიკვდილ, ვგვანებვიართ ერთმანეთს, ვარდი და გვირილი ჩემი უსაყვარლესი ყვავილებია. მამ, წავიდეტე გაზაფხულზე, გვირილების დასაკრეფად? SWEET-GIRL.

• მიხარია, ჩემი სურვილი რომ მოეწონათ. მარ, მაშინ გაქრეს ის SWEET-ი, პირობას ეგრე იოლად რომ ივიწყებდეს... მაშინ სამუდამოდ მომკვეთეთ მგზავნილობადან. SWEET-GIRL.

• თავო, GREEN, მეც თქვენ გვერდით ვარ... ჰმ! ჩემზე მეტი მწვანელებელი ვინ ჰყავს სუპერსთარს? რაო, ბისკვიტ, არ მოგენატრა ჩემი პნენაო? SWEET-GIRL.

• ძალიან მიყვარხარო. ტელეფონი დავამტვრიე, ბავშვების ნომრები წამეშალა და ვეღარ გვერთ. გთხოვთ, ნუ გამიბრახებდები. ვისაც ჩემი ნომერი აქვს, მომწეროს ნიკით. ედელვასი. გაკოცეთ.

• თავ, გაიხარე ჩემო კარგო, დიდი მადლობა. მეც მოგიკითხავ დიდი სიყვარულით. კოზანოსტრა, უზაგრესი ნათლია გყავს და გაუფრთხილდი. გაკოცეთ. თავო.

• გრუზინკა, გილოცავ, ღვთის წყალობას გისურვებ. გმადლობ, უკვე აღარანაირი სურვილი აღარ მაქვს. ქალო ცდუნება, მეც მიყვარხარ და მახსოვხარ. მისტერ, დიდი მადლობა! ლუნა, როგორ ხარ, სიხარულე-ბო? მომენატრეთ. ლუნ, საით ხარ დაკარგული? ლიმონ, როგორ ხარ, ქალუკ? გრუზ, რაა ხარ? ყველა ძალიან მიყვარხართ. მარ, ჩემი მზის სხივი ხარ. გკოცნით. სოფი19.

• მსაჯულო, ასეთი მზრუნველი რატომ ხარ? მადლობას კი გიხდი, შენი მარტივი დასკვნებით ხალისიან განწყობას რომ მიქმნი, მაგრამ ეგ ყოველთვის სათხარებელს ვერ მოგიტანს. ამიტომ დაუყოვნებლივ გაეშურე თბილისში მდებარე თამარ მეფის ხიდს რამდენიმე ასეული მეტრით დაშორებული შენობისკენ, რომლის სახელწოდებაცაა: „ბახუსო თერაპია“. მანდ მიდი და რა იცი, იქნებ გონების თერაპიასაც მიჰყავს ხელი. იმედი, ჩემს გულწრფელ რჩევას გული-სყურით მოეპყრობი. აუცილებლად შემატყობინე, რას იზამ. მისტერ.

• SWEET, არანაკლებ გაცდებში ვარ, ის დღე სამუდამოდ ჩაიბეჭდება ჩემს გონებაში და იცი, რატომაც. ცდუნება და ჯუსჯუს, გმადლობ. მისტერ.

• მსაჯულო, გენაცვალე, რად მერებუსები? ცუდი ფორმით გქონდა ნათქვამი, თითქოს მარტო უდონო გოგონებს ვაინტერესებ. თოლია, შენი კოცნა ჩემსას შეგვდა და ღიმილად აფეთქდა. ენიგმა.

• ალინას გაუმაარ-ჯოოს! დომინოს დუშაშივით ვარ, პუსტისპუსტებმა იკითხონ. სის, იმ ნომერს იშვიათად ვრთავ. ამიტომ კი არ დარეკო, მომწერე, რომ შენი ნომერი გავიგო და გიპასუხო. ენიგმა.

• ნამდვილო მამაკაცი და 9717, მაგრები ხარო, აბუზარა, კარგი ხარ. გახსოვარ? მოკითხვა მგზავნილებს და ერთი რჩევა: ნუ იჩხუბებთ, რალაც უზაროდ ჩხუბობთ, ზოგერთებში.

• კამ-კამა, მამატიე, სის, თუ გამომრჩი. კარგი ხარ და მიყვარხარ. კუსკუსელა, შემოგველე, მადლობა მოკითხვისთვის. რა კარგები ხართ, თქვე ოხრებო, თქვენა. იდუმალი-ქალი.

• ვინ დათვალოს ზღვაში ქვიშა და ან ცაზე ვარსკვლავები? ასეა ცოდვებიც, ვით დავითვლით, ცხოვრება ხომ გულისტქმათა ჯაჭვია, ენიგმა, ოი, რა ძლიერია სიტყვა-ნუგეში. მემე.

• გინაშ, მე მჯერა, გავა დრო და მოხვალ შორიდან, მოხვალ დათოვლილი, ლამაზი ფიქრებით, მოხვალ და უნაზეს ოცნებას მოიტან და მერე მე და შენ, სულ ერთად ვიქნებით.

• ქალ ცდუნებას: მეც მიყვარხარ. კეთილი იყოს გზავნილეთში შენი ფეხი სკოპიონო და მადლობა. ნინო, კამელია არ წერს და მი მამიგრად მადლობას მე გიხდი. გრუზინკა.

• ჩემს მეგობრებს, კამის, ტირიფს, ლუნას, პარიჟანკას, სევიდან და იდუმალ ქალს, ქალ ცდუნებას, აბუზარას, ოლეს და GRAZI GIRLS დიდი მადლობა, იუბილეს მოლოცვისთვის. გრუზინკა.

• რა არ მომწონს იცი, რჩევის მიცემა შეიძლება, მაგრამ რალაც საშინელებებით რომ ამკობთ ადამიანს, ეს არ მომწონს და საერთოდაც, ადამიანურად მოიქეცით. ვასასი.

• როგორ ხართ? მე ძველი მგზავნილი ვარ, უბრალოდ, ნიკი შევცვალე. ძალიან მომენატრეთ. ამერიიდან სულ მოგწერთ ხოლმე. პიკოლო.

• სალაში მგზავნილებო, თოლია, მინდა შენთან მეგობრობა. ჩემთან არ მოხვალ? მე პატარა ვარ, 11 წლის და დედიკო არ გამომიშვებს. თბილისში ცხოვრობ? თუ აქ ხარ, ჩვენთან მოდი. ყველა მგზავნილს მოვიკითხავ და მიყვარხართ. მარი დედა, არ გეგონოთ, დამავინყდით, ძან მიყვარხართ. ვაი, კარატეზე მაგვიანდება და გავიქეცი. მეგი-გოგო.

• SWEET-GIRL, რა არ გასვენებს? რომ არ დამევახ, ის? საქმე ნახე, რა... ლუნა-ჩკას ან ეშმაკუნას გამომართვი ჩემი ნომერი. მათ არ იციან. ნამდვილი მამაკაცი.

• ხალხო, დაბადების დღე 21 ნოემბერს მაქვს, ნუ, მაინც გმადლობ, რომ მომილო-

ცეთ. სიკვდილა, შენი მწვანე შენთან არის. შოკოლადა, ჩემი გადარეული, კაპანახეს რა სიურპრიზი ელის? GREEN GIRL.

• GREENS იუბილე 1 თვით ადრე მიველოცე! ეჰ, სკლეროზო! ედელვასი, ნიკოლ, გრუზ, ენიგმა, იკუსკები, პარიჟანკა მენატრებით! მიყვარხართ და გაკოცეთ. CRAZY GIRL.

• ჩემო კარგო მგზავნილებო, ნეტავ იცოდეთ, როგორ მიყვარხართ. მე ხომ გავგიჟდი, მაგრამ ჩემი შვილიც რომ გავგიჟდა? მგზავნილების შემხედვარეს აბა, რა დამართებოდა? მინდა, ყველა ერთად შევიკრიბოთ და მაგრად მოვილხინოთ. ახლა ჩამოთვლას არ დავინწყებ და ყველას ერთად მოგიკითხავთ. მართლა მაგრები ხართ. გაკოცეთ. იდუმალი ქალი.

• ნინა ნომრის განცხადებებში ვწერივარ. დამიკავშირდი და დეტალები შევათანხმოთ. P.S. ASHLEY, შენ პროფესიით გადარეული ხომ არ ხარ?

• იქნებ დავიანდა ან იქნებ ადრე, იქნებ დამკარგვიხარ და ამოდ გექმე? ბევრჯერ მიფიქრია, ბევრჯერ მინატრია, ბევრჯერ დავიროსტოვებ მაგ თვლების ფსკერზე... მემე.

• ის, ვინც ამ ნივთს აწვადებს, თავისთვის არ ამზადებს; ის, ვინც ყიდულობს, თვითონ არ სჭირდება. ის, ვისთვისაც ამზადებენ, ამის შესახებ არაფერი იცის. რა ნივთია, აბა? მემე.

• ლიმონ, ჩემო შავტუხავ, მეც ძალიან მიყვარხარ. სევიდანო და იდუმალო, ჭრიჭოს უკვე მომენატრეთ. ეშმაკუნა და ტირიფო, მიყვარხართ. სიკვდილ, მათხოვარი ხარ! ჭრიჭინა.

• შესაკუთრული ინსტინქტით რად ეჭვიანობ, ლამაზო? გული შენ ერთს განაუტყე, სხვებს ადრენალინს ვთავაზობ. შენ მხოლოდ ჩემთვის ანათებ? ცხრათვალავ, არ გამაბრახო. გაკოცე. ბერბიჭა.

• ამოუცნობო, გმადლობ, რომ ჩემმა თავხედურმა იმიჯმა არ შეგამინა. მეგობრად მიგულე. P.S. მსაჯულო, მგონი მე და ენიგმა გეცასებით. უფრო რომელი? ესეც უკომენტაროდ? ბერბიჭა.

• ხარი ვარ, ჩემთვის ვბალახობ, ზოგს არც მოვწონდე ეგება, უსაფუძვლოდ და ბოროტად ნურავინ წამეყვებოდა. არავის ვერჩი თუ ძალად, რქებზე არ წამომეგება. ბერბიჭა.

• სიყვარულით მოვიკითხავ GREEN GIRLS და CRAZY GIRLS. ძალიან მიყვარხართ, გოგონებო. გულისტუხა, დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი. მით უმეტეს, გურული ყოფილხარ. იკუსკები.

• მსაჯულო, პოპულარობა და სიყვარული მხოლოდ გულწრფელი და ტაქტიანი მგზავნილების ხვედრია. შენ კი მაინცდამაინც ინტრიგებისკენ აიღე გეზი. ასე ფონს ვერ გახვალ! იკუსკები.

• ენიგმა, გთხოვ, ნერტისსა და უზნეო ანგელოზს უთხარი, მომწერონ. მათი ნომერიც სხვებთან ერთად წამეშალა, ვეღარ ვწერ. ძალიან მომენატრენ. ყველა მიყვარხართ. ედელვასი.

• სკარლეთ, ძვირფასო, შენ თვითონ ხარ ძალიან ტკბილი და საყვარელი. გკოცნი. მოვიკითხავ მარისა და ყველა მგზავნილს.

გააქტიურდით, რა მოგივიდათ? აბლახანში.

• ძალიან მომწონს ბერბიქასა და ცხრათვალას შეხმატვილებული დუეტი. ნეტავ თუ მართლა იცნობთ და გიყვართ ერთმანეთი? ცხრათვალავ, მგზავნილი ხარ? ან რატომ დაირქვი ეგ ნიკი? ნინო.

• ნეტავ, რომელი მამუკა გიყვარს? ხან-თაძე? ისე დამაინტერესა. ისიც ათენშია და იმიტომ. უცნობი-ნაცნობი. არა, მართლა კარგი ბიჭია, მოლაღატე და ჭორიკანა რომ არ იყოს. ლოლა ლალუ.



მიყვარხარ

საბერძნეთში მყოფ მედვა ერადეს, ჩემს ლამაზ ბებოს და საუკეთესო ადამიანს მინდა ვუთხრა, რომ ძალიან, ძალიან მიყვარს. შენი შვილიშვილი, სოფია.

- ჯოხარიძე, მიყვარხარ. მპუა. ნათია.
- შენი ტუჩები ჩემი ხატია/ ხატზე კოცნა კი ჩემი ვალია. ჯოხარიძევე, გაკოცე!
- იცით, როგორ ვიტანჯები? ისეთი ადამიანი შემიყვარდა, ვინც ღირსი არ იყო და ძალიან მალე დავკარგე. ესეც ჩემი აუტანელი ხასიათის გამო, მაგრამ მე ის ძალიან მიყვარს, ის კი ვერც მამჩნევს. თამთა, ზესტაფონი. ბიძინა, მიყვარხარ!

• ჩემო პატარა ანგელოზო, თეკლა, ჩემო სიცოცხლე, ნეტავ იცოდე, როგორ მენატრები. ძალიან მიჭირს უშენობა. ყოველდღამე სიზმარში შენთან ვარ, ბებო, ღვთისმშობელს ვევედრები, მუდამ გფარავდე. ვეცდები, რაც შეიძლება მალე დაგბრუნდე და ის სითბო და სიყვარული აგინაზღაურო. მიყვარხარ და მენატრები უზომოდ, ჩემო თეკლა. შორიდან გეფერება მზია ბებო.

• კობა გუგუტიშვილო, 21 თვე გავიდა და მაინც გეძებ და გელოდები. ვერ გივინყებ. 4 თვე კიდევო, რობიშ (მატყუებს). მიყვარხარ იდიოტო, გესმის? მიყვარხარ, არადა, მინდა, მძულდე.

• დათო ბეროშვილო, რატომ არ გჯერა ჩემი სიყვარულის? დამიჯერე, ყველაფრის მიუხედავად, მიყვარხარ, მენატრები და მჭირდები. შენ ჩემი ცხოვრება და სიცოცხლე ხარ. გეყოს ბუტიაობა.



ჩაღის ბედნიერების საღებო
მხოლოდ სულიერ ძღვრისაშენთან
აშ ამის, ის ჩემის ცინანსსაშ
ძღვრისაშენთან ძღვრისაშენთან



გილოცავ!

ელენე კუპატაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 2 ნოემბერს. გაიზარდე სასახელო გოგო. ისარე შენს დაიკოსთან და დედამამასთან ერთად. ღმერთი გფარავდეს. ძალიან მენატრები. გკოცნი ბევრს, მიყვარხარ. შენი ბებო, ნანი.

• ჩემს საყვარელ დისშვილს, ნათი ალადაშვილს: ჩვენო პატარა ნათი, შენი საყვარელი ირინა დეიდა, კახა ბიძია და შენი დეიდაშვილები, გაგა და ანზორი დიდი სიყვარულით გილოცავთ დაბადების დღეს, 1-ელ ნოემბერს. გისურვებთ კარგ სწავლას და უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. რამდენი იაც ამოვა ზაფხულის თვეში, რამდენი ვარდიც გაიშლება, რამდენი ფიფქიც დასცივავ ზამთრის სუსხიან თვეში, შენც დაესწარი იმდენ დაბადების დღეს. გკოცნით. კახა, ირინა, გაგა და ანზორი დევიძეები.

• ათენში მყოფ მამუკა იმერლიშვილს (კახელოს) ვულოცავ დაბადების დღეს, 4 ნოემბერს. ჯანმრთელობას, სიხარულს და იმ დიდ და ლამაზ სიყვარულს გისურვებ, რითაც მთელი ცხოვრება ბედნიერი იქნები, ჩემო კარგო. მუდამ გფარავდე უფალი. შენთვის კარგის მსურველი ნანუცა.

• ვფხვია კუპატაძეს და ნინო დემეტრაძეს ვულოცავ პატარა ნიკუმას დაბადებას. ვუსურვებ, კარგი ვაჟკაცი დამდგარიყოს. გაეხარებინოს დედა-მამა და ელენიკო. ბებიები და ყველა ახლობელი. ბებო ნანი.

• დედიკოს სიცოცხლეს და თვალისჩინს, ელენიკო ნანობაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს, 29 ოქტომბერს. უფლის წყალობა არ მოგკლებოდეს. შენი დედიკო.

• მამუკა, დე, გილოცავ დაბადების დღეს, 3 ნოემბერს. გისურვებ ოცნებების ახდენას და ულევ სიხარულს, საყვარელ დაიკოსთან ერთად. მიყვარხარ, გკოცნით და გეფერებით. დედა.

• ნანა კლდიაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. ნანა, გისურვებ ყოველივე საუკეთესოს, ცხოვრებაში. გფარავდეს უფალი. მიყვარხარ და მენატრები. ირმა.

• ანუელა აბუხანაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 3 ნოემბერს. ჩემო ლამაზო გოგო, გისურვებ სანუკვარი ოცნებების ახდენას და ქალურ ბედნიერებას. მიყვარხარ. ირმა ბიცოლა.

• სალომე ტაბატაძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელობას, წინსვლას ცხოვრებაში, თავის დაიკო თესთან ერთად. გკოცნი, მზია დეიდა.

• პელაგია გოგიშვილს და ალიკა ალადაშვილს ვულოცავ გაბედნიერებას. ჩემო ლამაზებო, ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ, სულ ბედნიერები ყოფილიყავით, თქვენი სიცოცხლის მანძილზე. გამრავლდით და გაიხარეთ. მიყვარხარ ძალიან. ლია ბუნტური.

• 28 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ გულისა ლეკაშვილს. მრავალს დაესწარი. ბედნიერ მომავალს გისურვებ. ღმერთს ეპარებოდე. სიკეთე არ მოგკლებოდეს. მათა.

• გაბედნიერებას ვულოცავთ ქუთაისში გოგა ბუიძეს და ნინო ჭიჭინაძეს. გისურვებთ ჯანმრთელობას, ბედნიერებას, შვილთა სიმრავლეს და ულევ სიყვარულს. ღვთისმშობელი მარიამი და ყველა წმინდა სალოცავი იყოს თქვენი სიყვარულის მფარველი. გილოცავთ დიდი სიყვარულით, დეიდები, ილზა და მზია, ბიძია გიორგი და დეიდაშვილი შმაგი. გვენატრებით ძალიან. გკოცნით.

• 28 ოქტომბერს დაბადების დღეს გილოცავ, მამუკა. ღმერთი გფარავდეს, შენს ერთგულ ადამიანებთან ერთად. ამ უცხო მინაზე გაძლება და ჯანმრთელობა გქონდეს. მიყვარხარ.

• ჩემს შვილს, ზურა იობიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 ოქტომბერს. ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, საყვარელ ცოლ-შვილთან ერთად. გაიხარე, უფალი გფარავდეს. შენი დედა, მანანა იობიძე.

• მანანა იობიძეს ვულოცავ შვილის დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და გამართლებულ ცხოვრებას. დედა, რომელიც იბრძვის შვილის ბედნიერებისთვის, ეს შენ ხარ, ჩემო მანანა. დიდი შრომისა და ნოსტალგიის ფასი აქვს შენს აქ ყოფნას. ის ცრემლები, რომელსაც შენი ქმრისა და შვილიშვილებისთვის ღვრი, შეგცვლოდეს იმ ბედნიერებით, რომელსაც საქართველოში ყოფნა ჰქვია. გკოცნი, მარინა გოგელიძე.

• ჩემს შვილივით საყვარელ ზურა იობიძეს ვულოცავ დაბადების დღეს, ვუსურვებ ჯანმრთელობასა და დღეგრძელობას, ხვავითა და ბარაქით დაბრუნებას მშობლიურ საქართველოში, ცოლთან და დედასთან ერთად, სადაც შენი ორი შვილი და მამა გელოდებიან. ღმერთი იყოს შენი მფარველი. მარინა გოგელიძე.

• ჩემს საყვარელ და მონატრებულ დას, მირანდა ნიქორიძეს ვულოცავ დაბადების დღეს. ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ულევ სიხარულს გისურვებ. შენი და ნანა ნიქორიძე.

• ჩვენს პატარა ანგელოზს, ლუკა ზარნაძეს ვულოცავთ 3 ნოემბერს, დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობასა და



ულევ სიხარულს, მშობლებთან ერთად. ჩვენი სიხარულო, გაიზარდე სასახელო ვაჟაკი. გვენატრები და გვიყვარხარ. შენი ლელო ბებო და ეკა მამიდა.

• 4 ნოემბერს, ჯუბიკო ნიქორიძეს დაბადების დღეს ულოცავს ნანა მამიდა. ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას ვუსურვებ, საყვარელ ხალხთან ერთად.

• კახელო სალომე, გილოცავ 25 ოქტომბერს, დაბადების დღეს. მრავალ ამ დღეს დაესწარი, შენს ლამაზ ოჯახთან და ყველა კარგ ადამიანთან ერთად. გაიხარე! 9717.

• ათენში ჩემს ძვირფას დედამთილს ვულოცავ 2 ნოემბერს, დაბადების დღეს. დაესწარი მრავალს. აქ არ ხარ, მაგრამ მაინც აღვნიშნავთ და რომ ჩამოხვალ, მერე მე ვიცი. ძალიან გვენატრები. გილოცავს მეუღლეც და შვილი ზაზაც. აბა, შენ იცი. შენი რძალი, მიაი ცაბოშვილი.

• ლაგოდეზში, ოდნიაშვილ ვანერს ვულოცავ დაბადების დღეს. გილოცავ, ჩემო ძამია, სიხარული, სიკეთე და ღვთის მადლი იყოს შენი და შენი ოჯახის თანამგზავრი. შენი კეთილის მსურველი, ემიგრანტი მეგობარი, ათენიდან.

• რუსთავეში, თეონა კვიციქვს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო სიხარულო, გილოცავ, ამ ლამაზ დღეს. გისურვებ წინსვლას. გვარავდეს უფალი. დალი ბებო.

• ლაგოდეზში ანა კოჭლამაზაშვილს ვულოცავ დაბადების დღეს. დიდი გოგო გაიზარდე ბებო, გაახარე მშობლების გული. გვარავდეს უფალი. გკოცნი, დალი კოჭლამაზაშვილი.

• ტალიაშვილ მურიკოს ვულოცავ დაბადების დღეს და შენაძენსაც. სიკეთეში მოიხმარეთ. გაიხარე ცოლ-შვილთან ერთად. დაგლოცოთ უფალი. გკოცნით, დალი კოჭლამაზაშვილი.

• ლაგოდეზში დაბადების დღე მინდა მივულოცო ჩემს დაქალს, ჩემს საყვარელ ვიოლეტა მაისურაძეს. სულ გახარებული მენახე, უფალმა გაგიმრავლოს შენი დათუნა. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოაკლოს შენს ოჯახს. გკოცნი ბევრს. მენატრები. მზია.

• გიორგი ანანიავილს ვულოცავ დაბადების დღეს. ჩემო სიხარულო, გისურვებ ოცნებებისა და სურვილების ასრულებას. გაიზარდე სასახელო ვაჟაკი. გვარავდეს ყველანაშინდა. მამიდა.

• მზია გრეკოვს მინდა მივულოცო დაბადების დღე, 31 ოქტომბერი. ვუსურვო ჩანაფიქრის ახდენა და ლამაზი მომავალი, მარისთან ერთად. ნესტანი.

• ხონში ლალი ბენიძეს ვულოცავ დაბადების დღეს და ვუსურვებ უამრავ, ლამაზ წელს. თან მინდა მოგილოცოთ ფატიის გაბედნიერება, ოთარისთან და ლამაზ შვილებთან ერთად. ხარ ბედნიერი დედა და სულ გახარებული იყავი. ნესტანი.

• ჩემს უზომოდ მონატრებულ შვილს, ტარიელ ფერაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 27 ოქტომბერს. შვილო, უზომოდ მენატრები და მიყვარხარ. გვარავდეს უფალი და დედის ლოცვა. გკოცნი და

გევერები. მონატრებული დედა, ნონა.

• ჩემო კახა ბოძაშვილო, გილოცავ დაბადების დღეს, გვარავდეს ღმერთი, ყოველთვის გახარებული ჯოფილიყავით, შენი წარმატებებით. ენატრები ბებოს.

• მინდა დიდი სიყვარულით დაბადების დღე მივულოცო ქუთაისში, გამსახურადია ქუჩაზე მცხოვრებ თორნიკე შარვაშიძეს. გაიზარდე სასახელო კაცი. გაახარე ყველა შენიანი. ეკა.

• მინდა, დიდი სიყვარულითა და მონატრებით, ჩემთვის ძვირფას ადამიანებს, ნათია გოგიბერიძესა და ელისა ხურციძეს 7 ნოემბერს მივულოცო დაბადების დღე. უფალი გვარავდეთ. ეკა.

• ათენში დროებით მყოფ თამრიკო ჩიქოვანს ვულოცავ დაბადების დღეს. გაზაფხულის ყვავილივით ლამაზო, ყოველმხრივ შემკობილო, გისურვებ ულევ სიხარულსა და ბედნიერებას, შენს ქმარ-შვილთან და ყველა საყვარელ ადამიანთან ერთად. აგრეთვე გისურვებ სიმტკიცესა და გამძლეობას. ინეზა.

• მონატრებულ რძალს, თეა ხურციძე-ბახტაძეს ვულოცავ 25 ოქტომბერს, იუბილეს. ვუსურვებ ლამაზი ქმარ-შვილით გახარებას. მენატრებით. გკოცნით, ეკა ფურცხვანიძე.

• ბაღდათში, როხში, მინდა დაბადების დღე მივულოცო ბაბუა-შვილიშვილს, ორ ტარიელ ფერაძეს, 23 და 27 ოქტომბერი. გვარავდეთ უფალი ორივეს. მენატრებით და მიყვარხართ.

• გერმანიაში მცხოვრებ ნატო ქავთარაძეს ვულოცავთ დაბადების დღეს, 28 ოქტომბერს. დაესწარი მრავალს. გახარებული და ბედნიერი იყავი, ცხოვრების ბოლომდე. დიდი სიყვარულითა და მონატრებით, შენი მშობლები, მანანა და შალვა ქავთარაძეები.

• 3 ნოემბერს დაბადებულ ლინა სანაიას ვულოცავთ დაბადების დღეს. გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, ღმერთის წყალობას, შენს ოჯახთან და ქმარ-შვილთან ერთად. სულ გახარებული მენახე, მთელი ცხოვრება. ღმერთი იყოს შენი მფარველი. შენი დედა, მზია ურიდია და შენი და, ლირა სანაია.

• ჩემს დიდ სიხარულსა და სიყვარულს, სოსო ხარაბაძეს ვულოცავ 25 ოქტომბერს, დაბადების დღეს. სიხარულო, გისურვებ ჯანმრთელობას, სიხარულს, სიყვარულს, გახარებას და საუკეთესოთა შორის საუკეთესოს. სულ გახარებული მენახე, ჩემო სიხარულო. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გაკოცე უამრავი. ერთს გეტყვი, ჩემო სიხარულო, იმედი ბოლოს კვდება და არასოდეს თქვა — არასოდეს. გაკოცე უამრავი.

• ნანა პავლიაშვილს, ჩემს დედიკოს, 2 ნოემბერს ვულოცავ დაბადების დღეს. დედა, გისურვებ ჯანმრთელობასა და კარგად ყოფნას, ქმარ-შვილთან და შვილიშვილებთან ერთად. იყავი მაგრად, რომ მალე დაუბრუნდე შენს მონატრებულ ოჯახს. შენი შვილი, ლამზირა. მიყვარხარ და გეხუტები.

• 21 ოქტომბერს დაბადების დღეს ვულოცავ გიგა გოგორიშვილს. ამ დღეს ხომ 23 წლის უნდა გამხდარიყოს... ძამი, მიყვარხარ და მენატრები ტკვილაძე. COLD GIRL.

• ოქტომბერში დაბადებულ ყველა ლამაზ ადამიანს მივულოცავ დაბადების დღეს, ჩემი უსაყვარლესი ადამიანის, რობი კოჩიევის თამადაობით და ვუსურვებ ულევ სიყვარულს. მარი.

• ქუთაისელ ხათუნა რამაზის ასულ იობიძეს დაბადების დღეს ვულოცავთ. ვუსურვებთ ბედნიერ და ტკბილ მომავალს. გკოცნით, მამუკა და მარიამი.

• GREEN GIRL, გრუზინკა, სევდიანო ქალო, კაკუ, კახელო სალომე, 9717, იუბილეს გილოცავთ. მრავალს დაესწარი. უფალი გვარავდეთ. P.S. ASHLEY, ქალ, დიდი მადლობა. აბეზარა.

• სოფელ წყალაფორეთში ჩემს ძმას, მიშკო ხიჯაკაძეს ვულოცავ დაბადების დღეს, 28 ოქტომბერს. 20 წლის გახდი ძამო და მშვიდობით მოიარე ჯარი. მაგრად მოგვენატრები! ვლადიმერი.

• მამიკო, გილოცავ დაბადების დღეს. მრავალს დაესწარი, ჩვენთან ერთად. წინა მილოცვაში ნონ სტოპი გამომრჩა. კამ-კამ, სად ხარ? უპარება, ფოტოებს როდის მაღირსებ? აბეზარა.

• ჩემს ბებიკოს ქეთინო ხურცილავას დაბადების დღეს, 1-ელ ნოემბერს ვულოცავთ შვილიშვილები, ნურიკო და ეთო ასლანიკაშვილები. ბებო, გისურვებთ ჯანმრთელობას.

• 9717, გილოცავ დაბადების დღეს და გულთბილად მოგიკითხავ. უფალი გვარავდეს. შენი თხოვნა შევასრულე, ამ კვირაში მოგწერეთ. გაკოცეთ. „გზაელეზო“, მიყვარხართ. ედეღვიანი.

• ქუთაისში, ციციწო ვაშაყაძეს ვულოცავ გაბედნიერებასა და დაბადების დღეს. ვუსურვებ ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს. მანანა და მარი.

„მოზილიზაციაში“ ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა Guli გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის“ ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა“ №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში აკრიბეთ: Guli 18-10 და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



ტაიმ-აუზი

ფულის უოუნის ყველაზე ბინძური გზები

მარი ჯაფარიძე

მკვლელი ქალი

ზოგიერთი ადამიანი ფულის გამო ყველაფერზე წამსვლელია და მიზნის მისაღწევად შეუძლია, საშინელი დანაშაულები კი ჩაიდინოს.

კარგი ცხოვრების გასაღები „დანაკარგიდან“ მოგების მიღებაში მდგომარეობს — სწორედ ასეთ წესს მისდევდა ბელ ჰანესი, რომელმაც წარმატებას დამანგრეველი ხანძრის შედეგად მიაღწია.

1881 წელს ბელი ნორვეგიიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად, სასწრაფოდ გათხოვდა და საკონდიტრო მალაზია გახსნა. ერთი წლის შემდეგ მალაზიას

ცეცხლი გაუჩნდა და ფერფლად იქცა. საბედნიეროდ, პატრონს ის დაზღვეული ჰქონდა. სადაზღვევო თანხით ბელმა ოსტინში სახლი შეიძინა, რომელიც 1898 წელს ასევე დაინვა. საბედნიეროდ, ეს სახლიც დაზღვეული აღმოჩნდა. 1900 წელს ჰანესის ქმარიც დაინვა და სხვათა შორის, სიკვდილამდე ცოტა ხნით ადრე, მასაც საკუთარი სიცოცხლე დაზღვეული ჰქონდა.

ბელმა მიღებული თანხით ინდიანის შტატში, ლა პორტში ფერმა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ იქ გადასვლიდან რამდენიმე კვირაში ნაგების შესანახავი ფარდული დაინვა. 1902 წელს, საკმაოდ უცნაური „უბედური შემთხვევის“ შედეგად, ბელ ჰანესის მეორე ქმარიც გარდაიცვალა — მას თავში მოზრდილი ხორცსაკეპი მანქანა დაეცა და ბელმა, სადაზღვევო კომპანიისგან 30 ათასი დოლარი მიიღო. ცოტა ხნის შემდეგ, ქალმა ახალი მეგზურის ძებნა დაიწყო, რომელიც „ცხოვრებისეულ სირთულეებს“ გადაატანინებდა და ერთ-ერთ ნორვეგიულ გაზეთში შესაბამისი განცხადება განათავსა. მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში ნორვეგიიდან მასთან ბევრი თაყვანისმცემელი ჩავიდა. აღსანიშნავია, რომ ისინი საკუთარ სიცოცხლეს აზღვევდნენ და მოკლე ხანში უჩინარდებოდნენ.

1908 წლის აპრილში, ფერმაში მომხდარი მორიგი ხანძრის შემდეგ, პოლიციამ სარდაფში მოზრდილი ადამიანის და 3 ბავშვის დამწვარ გვამს მიაკვლია. სამართალდამცავებმა დაადგინეს, რომ მოზრდილი ადამიანის ცხედარი ბელს ეკუთვნოდა, მაგრამ მისი ამოცნობა გართულდა, რადგანაც ნეშტს თავი მოჭრილი ჰქონდა.



საქმის გამოძიებისას პოლიციელებმა ფერმის უკანა ეზოში კიდეც 12 გვაბი და სხეულის სხვადასხვა ნაწილი აღმოაჩინეს, ბელის თავს კი ვერსად მიაკვლიეს. ამერიკის ისტორიაში, ნორვეგიული წარმოშობის ამერიკელი ყველაზე ცნობილი მკვლელი ქალია. ორი ათეული წლის განმავლობაში, ბელმა სადაზღვევო კომპანიისგან ფულის მიღების მიზნით 30-ზე მეტი ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს და ყოველივე ამის ხარჯზე მისმა ნაშოვნმა თანხამ 250 ათასი დოლარი შეადგინა.

ვერონის მსხოვრებთა ბამილდრების ხერხი

გასული საუკუნის 50-იან წლებში, იმ უბედურ შემთხვევათა უმეტესი ნაწილი, რომლის შედეგადაც ადამიანები კიდურებს კარგავდნენ და ინვალიდდებოდნენ, რატომღაც, ფლორიდის დასავლეთში ხდებოდა. სადაზღვევო კომპანიის აგენტის, ჯონ ჰილის თქმით, ვერონის მცხოვრებნი გამიზნულად ისახიჩრებდნენ თავს, სადაზღვევო თანხა რომ მიეღოთ. 50 მოქალაქე (იმ დროისთვის ვერონოში სულ 780 ადამიანი ცხოვრობდა) „უბედური შემთხვევის“ შედეგად დაზარალდა. ჯონის თქმით, მის კლიენტებს შორის იყო მამაკაცი, რომელსაც მარჯვენა ხელი ხერხმა მოაჭრა; კაცი, რომელმაც ნადირობის დროს ფეხში ტყვია მოირტყა; ერთ-ერთი კლიენტი კი — სადაზღვევო ბარათის მიღებიდან 12 საათის შემდეგ, უკვე დაზარალებული იქცა; ერთმა ფერმერმა კი ფეხის





მოჭრამდე, თავისი კიდურის დაზღვევა 38 სადაზღვევო სააგენტოში მოახერხა. ის ფეხში ცეცხლსასროლი იარაღით „დაჭრეს“ და შედეგად, სადაზღვევო კომპანიებს მილიონი დოლარი „გამოსძალა“.

„ძნელია, მოსამართლე დაარწმუნო, რომ ადამიანს შეუძლია, თავად მოიჭრას ფეხი“, — ამბობდნენ სადაზღვევო კომპანიის თანამშრომლები, რომლებიც თაღლითების გამოამჟღავნებას ვერ ახერხებდნენ. მოკლედ, ხანდახან „გიჟად“ ყოფნაც ძალზე მომგებიანია.

ბვაეზის ბაყიღვით ნაშოვნის სიმდიდრე

უილიამ ბერკმა და უილიამ ჰეამ საკუთარი საქმის წამოწყება გადაწყვიტეს. მათი საქმე საკმაოდ უჩვეუ-

ლო გახლდათ — ისინი გვამებს იპარავდნენ და გარკვეული საფასურის სანაცვლოდ, სამედიცინო-სასწავლო დაწესებულებებს გადასცემდნენ (სტუდენტების პრაქტიკისთვის). პირველად მათ მიერ დაქირავებული ბინის პატრონის გვამი გაყიდეს — ის 7 გირვანქა სტერლინგად, ედინბურგის სამედიცინო კოლეჯს მიჰყიდეს, შემდეგ კი საკუთარი შემოსავლის გაზრდა გადაწყვიტეს. თავდაპირველად, ახალი მიცვალებულების საფლავებს თხრიდნენ, შემდეგ კი ადამიანების დახოცვა დაიწყეს.

ნელინად-ნახევრის განმავლობაში, ბერკმა და ჰეამ 16 ადამიანი მოკლეს. ისინი მომავალი მსხვერპლისგან ბინას ქირაობდნენ და სახლის პატრონს მალევე კლავდნენ.

„ბიზნესმენები“ ერთ-ერთი ბინის მფლობელმა გამოამჟღავნა — მან სანოლის ქვეშ გვამს მიაგნო და ეს ამბავი მაშინვე პოლიციას შეატყობინა. ჰეამ სასჯელს მეგობრის „ჩაშვებით“ აარიდა თავი. მან ჩვენება „კომპანიონის“ წინააღმდეგ მისცა. შედეგად, 1829 წელს უილიამ ბერკი ჩამოახრჩვეს, მისი გვამი კი ერთ-ერთ სამედიცინო დაწესებულებას გადასცეს. სავარაუდოა, რომ ეს მამაკაცი მზად იყვნენ, ქალაქის მთელი მოსახლეობისთვის გამოეჭრათ ყელი, ოღონდაც ფული ეშოვათ. ბერკი დღიურს აწარმოებდა, სადაც თითოეული მკვლევლობის დეტალებს აღწერდა. დღიურში ასეთ ჩანაწერსაც წააწყდებით: „პირველი ივლისი. ინგლისელი 10 გირვანქა სტერლინგად გაყიდეთ“... ცნობილია, რომ მათ 16 მკვლევობა ჩაიდინეს, მაგრამ უცნობია, რამდენი გვამი ამოთხარეს.

დამწვარი სახლების ბიზნესი

მარკუს ლიცინიუს კრასუსი, რომელიც ჩვ.წ.ალ-მდე 115-53 წლებში ცხოვრობდა, რომაელი მთავარსარდალი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. ის ცნობილ-

ია, როგორც სპარტაკის აჯანყების ჩამხშობი. კრასუსის სიმდიდრის წყაროს ომის მსხვერპლთა სახლების გაყიდვა, მონებით ვაჭრობა და ვერცხლის მოპოვება წარმოადგენდა. მიიჩნევენ, რომ პირველი სახანძრო სამსახური სწორედ კრასუსმა შექმნა, მაგრამ ეს ქველმოქმედების კი არა, ხელის მოთბობის მიზნით გააკეთა.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ რომში მასშტაბური ხანძრები გახშირდა — სახლები ერთმანეთთან ძალიან ახლოს იდგა და ხანძრის გაჩენის შემთხვევაში, ცეცხლი ადვილად ვრცელდებოდა. გამჭრიანმა კრასუსმა 500 მონა იყიდა და მათგან



სახანძრო რაზმი ჩამოაყალიბა. როგორც კი სადმე ხანძარი გაჩნდებოდა, ის მეხანძრეებთან ერთად, მაშინვე იქ ამოყოფდა თავს და სახლის მფლობელებს, ცეცხლმოკიდებული შენობის სანაცვლოდ, მიზეზულ თანხას სთავაზობდა; შემდეგ ცეცხლს აქრობდა და იმავე მონების წყალობით, ნახევრად დამწვარი სახლის რესტავრაციას ახდენდა. მოგვიანებით, აღდგენილ სახლს ძველ მფლობელს, გაცილებით ძვირად მიჰყიდდა ხოლმე.

საბოლოო ჯამში, კრასუსმა ამ გზით დიდძალი ქონება დააგროვა. თანამედროვე საზომით, მისი ქონება 167,8 მილიარდ დოლარს შეადგენდა. მარკუს კრასუსი ყველა დროის ყველაზე მდიდარ ადამიანთა ათეულში შედის. ამასთან, ის ძალზე ძუნწი გახლდათ, რის გამოც, სიკვდილის შემდეგ, მტრებმა მარკუსს თავი მოაჭრეს და პირში გამდნარი ვერცხლი ჩაასხეს.



რადიო „პანდორა“

FM 103.9

სიმაკთლე - უმთავრესია



„სამარცხვინო ლაქა“ თინა ხიდაშელის ბიოგრაფიიდან

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, თინა ხიდაშელი საკითხავ ლიტერატურას ორ ნაწილად ყოფს: პირველ კატეგორიაში შედის ენ. თვითმფრინავში საკითხავი წიგნები, ხოლო მეორეში ის ლიტერატურა, რომელსაც ძილის წინ ეცნობა. ფრენის დროს უპირატესობას ბესტსელერებს ანიჭებს და როგორც ამბობს, პულო კოელიის თითქმის ყველა ნაწარმოები თვითმფრინავში აქვს წაკითხული; ძილის წინ კი უმეტესად, ბიოგრაფიებს და დოკუმენტურ მასალებს ეცნობა. თურმე, იყო დრო, როცა მხოლოდ ლექსებს კითხულობდა, ახლა კი ამბობს: „მანოსისტობა დაჩვედა — ბოლო დროს ისეთ ლიტერატურას აღარ ვკითხულობ, რომელიც სიამოვნებას მომანიჭებს“. კითხვაზე: — ასე რატომ იქცევით? მპასუხობს: „მერე ვიფიქრებ, რომ ცხოვრება მშვენიერია“.

„დღეს თუ რაიმეს წარმოვადგენ, ეს ჩემი მასწავლებლის დამსახურებაა“

თინა ხიდაშელი

პრაგმატული პაპია

— წიგნებთან „მეგობრობა“ როდის დაიწყო?
— არც მასსოვს. რაც უნდა უცნაურად მოგეჩვენოთ, მშობლებს სულ არ აინტერესებდათ, რას ვკითხულობდი, სკოლაში ვსწავლობდი თუ არა. ამის გამო პროტესტს გამოვთქვამდი და მათ გამუდმებით ვსაყვედურობდი, — რა მოხდება, გაკვეთილი ერთხელ მაინც რომ ჩაიბაროთ-მეთქი?! მყავდა არაჩვეულებრივი პირველი მასწავლებელი — დღეს თუ რაიმეს წარმოვადგენ, მისი დამსახურებაა.

— ენ. სამაგიდო წიგნი თუ გაქვთ?
— არა, არ მაქვს, მაგრამ ერთი პერიოდი „დათა თუთაშ-ია“ მქონდა ამოჩემებული და ცალკეულ ეპიზოდებს იმდენად ხშირად ვკითხულობდი, ლამის დავიხეპირე. ეს სტუდენტობის წლებში ხდებოდა.

— წიგნი თუ მოგიპარავთ?
— (იცინის) ჩემს ბიოგრაფიაში არის ასეთი სამარცხვინო ლაქა. ზაფხულობით დასასვენებლად სოფელში დავდიოდი, სადაც პატარა ბიბლიოთეკა იყო. ვინაიდან ბიბლიოთეკარი არ ჰყავდათ, ამ შენობაში სარკმლიდან ვძვრებოდი, სასურველ წიგნებს ვარჩევდი, სახლში მომქონდა და წაკითხვის შემდეგ, ისევ უკან ვაბრუნებდი. მერე ის ბიბლიოთეკა დაინვა, მე კი ვინანე, — ნეტავ, ის წიგნები უკან არ დამებრუნებინა-მეთქი.

— ამ ქართველ მწერალზე ფრიდრიხ ნიცშეს ნაშრომებმა უდიდესი გავლენა იქონია. მის შემოქმედებას უმაღლესი შეფასება მისცეს შტეფან ცვაიგმა, რომენ როლანმა და მსოფლიო ლიტერატურის სხვა გამოჩენილმა წარმომადგენლებმა. იგი ევროპის რამდენიმე ლიტერატურული საზოგადოების წევრად იყო არჩეული. აღსანიშნავია, რომ 1960-იანი წლების დამდეგს გადამწყვეტილი გახლდათ მისი წარდგენა ნობელის პრემიაზე ლიტერატურის დარგში, რასაც ხელი მწერლის გარდაცვალებამ შეუშალა. ვისზეა ლაპარაკი?
— გრიგოლ რობაქიძეზე ხომ არა?
— დიახ. რამდენი ბრუნვაა თანამედროვე ქართულში?
— 7.
— ამჟამად რა ჰქვია კუნძულ ცვილონს?
— ჩემი მეუღლე ჩემზე იცით, რას ამბობს?
— საიდან უნდა ვიცოდე?
— თინიკომ იმდენი გეოგრაფია იცის, რამდენ ადგილასაცაა ნამყოფიო. აი, მაგ კუნძულზე კი არასდროს ვყოფილვარ (იცინის).

— ახლა ამ კუნძულს შრი-ლანკა ჰქვია. „ძლიერს უფრო მეტად უჭირს ამქვეყნად. ამიტომაც, მუდამ დაღრენილი დადიან ლომები, ვეფხვები და ავაზები, ხოლო თრითინები, თაგვები და ციყვები მუდამ მზიარულად დაცუნცულეზენ“, — ვინ არის ამ სიტყვების ავტორი?
— კონსტანტინე გამსახურდია. ერთი პერიოდი ამ მწერლის ყველა წიგნი მაგიდაზე მქონდა დალაგებული და ხან ერთს ვკითხულობდი, ხან — მეორეს. თან, საინტერესო ფრაზებს ვინერდი. ამის გამო დამცინოდნენ, — ჩაინიშნე, რატომ იწერ, თავს რისთვის ინვალებო (იცინის)? ის ჩანანერები დღემდე შენახული მაქვს.

— „რა ვარდმან მისი ყვავილი გაახმოს დამტკნაროსა, იგი წაფა და სხვა მოვა, ტურფასა საბაღნაროსა“, — ილია ჭავჭავაძის რომელ ნაწარმოებს უძღვის ეპიგრაფად შოთა რუსთაველის ეს სიტყვები?
— ვერ გიპასუხებ, ჩავიჭერი.
— მიგანიშნებთ, ეს პოემა ილიას თანამოაზრეებს და მეგობრებს — ილია წინამძღვრიშვილსა და ივანე პოლტორაძის ეძღვნება.
— „აჩრდილი“.
— ფილადელფია, სან-ფრანცისკო, ნიუ-იორკი, ლოს-ანჯელესი — აშშ-ის ამ ქალაქებიდან, რომელი არ მდებარეობს ოკეანის სანაპიროზე?
— ფილადელფია.
— რუკაზე რომელ სასარგებლო ნიაღისეულს აღნიშნავენ შავი ტოლგვერდა სამკუთხედით?
— არ ვიცი.
— რკინის მადანს. რომელი ოკეანის აუზშია ბარენცის ზღვა?
— ატლანტის ოკეანეში.
— ცდებით, ჩრდილო ყინულოვან ოკეანეში. „ფესზე წამოდგომის მსურველს იშვიათად უჭერს ვინმე მხარს, იმას კი, ვინც ძირს დასაცემად გამზადებულია, ხელს ბეწერი ჰკრავენ“, — ვინ არის ამ გამონათქვამის ავტორი?
— არ ვიცი.
— ნაპოლეონ ბონაპარტე. რომელი ყვავილია გამოსახული ბურბონთა სამეფოს საგვარეულო გერბზე?
— ვარდი.
— სწორი პასუხია — შროშანი. ცნობილია, რომ გალაქტიკაში გაშვებულ კოსმოსურ სომალდში ამერიკელებმა ცივილიზაციის მიღწევათა საუკეთესო ნიმუშები ჩადეს. საქართველოდან ამ სომალდში 2 ნიმუში ჩაიღო. დასახელები ისინი.
— (ვიქრობს) ვერ ვისხენებ.



— „ჩაკრულო“ და ქართული ანბანი. რა ხდებოდა რომში 1582 წლის 6-დან 14 ოქტომბრამდე?

— ე.ი. XVI საუკუნეში, არა? არ ვიცი, არა, და თავი დამანებე (იცინის)!

— ასეთი დღეები არ არსებობდა, რადგანაც იმ წელს პაპმა — გრიგოლ XIII-მ გრიგორიანული კალენდარი შემოიღო.

— ეს რა ეშმაკური კითხვა იყო.

— დაასახელეთ ამერიკის პრეზიდენტი, რომელსაც თეთრ სახლში არასდროს უცხოვრია.

— ჯორჯ ვაშინგტონი.

— სად განდევნილობდა დავით გარეჯელი მანამ, ვიდრე გარეჯის უდაბნოსკენ გაემართებოდა და იქ სამონასტრო კომპლექსს ჩაუყრიდა საფუძველს?

— მთაწმინდაზე და სწორედ ამიტომ, მას მამა დავითის მთასაც უწოდებენ.

— რა დაარსდა თბილისში 1918 წლის 26 იანვარს?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

— რა ერქვა გაერთიანებულ ფეოდალურ საქართველოში სარდალს, რომელიც მუდმივ ჯარს განაგებდა?

— ამირსპასალარი.

— მსოფლიოში რომელ ქვეყანას აქვს ყველაზე გრძელი სანაპირო ზოლი?

— არ ვიცი.

— კანადას. წელიწადის 12 თვიდან, რომელ ორ თვეს დაერქვა სახელი რომის იმპერატორთა პატივსაცემად?

— ივლისს — იულის კეისრის და აგვისტოს — ოქტავიანე ავგუსტუსის პატივსაცემად.

— აზიის ბევრ სასტუმროში მასაჟისტებად ბრძები ჰყავთ. რატომ?

— კლიენტთა მორცხვობა რომ გამოირიცხოს, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, სიბრმავეს იბრალბენ.

— რა ერქვა მეფის რუსეთში დეპუტატის გასამრჯელოს?

— არ ვიცი.

— დიეტა.

— (იცინის) მართლა? ეს არ ვიცოდი. ჩვენი დეპუტატებიც დავსვით დიეტაზე, კარგი იქნება.

— რა ჰქვია მეთოთხობას ხელისგულზე არსებული ხაზების მიხედვით?

— ვიცოდი, მაგრამ ვერ ვისხენებ.

— ქრომანტია. ოდესმე, თქვენთვის თუ უმკითხავეთ?

— როგორ არა! ერთხელ ბორჯომში ვიღაც ქალმა ხელისგულზე მიმკითხავა და მითხრა: 2 შვილი გეყოლებაო. მაშინ ბავშვი ვიყავი.

— ვინ გამოიგონა შამპანური?

— არ ვიცი.

— ფრანგმა ბერმა. ეს XVII საუკუნეში მოხდა. „მიხა“, „არდადეგები“, „ბებური მეზურნეები“, „დიდი მწვანე ველი“, „ნუცას სკოლა“ — რა აქვს საერთო ამ ფილმებს?

— თუ არ ვცდები, თქვენ მიერ ჩამოთვლილი ფილმების რეჟისორი მერაბ კოკოჩაშვილია.

— დიას. XII საუკუნეში ეს ფრინველი ისე ძვირად ფასობდა, როგორც არაბული ბედაური.

— მტრედი.

— რამდენი წუთი აშორებს დილის 10 საათსა და 30 წუთს იმავე დილის 9 საათსა და 15 წუთისგან?

— ამას კი გამოვიანგარიშებ. (ხანგრძლივი პაუზის შემდეგ) 75 წუთი, არა?

— დიას. დაფნა, ვაშლი, ბრონეული, ვარდი — ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, რომელი მცენარე მიიჩნევა ქორწინების სიმბოლოდ?

— ვაშლი.

— ცდებით, ქორწინების სიმბოლოდ ბრონეული მიიჩნევა. რას უწოდებენ ადამიანს, რომელმაც მრავალი

ენა იცის?

— პოლიგლოტს.

— თქვენ თუ ხართ პოლიგლოტი?

— არა, მშობლიურის ჩათვლით, სულ 3 ენა ვიცი.

— რომელი პოეტის ლექსზე შეიქმნა სიმღერა —

„ქარი გიმღერის ნანასა“?

— ანა კალანდაძის.

— რა ფერის ლენოა „ალადასტური“?

— წითელი. ისე, მე თეთრ ლენოს ვანიჭებ უპირატესობას.

— „ძვირფასო დაო მარიამ, მე სოფლად ცხოვრება აღარ შემძლია, ფიზიკურმა შრომამ გამტყნა წელში, ახლაც ავად ვარ, ახლა სიმშვიდე და ნამღებია ჩემთვის საჭირო. საზოგადოებას თუ რადმე ეფასება ჩემი თავი, უნდა მიპატიროს. იქნებ, რამე სამსახური გამომიძნებოთ. წერილს სხვებს არავის ვწერ, რადგან ვიცი, ჩემთვის თავს არავინ გაიცხლებს...“ — ეს წერილი 1909 წლითაა დათარიღებული. დაასახელეთ მისი ავტორი.

— (ფიქრობს) ე.ი. დას მარიამი ერქვა, ის კი სოფლად ცხოვრობდა. ვაჟა-ფშაველას დანერჩილი უნდა იყოს.

— გამოიცანით. ეს ზღვა ზღვის დონიდან 400 მეტრით დაბლა მდებარეობს.

— მკვდარი ზღვა.

— რა ერქვა კრეტის მეფის — მინოსის ასულს, რომლის დახმარებითაც თებევსმა ლაბირინთს თავი დააღწია?

— არ ვიცი.

— არიადნე. სად მოიჭრა პირველი მონეტა?

— ვერ გიპასუხებ.

— ლიდიამი. საქართველოში ამ დასახელების 30-მდე სოფელი არსებობს.

— (ფიქრობს) ალბათ, ახალსოფელი.

— დიას. დაბოლოს, დაასრულეთ ინგლისელი ფილოსოფოსის, ბერტრან რასელის ცნობილი გამონათქვამი: „ადამიანთა დიდ ნაწილს ურჩევნია, მოკვდეს...“

— ეს გამონათქვამი არ მახსოვს.

— „...ვიდრე იფიქროს“.

ნომერში იხილეთ: 2 პოსტარი 30 ოქტომბრიდან

ჩემი ძველის საღარაჯოვა ცალი ფინიანი დავაგავი

არსენალი

სტრატეგიული გომგდაგზავნები

„აბაიუშიდან“ საჯღაპო „პრადაგვი“

ვითხოვ ენერგიულ და სწრაფ მოქმედებას ბიზნისის ასაღებად!

ყველაზე კაცური შინაგანი არა მარტო გემაკასაბისთვის

ფართოსანი რაპაპავი



გონების საპარჯიშო

**„გზის“ ერთგული
მანითხვალისათვის
(ანითხვაბი)**

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გაცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვებისაჲნ არ გაგაჩყვით თვალი

1. დანტეს მიერ აღწერილ ჯოჯოხეთში, ვის ჰქონდა რკინის ძაფით ამოკერილი თვალები?
2. რა ბედი ეწია სპარტაკის ცოცხლად გადარჩენილ 6000 მეომარს, რომელიც მარკუს კრასუსმა ჩაიგდო ტყვედ?
3. „ეს ღმერთმა არ გაუმარჯოს ყველა ციგანსა და მამამალს! ღმერთო, ილიკო ჩიგოგიძე მანახვე ისეთ დღეში, სულს ვერ იბრუნებდეს და ახლომანლო ჩემ გარდა არავინ ჰყავდეს მშველელი“, — ნატრობდა ილარიონი შევარდნაძე. რა დაუშავა ილარიონს „ცალთვალა მელამ“?
4. რომელ წიგნს იპარავენ ინგლისის ბიბლიოთეკებში ყველაზე ხშირად?
5. რა არის ქოსმენი?
6. რა ენაზე ასრულებს დათო გომართელი „მამა აფრიკას“?
7. რომელ ლიტერატურულ პერსონაჟს ეკუთვნის სიტყვები: „ია იდეინი ბარეც ზა დენეჟნიე ზნაკი“?
8. პირველად როდის გამოიყენეს ავიაცია საბრძოლო მიზნით?
9. სერიულმა მკვლელმა ანდრეი ჩიკოტილომ 52 ადამიანი გამოასალმა სიცოცხლეს. ვინ ეძახის თავის თავს ანდრეი ჩიკოტილოს 53-ე მსხვერპლს?
10. რა არის წივა?
11. მამაკაცს ხშირ შემთხვევაში 2 ადამიანი ეხმარება იმის გადარჩევაში, თუ როდის და სად გაატაროს შებულება. ვინ და ვინ?
12. რა უკიდურეს ზომებს მიმართეს კათოლიკურმა და პროტესტანტულმა ეკლესიებმა იმისათვის, რომ ოცდაათწლიანი ომის (1618-1648 წლები) შედეგად განახევრებული გერმანიის მოსახლეობა კვლავ გაზრდილიყო?

ანექლოცენი

* * *

რესტორნის სამზარეულოში, სალამოს უძვირფასეს კაბაში გამოწყობილი მედიდური ქალბატონი ჭურჭელს რეცხავს და უნაკლო სმოკინგში გამოწყობილ ბატონს აწვდის გასამშრალებლად:

— არა, კერძიც შესანიშნავი იყო, დესერტიც და შამპანურიც... მაგრამ მაინც, როცა კიდევ დამპატიჟებთ, ყურადღება მიაქციეთ, რომ თქვენს საკრედიტო ბარათს ვადა არ ჰქონდეს გასული.



* * *

ორი მონადირე მაჩვის ნაკვალევს მიადგა.

— წადი, ნახე, საით წავიდა.
— შენ რას იზამ?
— წავალ და ვნახავ, საიდან მოვიდა.

* * *

ორი კაცი საუბრობს:

— გუშინ ისე დავთვერი, სახლში მისულს ცოლი ქურდი მეგონა და ფანჯრიდან ვაგდებდი. უნდა გენახა, რას გაკიოდა!
— ეგ რა არის, მე ისე დავთვერი, ბინაში შესული ქურდი ჩემი ცოლი მეგონა და შენ მისი წივილ-კივილწვალემა უნდა გენახა!..

* * *

სქესობრივი აქტის შემდეგ ქალი მამაკაცს ეუბნება:

— შენი მამაკაცური ღირსება ტრანსციმბირულ ექსპრესს ჰგავს.
— რატომ, ძალიან გრძელია?
— არა, მხოლოდ 3 წუთი დგას.

* * *

მეტროს ვაგონში მოხუცი ქალი ჯოხის კაკუნით შედის. ვაგონი სავსეა და მოხუცს ადგილს არავინ უთმობს. ჯოხის კაკუნით შეწუხებული ახალგაზრდა დაცინვით ეუბნება:

— მაგ ჯოხზე რეზინი მაინც წამოგეცვა, ბებო...
— რეზინა თავის დროზე მამაშენს რომ წამოგეცვა, ახლა მაგ ადგილას მე ვიჯდებოდი, — უთხრა გაბრაზებულმა ქალმა.

* * *

— რამდენი წლის ბრძანდებით, ქალბატონო?
— 70-ის.
— გათხოვილი ხართ?
— ჯერ არა!

* * *

მუშა ქარხანაში მოეწყო და მეორე დღევე საავადმყოფოში ამოყო თავი. მოსანახულებლად მეგობარი მივიდა და ჰკითხა: რა დაგემართაო?

— საამქროში შევედი და დავიძახე: ჟორა, 27 ნომერი „კლუნი“ გადმომიგდე-მეთქი. აბა, მე რა ვიცოდი, იქ იმდენი ჟორა თუ მუშაობდა?!

* * *

— სულ ფული და ფული! — უყვირის ბიზნესმენი მათხოვარს. — აღარაფერი გახსოვთ ფულის გარდა!..





დილაა, ცოლი ქმარს ადვიძებს:
— ადექი, უკვე დილაა! ადექი-მეთქი! არა, მთლიანად ადექი, სამსახურში გაგვიანდება!

მისო მიტოს ეუბნება:
— თბილისის ოპერა სვანების აშენებული უნდა იყოს.
— ვითომ, რატომ?
— „ბალკონები“ შიგნიდან აქვს გაკეთებული!

დედა ქალიშვილს ჭკუას არიგებს:
— შვილო, არასოდეს დაუწყო მამაკაცს კამათი, მაშინვე ისტერიკა გაუმართე.

— ცოლი დამეკარგა, — განაცხადა ჭიჭიკიამ პოლიციაში.
— აჰა, ბლანკი და აღწერე, როგორია შენი ცოლი.
— კარგი, ოღონდ, როცა იპოვით, ეს ბლანკი არ უჩვენოთ.

ფინანსური პოლიცია მალაზიას ამოწმებს.
— მაშ, რით ვაჭრობთ აქ?
— როგორ გითხრათ, ათასგვარი მომსახურება გვაქვს: სნაიპერული შაშხანები, დახვრეტის ლიცენზია, კილერი გამოძახებით...
— სალაროს აპარატი არა გაქვთ და ფულს ღუნავთ, არა? ბოლოს, როდის იყვნენ აქ რევიზორები?
— სამიოდე კვირის წინ... აცხონოთ უფალმა...

სვანი ქალი ექოსკოპიაზე მივიდა.
— თქვენ ფეხმძიმედ ხართ, — ეუბნება ექიმი.
— დარწმუნებული ხართ, რომ ბავშვი ჩემია?

სუფრასთან მჯდომი მილიონერი სიტყვას წარმოთქვამს:
— ყველა ბიზნესში ფულის გაკეთების მილიონი ხერხი არსებობს, მაგრამ მათგან მხოლოდ ერთია პატიოსანი.
— მაინც, რომელი?
— წარმოდგენა არა მაქვს!



აღშფოთებული მძღოლი ინსპექტორს ეკითხება:
— როგორ, აქ მოხვევა არ შეიძლება?
— როგორ არ შეიძლება, ოღონდ — ფასიანია...

ნაწყვეტი წერილიდან: „შვილო მიტო, მინდა გითხრა, რომ იმ წერილს, რომელშიც ფულსა გვთხოვ, ჩვენამდე არ მოუღწევია...“

სასუფეველის კარიბჭესთან ქალები ერთ რიგში დგანან. მიქელ-გაბრიელი ამბობს:
— ვისაც ერთხელ მაინც უღალატია ქმრისთვის, ნაბიჯი გადმოდგით წინ.
ყველა ნაბიჯს დგამს, ერთის გარდა.
— ყველანი — ჯოჯოხეთში! — ამბობს მიქელ-გაბრიელი. — ეს ყრუც თან გაიყოლეთ!

გონების სავარჯიშო

„გზის“ ერთგული მართხვალისათვის (პასუხები)

1. შურიან ცოდვილთა აჩრდილებს.
2. ისინი კაპუადან რომში მიმავალი გზის მთელ გაყოლებზე, ჯვრებზე გალურსმეს და 3 თვის განმავლობაში არ ჩამოუსხნიათ.
3. ილიკომ ზურიკელას პილგარეული თუთუნი აჩუქა, ეს უკანასკნელი კი ილარიონს გაუმასპინძლდა, — ჩემი მოსწიე, სტამბულისააო.
4. გინესის რეკორდების წიგნს.
5. ნასუქი ლორი ან ცხვარი.
6. პორტუგალიურ ენაზე.
7. ოსტაპ ბენდერს.
8. 1911 წელს, იტალია-თურქეთის ომის დროს.
9. მისი შვილი სერგეი ჩიკოტილო.
10. უტყყო მხარეებში მსხვილფეხა, რქოსანი პირუტყვის ნაკვლს კვერუდად, ბრიკეტებად ახმოვნ და სანვავად იყენებენ. ასეთ ნაშადას წივას ეძახიან.
11. ცოლი და უფროსი. ცოლი ეუბნება — სად, უფროსი — როდის.
12. მრავალცოლიანობა შემოიღეს.

ჩვენი ფოსტო მალანაა



შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნოთ ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „კვირის პალიტრის“ („სიტყვა და საქმის“) საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის“) მეშვეობით ან მოგვანოდით რედაქციაში მის: თბილისი, იოსებძის ქ. №49.



ჰოროსკოპი

(29 ოქტომბერი - 4 ნოემბერი)

ვერძი:

ნუ ხართ დაბნეული და შეშინებული. თუ წარმატების მიღწევა გასურთ, თავდაჯერებულად იმოქმედეთ. ქურდობის თავიდან ასაცილებლად, ახალგაცნობილებს სტუმრად ნუ მიიპატიჟებთ.

კუჩრი:

კამათი სხვათა ინტერესების დასაცავად შეიძლება, სერიოზულ კონფლიქტში გადაიზარდოს. ახლობლებთან ურთიერთობას ნუ გაიფუჭებთ. მატერიალურად საყვარელი ადამიანი დაგეხმარებათ.

ტყუპი:

ათას რამეს ედებით, ყველაფრის მოსწრება გასურთ. თუ საკუთარ ძალებში დარწმუნებული არ ხართ, ახალ საქმეს ნუ შეეჭიდებით. გადატვირთული გრაფიკის გამო, საყვარელი ადამიანი არ დაივიწყოთ.

კირჩხიბი:

რომანტიკული შეხვედრები სასიამოვნო განწყობილებას შეგიქმნით. კარგია, თუ ახალი იდეების განხორციელებაზე იზრუნებთ. ამ პერიოდში მოერიდეთ აზარტულ თამაშებს.

ლომი:

ოჯახის წევრები ყურადღებითა და მზრუნველობით გაგანებიერებენ. ნუ იქნებით ზედმეტად კრიტიკული და მომთოვნი. საოჯახო საქმეები მეუღლესთან ერთად მოაგვარეთ.

ქვამყვანი:

ამ კვირაში ბევრ საინტერესო ამბავს შეიტყობთ, მაგრამ თუ სულიერი სიმშვიდის შენარჩუნება გასურთ, ნუ გააბამთ ჭროების ქსელს. საკუთარი მოსაზრებები თქვენთვის შეინახეთ.

სასწორი:

გააკონტროლეთ ხარჯები, ნუ გაფლანგავთ ფულს ძვირად ღირებულ, გამოუსადეგარ ნივთებში. სულიერ სიმშვიდეს საოჯახო საქმეების მოგვარებაში პოვნით.

მორჩილი:

პედაგოგიური საქმიანობა დამატებით შემოსავალს მოგიტანთ. დასვენების დღეებში თავს საოჯახო საქმეებით ნუ გადიტვირთავთ. ენერჯის აღდგენაში მუსიკა დაგეხმარებათ.

მშვიდი:

პირად ცხოვრებაში არსებულმა გაურკვევლობამ სამსახურებრივი საქმეებიც დაგაინწყიათ, ეს კი თქვენს კარიერაზე უარყოფითად აისახება. თუ საშუალება მოგეცემათ, ქალაქგარეთ გაემგზავრეთ.

თხილამურის:

მეგობრებისგან ახალ საქმიან წინადადებას მიიღებთ, რაც მატერიალურ კეთილდღეობას მოგიტანთ. გაითვალისწინეთ მშობლების რჩევა-დარიგებები, დასვენების დღეებში კი ფიტნეს-კლუბს ეწვიეთ.

მეწყობი:

პრობლემების თავიდან ასაცილებლად, საქმიან დოკუმენტებს ადვოკატის გარეშე არ მოაწეროთ ხელი. საყვარელ ადამიანთან სიჯიუტესა და ეგოისტობას ნუ გამოავლენთ.

თევზი:

კარგი პერიოდია ცოდნის მისაღებად, უცხო ენის შესწავლისთვის. ჩაიტარეთ სამკურნალო-პროფილაქტიკური გამოკვლევა. კვირის ბოლოს საზღვარგარეთიდან სასიამოვნო ინფორმაციას მიიღებთ.

პატარავი გენიოსოვანი

გაზატი „კვირის პალიტრის“ არქივიდან



4 წლის მამუკა ცინცაძეს კარგად ახსოვდა ედუარდ შევარდნაძის გადაადგომის ეპიზოდები. რამდენი ხნის შემდეგ, მან ტელევიზორში დაინახა მშვიდად მოსაუბრე ექსპრეზიდენტი და გაკვირვებულმა იკითხა:

— ეგ ისევ გადმოდგა?



5 წლის ნინო გოგოლაძე ტელევიზორს უყურებს.

— ვინ მღერის? — იკითხა პატარამ.

— „ქუჩის ბიჭები“, — პასუხობს დედა.

— სულ ქუჩაში არიან, სახლში საერთოდ არ შედიან? — იკითხა გაკვირვებულმა ბავშვმა.



5 წლის ქეთი გიორგობიანს ექიმმა იოდის „კლექტები“ დაუნიშნა. როცა დედა ამ პროცედურის ჩატარება დააპირა, ქეთიმ იკითხა:

— დედა, ნყალი რომ მომწყურდეს, „კლექტიდან“ როგორ გამოვალ?



4 წლის თამუნა ჯანელიძე ეზოში იდგა და ქუჩაში სირენებით ჩავლილი ავტომანქანების კორტეჟს აკვირდებოდა. მერე იქვე მყოფ დედას მიუბრუნდა და უთხრა:

— დედიკო, ამდენი ქორწილი რომ ტარდება, შენ რატომ არ თხოვდები?



ნოემბრის რევოლუციის დღეებია. 3 წლის თეკლა ტყეშელაშვილს მამიკო „ჩიტო-ჩიორას“ ზღაპარს უყვება...

— მელიამ საწყალი ჩიტო-ჩიორას მესამე ბარტყიც შეჭამა. აბა, თუ გახსოვს, ამ დროს რას იძახდა გამწარებულ ჩიტო-ჩიორა?

— მი-შა!.. მი-შა!.. — დაუფიქრებლად წამოიძახა თეკლამ.



ორწლიანხევრის რომიკო ბელქანია ნახატებიან ურნალს ათვლიერებს. მისი ყურადღება ირმებმა მიიქცია.

— ეს ნუკრია, ხოლო რქებიანი, დიდი ირემი მისი მამიკოა, — აუხსნა დედა. ნუკრი მეზობლის ბიჭს ერქვა. რომიკომ გაიფიქრა: პატარა ირემს თუ ნუკრს ეძახიან, დიდის სახელიც მცოდნიაო და წამოიძახა:

— მამა ირემს გენდა ბიძია ჰქვია, არა?



4 წლის გვიკო დედას ეკითხება:

— დედა, მუცელში ისეთი რა გვაქვს, რომ არ ვიფუშებით?

საფიქსო კროსვორდი

ბ	ა	ე	რ	თ	ე	ლ	ა	ლ	ა	ო	ს	ვ	ე	ნ	ე	ბ	გ	ა	ს	თ	ა	ნ	ე	რ	თ	ა	ლ
ლ	ა	რ	ო	ა	ქ	მ	ნ	ო	ო	ე	ტ	ე	ა	ა	ნ	ნ	ო	ბ	უ	ლ	ტ	ა	მ	ა	ლ	ნ	ე

შეკითხვის წესი: უპასუხეთ კროსვორდში დასმულ შეკითხვებს და პასუხები შესაბამის გრაფაში ჩაწერეთ. კროსვორდის სწორად ამოსწნის შემთხვევაში გამოუქმბულ უფრედებში ქართულ ანდაზას ამოკითხავთ.

აღის სახელწოდება დასავლეთ საქართველოში; **ს.** რაიმე მოქმედებისადმი ხალისის აღმძვრელი მიზეზი; **თ.** რა ჰქვია მეორენაირად ტოლუმბაშს; **ბ.** ქირურგიული ოპერაცია, რომელიც ჩვენს ქვეყანაში კანონით არ ისჯება, მაგრამ ეკლესია სასტიკად გმობს; **ნ.** ის, რაც გამოთქმის თანახმად „სხვისია“; **მ.** გადამდები დაავადების მუდმივად არსებობა რომელიმე მხარეში; **რ.** რა ერქვა აივნიჭოს სატრფოს; **თ.** ილია ჭავჭავაძის ტიტული; **ბ.** რა ერქვა კაცს, რომელიც გიორგი კუჭატენელმა მოკლა; **ლ.** ცარიელი კასრის ბინადარი ფილოსოფოსი ანტიკურ საბერძნეთში.

ბ. მოგრძო, პირგანიერი და ძირწვრილი გოდორი, რომელსაც ქვემო იმერეთსა და გურიაში მაღლარიდან — ყურძნის, მაღალი ხიდან კი ხილის ძირს ჩამოსაშვებად იყენებენ; **ბ.** ჭუჭრუტანიდან ოთახში შემოსული მზის სხივი; **მ.** რა ჰქვია რუს კინორეჟისორ რიაზანოვს; **რ.** სპორტის სახეობა, რომელშიც წინ მყოფი პარტნიორისთვის ბურთის ხელით მიწოდება არ შეიძლება; **თ.** დამოკლეს მახვილი, არიადნეს ძაფი, ავგიას — ?; **მ.** მეგრული კერძი, ღომში მოხარშული და ჩაზელილი სულუგუნი; **ლ.** ვითარება, როდესაც ორი არასასურველი შესაძლებლობიდან აუცილებელია ერთ-ერთის არჩევა; **ბ.** სარწვევი სანოლი ჩვილი ბავშვისათვის; **ლ.** ზღაპრული ურჩხული; **ბ.** თავისთავად ცხადი ჭეშმარიტება; **ი.** ჭადრაკის სამშობლო; **ს.** სამეფო კვერთხი; **მ.** თენგიზ აბულაძის ფილმი, რომელმაც „ნატვრის ხესთან“ და „მონანიებასთან“ ერთად ტრილოგია შეადგინა; **მ.** გემის ან თვითმფრინავის მომსახურე პერსონალი; **ნ.** ჩანჩქერი ჩრდილოეთ ამერიკაში; **მ.** ლითონის საჟღარუნებელი; **ბ.** რა ერქვა დათა თუთაშხიას შვილს; **ზ.** მთიდან დიდ გროვად წამოსული, ჩამორღვეული თოვლი; **ბ.** ყაჩ-

წინა ნომერი გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:
პასუხები: გ. გუდუნა; ზ. ზვიგენი; ა. აული; გ. გრიზოლი; ზ. ზესნახე; ი. იალბუზი; ს. საუნა; თ. თაკვერი; ვ. ვიმპელი; ი. ივაროსი; ს. სიცილია; ა. აკორდი; ო. ოსლო; მ. მაისი; კ. კასიო; ი. იუმორი; თ. თეზისი; ხ. ხრიკი; ვ. ვითა; ე. ელენე; ლ. ლუვრი; ი. იოსები; ს. სესია; თ. თუჯი; ვ. ვიოლინი; ი. იუბილე; ს. სტიმული; ა. ანანია; ო. ოტო.
გამოქვეყნებული უპრადეზი იკითხავა:
დილის ღუპა ცოლის გზითივს სჯობიაო

იაპონური სენსაცია

სუდოკუ

„გზის“ წინა ნომერი გამოქვეყნებული სუდოკუს პასუხები

2	6	5	9	1	7	8	4	3
9	1	7	3	8	4	5	6	2
4	3	8	6	5	2	7	1	9
6	8	1	7	4	3	9	2	5
3	9	4	5	2	8	6	7	1
5	7	2	1	9	6	4	3	8
7	5	3	8	6	1	2	9	4
8	2	6	4	3	9	1	5	7
1	4	9	2	7	5	3	8	6

9	6	2	3	7	8	5	1	4
5	1	3	4	6	2	7	8	9
4	8	7	5	9	1	2	6	3
6	9	5	8	1	4	3	2	7
2	3	1	7	5	9	6	4	8
7	4	8	2	3	6	1	9	5
8	5	4	6	2	3	9	7	1
3	2	9	1	4	7	8	5	6
1	7	6	9	8	5	4	3	2

8	9	2	5	4	3	7	1	6
5	1	3	7	2	6	9	8	4
6	4	7	8	1	9	5	2	3
4	2	5	3	6	1	8	9	7
9	3	8	2	5	7	4	6	1
7	6	1	4	9	8	2	3	5
1	7	4	9	3	2	6	5	8
2	8	6	1	7	5	3	4	9
3	5	9	6	8	4	1	7	2

*** მარტივი**

			2			6		
6					9			8
	5				8			1
		3	4				7	
	2			9	1		5	
	9			8		1		
	3		5				4	
9			8					3
		7			2			

**** საშუალო**

				6	5			
	9			5			2	
3				9			4	
	7			2		5		
2		7		3			8	
	8			4		3		
8			3				1	
1			2				4	
		7	9					

***** რთული**

		9			6			3
	7			4				5
			3					2
7			9		1		4	
		5		7		8		
	3		8					2
	5				9			
3				2				5
	1		7			4		

ფოტოკონკონები

